

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მერაბ მიქელაძე

მბეჭ-ძაღლის სიმბოლო ქართულ მითოლოგიაში

ანთროპოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

თბილისი

2012

## **მბელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ მითოლოგიაში**

**სარჩევი :**

**შესავალი - ძირითადი ოკორიები ტოტემიზმის შესახებ – 3-31 გვ.**

**თავი პირველი**

**მგელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ მითსა და ფოლკლორში**

- 1) ყურშას მითოსური სახე და დვთაება კვირიასთან მისი მიმართება – 32-53 გვ.
- 2) მგელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ სამონადირეო ეპოსში – 54-75 გვ.
- 3) მგელ-ძაღლის სიმბოლოს მიმართება კვდომად და ალდგენად დვთაებებთან – 76-91 გვ.

**თავი მეორე**

**მგელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში**

- 1) „მგელთუქმეობა და მგელჯიხვაობა“ – 92-105 გვ.
- 2) სეთის წმ. გიორგის სადღესასწაულო ციკლი და მგლისგამოსახულებიანი საწესო დროშა „ლემი“ – 106-130 გვ.
- 3) მგელ-ძაღლის სიმბოლოს ხოონური ასპექტები – 131-146 გვ.

**დასკვნა – 147-151 გვ.**

**ილუსტრაციები – 152 გვ.**

**გამოყენებული ლიტერატურის სია – 153-162 გვ.**

## შესავალი

მგელ-ძაღლის სიმბოლო საინტერესოდ ვლინდება ქართულ მითსა და ფოლკლორში. ამ მხრივ, საინტერესო მასალაა შემონახული ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი სწორედ მგელ-ძაღლის სიმბოლოს ისტორიულ-კულტურულ ჭრილში შესწავლას ეძღვნება. ვინაიდან მგელ-ძაღლი ერთ-ერთ უძველესს ზოომორფულ სიმბოლოს წარმოადგენს, რომელსაც მრავალმხრივი ფუნქციონალური დატვირთვა ეძლეოდა მსოფლიოს სხვადასხვა კულტურებში, ნაშრომში მოხმობილი იქნება უცხოური მასალაც, რომელიც ქართულ მასალასთან თანხმიყრად იქნება განხილული.

საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს მგელ-ძაღლის სიმბოლოს აქტიური წარმოჩენა ქართველთა წინარექრისტიანულ რელიგიურ პანთეონში, მისი გამოვლენა ქართულ სახვით ხელოვნებაში, მითსა და ეპოსში. აღნიშნულ სიმბოლოსთან დაკავშირებული მრავალმხრივი მასალის თავმოყრას და მის ერთ სისტემაში მოყვანას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

მგელ-ძაღლის სიმბოლოს ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებულ ადგილს უმკიდრებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მგლის სახელი ქართველთა ეთნიკურ სახელშია ასახული. ამასთან დაკავშირებით, შ. ამირანაშვილი შენიშნავს: „დასავლეთ საქართველოს, ე.ი. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკურ სახელწოდებაში ძირითად ელემენტს შეადგენს გერ, გვერ (მარგილი, ეგრისი, ენგური, არგვეთი და სხვ.), რაც მეგრულ-ჭანურში ნიშნავს „მგელს“. ცნობილია, რომ მცირე აზიის მცხოვრებლების, ლუბიელების აღსანიშნავად, იხმარებოდა იდიოგრამა UR, BAR, RA, რაც სუმერულ ენაზე „მგელს“ ნიშნავს. ლუბიელთა ნესიტური დასახელება lu-u-i-li შეეფერება ლათინურ lupus-ს. ლიკიელთა ტომობრივი დასახელება ეტიმოლოგიურად ახლო დგას ბერძნულ სიტყვასთან ლუχიς (მგელი). ძუ მგელის მიერ გამოკვებილი რომული და რემი, მარსის ვაჟიშვილები იყვნენ, რომელსაც მის გაიგივებამდე ბერძნულ არქესთან, თაყვანს სცემდნენ მგლის სახით. მგელი კოლხეთის ხელოვნებაში ძირითად თემას წარმოადგენს ტომობრივი ტოტემის – მგლის გამოსახულება, რომელსაც რელიგიურ-მაგიური აზროვნების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გაბატონებული მნიშვნელობა პქონდა... ტოტემურ ცხოველს თან ახლავს ფანტასტიკური ატრიბუტები, რომელთა ახსნა უნდა ვეძიოთ ხალხურ თქმულებებში, რელიგიურ-მაგიურ წეს-ჩვეულებებში და წარმოდგენებში“(8,45).

ქართველთა აღმნიშვნელი ეთნიკური სახელის მგელთან დაკავშირება უცხოურ წყაროებშიც გვხვდება. მაგალითად, „პართულ და საშუალო სპარსულ ენებზე ქართლს (იბერიას) ეწოდება **Warucan**, ე.ი. „**მგლის ქვეყანა**“ (106,117). ამასთან დაკავშირებით, ი. სურგულაძე შენიშნავს: „გარდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა, მგლის პრობლემისათვის თვალყურის გადევნება ისტორიული წყაროებითაც ხერხდება. ცნობილია, რომ მეცე ვახტანგს მგლის სახიანი მუზარადი ეხურა და მეტსახელი „გორგასალი“ აქედან წარმომდგარა. სახელი ვახტანგი სპარსულად ნიშნავს „მგლის ტანის მქონეს“. უახლესი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ მე-III საუკუნის პართული წყაროები ივერიას იხსენიებენ სახელით „ვირშან“ (გამოითქმის „ვირჩან“), ხოლო საშუალო სპარსულზე ეწოდებოდა „ვ-რუჩან“, რაც მგლის ქვეყანას ნიშნავს. ცხადია, როცა ქვეყანას ასე ეძახიან, საამისო საფუძველიც უნდა ჰქონდათ“ (85,136).

მგლის სიმბოლოს ქართველთა ეთნიკურ სახელში წარმოსახვა განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ „ქართულ ტრადიციაში ძაღლისა და მასთან ასოცირებული მგლის სიმბოლო მრავალ კონტექსტში ვლინდება: „ციური ძაღლი – ელვის განსახიერება, წყლის ძაღლი, რომელიც მოიცავს რწმენა-წარმოდგენათა მთელ კომპლექსს. წაგთან დაკავშირებით, საიქოს ძაღლი შესაბამისად ძაღლი – ფსიქოპომპი, მგელი, როგორც მთელი კოლექტივის ერთიანობის სიმბოლო (რიტუალში აშანგელო, შაშანგელო), ძაღლის პარასკევი და ძაღლის ოთხშაბათი, ე.წ. „მგლის უქმეები“ დღეობათა კალენდარში; ერთ-ერთი მთავარი გამოსახულებათაგანი უძველეს ბრინჯაოს ცულებისა და სარტყელების დეკორში; მგლები – ორიალეთის სასმისის ცნობილ ფრიზზე; მგლები ჯერ მორიგე ღმერთის დამხმარენი, მოგვიანებით წმ. გიორგის მგლები და სხვ.“ (2,57).

მგელ-ძაღლის სიმბოლო ასევე აქტიურად ვლინდება ქართულ სამონადირეო ეპოსში. ე. ვირსალაძის აზრით, ნადირთ ღვთაების ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს, მის სახეცვლილებას, სწორედ ძაღლი წარმოადგენს (39,71).

იმის გათვალისწინებით, რომ მგელი კარგად გამოკვეთილი სოლარული ცხოველია, რაზედაც ნაშრომში გვექნება საუბარი, ნათლად იკვეთება მგლის სიმბოლოს კავშირი მზის ასტრალურ კულტთან. საკითხთან დაკავშირებით, უურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ქართველთა წარმართული ღვთაება – კვირია, რომლის დაქვემდებარებაში მგლები არიან, სწორედ სოლარული ღვთაებაა (117,203).

ნიშანდობლივია, რომ ქართველთა წარმართულ რელიგიურ პანთეონში, მგელ-ძაღლები გვხვდებიან ასტრალურ ღვთაებათა ტრიადის (მორიგე ღმერთი, მზექალი, კვირია) სათავეში მყოფი მორიგე-ღმერთის დაქვემდებარებაშიც, რაც ამ ცხოველების საკულტო ხასიათს საგანგებოდ უსვამს ხაზს: „божества пантеона отличались друг от друга наличием у них различного вида зооморфных и антропоморфных духов-помощников или подручных, которые проживали в святилищах этих божеств и изучение культа которых может дать возможность установить генезис самих астральных божеств пантеона, как это видно на примере исследования культа волков Мориге Гмерти и собак – мтцеварни, подручных некоторых общинных божеств (см. здесь, же «Знамя лем, волк-собака» и «Пантеон астральных божеств периода разложения первобытно-общинного строя»)“ (12,23). მგლები წარმართულ ღვთაებათა ნების აღმსრულებლებად გვევლინებიან: „Наказание виновных происходило также по велению Гмерти. Непосредственными исполнителями его велений были так называемые «есаулы Гмерти» хтис иасаулни, Квирия же являлся их предводителем. По представлениям восточно-грузинских горцев, есаулы Гмерти были его подручные волки. Мориге гмерти посыпал их под началом Квирия на сушу для покарания виновных, взимания с них налогов и непосильно тяжкого, равносильного смерти обложения ими“ (12,22).

მგელ-ძაღლის კულტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ასევე ბალსქვემო სვანებში მგელთა მბრძანებლის – მამბერის ფიგურა, რომელსაც ასტრალურ ღვთაებათა დარად, სამართლის წარმოების უზენაესი ფუნქცია ებარა: „Наряду с этнографическими фактами вскрывающими тотемическое отношение к волкам, в сванских (нижнебальских) религиозных пережитках обрисовывается **фигура властителя волков, так называемый Мамбери**, который связывал пасть волкам, когда был доволен сванами и, напротив, напускал их на скотину сванов, если сваны заслуживали его гнева“ (12,47).

როგორც აღინიშნა, მგლის სახელი ვლინდება ქართველთა უცხოურ, კერძოდ ირანულ სახელწოდებებში. ამასთან, შ. ამირანაშვილი მეგრელთა სატომო სახელს ასევე მგელს უკავშირებს. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ მგელი შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველთა სოციალური ერთობის სიმბოლო (მხედველობაშია მისაღები მგელ-ძაღლის მეტად საპატიო ადგილი წინარე-ქრისტიანულ ქართულ რელიგიურ პანთეონში), რაც შესაძლოა უძველესი, ტოტემური რწმენა-წარმოდგენების გამოძახილს წარმოადგენდეს. მგელ-ძაღლის

სიმბოლოს ამგვარი გააზრების წინაპირობებს იძლევა მითო-რელიგიური კონტექსტები და მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა.

მგელ-ძაღლის სიმბოლოს შესწავლას, ქართულ კულტურაში მისი ადგილის განსაზღვრას თავიანთ ნაშრომებში შექმნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები: ნ. მარი, ბ. კუფტინი, ვ. ბარდაველიძე, ე. ვირსალაძე, მ. ჩიქოვანი, თ. ოჩიაური, ს. მაკალათია, ი. სურგულაძე, დ. ჯანელიძე, ბ. აბაშიძე, ჯ. რუხაძე, ი. კიძიძე, ზ. კიქნაძე, ი. გაგულაშვილი, ქ. შარაშიძე, ა. მილერი, ი. მეშჩანინვი, ი. დომანსკი, ვ. ვინოგრადოვი, მ. ვადბოლსკი, ე. ხინთიბიძე, მ. ხიდაშელი, რ. ცანავა, ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ლამბაშიძე და სხვ. აღსანიშნავია, რომ მგელ-ძაღლის საკულტო მნიშვნელობას ქართველთა წარმართულ რელიგიურ პანთეონში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ვ. ბარადველიძემ თავის ნაშრომში: „Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен“. მგელ-ძაღლის კულტის გამოვლენას ქართულ სამონადირეო ეპოსში საგანგებოდ ეხება ე. ვირსალაძე მონოგრაფიაში: „ქართული სამონადირეო ეპოსი“. აღნიშნული კულტის ადგილს ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში სპეციალურ თავს უძღვნის ნ. აბაკელია ნაშრომში: „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში.“

ვინაიდან მგელ-ძაღლის ზოომორფული სიმბოლო შეიძლება უძველეს ტოტემისტურ რწმენა-წარმოდგენებს დაგუკავშიროთ, რის საფუძველსაც გვაძლევს ქართველთა ეთნიკურ სახელში მგლის სახელის წარმოჩენაც, ნაშრომში განხილული იქნება ტოტემური თეორიები (კ. ლევი-სტროსი, ე. დიურკემი, კ. ვან გენეპი, ზ. ფროიდი, ჯ. ფრეზერი და სხვ.) და ქართულ ეთნოლოგიურ მასალასთან მათი მიმართებები. მგელ-ძაღლის კულტს ტოტემისტურ ჭრილში იკვლევდნენ: ვ. ბარდაველიძე, ნ. მარი, ბ. კუფტინი და სხვ., თუმცა ი. სურგულაძეს საკითხის მიმართ განსხვავებული შეხედულება ჰქონდა.

საკითხის ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში განხილვისას, ჩვენ დავვყრდნობით შემდეგ ავტორებს: ივ. ჯავახიშვილი, შ. ამირანაშვილი, თ. ჩხეიძე, ნ. მარი, გ. გიორგაძე, ა. სვანიძე, თ. მიქელაძე, ქ. ერიაშვილი, მ. ჩართოლანი, ნ. ხაზარაძე, ი. ტატიშვილი, ვ. ნოზაძე, ა. ლეკიაშვილი, ს. მაკალათია, მ. ბალიაური, ი. ჭყონია, ი. ქერქაძე და სხვ.

ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა ნაშრომში განხილული იქნება შემდეგი ავტორების მიხედვით: ბ. კუჭბინი, ტ. ჩუბინიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე, კ. კუშნარევა, ნ. კილურაძე და სხვ. ნაშრომში ასევე წარმოდგენილი იქნება ქართველი და კავკასიელი ხალხის ეპოსი, მითოლოგია, ნარატივები და ველზე მუშაობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

ნაშრომზე მუშაობისას ჩემს მიერ გამოყენებულია **ეთნოგრაფიული კვლევის** საგელე მეთოდი, რაც გულისხმობს კონკრეტულ რეგიონში ეთნოგრაფიული ხასიათის დაკვირვების და ადგილობრივ მკვიდრთა ინტერვიურებას. 2008 წლის ივლისში, საველე სამუშაო ჩავატარე პირიქითა ხევსურეთში და ზემო სვანეთში.

მეორე მეთოდი, რომელსაც ნაშრომში ვიყენებ არის **კროს-კულტურული-შედარებითი მეთოდი**. ვინაიდან ნაშრომი ითვალისწინებს მგელთან დაკავშირებული რელიგიური კომპლექსის ფართოდ შესწავლას, აღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას 2 დონეზე:

- ა) სინქრონულ დონეზე
- ბ) დიაქრონულ დონეზე

ტოტემური პერიოდი კაცობრიობის განვითარების უძველეს ეტაპს განეკუთვნება. მაკ ლენანი იყო პირველი, ვინც ტოტემიზმი დაუკავშირა კაცობრიობის ზოგად ისტორიას. მკვლევარმა იგი მიიჩნია სათავედ ზოოლატრიული და ფიტოლატრიული კველა კულტისა, რაც კი ძველი ხალხების ყოფაში შეინიშნება (32,129). ტოტემიზმი როგორც სისტემა ძირითადად შემორჩენილია ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის უძველესს აბორიგენულ მოსახლეობაში. თუმცა მისი ნაკვალევი ასევე სხვა ხალხებშიც შეინიშნება. ტოტემურ რელიგიაში ვლინდება პირველყოფილი საზოგადოების სოციალური და რელიგიური ორგანიზაციის უძველესი ფორმები. ტოტემი როგორც კლანის, ტომის დამდა, ემბლემა, კოლექტიური ცნობიერების გამოვლინებაა, ვინაიდან: „ჯგუფის ერთობა საგრძნობია მხოლოდ კოლექტიური სახელის წყალობით, რომელსაც ყველა მისი წევრი ატარებს და, ასევე, კოლექტიური ემბლემა განასახიერებს ამ სახელით აღნიშნულ ერთობას. კლანი არის იმ ინდივიდთა გაერთიანება, რომლებიც ატარებენ ერთსა და იმავე სახელს და ერთი და იმავე ნიშნის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი“ (32,326).

б. მარი აღნიშნავს, რომ ქართველთა ტომობრივი გაერთიანებების ხოციალურ სტრუქტურებში აისახა ჯერ ტოტემური, ხოლო შემდგომ ასტრალური რწმენა-წარმოდგენები; მეტად საგულისხმოა ავტორის მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით: „Эпохами своего возникновения эти языческие верования относятся к двум ярко выделяющимся этапам развития человеческого мышления, **тотемному, с предпосылкой социальной структуры при малых коллективах, и астральному космическому, что предполагает уже наличие социальной организации большого масштаба.** В настоящее время мы их находим беспорядочно в состоянии скрещения. Они почти девственны нетронуты в таких кавказских районах, нередко в пределах Грузии, как, Абхазия (Абазгия), ныне автономная республика, или Свания, или Хевсурия, где был социальной организации с малыми коллективами, не переходящими норм племенной структуры, продолжает господствовать по крайней мере в среде массового населения. Культ свиньи, увязанной с солнцем, имеет свои переживания в Грузии, грузинском клине, вбитом между лазами и мегрелами к Батумскому выходу в море; в ней, грузинской области, сверху до низов, начало года торжественноправляли еще на нашей памяти обрядами обоготовления свиньи, но палеонтология речи населения этой грузинской сверху до низу области вскрыла смену господства в ней абхазов, сванов и мегрелов, а в Свании слово, означающее, “свинью” и “божество”, (святыню) не различается в двух соседящих ущельях.

**Ванские халды нам помогают с их солярной троичностью датировать астральный культ с космическим мировоззрением, которой следовал за предшествующей системой мышления, тотемной с культом камня, дерева, таких домашних животных, как собака, лошадь, свинья.** Впрочем, у халдов мы находим переживание конского культа“ (61,21).

б. მარის მოსაზრება საინტერესოა იმითაც, რომ ვანის ხალდებში მზის ასტრალურს კულტს, სხვა ტოტემურ სიმბოლოთა შორის, წინ უსწრებდა ძაღლის თაყვანისცემაც, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ეს ცხოველი მზიურ სემანტიკაშია განსახილველი. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგადად მგლისა და ძაღლის კულტები ერთმანეთთანაა გაიგივებული: „მგლების ძაღლებთან გაიგივება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საერთო კავკასიურ (და არა მარტო კავკასიურ) ტრადიციაში. გაიგივება, როგორც ენობრივი, ასევე მითოლოგიურია. სვანური zeyar უდარდება ხევსურულ რწმენა-წარმოდგენებს მწევრებზე, რომლებიც იგივდებიან ღვთაებათა „მწევარ-მგლებთან““ (2,56).

კავკასიური არქეოლოგიური მასალა მრავალფეროვნად ავლენს მგლების გამოსახულებებს, რაც ამ ერთ დროს საკრალური ცხოველის

მნიშვნელობაზე ცალსახად მიგვანიშნებს: „изображение собаки является не только обычным в древностях Кавказа, но оно выступает в многочисленных вариациях и в таком характере что мы вправе будем на основании этих документов указать и на особенное значение этого животного в кавказской яфетической среде, утвердившееся уже в глубокой древности и имевшее, повидимому, последовательный ряд более поздних переживаний, вероятно, родственных в своем первичном источнике“ (68,289).

მატერიალური კულტურის ძეგლებზე (კოლხურ-ყობანური კულტურა) მგელ-ძაღლის გამოსახულებებს ქართველთა ეთნიკური ტოტემ-სიმბოლოს დატვირთვას აძლევს ბ. კუფტიბი: „Собаковидное существо представляет неоднократно уже упоминавшегося «гвера» драконо-волка, значение и смысл которого выясняется: из языково-палеонтологической, как мы выше уже говорили, связи между грузинскими названиями волка и змеи (gueri ‘змея’, по мегрельски, и gweri ‘волк’, по чански), из этнического наименования мегрелов герами с эпонимным их героем Герия и из не менее тесной, указанной акад. И.И. Мещаниновым, материальной связи изображений змеи и собаки на кобаньской бронзе“ (50,193).

საინტერესოა ისიც, რომ სვანური მასალით, მგლები ითვლებიან წმ. გიორგის, იგივე ჯგრაგის წმინდა ძაღლებად (12,48). შესაძლოა ერთ დროს „ღვთაებასთან“ გათანაბრებული, ქართველთა სოციალური ერთობის გადმომცემი ცხოველი – მგლი, ღვთაებათა ანთროპომორფიზაციის შედეგად, ამ უკანასკნელთა მხოლოდ საკრალურ ატრიბუტად იქცა. საკითხთან დაკავშირებით, დ. ხაიგუნი აღნიშნავს: „Мы не можем не согласиться с Г.В. Плехановым, что «Когда животнообразное (зооморфическое), представление о боже уступает место человекообразному (антропоморфическому) представлению о нем, **тогда животное, бывшее прежде тотемом, становится так называемым атрибутом**». Атрибуты богов – орел Зевса, змей и совы Афины, лань Артемиды, голубь Афродиты, волк и дельфин Аполлона, конь Посейдона и т.д. относятся поэтому к явлениям того же порядка“ (111,83).

საკითხთან დაკავშირებით, რ. ცანავას მოსაზრებით, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში ზოომორფული კოდის გაჩენა გარკვეულწილად ასევე ტოტემიზმის ანარეკლი უნდა იყოს: „ბერძნულ და რომაულ მითებში სუსტად, მაგრამ იკითხება „ტოტემისტური კვალი“: მირმიდონელები ჭიანჭველებისაგან წარმოიშვნენ. ვაზის რქისგან – ოძოლიელები. ათენის დამაარსებელი კედროპესი გველკაცი იყო. ოლიმპიელი ღერთების გარდასახვები ბერძნული მითების პოპულარული თემებია: ზევსი ხარია, არწივი და ოქროს წვიმა; ათენი – ბუ და

ყვავი, პოსეიდონი – ცხენი, დემეტრე – ფაშატი, აპოლონი – თაგვი, მგელი; ჰერა – ძროხა, ასკლეპიონი – გველი; დიონისე – მელია და ა.შ. (თუმცა ამ მითებს სხვაგვარადაც ხსნიან). ტოტემისტურ წარმოდგენებს უკავშირებენ კენტავრებს და სხვა ნაჯვარ არსებებს. ტოტემიზმის კვალს ხედავენ იტალიკური ტომების მითოსშიც. მაგალითად: სამნიტების ტოტემები იყვნენ: ყვავი, მგელი და ხარი. რომში მარსს თაყვანს სცემდნენ მგლის სახით. ბერძნულ და რომაულ მწერლობაში ძალიან პოპულარული იყო მითები, რომლებიც ცხოველებად გარდასახვებზე მოგვითხოვდნენ“(107,35).

ავტორი იქვე განაცრძობს: „კავკასიურ, ქართულ სამყაროსთან მიმართებაში მეცნიერებაში ორი მოსაზრება გამოითქვა: ზოგი მიიჩნევს, რომ აქ ჩანს ტოტემისტური წარმოდგენების კვალი, ზოგი ამას კატეგორიულად უარყოფს. ალრიენ გოლანი წერს: “კავკასიაში არ დასტურდება ტოტემიზმის კვალი. ეს კვალი არ ჩანს არც ევროპასა და წინა აზიაში, რომელთა კულტურებთანაც არის დაკავშირებული კავკასია. ასე რომ, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ამ რეგიონზეც გავავრცოთ ის მონაცემები, რომლებიც ავსტრალიასა და ამერიკაშია მოპოვებული. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ტოტემიზმი რელიგიური უნივერსალიად და დედამიწის ყველა ხალხში დასტურდება. ეს ასე არ არის“. ტოტემიზმი, როგორც მენტალური სისტემა, ჩვენს საკვლევ თემატიკაში რამდენიმე თვალსაზრისით ერთვება, რომელთაგან განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. „ტოტემური მსხვერპლშეწირვისა“ და ტოტემი ცხოველების საკითხი“(იქვე).

მართლაც, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური თუ მითო-ფოლკლორული მასალა მოწმობს სხვადასხვა ზოომორფულ სიმბოლოთა არსებობას (ჩვენს შემთხვევაში მგელ-ძაღლისა), რომლებიც სოციალურ-რელიგიურ სისტემებთან გარკვეულ მიმართებაში იმყოფებიან. ეთნიკურ სახელში ზოომორფული სიმბოლიკის გაჩენა ნებაუნებურად გვაკავშირებს ტოტემისტურ რწმენა-წარმოდგენებთან (ვინაიდან ტოტემი კოლექტიური ცნობიერების გამოვლინებაა), თუმცა ტერმინის – ტოტემი ხმარებას პირობითი ხასიათი უნდა მიეცეს. ეს უკანასკნელი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურ მიმოქცევაში იყო ქართული კულტურის ისეთ მკვლევარებთან, როგორებიც იყვნენ ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ბ. კუფტინი, ვ. ბარდაველიძე და სხვა. თუმცა, თანამედროვე მეცნიერები ტოტემიზმის განზოგადებისგან თავს იკავებენ, ვინაიდან ამ უძველესი რელიგიური სისტემის, ერთიან, უნივერსალურ დონეზე რეპონსტრუირება ვერ ხერხდება; შესაბამისად, აღნიშნული ტერმინის

ხმარებისას იფარგლებიან მხოლოდ ავსტრალიისა და ჩრდილო-ამერიკის რელიგიური სისტემებით, რომლებსაც თავად ტოტემიზმის წარმოშობა უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ წარმართული რელიგიური სისტემები ტოტემიზმისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს მეტ-ნაკლები სახით მაინც ინარჩუნებენ; მართლაც, ქართველთა ეთნიკური სახელის, როგორც სოციალური ერთობის გადმომცემი ტერმინის რელიგიურ სიბრტყეში განხილვა, რაც ნებსით თუ უნებლიერ, ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენების უძველესს არეალში გვაქცევს, მოგვაგონებს სვანეთში დადასტურებულ ერთ საინტერესო რიტუალს – „აშანგელო-შაშანგელოს“, რომელშიც მგლის სიმბოლო ვლინდება სწორედ როგორც სოციალური ერთობის სიმბოლო.

აღნიშნული რიტუალის დროს, რომელიც აღწერილი აქვს ვ. ბარდაველიძეს და რომელსაც ავტორი უძველესს ტოტემისტურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებს, ხდებოდა მგლის რიტუალური მკვლელობა – მამაკაცთა საზეიმო პროცესის წინ მიუმდოდა მგლის მკვლელი, რომელსაც ხელში ეჭირა ჭოკი, რომელზეც მოკლული მგლის ტყავი იყო წამოტული. პროცესია სიმღერით შემოივლიდა სოფელს და ყოველი სახლის წინ ჩერდებოდა. სახლის პატრონები გარეთ გამოდიოდნენ და წინამდღოლს ტყვიას ან საფანტს გადასცემდნენ. ეს უგანასკნელი მგლის მკვლელობაში თანამონაწილების გამომხატველი იყო. ავტორის აზრით, ამ მნიშვნელოვანი დეტალის მეშვეობით ადგენილია ფორმა ცხოველის კოლექტიური მკვლელობისა. ვინაიდან საწესო მსელელობა პირდაპირ კავშირშია ცხოველის მკვლელობასთან (ეს პროცესია მხოლოდ მგლის მკვლელობის დროს ტარდებოდა), ვ. ბარდაველიძის აზრით, საქმე უნდა ეხებოდეს ტოტემური ცხოველის საწესო მკვლელობას (12,45). თუკი მგლის საწესო მკვლელობას მივიჩნევთ საკრალურ, ტოტემურ ცხოველთან ზიარების გამოვლინებად, არ არის გამორიცხული მგელ-ძაღლი ყოფილიყო, სოციალურ-რელიგიური განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გვარის, თემის, ტომის ერთიანობის სიმბოლო-ტოტემი, რომლის მკვლელობით ხდებოდა ტომის „სულიერი ძალების“ რეგენერაცია-განახლება.

დაბოლოს, ზემოთ დამოწმებული „აშანგელო-შაშანგელოს“ სვანური რიტუალი, რომელშიც მგელ-ძაღლის კულტი სოციალური იდენტობის სიმბოლოდ აღიქმება, მეტ დამაჯერებლობას პმატებს შ. ამირანაშვილის მოსაზრებას, რომ კოლხურ ხელოვნებაში დაფიქსირებული ცხოველი წარმოადგენდა „ტომობრივ ტოტემს – მგელს, რომელსაც განსაზღვრული

ადგილი ეჭირა მაგიურ-რელიგიურ აზროვნებაში ტომის განვითარების გარკვეულ საფეხურზე“ (8,45). აქვე, დამოწმებული ციტატის ავტორი შენიშნავს, რომ „ძეგლების შესწავლა გვეუბნება, რომ ცხოველებისა და ასტრალური სხეულების შეფარდებას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ცხოველების გამოსახულება ჩვენ უნდა განვიხილოთ არა როგორც რეალური სინამდვილის გადმოცემის ცდა მხატვრული საშუალებით, არამედ როგორც სიმბოლურ სახეებში გადმოცემული ადრინდელი ხანის რელიგიური წარმოდგენების გამოსახულება“ (8,43).

ამგვარად, კოლხურ სარიტუალო ცულებზე ასტრალური და ზოომორფული სიმბოლოების სემანტიკური გახსნა ქართველთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კონტექსტში უნდა მოხდეს: „განვითარებულ ბრინჯაოს კულტურის ხანის ხელოვნების ნაწარმოებებში ტოტემური ცხოველი გამოისახება გრაფიკული ნახატით და მხატვრული დეკორის ძირითად მოტივს შეადგენს, მას განსაზღვრული, რელიგიურ-მაგიური მნიშვნელობა აქვს“ (8,45). შესაბამისად, ჩვენს მოსაზრებას, მგელ-ძაღლის სიმბოლო სოლარულ სისტემაში მოვაქციოთ, რაზედაც ნაშრომში დაწვრილებით გვექნება საუბარი, მხარს ისიც უმაგრებს, რომ კოლხურ საწესო ცულებზე, რიგ შემთხვევაში, მგელ-ძაღლების გვერდით, მზის გამოსახულებებია დაფიქსირებული (33,13).

## ძირითადი თეორიები ტოტემიზმის შესახებ

ტოტემიზმი პირველად გვხვდება ჯ. ლონგის წიგნში, რომელიც 1791 წელს ლონდონში გამოქვეყნდა. კომერსანტი ჯეიმს ლონგი ჰყვებოდა ოჯიბვეს ტომის მონადირის მონათხობს, რომელმაც შემთხვევით მოკლა დათვი, რის გამოც მეორე დათვმა მას მკვლელობაზე პასუხი მოსთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ მონადირის მობოდიშება დათვმა მიიღო. მონადირე მაინც შეწუხებული დარჩენილა და ასე უთქვამს: “ბედმა მიმუხოლა, ჩემი ტოტემი გამიბრაზდა, ამიერიდან ნადირობის უფლება აღარ მაქვსო” (15,550).

ლონგის მონათხობიდან ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტოტემიზმი ცნობილი იყო როგორც მხოლოდ ამერიკული ინსტიტუტი. 1841 წელს კი, მსგავსი წეს-ჩვეულებების არსებობა ავსტრალიაშიც დადასტურდა. ამის შემდეგ, მეცნიერება ზოგადი სასიათის მქონე, ჩამოყალიბებული სისტემის წინაშე დადგა. მაკ ლენანი იყო პირველი, ვინც ტოტემიზმი დაუკავშირა ზოგადად კაცობრიობის ისტორიას. მკვლევარმა იგი მიიჩნია სათავედ ფიტოლატრიული და ზოოლატრიული ყველა კულტისა, რაც კი ძველი ხალხების ყოფაში შეინიშნება. მისი აზრით: “არ არსებობს ადამიანის მოდგმა, რომელსაც რწმენის ეს პრიმიტიული ეტაპი არ ჰქონდეს გავლილი” (15,550). მიუხედავად მაკ ლენანის ამ განცხადებისა, მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე, ტოტემიზმი, როგორც უძველესი სოციალურ-რელიგიური სტრუქტურა, მეტ-ნაკლებად სისტემური სახით გვხვდება მხოლოდ ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკაში, შესაბამისად მისი, როგორც სისტემის განზოგადებისგან, მეცნიერები თავს იკავებენ.

სიტყვა ტოტემიზმი წარმოიშვა ჩრდილო ამერიკის დიდი ტბების რეგიონში გავრცელებული, ალგონკინის ენიდან. გამოთქმა ოტოტემან, რომელიც დაახლოებით ნიშნავს – “ჩემი ნათესაობიდან არის” – გამოხატავს ნათესაობას ეგო-სა და ნათესავ მდედრს ან მამრს შორის, საზღვრავს რა ამგარად ერთი თაობის ეგზოგამიურ ჯგუფს. ოჯიბვეს კლანები ატარებენ მეტწილად ცხოველების სახელებს. ფრანგი მისიონერი – ტავენე, რომელმაც კანადაში იცხოვრა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, ამ ფაქტს ხსნიდა იმ გადმოცემით, რომ თითოეული კლანი თავის წარმოშობას უკავშირებს თავიანთ შესარეში არსებულ ცხოველს: ყველაზე ლამაზე, ყველაზე მეგობრულს, ყველაზე საშიშს, ყველაზე გავრცელებულს; ანდა ყველაზე უფრო ხშირად მონადირებულს (53,30). ტოტემად მირითადად მიიჩნევა მცენარეთა ან ცხოველთა

სამყაროს წარმომადგენელი; მეტწილად ეს უკანასკნელი. ხდება ისეც, რომ ტოტემი არის არა ერთი მთლიანი საგანი, არამედ საგნის ნაწილი. ზოგჯერ ტოტემად გვხვდება ბუნებრივი მოვლენა, ან ციური სხეულები: მაგალითად, მზე, მთვარე, ესა თუ ის თანავარსკვლავედი.

ფრანგი ანთროპოლოგი ლევი-სტროსი იმთავითვე მიიჩნევს, რომ “ტოტემიზმი”, როგორც კოლექტიური სახელდების სისტემა, არ უნდა იყოს აღრეული რწმენასთან, რომელიც მიღებულია იგივე ოჯიბვებში, სადაც თითოეულ ინდივიდს შეუძლია ურთიერთობაში შევიდეს ცხოველთან, რომელიც მისი მფარველი სული გახდება. ერთადერთი დამოწმებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ამ მფარველ ინდივიდუალურ სულს, აღწერილი იყო მე-19 საუკუნის მოგზაურის მიერ როგორც – ნიგოუმებს; მას არაფერი საერთო არა აქვს სიტყვა – ტოტემთან, ან რაიმე მსგავსს გამოთქმასთან. კვლევები ოჯიბვეზე აჩვენებენ რომ პირველი აღწერა ე.წ. “ტოტემიზმის” ინსტიტუტისა, რასაც უნდა ვუმადლოდეთ მე-18 საუკუნის დასასრულის ინგლისელ ვაჭარსა და მთარგმნელს – ლონგს, შეიცავს გარკვეულ უზუსტობას, ვინაიდან მასში კლანური ლექსიკა (სადაც ცხოველების სახელები შეესაბამება კოლექტიურ დასახელებებს) და მფარველ სულებთან (რომლებიც ინდივიდუალური დამცველები არიან) დაკავშირებული რწმენები ერთმანეთშია აღრეული (53,30). ამასთან დაკავშირებით, ლევი-სტროსი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საჭიროა კოლექტიური ტოტემები განვაცალკეოთ ინდივიდუალური მფარველი სულებისგან და აქცენტი გავიკეთოთ ადამიანსა და კლანურ ეპონიმს შორის ურთიერთობის მეტაფორულ და შუამავლურ ხასათზე. ავტორს მოჰყავს ინდიელთა მითი, რომელიც გვიამბობს, რომ მათი უპირველესი ხუთი კლანი წარმოიშვა ექვსი ზებუნებრივი ანთროპორფული არსებებისგან, რომლებიც ოკეანიდან ამოვიდნენ, რათა ადამიანებს შერეოდნენ. ერთ-ერთ მათგანს თვალები ჰქონდა ახვეული და ვერ ბედავდა შეეხედა ინდიელებისთვის, თუმცა ამის დიდი სურვილი გააჩნდა. ვერ შეძლო რა საკუთარი თავის დამორჩილება, მან ბოლოს საბურავი მოიშორა და მისი მზერა მოხვდა ერთ-ერთ კაცს, რომელიც მეხნაკრავივით ადგილზევე მოკვდა. მიუხედავად სტუმრის კეთილი ზრახვებისა, მისი მზერა ძალზედ ძლიერი აღმოჩნდა. თანამგზავრებმა ის აიძულეს უკან, ზღვის სიღრმეებს დაბრუნებოდა. დანარჩენი ხუთნი დარჩენენ ინდიელთა შორის და მათ ბევრი წყალობა უყვეს<sup>1</sup>. მათ დასაბამი მისცეს დიდ კლანებს თუ

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ინდიელთა მითი გარკვეულწილად გამომახილს პოულობს შუამდინარულ მითოლოგიაში, სადაც წყლიდან ამოსული უზენაესი სიბრძნით დაჯილდოებული შვიდი თევზ-კაცი – აფქალი ცივილიზაციას აზიარებს შუმერის ქალაქ-სახელმწიფოებს. ისინი ეწეოდნენ კულტურულ-მაგიურ

ტოტემებს: **თევზი, წერო, ზღვის იხვი, კვერნა** (53,31). ზოგიერთი ადგილის დასახელება შეიძლება ასევე ტოტემად იქცეს, რასაც საფუძვლად უდევს რწმენა იმისა, რომ რომელიდაც **მითიური წინაპარი** თითქოს ამ ადგილზე გაჩერდა, ან ამავე ადგილს უკავშირდება მისი ლეგენდარული ცხოვრების რაიმე ეპიზოდი. მაგრამ მითებში ეს წინაპრები, იმავდროულად, წარმოდგენილნი არიან როგორც წევრები ამა თუ იმ კლანისა, რომელთაც თავიანთი მუდმივი ტოტემები ჰყავდათ ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროდან. ასტრალური ტოტემებიც იმავე წარმოშობის შეიძლება იყვნენ რადგან მზე, მთვარე, ციური მნათობები ხშირად გაიგივებულია მითოსური ეპოქის წინაპრებთან. ზოგჯერ – და არც თუ გამონაკლისის სახით – რომელიმე წინაპარი ან წინაპართა ჯგუფი უშუალო ტოტემობას უწევს რომელიმე კლანს. ამიტომაც იგი იწოდება არა იმ რეალური საგნის ან მისი სახეობის სახელის მიხედვით, არამედ მას წმინდა მითიური არსების სახელი ჰქვია (32,150).

ავსტრალიის ტომთა უმრავლესობის საფუძველია ჯგუფი, რომელსაც კოლექტიურ ცხოვრებაში უპირატესი მნიშვნელობა ეკუთვნის: ეს არის **კლანი**. ნივთთა ის სახე, რომელიც ემსახურება მთელი კლანის აღნიშვნას, იწოდება მის ტოტემად, რაც იმავდროულად თითოეული მისი წევრის ტოტემიც არის. თვით ერთი და იმავე ტომის ორ სხვადასხვა კლანსაც კი ვერ ექნება ერთი ტოტემი (32,146). რაც შეეხება იმ წესს, რომლითაც ტოტემური სახელის დარქმევა ხდება, ემილ დიურკემის აზრით, იგი უფრო ეხება კლანის შევსებასა და ორგანიზაციას, ვიდრე რელიგიას, ე.ო. ესადაგება უფრო ოჯახის სოციოლოგიას, ვიდრე რელიგიის სოციოლოგიას. ამასთან დაკავშირებით, ტომების მიხედვით, ტოტემური სახელის შერჩევისას სამი სხავადასხვა წესი მოქმედებდა. შეიძლება ითქვას, ძირითადად საზოგადოებათა უმრავლესობაში ბავშვს აქვს დედის ტოტემი. სხვაგან ტოტემი მამის საზით გადაიცემა. ადგილობრივი ჯგუფი ძირითადად შედგება იმ ადამიანებისგან, ვინც ერთსა და იმავე ტოტემს ეკუთვნიან; მხოლოდ გათხოვილი ქალები არიან უცხო ტოტემის მქონენი. დაბოლოს, არუნტებსა და ლორიტჯებში ბავშვის ტოტემი არ განისაზღვრება არც დედის და არც მამის საზით; ეს არის მითოსური წინაპრის ტოტემი – რომელიც დედას მისტიკურად გამოეცხადება გასანაყოფიერებლად და ჩასახავს ბავშვს. სათანადო მეთოდი ამ წინაპრის შეცნობის საშუალებასაც იძლევა და იმასაც, თუ რომელ ტოტემურ ჯგუფს მიეკუთვნება იგი. მაგრამ, რადგან ამა თუ

საქმიანობას და თავის თავში აერთიანებდნენ მოღვაწეობის როგორც სოციალურ, ასევე რელიგიურ ასპექტს. შემქრთა უზენაეს დათაქბა ენქისაც, როგორც ოკეანის სიღრმეთა უფალს, ტანი თვეებისა ჰქონდა, ხოლო მისი ქურუმები მის მსგავს ნიღაბს ატარებდნენ მსხვერპლშეწირვისა თუ სხვა რიტუალების დროს (45,173).

იმ წინაპრის გამოჩენას დედის სიახლოვეს, განსაზღვრავს შემთხვევა, ამდენად ბავშვის ტოტემი საბოლოოდ გაუთვალისწინებელ გარემოებებზეა დამოკიდებული (32,151,152).

კლანის ტოტემის მიღმაა და მასზე აღმატებულია ფრატრიის ტოტემები. ფრატრიას უწოდებენ ერთმანეთის მონათესავე კლანების გაერთიანებულ ჯგუფს. წვეულებრივ, ერთი ავსტრალიური ტომი ორ ფრატრიად არის გაყოფილი, რომელთა შორისაც სხვადასხვა კლანებია გადანაწილებული. ავსტრალიაში არ არსებობს ტომი, სადაც ფრატრიათა რაოდენობა ორს აღემატებოდეს (32,152-156). ფრატრიათა ამგვარი დუალისტური ორგანიზაცია, როგორც სოციალური სტრუქტურა, ავსტრალიაში წარმოდგენილია ტოტემურ ცხოველთა თუ ფრინველთა წყვილებით: შევარდენი და ყორანი, არწივი და ყვავი და სხვ. (53,63).

ემილ დიურკემი ასკვნის, რომ ტოტემი, უწინარეს ყოვლისა, არის სახელი და გარკვეული ემბლემა, ნამდვილი გერბი, რომლის ანალოგიები ჰქონილია მართლიანობის სამართლისა და მთავრობისა, რომელსაც იგი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი იმ ოჯახთან იდენტობისა, რომელსაც იგი ეკუთვნის. შარლეგუას თანახმად, ინდიელთა ზოგიერთ ტომს ომის დროს ხელთ ეპურა ნამდვილი დროშა – გაკეთებული ტყავის ნაჭრებისგან და დამაგრებული ტარზე (ჭოკზე) – რაზეც გამოსახული იყო ტოტემები. ინიციაციასთან დაკავშირებული რიტუალის შესრულების დროს, როცა ახალგაზრდა კაცი შეაბიჯებდა ტომის რელიგიურ ცხოვრებაში, მას სხეულზე ტოტემურ სიმბოლოებს ახატავდნენ. ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომები კლანის ტოტემს ახატავნ არა მხოლოდ ცოცხლებს, არამედ გარდაცვლილებსაც – ცხედარს დამარხვამდე ადებენ ტოტემის ნიშანს. ამრიგად, ტოტემი არ არის მხოლოდ სახელდება და ემბლემა. რელიგიური ცერემონიების მსვლელობის დროს ისინი ასრულებენ ტოტემის როლს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს კოლექტიურობის იარლიყს და აქვს რელიგიური ხასიათი. მართლაც, ტოტემთან მიმართებაში იყოფიან საგნები საკრალურად და პროფანულად. ტოტემი არის თვით ტიპი საკრალური საგნისა (32,161,167,169). ცენტრალური ავსტრალიის ტომები, ძირითადად არუნტები, რიტუალების დროს გამუდმებით იყენებენ გარკვეულ საგნებს, რომელთაც ჩურინგები ეწოდება. ეს არის ხის ნაჭრები ან პრიალა ქვის ნახატები. თითოეულ ტოტემურ ჯგუფს ამგვარი ქვების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მარაგი აქვს. ყოველ მათგანზე ამოტვიფრულია ნახატი, რომელიც ამავე ჯგუფის ტოტემს განასახიერებს. ჩურინგების საკრალური ხასიათი გადაეცემა იმ ადგილსაც,

სადაც მათი სამალავია მოწყობილი. ეს არის ტოტემური ჯგუფის საკურთხეველი, საიმედო თავშესაფარი, რომელიც პროფანს აძევებს თავისი სიახლოვიდან (32,169,172). ტოტემური გამოსახულებები არ გახლავთ ერთადერთი საკრალური რამ. რიტუალების ობიექტები შეიძლება იყვნენ ტოტემური ცხოველები და მცენარეები. ჩვეულებრივ, მცენარეულობისა და ცხოველთა ყოფითი დანიშნულება მათი საკვებად გამოყენებაა; ტოტემური ცხოველის ან მცენარის საკრალური თვისება კი შეიცნობა იმ ფაქტით, რომ აკრძალულია მათი ჭამა. არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც კლანის წევრებს ან მათ ბელადს არა მარტო შეუძლიათ, არამედ ევალებათ შეჭამონ ტოტემური ცხოველი ან მცენარე. მითები ასევე გვამცნობენ, რომ დიდი წინაპრები, კლანის ფუძემდებლები, რეგულარულად ჭამდნენ თავიანთ ტოტემს; თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტოტემური ცხოველი ან მცენარე ოდესმე გამოიყენებოდა საკვებად ჩვეულებრივი წესით. პირიქით, საკვები, რომელსაც შეექცევიან ამ მისტიკური ტრაპეზის დროს, ითვლება საკრალურად და, შესაბამისად, აკრძალულია პროფანთათვის. ვინაიდან ცხოველები და მცენარეები, რომლებსაც იყენებენ ტოტემებად, „მიწიერნი“ არიან და ყოფითი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენენ, ხოლო ჩურინგები კი დაცულია ერთგვარი სახის ტაძრებში, რომელთა ზღურბლს იქითაც პროფანული ცხოვრების ყოველგვარი პვალი ქრება, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვანმდე, რომ ტოტემური არსების გამოსახულებები უფრო წმნიდაა, ვიდრე თავად ტოტემური არსებები. ამასთან, კლანის ყოველი წევრი თვლის, რომ ის ისეთივე საკრალური ბუნებითაა მოსილი, რითაც მოსილია მისი მფარველი ტოტემური ცხოველი. ამ „პიროვნული სიწმინდის“ საფუძველია მისივე რწმენა, რომ იგი ერთდროულად არის ჩვეულებრივი ადამიანიც – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, - და ტოტემური სახეობის ცხოველიც თუ მცენარეც. ადამიანი, წერენ ჟილენი და საენსერი, იმ არსებას, რომელიც მას ტოტემობას უწევს, თვლის იმად, რაც თავად არის (32,181,188,189).

**კოლექტიური ტოტემების გვერდით არსებობს სხვა, ყოველი ინდივიდისათვის საკუთარი ტოტემიც, რომელიც მის პიროვნებას გამოხატავს და რომლის კულტსაც იგი ცალკე რიტუალს უძლვნის. ინდივიდსა და მის ტოტემურ ცხოველს შორის უმჯიდროესი კავშირია. ადამიანისა და ცხოველის ბუნება ერთია – მათ აქვთ საერთო თვისებები, და ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ვისი ინდივიდუალური გერბიც არის არწივი, ითვლება, რომ მას აქვს მომავლის განჭვრების უნარი. თუ ადამიანი ატარებს დათვის გერბს, ამბობენ რომ განწირულია ბრძოლებში დასაჭრელად, რადგან დათვი ზანტია და მმიმე და**

ადვილად ებმევა მახეში. ცხოველი მიჩნეულია ადამიანის ორეულად, მის ალტერ ჟგო-დ. მათ შორის მჭიდრო კავშირი განაპირობებს მათი ხვედრის მსგავსებასაც. ამბობენ, რომ ცხოველი ადამიანის თანამდგომია და იგი საოცარ ძალას გადასცემს თავის მეწყვილე ინდივიდს. ტოტემი არის კლანის მფარველი, ისევე, როგორც ინდივიდის მფარველი არის მისი პერსონალური ტოტემი. მაშინ როცა კლანი ტოტემად აღიარებული ცხოველის ან მცენარის ჩამომავლად მიიჩნევს თავს, ინდივიდს არ პგონია, რომ რაიმე ჩამომავლობითი მიმართება აქვს თავის პირად ტოტემთან. ეს უკანასკნელი მისი მხოლოდ მეგობარი, მოკავშირე და მფარველია. ინდივიდუალური ტოტემის დასადგენად სარიტუალო ქმედებათა მთელი სერიის აღსრულებაა აუცილებელი (32,222,223).

საინტერესოა, რა პრინციპით ხდებოდა კლანის მიერ ტოტემური ცხოველის არჩევა. ამის საინტერესო ანალიზს გვთავაზობს ლევი-სტროსი, რომელიც აცხადებს, რომ მნელად თუ ვიპოვით რაიმეს, რომელიც ერთი კუთხით თუ მეორე კუთხით, პოზიტიურ თუ ნეგატიურ ასპექტში არ ყოფილიყოს გარკვეული ინტერესის აღმდეველი, რასაც ვერ წვდებიან უტილიტარული და ნატურალისტური თეორიები. ასე მაგალითად, ტოტემებს შეიძლება წარმოადგენდნენ სახიფათო და არასასიამოგნო არსებები, როგორიცაა ნიანგები და ბუზები (სხვაგან კიდევ წურბელები), რომლებსაც უარყოფითი სოციალური დატვირთა გააჩნიათ, მაგრამ ამავე დროს, შეიძლება მათი გამრავლება, რათა ზიანი მიაუენო მტრებსა და უცხოელებს. ერთი შეხედვით, ბუზები და მწერები ისეთ უბედურებას წარმოადგენენ, რომ გვიჭირს გაგება, თუ რატომ არსებობენ ცერემონიები, რომლებიც მათ გამრავლებას ისახავენ მიზნად... თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ბუზები და მწერები, მიუხედავად მათდამი ზიზღისა, მჭიდრო კავშირშია იმასთან, რისი მოპოვებაც აბორიგენს ყველაზედ უფრო მეტად სჭირდება, განსაკუთრებით წლის გარკვეულ პერიოდებში, ეს გახლავთ ძლიერი წვიმა (53,96,97). აღსანიშნავია ისიც, რომ უმრავლესობა ტოტემური ცხოველების სახეობებისა არ გვთავაზობს კარგად გამოკვეთილ კუნომიკურ ინტერესს. მაგალითად, ნუერთა ტომში არანაირი კარგად გამოკვეთილი გამოყენებითი ფაქტორი ტოტემთა არჩევაში არ დომინირებს. ძუძუმწოვრები, ფრინველები, თევზები, მცენარეები და ნუერთათვის ძალზედ საჭირო არსებები არ ფიგურირებენ მათ ტოტემთა რიცხვში. შესაბამისად, დაკვირვება ნუერთა ტოტემიზმზე არ ამტკიცებს იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც უმეტესწილად ანდა პრინციპულად ხედავენ ტოტემიზმში ემპირიული ინტერესების რიტუალურ გამოხატულებას (53,117). მსგავსების იდეაც, რასაც

ობიექტურად აღიქვამ ადამიანებსა და ტოტემებს შორის, პრობლემატურად გამოიყურება აზანდეს ტომის წევრებში, რომლებიც თავიანთი ტოტემების რიცხვში ითვლიან წარმოსახვით ცხოველებს: ქოჩიანი გველი, გველი – ცისარტყელა, წყლის ლეოპარდი, ცხოველი – მეხი (53,116). რედკლიფ-ბრაუნი ცდილობს ერთ-ერთი ავსტრალიური ფრატრიის ტოტემები – შევარდენი და ყორანი, ასესნას **სტრუქტურალისტური მეთოდით**, იშველიებს რა მითო-ეთნოგრაფიულ კონტექსტს. კერძოდ მას მოჰყავს დასავლეთ ავსტრალიური მითის ერთი ვერსია, რომელიც წარმოგვიდგენს შევარდენისა და ყორნის (მამრი) ურთიერთობას; პირველი მათგანი – მეორის ბიძაა დედის მხრიდან და ასევე მისი პოტენციური სიმამრიც, თუკი მოხდება სასურველი შეუდლება დედის ძმის ქალიშვილთან. სიმამრს, რეალურსა თუ პოტენციურს, უფლება აქვს მოსთხოვოს თავის სიძეს საჩუქრები საკვების სახით და ამიტომაც შევარდენი უბრძანებს ყორანს მოუტანოს მას კენგურუ-ვალაბი. წარმატებული ნადირობის შემდეგ, ყორანი ცდუნებას ემონება: ის ნანადირევს მიირთმევს, მაგრამ თავს აჩვენებს თითქოს ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნდა. მაგრამ ბიძას ამის არ სჯერა და ეკითხება თუ რას ნიშნავს მისი დამრგვალებული მუცელი. ყორანი პასუხობს, რომ შიმშილის დასაოკებლად მან მუცელი აკაციის ქერქით ამოიგსო. თუმცა ეჭვიანი შევარდენი იწყებს დისშვილის მუცლის დიტინს და ისიც ხორცს ამოარწყევს. დასჯის მიზნით, შევარდენი დამნაშავეს ისვრის ცეცხლში და იქ ამყოფებს იქამდე, სანამ მას თვალები არ გაუწიოლდება და ბუმბული არ გაუშავდება. მაშინ ყორანს ტკიფილისგან ყვირილი აღმოხდება, რომელიც ამიერიდან მისთვისაა დამახასიათებელი. შევარდენი კი ადგენს, რომ ყორანი ამიერიდან თავად აღარ ინადირებს, არამედ მოიპარავს სხვათა ნანადირევს. მას შემდეგ ასეც ხდება. ამ მითის გაგება შეუძლებელია, აღნიშნავს რედკლიფ-ბრაუნი, თუ არ მიგმართავთ ეთნოგრაფიულ კონტექსტს. ავსტრალიელი თავს თვლის “ხორცისმჭამელად”, ხოლო შევარდენიც და ყორანიც, როგორც “ხორცისმჭამელი” ფრინველები, მისი ძირითადი კონკურენტები არიან. როცა აბორიგენები ნადირობენ და წვავენ ჯუნგლებს, მალევე გამოჩნდებიან შევარდნები, რათა შეეცილონ მათ ნანადირევ ფრინველში, რომელიც ცეცხლის ალს უსხლება: ისინიც მონადირეები არიან. ცეცხლისგან შორიახლოს, ხეებზე შემომჯდარი ყორნები კი ელოდებიან როდის დანაყრდებიან სხვათა ნადიმის ხარჯზე. ამ ტიპის მითები შეიძლება შევადაროთ მსგავსი სტრუქტურის მქონე სხვა მითებსაც, თუმცა მათში მონაწილეებად სხვა ცხოველები გვევლინებიან. ცხოველურ სახობებს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება იხსნება

მეგობრობისა და კონფლიქტის, სოლიდარობისა და დაპირისპირების ცნებებში, ანუ, ცხოველთა სამყაროს ცხოვრება წარმოდგენილია სოციალური კავშირების სახით, ისეთით, როგორიც პრევალირებს ადამიანურ საზოგადოებაში – ასკვნის რედკლიფ-ბრაუნი. საკითხისადმი ამგვარ ეთნოგრაფიულ მიდგომას ლევი-სტროსის აზრით დამაჯერებლობა აკლია, ვინაიდან შედეგი რომ მივიღოთ, ბუნებრივი სახეობები კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ დაპირისპირებული წყვილების სახით, და ეს შესაძლებელია იმ პირობით, თუკი ირჩევიან სახეობები, რომლებსაც გააჩნიათ სულ ცოტა ერთი საერთო ნიშან-თვისება, რაც შეპირისპირების საშუალებას იძლევა. პრინციპი ნათელია შევარდნისა და ყორნის მაგალითზე, რომლებიც არიან ხორცისმჭამელი ფრინველები, თუმცა მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან: პირველი – როგორც მტაცებელი, მეორე – როგორც მმორის მჭამელი. მაგრამ როგორ ავხსნათ წყვილი: დამურა – ბუ? რედკლიფ-ბრაუნი აღიარებს, რომ თავიდან ცდუნებას აჰყვა როცა მათი საერთო ნიშან-თვისება დაინახა იმაში, რომ ორივე დამის ფრინველია. თუმცა, ახალი სამხრეთ უელსის რეგიონში, როგორც მდედრობითი ტოტები, სწორედ ბედურის მსგავსი დღის ფრინველია შეპირისპირებული დამურასთან: მართლაც, სწორედ ამ ბედურის მსგავსმა ფრინველმა ასწავლა ქალებს ხეზე ასვლის ხელოვნება. ინფორმატორის ახსნით გათამამებული რედკლიფ-ბრაუნი კითხულობს: ”რა მსგავსებაა დამურასა და “ბედურას” შორის?” რაზედაც ასეთი უცოდინრობით გაოგნებული აბორიგენი პასუხობს: “შეხედეთ მაინც! ისინი ორივე ხეების ფუდუროში ცხოვრობენ!” მართალია, ასოციაციურ ფსიქოლოგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტოტებისტური კვლევების თვალთახედვით, შენიშნავს ლევი-სტროსი, მაგრამ სტრუქტურალური ანალიზის დროს შეუძლებელია ფორმა შინაარსს დააშორო. ფორმა არა გარეთ, არამედ შიგნითაა. იმისათვის, რომ ჩავწერეთ ცხოველთა დასახელებების მიზეზს, საჭიროა მათი კონკრეტული განხილვა, ვინაიდან ჩვენ უფლება არ გვაქვს გადავლახოთ ზღვარი, რომლის იქით განუკითხაობა მეფობს – შენიშნავს ლევის-სტროსი და იქვე დასძენს, რომ რედკლიფ-ბრაუნი არ ხსნის იმას, ზოგიერთი ავსტრალიელი ტომი რატომ ხედავს ადამიანურ მდგომარეობასა და ცხოველურ ცხოვრებას შორის მსგავსებას ხორცის ჭამისკენ მიდრეკილებაში, მაშინ როცა სხვა ტომები მათ შორის მსგავსებას ხედავენ საცხოვრებელი ადგილის ნიშნით. თუმცა მისი ჩვენება ფარულად მაინც უშვებს, რომ ეს განსხვავება უკვე ღირებულია და რომ ვყოფილიყვით საკმარისად ინფორმირებულნი, შევძლებდით მის დაკავშირებას ასევე სხვა განსხვავებებთან, რომლებსაც აღმოვაჩენთ ორი მოცემული ჯგუფის

შესაბამის რწმენებში, მათ უნარებში ანდა გარემოსთან მათ დამოკიდებულებებში (53,134). შესაბამისად, ასკვნის, ლევი-სტროსი, ტოტემური ცხოველები აღარ არიან მაინც და მაინც ის არსებები, რომლებისაც ეშინიათ ან რომლებითაც აღფრთოვანდებიან და რომლებისკენაც ძალზედ ისწრაფვიან: მათი გრძნობისმიერი რეალობა წარმოშობს ცნებებსა და კავშირებს, რომელთა წვდომა შეიძლება თეორიული აზროვნებით, დაკვირვების მონაცემებიდან გამომდინარე. დაბოლოს, გასაგები ხდება, რომ ბუნებრივი სახეობები ირჩევიან არა იმიტომ, რომ “საჭმელად ვარგისნი არიან”, არამედ იმის გამო, რომ “ვარგისნი არიან, რომ იაზროვნო” (53,128,130,132).

ამრიგად, თუკი დიურკემს ტოტემის ცნება, როგორც საზოგადოების კოლექტიური “სულიერი ემბლემა” დმერთის გაგებამდე მიჰყავს, ლევი-სტროსისტოვის იგი მომდინარეობს განსჯიდან და მოთხოვნებს, რომელსაც ის პასუხობს, ხერხი, რომლითაც ის ცდილობს მათ დაკმაყოფილებას, უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური ხასიათისაა. ამ თვალსაზრისით, მას არაფერი აქვს არქაული და შორეული. მისი სურათი პროცეირებულია, და არა მიღებული; ის გარედან არ იძებს საკუთარ არსეს. ვინაიდან, თუკი იღუზია ფარავს ერთ ნაწილს ჭეშმარიტებისას, ეს უკანასკნელი ჩვენს გარეთ კი არ არის, არამედ ჩვენშია (53,153). იმოწმებს რა გლედის რეიჩარდს, ლევი-სტროსი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბეგრია დაწერილი ტოტემიზმზე, გარემოებები რომლებშიც იგი ვლინდება მრავალსახოვანია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში; მსგავსებები ამ გარემოებებში ზედაპირულია და ბევრნაირ კონტექსტში შეუძლიათ გამოვლინება, რის გამოც აბსოლუტურად შეუძლებელია მათი ერთ კატეგორიაში მოთავსება (53,13). იმავე აზრს იზიარებს ტოტემიზმის მეორე ფრანგი მკვლევარი ვან გენეპი: “ტოტემიზმმა უკვე გამოსცადა არაერთი მეცნიერის საზრიანობა და გამომგონებლობა; არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ასე გაგრძელდება კიდევ მრავალი წელი” (53,13).

ტოტემიზმზე, როგორც რელიგიურ სისტემაზე საუბარი ქართულ რეალობასთან მიმართებაში გამორიცხულია, მით უმეტეს, როცა მეცნიერებს, ტოტემიზმის როგორც ჩამოყალიბებული რელიგიურ-სოციალური სისტემის დანახვა, თვით ავსტრალიაში და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებშიც კი უჭირთ, სადაც თავად ტოტემიზმი ჩაისახა. მიუხედავად ამისა, ტოტემიზმის გარკვეული ნიშნები ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაშიც შეიძლება მიკვლეულ იქნას. ასე მაგალითად, ის ფაქტი, რომ სვანეთში მგლის მკვლელობა ტაბუირებული იყო, ვ.

ბარდაველიძეს ტოტემიზმის ნაკვალევად მიაჩნია: „Убийство волков было табуировано, причем в основе запрета, повидимому, лежало древнее понимание тотемно-родственных связей с данным миром животных... Сван, случайно нарушивший табу, становился перед убитым им зверем и с непокрытой головой приносил ему извинения, уверяя, что он ошибся, не признал волка, ибо он же не мог захотеть убить его, подобно тому, как не смог бы он этого пожелать в отношении родного брата. Затем оплакивал зверя, «как члена своей семьи» и, сняв с него шкуру, хоронил в землю“ (12,45). დამოწმებულ ციტატაში ყურადსალებია ისიც, რომ მობოლიშების ტექსტში სვანი მოკლულ მგელს როგორც „ოჯახის წევრს“ ისე დაიტირებს, რითაც თითქოს ხაზგასმულია ტოტემად აღიარებულ ცხოველთან ნათესაობის იდეაც. სვანეთში დაფიქსირებულ რიტუალში: აშანგელო, შაშანგელო, რომელიც მგლის რიტუალურ მკვლელობას უკავშირდებოდა, ვ. ბარდაველიძე ასევე ტოტემიზმის გამოძახილს ხედავდა. ავტორის თვალსაზრისს მხარს უმაგრებს ისიც, რომ ამ საწეო მკვლელობას კოლექტიური ქმედების ხასიათი ჰქონდა: „Во главе процесии шел убийца волка, который нес длинный шест с укрепленной на его вершине шкурой убитого зверя. Процессия с пением обходила село, останавливалась у каждого дома. Обитатели домов выносили порох или пулю и передавали предводителю процессии. Передача населением пороха и пули убийце волка, несомненно, является символическим выражением соучастия сельчан в убийстве последнего. Следовательно, посредством этой важной детали восстанавливается форма коллективного убийства зверя. А то обстоятельство, что обрядовая процессия была непосредственно связана с актом убийства зверя (она устраивалась только в тех случаях, когда убивали волка), обнаруживает первоначальный характер коллективного действия и значение объекта подвергавшегося данному действию: **повидимому, это было обрядовое убийство тотемного животного“** (12,45).

თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ტოტემი, უწინარეს ყოვლისა, არის გარკვეული ემბლემა, სვანური საწეო დროშა – ლემი, რომელზეაც მგლის სიმბოლო იყო გამოხატული, ტოტემურ ნიშნად შეიძლება მოვიაზროთ. იგივე ითქმის, სვანების მიერ მგლის ტყავის ტარების ტრადიციაზეც (12,45), ვინაიდან სხვადასხვა მნიშვნელოვანი გარემოებების დროს, კლანის წევრი ცდილობდა გარეგნული მსგავსებით ხაზი გაესვა ტოტემთან ნათესაობისთვის და ამისათვის იცვამდა ტოტემური ცხოველის ტყავს ანდა მისი გამოსახულების ტატუირებას იკეთებდა (91,169). ერთი დეტალიც. ვ. ბარდაველიძეს ხაზგასმული აქვს ის ვაჭტი, რომ მგლის ტყავის ტარება მხოლოდ ასაკოვან სვანებს

შეეძლოთ: „Из вольчих шкур изготавлялась одежда, которую носили – в предреволюционный период, само собой разумеется, уже только престарелые сваны. Я их видела позднее сравнительно в большом количестве в Лентехском обществе Нижней Сванетии. Примечательно, что эта одежда состояла из длинных – от локтя до кисти рук, нарушников и шубы с вывернутой наружу шерстью и хвостом позади, спускающимся намного ниже талии“ (12,45). ავტორის ზემომოყვაბილი ცნობა საყურადღებო იმითაც, რომ ტოტემური მსოფლმხედველობის თანახმად, ნებისმიერი ტოტემური ცერემონიალის დროს რიტუალის აღსრულება მეტწილად სწორედ ტომის უხუცესებს ევალებოდათ (32,463).

“ლემის” საწესო დროშასთან დაკავშირებით, განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს ი. სურგულაძე. ავტორის აზრით, შეწირული ცხოველის ხეზე დაკიდების მოტივი, რომელიც ჯერ კიდევ არგონავტების მითოსიდანაა ცნობილი, წარმოადგენს აგრარული მითის ამსახველი რიტუალის ნაწილს. ასევე, რაიმე განსაკუთრებული მიზანი არ უნდა პქონოდა მგლის ტყავის ზედა სამოსად გამოყენებას, რადგან სამოსად უამრავი ჯიშის ცხოველის ტყავს იყენებდნენ როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. ტერმინი “ტოტემი” სვანთა რიტუალის ადსანიშნავად, აგტორის აზრით, მხოლოდ პირობითად შეიძლება იყოს ხმარებული. სვანთა რიტუალური პრაქტიკისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი დეტალის შეფასება ტოტემიზმის რეალური გადმონაშების დადასტურებად კი არ უნდა ჩავთვალოთ, არამედ მასში უნდა დავინახოთ ამ საზოგადოების რელიგიური აზროვნებისათვის ტიპური, მისი ისტორიული განვითარებისთვის შესაბამისი სარწმუნოებრივი სამსახურის ელემენტები, რომლებიც თავიანთი არსით ძლიერ დაშორებულნი არიან ტოტემიზმისგან – ასკნის ავტორი (86,187). ი. სურგულაძე, მართალია საგანგებოდ უსვამს ხაზს მგლისა და ვეფხვის მკველობაზე არსებული ტაბუს ტრადიციას, მაგრამ ამ ცხოველებთან დაკავშირებულ რიტუალურ გამოვლინებებში ტოტემიზმის ანარეკლის დანახვა მაინც უჭირს. მომყავს ავტორის ანალიზი საკითხთან დაკავშირებით: „საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემჩნეულია, რომ ერიდებოდნენ ვეფხვისა და მგლის მოკვლას. ამ ცხოველების მონადირებას ტაბუ ედო. ყოფას განსაკუთრებით აქტიურად მგელთან დაკავშირებული მასალა შემორჩა. ვ. ბარდაველიძეს მოტანილი აქვს მოხუც სვანთა ნამბობი ამ საკითხე. ისინი თვლიდნენ, რომ მგელს აქვს ადამიანის სასიკეთოდ მომართული რაღაც მაგიური ძალა, მგლები ადამიანს ეხმარებიან და მფარგელობენ, ასევე იციან „სისხლის აღება“ მოკლული თავისიანისთვის.

სვანები ყოველთვის ცდილობდნენ არ მოკლათ მგელი არა იმის გამო, რომ  
მათგან შურისძიებისა ეშინოდათ, არამედ იმის გამო, რომ ხალხური ჩვეულებით  
მგლის მოკვლას ერთგვარად ერიდებოდნენ. მონადირე მოკლულ მხეცს, ისევე,  
როგორც ვეფხს, თავზე დაადგებოდა, ქუდს მოიხდიდა, ებოდიშებოდა,  
არწმუნებდა, რომ მკვლელობა შემთხვევით მოხდა, რადგან ისევე არ უნდოდა  
მისი მოკვლა, როგორც საკუთარი ძმისა. შემდეგ მგელს ოჯახის წევრივით  
დაიტირებდა, ტყავს გახდიდა და ხორცს უსათუოდ დაფლავდა. ასეთივე წესით,  
როგორც ვნახეთ ვეფხის მიმართაც სრულდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ  
მომენტებს ვ. ბარდაველიძე ტოტემიზმთან აკავშიებდა, რაც საეჭვოა. შესაძლოა  
აქ დარჩენილი იყოს ოდესდაც არსებული რწმენათა ინერცია, მაგრამ ნადირთან  
ნათესაური კავშირის აღნიშვნა ფორმალურია და არა სისხლისმიერი, არც  
მასთან იგივეობის გრძნობა ჩანს, რაც ასე ახასიათებს ტოტემიზმს. შემოვლა,  
ყველა სახლის კარწინ სიმღერა და ყველასაგან მგლის მკვლელობისათვის  
ტყვია წამლის გადაცემა უფრო სათემო წარმოდგენებზე მიგვითოთებს, ვიდრე  
საგარეულოზე და მთლიანად ემთხვევა დღესასწაული შესრულების სვანეთში  
მიღებულ წესს. ცხადია, ეს ცხოველები ოდესდაც შესაძლოა მართლაც იყვნენ  
ტოტემური ობიექტები, მაგრამ ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალაში კონცეფცია  
დარღვეულია, დამახასიათებელი სოციალური გარემო აღარ არსებობს, იგი  
მთლიანად გარდასახულია და მისი სოციალურ-ისტორიული მახასიათებლები  
სულ სხვა საზოგადოებრივ დონეს აღასტურებს. რაც შეეხება მგელთან, მის  
ბეწვთან, ბრჭყალთან დაკავშირებულ წარმოდგენებს, მათი არსებობა სვანეთში  
ჯერ კიდევ 1882 წელს დაფიქსირა რ. ერისთავმა. მათი ამ სახით არსებობა  
ჩვეულებრივი მოვლენაა ნებისმიერი საზოგადოებისათვის“(85,136).

ვფიქრობ, შაშანგელოს რიტუალში გარკვეული ტოტემური ნიშნები მაინც  
შეიძლება დავინახოთ ოუკი მგლის საწესო მკვლელობას მივიჩნევთ საკრალურ  
ტოტემურ ცხოველთან ზიარების გამოვლინებად. ამასთან, მგლის, როგორ  
საკუთარი „ოჯახის წევრის“ დატირების ფაქტი, ისევე როგორც ამ ცხოველის  
ტყავის ტარების ტრადიციაც ასაკოვანი სვანების მიერ, სწორედ ერთ დროს  
საკრალურ ცხოველთან მიმსგავსების სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი,  
რაც ნებაუნებურად ტოტემისტურ რწმენა-წარმოდგენებთან გვაბრუნებს.  
საკითხობან დაკავშირებით არ არის გამორიცხული მგელ-ძაღლი ყოფილიყო,  
სოციალურ-რელიგიური განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გვარის, თემის, ტომის  
ერთიანობის სიმბოლო-ტოტემი. ამის დასტურად შესაძლოა მივიჩნიოთ გვარის  
დაშლის, გაყოფის დროს ძაღლის ორად გაკვეთის რიტუალი, რომელიც

დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (110,27). ამავე სულისკვეთების გამომხატველია ხეთების მეფე ხათუსილის ანდერძიც: “გვარი, დაქ, ერთიანი იყოს ვითარცა მგლისა!” (30,56).

ტოტემური ცნობიერების გამოძახილი უნდა იყოს, მ. ჩიქოვანის აზრით, მონადირეთა მიერ მოკლული ცხოველის საჯაროდ ხმით დატირება და სინანულის თხოვნა ჩადენილი დანაშაულის გამო. ვეფხვის ამგვარი მკვლელობისა და დატირების რიტუალი დაფიქსირებულია კახეთსა და სვანეთში: „ნეტა, შენ მაგივრად შვილი მოგვეპლა, ნეტავ, ჩვენი დედ-მამა დახოცილიყო, ნეტავ ის ჩვენი სახლ-კარი დაგვეწვა, ისევ ჩვენი თავი მოგვეკლა“. მაგიური ტექსტის ხმამაღლა წარმოთქმით ადამიანის მოქმედება ერთგავარდ გაბათილებულია და ამდენად ტოტემა მონადირე არ უნდა დასაჯოს (104,257,258). ამასთანავე, შენიშნავს ავტორი, ძველი დატირებისგან განსხვავებით, ახლა თხოვნა-ვედრება არა უშუალოდ ნადირს, ტოტემს მიემართება, არამედ მათ მფარველ დვთაებებს; ერთდროულად - ქრისტიანულ მაცხოვარსა და წმ. გიორგის, წარმართულ დალსა და აფსათს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქალ-დვთაება დალი სიმბოლიზირებული იყო ჯიხვის სახით. ცხოველის სახით ხშირად იგულისხმებოდა ნაყოფიერების უძველესი მფარველი და განმასახიერებელი ქალდვთაება. საყოველთაოდ ცნობილია კრეტული ქალდვთაების კავშირი ჯიხვისებურ ცხოველთან, ბერძნული არტემიდეს კავშირი შველთან და ა.შ., რაზედაც ყურადღებას ამახვილებს ი. სურგულაძე (86,121,124). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველთა წარმართული წარმოდგენებით კლდის ანგელოზი, ნადირთ ანგელოზი ხშირად გულისხმობდა არაჩვეულებრივი სილამაზის ჯიხვს, არჩეს და სხვ. (39,149).

სამონადირეო მითოსიდან ყურადღებას იქცევს შეჭმული ნადირის მათრახის დაკვრით გაცოცხლების იდეა, რომელიც უნივერსალურია არა მხოლოდ კაგკასიისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების კულტურებისათვის: „კავკასიური მასალისათვის ტიპიურია სიუჟეტები, სადაც მოკლული და შეჭმული ცხოველის გაცოცხლება დვთაებათა მიერ ხდება ძვალისა და ტყავის, როგორც სასიცოცხლო მინიმუმის ბაზაზე. საგანგებო ყურადღების ღირსია ეპიზოდები, რომელთა შესაბამისად, ნადირთა დვთაებები სანაოესაო (საოჯახო) ჯგუფია და საერთო ცეცხლთან მჯდომო აქვთ საერთო ტრაპეზი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დვთაებები იცავენ სტუმართმოყვარეობისა და მასპინძლობის იმ წესებს, რომლებიც აღებულ რეგიონში მოქმედებენ, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს მასპინძლი ჯგუფის

ეგზოგამიურობას. ასევე საერთოა სიუჟეტთა „უმრავლესობისათვის ცხოველის აღდგენის მექანიზმი და ამისთვის საჭირო იარადი (მათრახი, ჯოხი, წევპლა). საკრალური იდეა, რომელიც მოქმედებაში მოყავს ნადირთა მწევემსების კოლექტივს, ტოტემისტურ წარმოდგენებაში იღებს სათავეს. ტოტემური ცხოველის მაგიური საშუალებებით აღდგენა-გამრავლება ტოტემური ჯგუფის ძირითადი რელიგიური კვლავმწარმოებლური აქცია იყო“ (86,61).

ტოტემური ცნობიერების თანახმად, ადამიანი ექვემდებარებოდა საერთო შორეულ წინაპრებს, რომლებიც საკრალური ცხოველების სახით იყვნენ სიმბოლიზირებულნი; შესაბამისად, ცხოველი, როგორც აკრძალვის ობიექტი, წინაპართან ასოცირდებოდა, რომლის განადგურებაც იგივე მკვლელობის ტოლფასი იყო (53,110). სწორედ წინაპართა საფლავები იყო პირველი საკურთხევლები ვინაიდან კაცობრიობისთვის ცნობილი პირველი კულტი გარდაცვლილ წინაპართა სულები იყო (32,81,401). მითოსურ წინაპართა ცნება ჩართულია თავად იმ პრინციპებში, რასაც ეფუძნება ტოტემიზმი; ამ მითოსურ წინაპართაგან თითოეული არის ტოტემური არსება. წინაპრები თანდათანობით უახლოვდებიან და უერთდებიან ღმერთების რიგებს. დიდი ღმერთიც, თავადაც ერთ-ერთი, ოღონდ განსაკუთრებული მნიშვნელობის წინაპარია. მის შესახებ მოგვითხოვთ, როგორც ადამიანზე, რომელიც უდავოდ დაჯილდოვებული იყო ზეადამიანური შესაძლებლობებით, მაგრამ მიწაზე, სხვა ადამიანთა გვერდით, ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა (32,401). წინაპრის საკრალიზაციის მოტივს შესაძლოა ვხვდებოდეთ ხევსურეთში. ასე მაგალითად: „არხოტის მთავარანგელოზში ლოცულობენ ჯაბუშანურები და ხუცესსაც ამ გვარიდან ირჩევენ. მათი წინაპარი მგელა წმინდანი ყოფილა და მას ხატები თურმე ეცხადებოდნენ. მგელა დიდად გავლენიანი ხუცი ყოფილა და მისი სულის მოსახსენიებლად ჯაბუშანურები ფურთვაკეზე მიღიან და აქ მგელას საფლავზე საღრმოს იხდიან“ (56,257). თვით სახელში – „მგელა“ შეიძლება გარკვეული ტოტემური ნაკვალევი დავინახოთ, თუკი იმასაც მოვიგონებთ, რომ არხოტის მთავარანგელოზის ხატის გალავნის ქვემოთ მთავარანგელოზის მწევრის საფლავია, რომელსაც „მიქეელის მწევარს“ უწოდებენ და მის საფლავზე რელიგიური ხასიათის რიტუალებს ასრულებენ (56,257). მგელ/ძაღლის სიმბოლო განსაკუთრებით თავს იჩენს საქართველოს მთიან რეგიონებში. ამის ნათელი მაგალითია „ღვთაების რანგში“ ამაღლებული მჭედელი პირქუში, რომელიც მგელაიშვილია და ხალხური ლექსი, როცა ტომის ბელადისგან და წინამდლოლისგან ითხოვენ მგლის მუხლის მობმას: „გაგვიძელ ბერო მინდიავ,

მუხლი მაიბი მგლისაო” (99,32). მფარველ ტოტემთან თვითიდენტიფიკაციის მაგალითები კი, როგორც ადინიშნა, ტოტემური რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელია თვისებაა. სახელი, რომელსაც ინდივიდი ატარებდა, არ იყო მიჩნეული უბრალო სიტყვად, პირობით ნიშნად, არამედ იგი აღიქმებოდა როგორც თავად ინდივიდის არსი. მსგავსად ამისა, როდესაც ადამიანი ცხოველის სახელს ატარებდა, მას აუცილებლად სჯეროდა, რომ თავადაც ამ ცხოველის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნების მატარებელი იყო. არსებობდა თვისობრივი შესაბამისობა ტოტემსა და მის მატარებელ ინდივიდს შორის: „ტოტემისტური პრობლემის ჭრილში განიხილავს ლევი-სტროსი ადამიანთა საკუთარი სახელების საკითხს. მისი აზრით, საკუთარი სახელები არის არა იმდენად ლინგვისტიკის, რამდენადაც ეთნოლოგის საკვლევი. ამას მკვლევარი ორმაგ პარადოქსს უწოდებს. ყველა პირველყოფილი საზოგადოება საკუთარი სახელების წარმოშობას კლანის აღმნიშვნელ ცხოველს უკავშირებს. „მელანეზიაში ყოველი ინდივიდი ატარებს თავისი კლანის ტოტემური წინაპრის, სულის, ჩიტის, ვარსკვლავის, ნივთის, ინსტრუმენტის სახელს. ერთსა და იმავე ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს 30 და მეტი სახელი, რომელთა ეტიმოლოგია ადის „საიდუმლო მითებამდე“. იგივე სიტუაციაა აგსტრალიაში: „თუ იციო არანდეს ენა, საკმარისია, გაიგოთ ნებისმიერი ადგილობრივი მკვიდრის სახელი, რომ გაიგოთ ვინაა მისი ტოტემი“. ცხადია, ინდივიდუალური სახელდებები დამოკიდებულია იმავე სისტემებზე, რაზეც კოლექტიური სახელდებები. ინდივიდუალური სახელი არის ნაწილი კოლექტიურისა. საკლასიფიკაციო სისტემაში საკუთარ სახელებს იმგვარივე სტრუქტურული ფუნქცია აქვთ, როგორც ტიტულებს. იმდენად, რამდენადაც საკუთარი სახელები წარმოდგებიან პარადიგმატული ერთობლიობიდან, ისინი წარმოქმნიან მაქმანს კლასიფიკაციის საერთო სისტემასთან“ (107,33).

აქედან გამომდინარე, შესაძლოა შორეული ტოტემური ცნობიერების ანარეკლად მივიჩნიოთ ვახტანგ მეფის სახელი, რაც ირანულად მგლის ტანის (ვაპრკა-ტანუ) ნიშნავს (25,496), ისევე როგორც მის მუზარადზე მგლის გამოსახულებაც. კავკასიაში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მგლი მიჩნეული იყო მოხერხებულობის, ვაჟგაცობისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ. ამის მაგალითს ხშირად ვხვდებით ქართულ ხალხურ პოეზიაში – ერთი ხევსურული ხალხური ლექსი, რომელიც ასპინძის ომს ეხება, ხევსურთა ჯარს, ხატოვანი სახით, როგორც „მგლებს“ ისე წარმოგვიდგენს:

„ერეკლე ბატონიშვილი ტახტეით გარმამხდარაო,  
იარაღები აუსხამ, ბაბდიას გადამჯდარაო:  
კაცი ხევსურეთ წალალა: „თავ დამჭირდება ყმისაო“.  
ქალაქს მიუა ბატონსა ჯოგი ლეგისა მგლისაო“ (56,40).

მე-17 საუგუნის ხევსურთა ცნობილი სახალხო გმირი – მარტია  
მისურაული ერთ ხალხურ ლექსში ასევე მგელთანაა შედარებული:

„ომს უზმენ მისურაულნი;  
მარტია ბებრის მგლისასა,  
შუბსა ჰერავს, გააგდებინებს  
ბელადსა ლეკებისასა“( 31,19).

„მგელთან“ ზემოაღნიშნული მეტაფორა თუშურ ფოლკლორშიც გვხვდება:

„ალვანში თუშის შვილები ხმალს ულესავენ პირსაო,  
წამოვიდოდა ბაბურა, ჯოგი თან მოსდევს მგლისაო“(59,99).

საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ისიც მოვიგონოთ, რომ ტოტემი როგორც საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთი საშუალება გარკვეული ელემენტის სახით თავს იჩენს ფშავ-ხევსურეთში, სადაც დიდი გვარების განაყარს, რიგ შემთხვევაში, ზოომორფული სიმბოლიკის ნიშან-კვალი ატყვია. ასე მაგალითად, ჭინჭარაულების დიდი გვარი გაყრილია ორ მთავარ ფრატრიად, ერთია – მგელიაურების გვარი, ხოლო მეორე კი – ურდღელაურებისა (41,11).

ტოტემის პერიოდული მოკვლა და შეჭმა, რომელიც დროში წინ უსწრებდა ანთროპომორფული დვთაებისადმი პატივისცემას, ტოტემური რელიგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა (32,463). ამ მოსაზრებას ეხმიანება ილორის წმ. გიორგის დღესასწაული. გადმოცემის მიხედვით, „სამსხვერპლო ხარი თავად წმ. გიორგის მიპყავს ეკლესიის ეზოში. როცა სამსხვერპლო ხარს დაჰკლავენ მისი რქები და ხორცის მეტიწილი სამეგრელოს მთავარს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენ ხორცს წვრილ-წვრილად ჭრიან და სოფელში ინაწილებენ. ამ ხორცს გაახმობენ კვამლზე და დიდის სასოებით შეინახავენ ავადმყოფობის დროს მოსახმარად. დარწმუნებულნი არიან, რომ იგი საუკეთესო წამალია“(57,30).

სამსხვერპლო ცხოველი წარმოადგენდა უძველესს ტოტემურ ცხოველს, ყველაზე პრიმიტიულ დმერთს, რომლის მოკვლით და შეჭმით კლანის წევრები ანახლებდნენ და ამტკიცებდნენ თავიანთ დვთისმსგავსობას (91,172). აღსანიშნავია ისიც, რომ ს. მაკალათიას მიხედვით, სამსხვერპლო ხარი იკვლებოდა იმ პირის მიერ, რომლის ოჯახსაც ოდითგანვე ეკუთვნოდა ეს ხელობა. იმ ოჯახშივე ძველიდან დარჩენილია ნაჯახი, რომლითაც უნდა დაიკლას ხარი და რომელსაც ინახავენ როგორც საღვთო ნივთს და სხვაზე არაფერზე არ ხმარობენ. შესაბამისად, კოლხურ-ყობანურ სარიტუალო ცულებზე გამოსახული ზოომორფული გამოსახულებები (ძაღლი, მგელი, გველი, ცხენი ირემი და სხვ) შეიძლება გარკვეულწილად ტოტემური რელიგიის ნიშან-კვალს ატარებდნენ, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ტოტემური ორნამენტები გვაგრძნობინებენ, რომ ტოტემი არ არის მხოლოდ სახელდება და ემბლემა – რელიგიური ცერემონიების მსვლელობის დროს ისინი ასრულებდნენ ტოტემის როლს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა კოლექტიურობის იარლიყს და პქონდა რელიგიური ხასიათი. მართლაც, ტოტემთან მიმართებაში იყოფიან საგნები საკრალურად და პროფანულად. ტოტემი არის თვით ტიპი საკრალური საგნისა. როგორც ამას შენიშნავს ი. სურგულაძე, “საგანგებოდ გაფორმებული ცელი საკულტო დანიშნულების იყო და მის მხატვრობას კოსმოგონიურ-მითოლოგიური ასპექტი გააჩნდა” (86,184), რომელიც სათავეს შესაძლოა სწორედ ტოტემური რწმენა-წარმოდგენებიდან იღებდეს. არსებობს მეცნიერთა შეხედულება, რომლის თანახმადაც ზოომორფული მოტივები კერამიკულ თუ ლითონის ნივთებზე ტოტემური წარმოდგენების ბაზაზე იქმნებოდა. თუმცა საკითხთან დაკავშირებით, ი. სურგულაძეს მიაჩნია, რომ ზოომორფული სიმბოლიკა, რომელმაც ადრემიწისმოქმედთა კერამიკაში მოიკიდა ფეხი და იშვიათი მრავალფეროვნებით აისახა ბრინჯაოს კულტურებზე, ჩამოყალიბდა არა ძველი, ტოტემური რწმენების საფუძველზე, არამედ აღმოცენდა ახალ სამეურნეო პირობებში, როგორც საზოგადოების მიერ ბუნების შეცნობის ახალი დონის შედეგი (86,135).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, მხოლოდ ფრაგმენტული სახით შეიძლება გამოვყოთ რიგი კომპონენტებისა, რომლებიც შესაძლოა დღეს არსებული ტოტემური სისტემის სქემაში მოვაკციოთ. მართალია საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული რიტუალები, სადაც თავმოყრილია ცხოველთა კოლექტიური მოკვლის, ცხოველის ხორცის საყოველთაო სავალდებულო შეჭმის, ცხოველის გაცოცხლებისა და ასევე სქესთა ურთიერთობის იმიტაციის

ეპიზოდები, თუმცა მათი აღდგენა-რეკონსტრუირება ერთიანი ტოტემური ცნობიერების დონეზე მაინც ვერ ხერხდება. ასე მაგალითთად, ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ბერიკაობის ქართულ დღესასწაულში ზოომორფული ელემენტები აშკარად თავს იჩენენ, თუმცა არა იმ მკაცრად განსაზღვრული მაგიურ-რიტუალური სახით, რომელსაც ვხვდებით ავსტრალიის, კერძოდ არუნტების ტომში, „ინტიჩიუმას“ სახელით(32,454), რომელიც გულისხმობდა ცერემონიათა ციკლს, მიმართულს განაყოფიერებისა და ტოტემური სახეობების გამრავლებისთვის. თუმცა, ბერიკაობის ციკლის ერთი რიტუალი აშკარა მსგავსებას იჩენს „ინტიჩიუმას“ ციკლის რიტუალთან: საქმე ეხება „ფურთხით“ განაყოფიერების აქტს. ასე მაგალითთად, ბერიკაობის სვანური ციკლის მთავარ პერსონაჟს, „საქმისაის მიართევენ ძლვენს, რომელზედაც დევს ყველი. იგი აიღებს ხელში ყველს და დაილოცება. ამის შემდეგ ყველს დაღეჭავს და აქეთიქით იფურთხება. ხალხი ცდილობს მისი ფურთხი მოიხვედროს. ამბობენ: გისაც საქმისაის ფურთხი მოხვდა, კარგია და ვისაც არა – ცუდია მისთვისო“ (81,33). მსგავსი რიტუალი აღწერილი აქვს კ- დიურკემს ავსტრალიის ტომებში, ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლში: „ინტიჩიუმას რიტუალის დროს, მარაგების ტომში (ავსტრალიის ტომები) ცერემონიის შემსრულებელი მიდის საკრალურ ორმოსთან, ამოიღებს წყალს, ჩაიგუბებს პირში და იფურთხება ყველა მიმართულებით. ასევე კარტოფილის გასამრავლებლად, ბელადი იღებს ერთს, კბეჩს და ნაკბეჩებს ყველა მხარეს ისვრის. ინტიჩიუმას რიტუალები მიმართულია ტოტემური სახეობების გამრავლებისთვის და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული“ (32,456). რა თქმა უნდა, წარმოდგენილი რიტუალური მსგავსება მხოლოდ ეპიზოდურია და არც იძლევა რაიმე წინაპირობას იმისათვის, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ რეალობასთან მიმართებაში ტოტემიზმის გარშემო სერიოზული მსჯელობა წამოვიწყოთ.

ერთადერთი, რაც ტოტემიზმზე შეიძლება მეტ-ნაკლები ალბათობით ითქვას, შენიშნავს საკითხთან დაკავშირებით რ. ცანავა, არის ის, რომ „იგი წინაკლასობრივ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ყველაზე ადრეული მსოფლალქმაა (ამიტომაც სქელი ბურუსით მოცული), რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ საკუთარი თავის ცოცხალ ბუნებასთან მისადაგება-მარკირების იდეა. რაკი ტოტემი ცხოველი (მცენარე, ნივთი) ამ მარკირების სისტემაში ზის და ის ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი უამრავი ასოციაციის მთავარი მიზეზია, შესაბამისად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ტოტემური არსება არის სიმბოლო. ჩვენ უნდა შეგვივთ აზრს, რომ კ.წ.

„ტოტემური“ სიმბოლიკის ბოლომდე ახსნას ვერ შევძლებთ“(107,35). სწორედ ეს ტოტემური სიმბოლოები ქმნიან წინაკლასობრივი საზოგადოების სოციალურ-რელიგიური ცხოვრების ძირითად მახასიათებლებს, რომელთა ნიშნებიც სხვადასხვა სახით შემოინახა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მითო-რიტუალურმა სისტემამ და მაგიურმა რწმენა-წარმოდგენებმა.

## 1. მზღვის პულტი ჩართულ მითსა და უოლკლორში

### 1) „ყურშას“ მითიური სახე და დვორაება კვირიასთან მისი მიმართება

როგორც ქ. ვირსალაძე შენიშნავს „„ყურშასთან“ დაკავშირებული მითოლოგიური მოტივი ერთ-ერთი ნიმუშია ქართველური ტომების საერთო უძველესი ფოლკლორული მარაგისა“(39,54). მისი პირველწყაროა ქართული სამონადირეო ეპოსი, თუმცა ასევე ვლინდება ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლშიც, რომელიც თავის მხრივ, კვირიას, ბერიკას სახელებს უკავშირდება. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთან კავშირზე უნდა მოწმობდეს ყურშას „დვორაებრივი ნიშნებიც“.

„ყურშას“ მოტივი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად იშლება, თუმცა მეტ-ნაკლებად საერთო სიუმმტური ქარგა აქვს. არსებულ თქმულებათა თანახმად, ყურშა ორბის, ყორნის ან ზღაპრული ფასკუნჯის შვილია, ფრთოსანი ლეკვი, რომელიც დროდადრო გამოიჩეკება ხოლმე ბუდეში და დედა ჩიტი მას ბუდიდან გადმოაგდებს; ფრთოსან ლეკვს მონადირე იპოვნის და გაზრდის. ყურშას იდბალი მოაქვს ნადირობაში, მაგრამ ერთხელაც ის თავის პატრონს დაეკარგება. მონადირე მის კვალს იპოვის გაუყვება და მაღალ კლდეზე აღმოჩნდება, საიდანაც უკან დასაბრუნებელ გზას ვედარ პოულობს, დაკლავს ყურშას, მაგრამ ვერ შეჭამს და ბოლოს იღუპება. მითიურ ყურშას ყურ-ტუჩი ოქროსი ასხია, ყურშას თვალები “მთვარის ან საცრის ოდენაა”, ყურშას ყეფა “რუხუნსა გავდა ცისასა”, ყურშას წარბები გველებია. ჩვენს თვალწინ ნათლად იხატება მითიური ფრთოსანი ძაღლი მთვარის ოდენა თვალებითა და ქუხილის მსგავსი ყეფით. ამ ძაღლის გამოხატულებას ქ. ვირსალაძე მრავალ უძველეს ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებზე ხედავს. ასეთია, ავტორის აზრით, კოლხურ ცულებზე დაცული ძაღლის გამოსახულება, ასეთია ბრინჯაოსგან თუ რკინისაგან გამოქანდაკებული ძაღლის გამოსახულებანი, რომელიც უხვად არის მოპოვებული როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე სხვა ხალხთა არქეოლოგიურ ძეგლებში (39,66).

ჩვენი აზრით, „ყურშას“ მითიური სახე უნდა მოწმობდეს მგელ/ძაღლის უძველესი კულტის არსებობაზე საქართველოში. ამ კულტს, როგორც ქვემოთ მოყვანილი მასალა მიგვანიშნებს, მკვეთრად გამოკვეთილი სოლარული ასპექტები აქვს. ამის დასტურად მიგვაჩნია ქართულ სახვით ხელოვნებაში,

კერძოდ ბრინჯაოს სარტყელების და ცულების დეკორში, მგელ-ძაღლების გვერდით, მზის გამოსახულებები (სურ.№1)<sup>2</sup>. მზესთან და ცეცხლის სტიქიასთან მგელ/ძაღლის კავშირის გამომხატველია საქართველოში ძაღლის გავრცელებული სახელები: ალმასა, ბროლია, მურია და სხვ. აქე გავიხსენოთ ნადირის პირის შესაკრავი ქართული ხალხური შელოცვის ტექსტი, სადაც მოცემულია მგლის “მზიური” ხასიათი: “მგელი მოვა მგელოსანი, თვალი მოაქვს ცეცხლოსანი, კბილი მოაქვს ოქროსანი”(100,242).

როგორც ცნობილია, მგელი გამოირჩევა არაჩვეულებრივი მხედველობის უნარით, დიდი ფიზიკური ძალით, მოხერხებით და ამტანობით. სვანეთში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით “მგელს შეუძლია 12 მთის გადაღმით მომხდარი განჭვრიტოს და გაიგოს, ანუ ეს ის მანძილია, რომლის გარბენაც მგელს ერთ ღამეში შეუძლია”(12,44). საქართველოში და ზოგადად კავკასიაში იკვეთება მგელ/ძაღლის კავშირი ლომთან, რომელიც ასევე მზის ზოომორფული სიმბოლოა. ამაზე მიუთითებს თუნდაც მგელ-ლომის გამოსახულება ვახტანგ გორგასლის მუხარადზე. ჩეჩნებისთვის ლომი იგივე მგელია, ოდონდ ფაფრიანი(38,112). აქე აღვნიშნავთ, რომ მგლისა და ლომის ამგვარი კავშირი შეინიშნება სხვადასხვა კულტურებში. ასე მაგალითად, ეტრუსკული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ზოდიაქოს ცენტრალური ფიგურა – ლომი, მგლით ან ქიმერით ჩაინაცვლება ხოლმე(90,29). შესაძლოა სვანებში დაფიქსირებული მგლის ერთ ღამეში 12 მთის შემორბენის უნარი და მისი არაჩვეულებრივი მხედველობა ასევე უკავშირდებოდეს ეპლიპტიკას, მზის წლიურ ზოდიაქალურ ციკლს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მგლის კავშირს მზესთან. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ჰერაკლე გმირობათა 12 საფეხურიან ციკლს ასრულებს სწორედ ჰადესის მგელ-ძაღლის, კერბეროსის ამოყვანით (18,98). მგელ/ძაღლისა და ლომის კავშირზე მიუთითებს ასევე “სირიუსი, იგივე “ქოფაკის ვარსკვლავი”, რომელიც ცაზე იმ დროს ჩნდება, როცა მზე შედის ლომის ზოდიაქოში (23 ივლისს), როცა განსაკუთრებული სიცხე იწყება. ამის გამო მგოსნები ლომსა და ძაღლს ხშირად აიგივებდნენ”(75,245).

როგორც ამას ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, “ყოველ ასტრალურ დვთაებას ქართულ პანთეონში თავისი დამხმარე ჰყავდა ზოომორფული და ანთროპომორფული სულების სახით”(12,23). ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით

<sup>2</sup> იხ. Я. В. Доманский, Древняя художественная бронза кавказа (в собрании Гос. Эрмитажа) Москва, «искусство», 1984, № 3, გვ. 13.

მგელ-ძაღლები დაკავშირებულნი არიან აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დადასტურებულ რწმენა-წარმოდგენებთან. პირველი, რაც გვაფიქრებინებს მგელ/ძაღლის კავშირს მზესთან, ეს გახლავთ კვირია, რომლის “დაქვემდებარებაში არიან იასაულნი, ანუ მგლების ლაშქარი, რომლის მოვალეობას შეადგენს მიწაზე ღვთის ნების აღსრულება”(12,48). ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ “კვირია მორიგე ღმერთის შემდეგ უძლიერესს ღვთაებად იყო მიჩნეული. სამართლის წარმოება კვირიას უფლებას შეადგენდა. მას მორიგე ღმერთის კარზე თავისუფალი მოქმედების უფლებაც ჰქონდა, ანუ ღვთის კარზე მოარული იყო”(117,202). ავტორი ასევე აღნიშნავს კვირიას კავშირს მზესთან: “შატილის ღვთისმშობლის ხატის ხუცისაში ნათქვამია: “დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა... მზესა, მზისმყოლ ანგელოზთა, დიდს კვირიასა, ღვთის მადლის მაკარვესა!” ამ საგედრებელისგან გამომდინარეობს, რომ კვირია მარტო “მორიგესთან” კი არ იყო დაკავშირებული, არამედ მზესთანაც”(117,203). აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და კერძოდ, მთიულეურ რწმენა-წარმოდგენებში კვირიასთან კარავი და ცეცხლია დაკავშირებული (ამაზე უფრო ქვემო). მისი “დასჯის ერთ-ერთი მეთოდი სწორედ სახლ-კარის გადაწვა იყო”(12,14). ასევე მხედველობაშია მისადები საკითხის ეტიმოლოგიური მხარეც, რაზეც უურადღებას ამახვილებს ვ. ბარდაველიძე: სახელ კვირიას ეტიმოლოგიური სიახლოვე საწესო პურთან კვერთან, რომელიც კერის ნაცარში ცხვებოდა, კვართან (სინათლის წყარო) და თავად სიტყვასთან კერა, კერია<sup>3</sup>. ამასთანავე მკვლევარი აღნიშნავს, რომ კვერი შეიძლება ყოფილიყო თეოფორული სახელი პურისა, რომელიც ოდესლაც კვირიას ეძღვნებოდა. ის გარემოება, რომ კვირია დამსჯელ საშუალებად ცეცხლს იყენებდა შეიძლება მიუთითებდეს კავშირზე ამ ღვთაებასა და ცეცხლის კულტს შორის; ოდონდ აქ ავტორის შეხედულებით, უნდა იგულისხმებოდეს მიწიერი, კერის ცეცხლი, რაზეც მიუთითებს კვირიას ეპითეტი: “ხმელთმოურავი”(12,13-14). ვ. ბარდაველიძის ამ მოსაზრებას ემხრობა ი. კიკვიძე. ავტორს მიაჩნია, რომ კვირიას სიმბოლო ცეცხლი და კერია უნდა ყოფილიყო. ამას უნდა მოწმობდეს მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, სადაც სხვადასხვა ფენის შენობების იატაკები ერთმანეთზეა გადალესილი. როგორც ი. კიკვიძე ფიქრობს, ახალი სახლის შენების დაწყებამდე ძველი საგანგებოდ იწმინდებოდა; გამონაკლისი მხოლოდ დამწვარი ნაგებობებია. ნახანძრალი შენობების გაწმენდას რატომდაც

<sup>3</sup> ოუკი გავითვალისწინებოთ ეს და კ ბგერების ურთიერთხანაცვლებას ქართულ ენაში, კერიის სინონიმად ნახმარი – ყვერფი კიდევ უფრო მეტ ფონეტიკურ სიახლოეს ამჟღავნებს კვერთან და შესაბამისად კვირიასთანაც.

ერიდებოდნენ. ცეცხლისადმი ამგვარ მოწიფებას მკვლევარი იმ ფაქტით ხსნის, რომ ქართველთა რელიგიური წარმოდგენებით, შეცოდება კვირიას წინაშე ხანძრით ისჯებოდა. შესაბამისად, ავტორი ვარაუდობს, რომ ქვაცხელების, ხიზანაანთ გორისა და გუდაბერტების ნამოსახლარები შეიძლება გადამწვარი ყოფილიყო ნაყოფიერების ღვთაების – კვირიას დღესასწაულის დროს, რადგან ადრეული ბრინჯაოს ნამოსახლარებზე ნაყოფიერების კულტსა და აქტს განსაკუთრებით აქვს ხაზი გასმული. თუკი კვირია იგივე პერაა, შენიშნავს ავტორი, რომელშიაც ცენტრალური ადგილი ცეცხლს უკავია, როგორც ნაყოფიერების აქტის შედეგს, მაშინ ეს დღესასწაული ცეცხლის დღეობად უნდა წარმოვიდგინოთ; ქართულ რეალიაში არაერთი ასეთი დღეობაა დადასტურებული: ჭიაკოკონობა, კუდიანწუხერა, ლიქურეში, მარიამწმინდობა და სხვ. ამ მხრივ, განაგრძობს ავტორი, მეტად საინტერესოა გადასატანი კერები, რომლებსაც იგივე დანიშნულება შეიძლება ჰქონდათ, როგორც ქართველ მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებში ხატის დროშებს; სამლოცველოს ან სახლის გარეთ ყოველგვარ საკულტო რიტუალში, იგი სტაციონარულ კერას ცვლის, ე.ი. კვირიას გადასატანი ხატია(44,195,206).

კვირიასთან ერთად მზისა და ცეცხლის კულტთან დაკავშირებულია კვირისტავიც, რომელიც მოყოლებული ენეოლითის პერიოდიდან ერთ-ერთ უპირველეს საკულტო-რელიგიური დანიშნულების მქონე საგნად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ამას ი. კიკვიძე შენიშნავს, “კვირისტავების უმრავლესობაზე ვხვდებით მზის სტილიზებულ გამოსახულებას: სხივისებურად განლაგებულ წერტილოვან, წიწვოვან, ხაზოვან და ფრჩხილისებურ ჭდებებს, რომლებიც დინამიურადაა გადმოცემული, რაც შესაძლოა იმის მაუწყებელი იყოს, რომ საქმე გვაქვს სიცოცხლის, მზის კულტთან”(44,155).

რაც შეეხება “ყურშას” საკითხს, ე. ვირსალაძის მიხედვით, ჩვენამდე მოღწეული “ყურშაოს” სიმღერა წარმოადგენს საგალობელს, პიმნს, ქებას, მიმართულს ზებუნებრივი არსებისადმი, რომელზედაც ძველი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, დამოკიდებული იყო მონადირის იღბლიანობა. ამასთანავე, ავტორი ფიქრობს, რომ ძაღლის გამოსახულებას ცულებზე შეიძლება სამონადირეო დატვირთვა ჰქონდა(39,66), თუმცა არც ნაყოფიერების ფუნქციაა გამოსარიცხი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ქართველებს ყურშა შავ ძაღლად წარმოუდგენიათ. როგორც ნ. აბაკელია შენიშნავს: “ყურშა – ყურშაგის შემოკლებული ფორმაა. მისი შავი ფერი მეტეოროლოგიურ

სიმბოლიზმთანაა დაკავშირებული. იგი სამგლოვიარო ფუნქციასაც ინარჩუნებს. მნიშვნელოვანია, რომ ყურშა ერთსა და იმავე დროს “ოქროს მორთულობით” დაკავშირებულია ზეციურ ძალებთან, ხოლო შავი ბეჭვის შეფერილობით დათის მგლებთან. ყურშას სახეში დაფარულია მისი საბედისწერო ხასიათი. პატრონი და ძაღლი თვალს თვალში უყრიან გადამწყვეტ წუთებში პირველად გაელვებისას, როცა პატრონი თავისი თანხმლების არსს ჩასწვდება; მეორედ როცა ყურშა დაკვირვებით შესცეკრის თვალებში მას, ვისაც რამდენიმე წუთში უფსკრულში გადასჩეხავს”(2,63,67,80). ყურშას “დათაებრივობას” ხაზს უსვამს ერთი მხრივ, მისი ციური წარმომავლობა (ორბის, ქორის, არწივის ნაშობი), მეორე მხრივ კი, მისი ჭექა-ქუხილის ხმა. როგორც ცნობილია, ჭექა-ქუხილი ითვლება დათის ნების გამოვლინებად. საკრალურად სწორედ ნამეხარი ხე იყო მიჩნეული. საქართველოში და ზოგადად კავკასიაში, მეხით მკვდარს ღმერთის რჩეულად თვლიდნენ. ძველად ასეთი სიკვდილი ბედნიერებად მიაჩნდათ. ასე მაგალითად: “აფხაზები მეხით მკვდარს “დათის საგალობელს” უგალობდნენ, ზესადგარებზე დაასვენებდნენ და მარხავდნენ; ამასთანავე მართავდნენ ცეკვა-სიმღერას, ტირილი აკრძალული იყო”<sup>4</sup>(85,271). ყურშა როგორც ბედისმწერალი და დამსჯელი ფუნქციონალურად უახლოვდება კვირის მგელ-ძაღლებს, რომელიც, როგორც აღინიშნა, სწორედ ცეცხლის სტიქით სჯიან. ძველ მსოფლიოში “მზე ყველგან სამართლიანობის დამდგენელად ითვლებოდა”(76,317). აღვნიშნავთ იმასაც, რომ კვირიას, როგორც სამართლის გამტარებლის “მზიური, ცეცხლოვანი ასპექტი” ანალოგს პოულობს ხეთურ სამყაროსთან, სადაც მზის დათაება, უპირველეს ყოვლისა, სამართლის გამგებლად გვევლინება: “ცის, მზის დათაებავ, ზღვიდან ამოდიხარ, და ცად ამაღლდები; კაცის, ძაღლისა (და) დორის, გარეული ცხოველების სამართალს ყოველდღიურად შენ, მზის დათაება, ქმნი”(87,97). ამრიგად, ყურშას ჭექა-ქუხილის ხმა და ოქროს ყურ-ტუჩი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიუთითებდეს მის კავშირს მზესთან.

6. მარი მზის სემანტიკის შემცველ კურ-ცხალს ზმა - ყურებას უკავშირებს: „Что же касается первой части слова kur-tsqual, то kur - 'глаз' совершенно не ладит с груз. tual 'глаз', но находит свое оправдание в основе kur глагола из живой грузинской народной речи – **kur-eb-a** ‘смотреть’“ (64,331). ამრიგად, უფრო თვალნათელი ხდება ყურშას კავშირი თვალთან და ყურებასთან. აღნიშნულ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ მონადირის დაღუპვამდე სწორედ შეხედვა,

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ “მზისა და ცეცხლის ძველინდური დათაება აგნი დაბადებულია როგორც კლვა წვიმაში, “ხმა წყლისა”, აგნი არის შვილი მზისა; იგია მზე”(76,36).

ყურება, “თვალის თვალში გაყრა” იქცევა გადამწყვეტ, ფატალურ აქტად, საცრისოდენა თვალები კი ერთის მხრივ ხაზს უსვამს ყურშას “ფართო ხედვას”, ხოლო მეორეს მხრივ კი, მის უნარს გარკვეული ზემოქმედება იქონიოს ამინდის ცვალებადობაზე, რადგან “საცრის ტოლა” თვალი, ი. სურგულაძის მინიშნებით, “საავდროდ გამზადებულ სახეზე, ამინდის დვთაების მრისხანების, გაავდრების სურათის მეტაფორული გადმოცემა”(85,251). გავიხსენოთ ე. ვირსალაძის მინიშნება, რომ რაჭული ვერსიით, “ყურშასადმი” მიძღვნილ სარიტუალო ფერხულის შესრულებას ამინდის ცვალებადობა მოჰყვებოდა ხოლმე. თანაც ავტორს „ყურშა“ ნადირთპატრონის ზოომორფულ სიმბოლოდ მიაჩნია, რომელიც ასევე ითავსებდა ამინდის პატრონის ფუნქციებსაც: „ძაღლი მტკიცედ იყო დაკაგშირებული ნადირთპატრონის, გვიან კი მონადირეობის დვთაების სახესთან. იგი ხშირად მის დუბლიკატს, მის სახეცვლილებას წარმოადგენდა. ნადირთ პატრონი ძაღლის სახით ეჩვენებოდა მონადირეებს. გვიან ძაღლი ნადირთ პატრონისა და მონადირეთა დვთაების ერთ-ერთ ატრიბუტად იქცა. ჩვენი ყურშას საოცარი წამოშობა, მისი უშუალო კავშირი ნადირთპატრონ მესეფებთან, მისი ნადიორბის უნარი და იღბლიანობა ნადირობაში, მისი ცის ქუხილის მაგვარი ყეფა, მთვარის ოდენა თვალები და გეელიგით დაკლაკნილი წარბები არ ყოფილა შემთხვევითი სახეები ქართულ ფოლკლორში. ყურშა ნადირთ პატრონის, უფრო გვიან კი მონადირეობის დვთაების ატრიბუტი ან მისი ერთ-ერთი სახეცვლილებაა. საგულისხმოა, რომ რაჭაში დაცული წარმოდგენით, „ყურშაოს“ სიმღერას ფერხულში შესრულებას ამინდის შეცვლა მოჰყვებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, ადრეულ პერიოდში ნადირთ პატრონი ითავსებდა ამინდის პატრონის ფუნქციებსაც“(39,72).

დვთაება კვირიას დაქვემდებარებაში მგელ-ძაღლების ლაშქარია – ყურშასთან მისი კავშირი მითო-რელიგიური თვალსაზრისით გამართლებული უნდა იყოს; თანაც სრულიად ბუნებრივია, რომ მზესთან დაკაგშირებული, სამართლის გამგებელი უზენაესი დვთაების ფუნქცია სწორედ სამწყსოზე დაკვირვება, თვალ-თვალი ყოფილიყო. დვთაება კვირიას „თვალთან“ კავშირი რომ უნდა პქონოდა, ამის დასტურია ისიც, რომ მთიულთა რწმენა-წარმოდგენით, თვალის ჩინი ერთმეოდა მას, ვინც კვირიას დღეობაზე (ხალარჯობა) უქმეს არ შეინახავდა(12,13).

ყურშას ოქროს ყურ-ტუხი და ჭექა-ქუხილის ხმა “დვთის სიტყვად”, “დვთაებრივი ენერგიის გამტარად” შეიძლება მოვიაზროთ. პირისა და ზოგადად მეტყველების კაგშირს მზესთან და ცეცხლთან შეიძლება მივაკვლიოთ ქართული

მითოლოგიური პერსონაჟების, პირიშისა და პირცეცხლის სახელებში. ცეცხლისა და მეტყველების კავშირზე მიუთითებს ქართულ ენაში აღის მნიშვნელობით ნახმარი: ცეცხლის ენა და გამოთქმა ენამზიანი, რომელსაც მჯერმეტყველის, ლამაზი ენით მოსაუბრეს დატვირთვა აქვს. იგივე მნიშვნელობა აქვს კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ცნობილი ღვთისმეტყველის, იოანეს ზედწოდებასაც – ოქროპირი, თუკი გავითვალისწინებო ოქროს მზიურ სემანტიკას. ღმერთის “ოქროპირობა” მოცემულია ქართულ ხალხურ პოეზიაშიც, როცა ღვთის კარზე მისული პირქუში ღმერთს მისი ყმის შეწყალებას სთხოვს: “ბაგენ დაუძრნა უფალმა, ხედავს ოქროსა პირსაო...”(98,121). ანალოგიური შეხედულებები დასტურდება ინდურ მითოლოგიაში, მაგალითად: ““უპანიშადებში” აღწერილია პირველარსის პურუშას შექმნა... პირი გამობარისა გაიღო როგორც კვერცხი; პირიდან გამოვიდა სიტყვა, სიტყვიდან – ცეცხლი...”(86,129).

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჭექა-ქუხილის გაჩენის ალტერნატიული ვარიანტი, “რომელიც ფშაურ პოეტურ ტრადიციას ემყარება, რომლის მიხედვით ჭექა-ქუხილის გაჩენა ღმერთს კი არ უკავშირდება, არამედ ერთ-ერთ ღვთიშვილს, როსტომს. იგი დევებთან მებრძოლი გმირია. გაუგებრობის გამო, მას საკუთარი შვილი შემოაკვდება; გამწარებული როსტომი ისე შევკივლებს, რომ ჭექა-ქუხილს გააჩენს”(114,117). ფშაური პოეზიის ამ ფრაგმენტში ნიშანდობლივია ის, რომ აქაც იკვეთება ხმისა და ჭექა-ქუხილის ურთიერთმიმართება.

“ჭექა-ქუხილის ხმა” თუკი ღვთაებრივი ნების გამოხატულებაა მაშინ ადვილად იხსნება კავკასიურ-ნართულ ეპოსში ყურშას ნათელხილვის, გულთმისნობის უნარი (7,167). ბაგისა და ცეცხლის მიმართება ბიბლიაშიც დასტურდება. სწორედ ცეცხლის სტიქით ხდება ესაია წინასწამეტყველის “ბაგეთა განწმენდა” და მისთვის წინასწარმეტყველების უნარის მინიჭება: “მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი და ხელში სამსხვერპლოდან აღებული მუგუზალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და მითხრა: აპა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა უკეთურება, მიტევებულია შენი ცოდვა”(ძველი აღთქმა, ესაია წინასწარმეტყველი, თავი VI, თ. 5-7). სულიშმინდის მადლი მოციქულებზე ცეცხლოვანი ენით გადმოდის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს: “და მოევლინათ მათ გაყოფილი ენები, როგორც ცეცხლოვანი და თითო-თითოდ დაედგნენ ყოველ მათგანზე. და ყველანი აღივსნენ სულიშმინდით და იწყეს ლაპარაკი სხვა ენებზე, როგორც სული აძლევდა მათ ამეტყველებას”(ახალი

აღთქმა, საქმე 2, თავი 2). ქართველთა მეფე ფარნავაზის სიზმარიც სრულიად ბუნებრივად თავსძება ამავე კონტექსტში თუკი გავითვალსწინებთ მის დიდ მისიას ქართული ენის განვრცობისა და განმტკიცების საქმეში: „მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცერსა და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქვეყ-მდაბლად, მიჰყო ხელი მისი მოპხოცა ცუარი მზისასა და იცხო პირსა მისსა“ (93,21).

ახლა გავიხსენოთ, რომ ჭექა-ქუხილი ცეცხლთან ერთად წვიმას, წყალს უკავშირდება<sup>5</sup>. როგორც ჩანს, მგელ/ძაღლის სიმბოლოს საქართველოში მზესთან ერთად მჭიდრო კავშირი უნდა პქონოდა წყლის სტიქიასთან. ამის ნათელი დადასტურებაა მესეფებთან ერთად ზღვიდან ამოსული ძაღლები, რომლებსაც მეტეოროლოგიური ფუნქცია ენიჭებოდათ (46,127) და ასევე გვერის, ანუ გველებისფეხებიანი მგელ-დრაკონის არსებობა კოლხურ ცულებზე (37,29). მგელ/ძაღლების გამოსახულებები გვხვდება ფარფლის ფორმის ფეხებითაც (სურ.№2), რაც „ასევე ქვესკნელურ წყალთან კავშირზე მიუთითებს“ (114,132). მგელისა და გვერის ფონეტიური მსგავსება გველთან დამაჯერებელს ხდის იმ ვარაუდს, რომ მგლის ტოტემის უფრო არქაული სახე, როგორც ამას ნ. მარი შენიშნავს, გველი ან ციური გველებაპი უნდა ყოფილიყო (62,32), რომელიც კოსმიურ ოკეანეს, ზესკნელისა და ქვესკნელის წყლებს, პირველად ქაოსს წარმოადგენდა: “ქაოსს უფრო ხშირად დრაკონი<sup>6</sup> განასახიერებდა. გველი, რომელიც ქვესკნელს ეკუთვნოდა, მზიურადაც მიიჩნეოდა. ქართველთა რწმენით, მზე გველზე შემჯდარი, ზესკნელისა და ქვესკნელის წყალთა შორის თავისი მოძრაობის აუცილებელ ციკლს ასრულებდა. დამე ქვესკნელში მზის ჩაძირვის შედეგი იყო, სადაც მას ამ წყლების გამგებელი დრაკონი შთანთქავდა, მაგრამ მზე თავს დააღწევდა და ყოველ დილით ზეცაზე ამობრწყინდებოდა”<sup>7</sup> (114,131). იგივე მოტივები ჩანს თრიალეთის კულტურაში. კერძოდ, ასეთი მტკიცების საფუძველს გვაძლევს “XVII ყორდანში მოპოვებული ჭურჭელი, რომლის მხარზე,

<sup>5</sup> ნ. მარის მოსაზრებით, ცეცხლის აღსანიშნავად ქართული ენა იყენებს იმავე სიბილიანტურ ნაირსახეობას – ცხალ, რომელიც წყალს ნიშნავს, თუმცა უმატებს ცე-ს (იგივე ზე-ს) “ზედა”-ს მნიშვნელობით (63,26).

<sup>6</sup> წყლის სტიქიასთან დრაკონის კავშირზე მიუთითებს ძველი ჩინური ტრადიცია, რომლის მიხედვით, გვალვის დროს “წყიმს დევაებან”, უზარმაზარ დრაკონს გამოჭრიობენ ქაღალდისგან და სოფელ-სოფელ დაბარებდნენ (79,89).

<sup>7</sup> ნიშანდობლებით, რომ გერმანულ მთოლოგიაში მზეს, გველებაპის ნაცვლად მგელი ყლაპავს, რაც კიდევ ერთხელ უსამს ხაზს, მგლის ტოტემის გველიდან, გველებაპიდან მოდინარეობას (29,25). გველებაპის როგორც “მცველის”, “დარაჯის” ფუნქციები სავარაუდო მგელმა ჩაინაცვლა, რაზედაც მოწმობს თუნდა პადესის მგელ-ძაღლის “კერძეროსის” ხახე. რომელსაც ტანი გველებით აქვს დაფარული.

შუა წელამდე, გამოსახულია წყლის კლაკნილი ზოლი. ხვეულებში ზის დისკოები, მზის გამოსახულებებით. ასეთი კლაკნილი, გადმა-გამოლმა დასმული ასტრალური ნიშნებით თრიალეთში ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაშია დამოწმებული. თრიალეთელთა მხატვრობაში იკვეთება წარმოდგენა კოსმოსური წყლებით გარემოცულ სამყაროზე, რომელსაც გარს უვლის მზე”(85,197). ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს, ერთ-ერთი კოლხური ტიპის ცელი, რომლის ტარზე მოცემულ ტალღოვან კლაკნილის, რაც წყლის სტიქიაზე მიგვანიშნებს, ამშვენებს არა მზის, არამედ ძაღლისმაგვარი თავების გამოსახულებები. ნახატი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ძაღლებმა ესესაა “წყლიდან ამოყვინოთეს” (სურ.№3). თუკი გავითვალისწინებთ, მგელ/ძაღლის სოლარულ ასპექტს, შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ამ შემთხვევაში, მზის გამოსახულებას უკვე მისი ზოომორფული სიმბოლო ჩაენაცვლა.

ამრიგად, გველებისფეხებიანი მგელ/ძაღლი ორი სტიქიის კავშირზე მიუთითებს: წყლისა და ცეცხლის და პირდაპირ სიახლოვეს ავლენს კოსმიური წყლებიდან “მზის დაბადების” მითოლოგიასთან. შესაბამისად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წყალში “გაჩენილი” ჰექა-ქუხილი იდეურად უკავშირდება “შესაქმის” აქტს, ანუ ღვთის სიტყვის გამოვლინებით კოსმიურ, ქაოსურ წყლებში სამყაროს დაბადებას: “სული ღვთისა იძროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი”(ბიბლია, დაბადება, თავი I). სწორედ აქედან უნდა იღებდეს სათავეს ჰექა-ქუხილის საკრალური ხასიათი, რომელიც “ყურშას” მითიურ სახეშია შემონახული. ამგვარად, კოლხურ საწესო-სარიტუალო ცელებზე გამოსახულ გველებისფეხებიან მგელში, რომელიც ორი სტიქიის: წყლისა და ცეცხლის<sup>8</sup> კავშირზე მიუთითებს, შესაძლოა დავინახოთ ნაყოფიერების უმაღლესი გამოვლინება სამყაროს “შესაქმის” თვალსაზრისით და ამასთანავე განვჭვრიტოთ სიკედილისა და კვლავ დაბადების იდეა, რომელიც უკავშირდება ქვესკნელური წყლებიდან მზის დაბადების ყოველდღიურ ციკლს. ეს ციკლი კი ალეგორიულად დაკავშირებულია კვდომად და აღდგენად, გამანაყოფიერებელი ძალების მქონე უძველესს ღვთაებებთან და მათთან დაკავშირებულ საგაზაფხულო დღესასწაულებთან, რომლებიც საქართველოში კვირიას, ბერიკას სახელებს უკავშირდებიან (85,107). ამიტომაც, “ყურშაოს” საწესო ფერხული, რომელიც დაღუპული მონადირის დატირების ტექსტს

<sup>8</sup> წყალსა და ცეცხლს ოდიოგანვე პირველია სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; ამაზედ მიუთითებს სიბრძნე ზირაქისა: “ადამიანისოვთის სიცოცხლის სახსართაგნ მთავრია: წყალი და ცეცხლი...”, იხ. ქველი აღთქმა, სიბრძნე ზირაქისა, თ. 39-40, 26; ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ ძველ რომის კანონმდებლობით, ვინძესოვის წყლითა და ცეცხლით სარგებლობის აკრძალვა: “*aqua et igni interdictum*” ნიშნავდა მისთვის ცხოვების შესაძლებლობის მოსპობას, რაც უმკაცრეს სახელს გულისხმობდა – რომის ტერიტორიიდან გაძევებას.

მოიცავს, ემთხვეოდა გაზაფხულის დადგომას. საკითხთან დაკავშირებით ე-ვირსალაძე შენიშნავს: „ნადირო პატრონის ჭურისძიებით დაღუპული მონადირის სახელი საქართველოში გარკვეული კულტის საგანი იყო. სვანეთში იგი გაზაფხულის დღესასწაულს უკავშირდებოდა. სწორედ ეს დღეა აღწერილი ბეთქილის ფერხულში და თვით ეს ფერხულიც ამ დღეს სრულდებოდა. მთარაჭული თქმულების თანახმად იმ უზარმაზარი ქვის - „ქვაციხის“ მახლობლად, რომელიც გადმოცემით „გადმოყვა“ კლდიდან „გდმოფრენილ“ მონადირეს - აშენებულია ეკლესია, სადაც ინახება დაღუპული მონადირის მშვილდისარი, საგულისხმოა, რომ ქვაციხესა და ივანე ქვაციხისელის სახელთან დაკავშირებული დღეობა აღდგომის მესამე ორშაბათს სრულდებოდა. ამ დღეს ასრულებდნენ აქ ფერხულს, სადაც იმდერებოდა ყურშას ლექსი-დატირება (39,123). ავტორი იქვე ასკვნის, რომ „როგორც რაჭული ისე სვანური მასალები ხაზს უსვამენ ერთ გარემოებას: დაღუპული მონადირის სხეული „ნაწილ-ნაწილ“ დაფლეთილი მთელს კლდეს მოედო „ძვალი ცალკე და ხორცი ცალკე“, დაბლა მდგარი დედა და ახლობლები მის ძვლებს „კრევენ“. ეს დაჟინებით გამეორებული მოტივი არ არის შემთხვევითი. მოვიგონოთ კლდიდან გადმოგდებული ატტისის დაფლეთილი სხეული, რომელსაც ქვევით დედა ელოდებოდა, რომ შემდეგ ღვთაებრივი ჭაბუკის გარდაცვალებით გამოწვეული ცრემლები სიხარულით შეცვლილიყო. მისი სხეული განაყოფიერების სიმბოლო იყო, რომლის შედეგად ღვთაება მკვდრეთით აღდგებოდა და მასთან მთელი ბუნებაც. ეს საგაზაფხულო დღესასწაულის მსხვერპლი იყო“ (39,124).

დაღუპული მონადირის სახე კი, „რომელიც ხშირ შემთხვევაში ნაყოფიერების ქალ-ღვთაებასთანაა დაწყვილებული, მზის ნაყოფიერების მამრობით ძალებს განასახიერებდა. ნადირობის სცენები, სადაც ლომები (და ვფიქრობთ, ზოგადად სოლარული ნიშნით გამორჩეული ცხოველები, მათ შორის, მგელ/ძაღლები<sup>9</sup> - მ.მ.) ან მონადირენი დასდევენ ირმებს, უნდა განვიხილოთ როგორც ბუნების კვდომა-აღორძინების სიმბოლური ასახვა. მათი დაპირისპირებით გამოსახულია დედური და მამური პირველსაწყისების კოსმოგონიური პრინციპები“ (85,35). ქართულ საქორწილო რიტუალს ამის ზოგიერთი ნიშანი შერჩა: „ხშირია ნეფის – მონადირის სახით, ხოლო დედოფლის – მონადირებულის, ნანადირევის სახით წარმოდგენა“ (85,115). საკითხთან დაკავშირებით, ე. ვირსალაძე შენიშნავს: „ნადირობის ქალღმერთი

<sup>9</sup> ქოლხურ-ჭობანურ ბალთებზე გამოსახული ძაღლები ძირითადად გამოსახულნი არიან „ნადირის ღევნის“ პროცესში, წინსწაფვის ხაზგასმით, ფართო დაკიდული ყურებით, უცან აპრესილი კუდებით და დაღუპული ხახით (68,297).

მცირე აზიასა და საბერძნეთში ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, ქორწინების მფარველ დვთაებადაც ითვლებოდა. ქართულ საქორწილო რიტუალს ამის ზოგიერთი ნიშანი შერჩა. პირველი, რაც იპყრობს ჩვენს უურადღებას ქართულ საქორწილო პოეზიაში, არის ნეფისა – მონადირის სახით, ხოლო დედოფლისა – მონადირებულის, ნანადირევის სახით წარმოდგენა: საქართველოში მეტად გავრცელებული ერთ-ერთი მაყრული ტექსტი ქორწინების ასეთ გაშლილ მეტაფორას წარმოგვიდგენს:

ჩვენს ნეფეს უნადირნია  
არსიანისა მთაზედაო,  
მოუკლავს ხარი, ირემი,  
გადუკიდია მხარზედაო“(39,148).

კოლხურ ცულებზე გამოსახულ მგელ/ძაღლებში იკვეთება ერთი მხრივ, “სამართლის გამგარებლების” ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ, მათი გამანაყოფიერებელი, მამრულ-ფალიკური ფუნქცია. ვფიქრობთ, ეს ორი ასპექტი: სამართლიანობა და მზიურობა, დღვენდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში მიიღვლება საქართველოს მთიანეთში გავრცელებული კვირიას სახეშიც.

კვირიას ეპითეტებია – “კარავიანი”, “დვთის კარზე მოკარვე”, “დვთის მოკარვე”. გასათვალისწინებელია ადგილობრივი რწენა-წარმოდგენები კვირიას “კარავთან” დაკავშირებით, რაზედაც უურადღებას ამახვილებს ა. ლეკიაშვილი: “ხევსური მთხოვნილის გიორგი (ძაღლიკა) ლიქოკელის სიტყვით: “კვირაეს კარავი ცაშია გადაფენილი”, მას “ყოველ შაბათს ხმელზე გადმოდგამს და ქვირას ნაშუადღევს უკან აიღებს”. ამავე მთხოვნილმა ხევსურული სადიდებლის შემდეგი სიტყვებიც გაიხსენა: “დიდო კვირაევ, ძალიანო, ხმელზე კარავის გარმამდგმელო””(54,170).

კვირიას „კარავს“ შესაძლოა დვთაებრივი „კარის“ ფუნქცია ჰქონდეს, რომელიც თავის მხრივ, მითო-რელიგიურ სიახლოებეს იჩენს „კერასთან“, რომელსაც სწორედ „კარის“ ფუნქცია ჰქონდა ქართველთა საცხოვრისში, ვინაიდან წარმოადგენდა დვთიურ სამყაროში “გასასვლელს”, რომლის გარშემოც მთელი რიგი საწესო რიტუალები სრულდებოდა. ახლა თუკი მოვიგონებთ, ი. კიკვიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კვირიას სახე უწინარესად დაკავშირებულია კერასთან და ცეცხლთან, არ არის გამორიცხული მისი „კარგიანობაც“ ცეცხლს, მზეს დაგუაგშიროთ.

საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ქართული არქეოლოგიური მასალა იცნობს იტიფალურ დვთაებებს, რომლებსაც ერთი ან წყვილი რქა ამშვენებთ, რაც უდაოდ მათ დვთაებრივობას უსვამს ხაზს. ჯ. რუხაძე ამ დვთაებებს უკავშირებს ბერიკაობის საგაზაფხულო დღესასწაულებს (81,144). რქისა და დვთაების ურთიერთკავშირზე მიუთითებს ასევე ლომისის წმ. გიორგი, რომელიც ხალხური თქმულებით, “თეთრი ხარის, “ლომას” რქაზე მჯდარა და საქართველოში ირანიდან ისე შემოსულა”(57,32). ვფიქრობთ, ხარის, როგორც წმინდა ცხოველის რქებს, “დვთიური კარის” ფუნქციაც ჰქონდათ, რაზედაც მიუთითებს თაღის, იგივე სალოცავის მნიშვნელობით ნახმარი ქართული სიტყვა ნიში/ნიშა, რომელიც იმავდროულად “ნიშა-ხარის” ეპითეტიც არის, რომელიც ისევე “როგორც ლომა, ნიკორა და სხვ. საკულტო სახელებს ადგილად შეგვიძლია მივუახლოვოთ”(5,149). ხარის კულტის გამოძახილია ახალგაზრდა დაუკოდავი ხარის, კურატის სამსხვერპლო მნიშვნელობა საქართველოში და ბავშვის “კურეტად დაყენების” წესი, რომელიც “ატარებს ინიციალური სიმბოლიკის ნიშნებს და თავისი არსით ეხმიანება ბერძნულ ინიციაციაგავლილ ახალგაზრდა შეიარაღებულ ყმაწვილებს – **kouretes** – ორგიასტულ მოცემაგვებას”(2,29). თუკი კურ მარცვლის “მზიურ” კონტექსტში გააზრებას მოვიგონებთ, ადვილი შესაძლებელია სამსხვერპლო კურეტში და “კურეტად დაყენების” წესში კოსმიურ წყლებში “მზის დაბადების” მითოლოგება დავინახოთ, ვინაიდან ინიციაციაგავლილი ყმაწვილი კურეტი იგივე “ხარ-ჭაბუკია, რომლის მთავარი ფუნქცია სამყაროს ყოველწლიური განახლება იყო” (2,29). ამავე სულისკვეთების გამომხატველია ხარის რქებზე სანოლის დანოუბის ტრადიციაც და სვანური ხალხური პოეზია, სადაც საკულტო ხარის რქები მზესთანაა დაკავშირებული: “მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია, ბარბოლ-დოლაშ” (5,148). ნათქვამთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ციური სხივით განაყოფიერებული ეგვიპტელთა წმინდა ხარი – აპისი, რომლის რქებს შორის ხშირ შემთხვევაში მზის დისკო გამოსახული. საინტერესოა, რომ ყაზბეგის განძის საკულტო შტანდარტები მოიცავს “იტიფალურ დვთაებებს, რომლებიც ხარის რქებს შორის მყარად დგანან”(სურN.4) (116,68). საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რქებს შორის სივრცე, რომელიც სრულიად ბუნებრივად ქმნის კარისა თუ თაღის იმიტაციას, სოლარულ-გამანაყოფიერებელი ნიშნების ქმონე “დვთაებათა სადგომად” მიიჩნეოდა. საკითხთან დაკავშირებით, მომყავს ფრაგმენტი შ. ამირანაშვილის ნაშრომიდან: „ა. ტალგრენის აზრით, კავკასიის ხალხთა ხელოვნებაში, აგრერიგ გავრცელებული ადამიანის ფიგურის ცხოველის

რქებზე მოთავსება, შემოტანილია მცირე აზიიდან, რადგან იგი გვხვდება სირიის გლიპტიკურ ძეგლებზე. მაგრამ მცირე აზიის ხალხთა, განსაკუთრებით ხეთებისა და მიტანელების მცირე პლასტიკა, ჯერჯერობით საკმაოდ არ არის შესწავლილი და ტალგრენის მოსაზრება ჯერჯერობით სადაცოდ რჩება. ამ აზრის წინააღმდეგ, უმეტესობა ნიშნებისა, რომელნიც განასხვავებენ ბრინჯაოს ფიგურებს როგორც სტილის, ისე შინაარსის მხრივ, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართული მასალებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხეთური ბრინჯაოს მცირე პლასტიკის არც ერთ ნაწარმოებს არ ახასიათებს ითიფალობა. ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს მცირე სკულპტურა მთლიანად დაკავშირებულია ნაყოფიერების მამრობითი სქესის დვთაების კულტთან. ამ კულტის გადმონაშთს ვხედავთ ხალხურ სანახაობრივ წარმოდგენებში, განსაკუთრებით ბერიკაობასა და ყეენობაში, რომლებიც საქართველოში იმართებოდა გაზაფხულის პირზე, ჩვეულებრივ ყველიერში“(8,59). აქვე, არ უნდა დავივიწყოთ არც ნადირობის მისტერია წმ. ესტატესი, რომელსაც მანათობელი ჯვარი და ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულება სწორედ ირმის რქებს შორის გამოეცხადა. აქვე უნდა გავიხსენოთ „ჩვენს მითოლოგიაში დადასტურებული ეპითეტები გარეული ჯოგების ბელადისა „რქა ნათლიანი“ ან „რქამნათი ჯონქაი“ (ვაჟა); აგრეთვე ხალხური დექსი:

ღვთისაგან კურთხეული ხარ, გადგება სვეტი თვაზედა,  
შენი ჭირიმე ნიკორავ, ჭირიმე შენი ძალისა,  
შენდ მაუცემავ უფალსა ძალ-ღონე ამირანისა“(45,191).

როგორც ზ. კიკნაძე შენიშნავს, „ასეთი სვეტი ადგას თავზე დვთაებასთან გათანაბრებულ, შუმერთა მეფეს, ხალხის მწყემსს ნარამსინს, რომელიც „გარეულ ხართანაა“ გაიგივებული; სატრიუმფო ბარელიეფზე ის მართლაც ძლევამოსილი ხარივით მიუძღვება წინ თავის ლაშქარს“(45,191). ნიშანდობლივია ისიც, რომ ფშავური ანდრეზით ხარის რქებს შორის „ცეცხლის გაჩენა“ იმ ადგილზე სალოცავის დაარსების აუცილებლობაზე მიუთითებდა: „დელეში, სადაც წინწინ ხოშარლები ცხოვრობდნენ, ჯერ სალოცავი არ ყოფილა. ერთხელ, როცა პურს ლეწდნენ, ხარებს რქებზე ცეცხლი უჩნდებოდა. ბოლოს, მკითხავმა უთხრა: „აქ თამარ მეფის სალოცავი დაარსდა და უნდა აიყარნეთ, რქებზე ცეცხლი ამის მიზეზი არისო““(47,232). დამოწმებული მასალაც მეტი

დამაჯერებლობით გვაფიქრებინებს, რომ რქებს შორის სივრცე დვთაებრივ-მანათობელი კარის გაგებით შეიძლება აღვიქვათ. დაბოლოს, მზისა და კარის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, საინტერესო ეპიზოდს გვთავაზობს ამირანის ეპოსი: „სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი, კოშკმა პირი იქ დააღო, იქ შაიბა კარი მისი“(9,26).

კვირიას მიერ შაბათს ხმელზე კარვის გადმოდგმა და კვირას, ნაშეადღევს მისი უკან აღება შესაძლოა გულისხმობდეს იმ დვთაებრივ-მანათობელი “კარის” გაღებას, რომელიც დვთისთვის განკუთვნილ შაბათ-კვირის დღეს მრევლს სალოცავად უხმობს. ეს ის დღეებია, როცა აღასრულებენ ხატ-სალოცავებში ლოცვას კვირიასადმი და ასრულებენ რელიგიური ხასიათის რიტუალებს. ნიშანდობლივია ის, რომ კვირია ასევე “დვთიშვილთა წინამდღოლია და უზენაესს მორიგე-დმერთოან შუამავალი”(12,23), ანუ თუ შეიძლება ითქვას იგი “კრებითი სახეა” იმ ხატ-სალოცავებისა, რომელთა მეურვეობაც გადანაწილებული აქვთ დვთისშვილებს. სოლარული წარმოდგენების დროს დვთაების ერთობა და მრავალწილიანობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: “ხევსურების, მთიულების და გუდამაყრელების რელიგიური რწმენებით დელამიწა მზის სამეფოა, მისი საკუთრებაა, სამზეოა, საღაც ყოველ ადამიანს ჰყავს თავისი მზე, “მზის წილი””(44,188). ამ მზის “წილში” შესაძლოა ვიგულისხმოთ თითოეული ოჯახის, გვარის, თუ თემის ხატ-სალოცავი, რომელიც შესაძლოა რომელიმე დვთიშვილს პქონდეს მიბარებული. თითოეული მათგანის დვთაებრივი “წილი” თუ “კარი” ერთიანობაში ქმნის იმ უზარმაზარ “ცეცხლოვან კარავს”, რომლის მპყრობელიც ხმელომოურავი მზე-კვირიად და რომელსაც იგი შაბათ-კვირას “ხმელზე გადმოდგამს”. კერაში დანთებული “წმინდა ცეცხლი”, რომელიც შიბ-საკიდლით ეშვება ციდან სწორედ თითოეული ოჯახისთვის განკუთვნილი დვთაება კვირიას “წილი სინათლეა”, რომლის ჩაქრობაც და განელებაც სიკვდილთან, უბედურებასთან იყო ასოცირებული. ქართულ ყოფაში “დვთაებრივი სიწმინდით” სარგებლობდა კერაც და საკიდელიც იმდენად, რომ “თუკი მას მოსისხლე მტერიც კი შეახებდა ხელს, სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ” (103,141). ამიტომაც, ქართველი, სახლის მნიშვნელობით ხმარობს სახლ-კარს, არა ჩვეულებრივი ყოფითი გაგებით, არამედ იმის ხაზგასმით, რომ ყოველი სახლი, კერია, ოჯახი საკრალურია, ვინაიდან გააჩნია “კარი”, რომელიც “წილნაყარია” უფალთან. ნართების აღსასრულში მოთხობილია, რომ “გადიდგულებულ ნართებს ეშმაკი სირდონი ურჩევს ღმერთისადმი ურჩობა იმით გამოხატონ, რომ სახლებს მაღალი კარი შეაბან, რომ იქ შესვლისას დმერთს თაყვანისცემის

ნიშნად თავი ადარ დაუხარონ”(73,226). თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ მეტიწილი რელიგიური რიტუალებისა კერის გარშემო სრულდებოდა, სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ოდესდაც სახლის “კარში შესვლა” იგივე “სალოცავში” შესვლის ტოლფასი იყო. კარი გვხვდება აგრეთვე საქართველოში სოფლების, დაბების დასახელებაში (მაგ., მაღალაანთ კარი, მაღაროს კარი და სხვ.), რაც უდაოდ გვაძლევს საშუალებას უფრო ფართო თვალთახედვით გავიაზროთ მისი სოციალური თუ რელიგიური არსი. შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ისევე როგორც პერაა ოჯახის ერთიანობის და ნაყოფიერების სიმბოლო, ასევე კარიც, გააზრებული რელიგიურ კონტექსტში, შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ფართო სოციალური ერთეულის, თემის, საგვარეულოს ერთობის გამოხატულება.

საგულისხმოა აგრეთვე ფშაური წარმოდგენა კვირიას კარავის რაობაზე. ფშაველი ხევისბერის გადმოცემით, კვირიას კარავი იგივე ეკლესია, რაზედაც ა. ლეკიაშვილი შენიშნავს: ““კარავი” განუყრელად უკავშირდება ქრისტეს, როგორც ახალი რელიგიის დამაარსებლის სახელს. “ზეციური, ანდა წმინდა კარავი”, გამოხატავს ციურ სამლოცველოს (ტაძარს) და აგრეთვე დმერთის ციურ სამყოფელს. ამ ქრისტიანული წარმოდგენების შუქჩე ცხადი ხდება, რომ კვირიას კარავი, იგივე ქრისტეს კარავია – მისი ზეციური ტაძარი-სამლოცველო”(54,170). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მოსეს “წამების კარავი”, რომელიც მან უფლის მითითებით ააგო (ძველი აღთქმა, გამოსვლა, თავი 23-25). მოსეს “კარავი” ქრისტიანული ეკლესიის პირველსახედ შეირაცხა. შესაძლოა ფსალმუნში მოხსენიებულ “მეშეხთა” (რომლებსაც ზოგი ისტორიკოსი მესხებს უკავშირებს) კარვებსაც სწორედ ასეთი რელიგიური დატვირთვა პქონოდათ, რაზედაც მიუთითებს ის მონანიების კილო, რომლითაც დავით მეფე უფალს ეუბნება: “გაი მე, რამეთუ გცხოვრობდი მეშეხთან, ბინა მქონდა კედარის კარგებთან”(დავითის ფსალმუნი, 119). თუკი გავითვალისწინებთ კარვის “სალოცავ” ასპექტს, დავით მეფის ფსალმუნთა ამ მონაკვეთში იკვეთება გარდა “მეშეხ-მესხებთან” არსებული სოციალური დაპირისპირებისა, სხვადასხვა რელიგიურ პლატფორმაზე მყოფი ხალხების ურთიერთმიმართების საკითხიც. ნიშანდობლივია ის, რომ მოსეს კარავი ურთხელის ხისგან აიგო, რომელსაც ისევე როგორც “მეშეხ-მესხთა კედარს” შესაძლოა იმთავითვე საკრალური ხასიათი პქონდა და როგორც მარადმწვანე ხეები წარმოადგენდნენ საკრალური, სიცოცხლის ხის განსახიერებას. ზირაქის სიბრძნეში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც მას მოეფინა უფლის მადლი, იგი ამაღლდა: “როგორც კედარი

ლიბანში და როგორც კვიპაროსი ჰერმონის მთებზე”(ძველი აღთქმა, სიბრძნე ზირაქისა, თავი 23-24, 13.). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ურთხელის ხე, რომლისგანაც აიგო “წამების კარავი” წმინდად იყო შერაცხული საქართველოს არაერთ რეგიონში, რაც სამართლიანად გვაფიქრებინებს, რომ “ხის კულტი” რელიგიური ცნობიერების უფრო ადრეული საფეხურია, ვიდრე კარავი და შემდგომ გვლეხია. ამის დასტური უნდა იყოს ისიც, რომ ღვთაება კვირიას დღესასწაულზე სახელდახელოდ იგბოდა „ხის კარვები“ ე.წ. „ვათვლის ქოხი“, რაც უპირველეს ყოვლისა, ამ ღვთაების ხის კულტთან კავშირზე უნდა მიუთითებდეს: „Кроме эпитета каравиани, шатер обнаруживается в мифологических воззрениях и обрядах, связанных с культом данного божества. Расположенная в селении Тчалисофели Тчартальского ущелья Мтиулетии христианская церковь с окружающим ее небольшим участком земли у мтиулов почиталась под названием Квирацховлис хати в качестве святилища божества Квирия. Божество и святилище эти служили объединяющим центром общинной организации, состоящей из четырех селений ущелья. Главным праздником Квирацховлис хати был Квирацховлоба – Фоминое воскресенье. **Накануне праздника служители святилища сооружали четыре так называемых «лиственных хижин» патвлис кохи (patvlis koxi) – каркасы четырех шатров из лиственных деревьев.** Поднявшиеся в «святилище» (хати) для ночного бдения поселяне приносили с собой паласы, которыми перекрывали эти каркасы. Каждое село располагалось в одном из шатров – хижин, где и проводило ночь, а на следующий день там же устраивались праздничные пиршества. **По народному воззрению, сооружение в хати таких шатров – хижин в праздник Квирия было издревле установленным обычаем**“(12,13).

საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ “ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ნაყოფიერების კულტს ცეცხლი, კვირია ანსახიერებს, რომლის ხატს შვერილიანი გერა წარმოადგენს, ხოლო უფრო გვიან ნაყოფიერების ღვთაებას ასახიერებს როგორც გერა, ასევე “ღვთის კარზე” ამოსული სიცოცხლის ხის მოტივი; ამასთანავე, რქიანი სადგრების და კერების ნახვრებში შეიძლებოდა ჩაემაგრებინათ ჩიჩილაკი, როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლო” (44,193). აქვე დროულია გავიხსენოთ სვანეთში კვირიას ადრე საგაზაფხულო დღეობათა ციკლში გავრცელებული მურყვამობა-კვირიეობის რიტუალი (85,109), როცა სპეციალურად ზეიმისთვის აგებულ თოვლის კოშქს სწორედ ნაძვის ტოტი ან ჯვარი ამშვენებდა, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო; ორ ბანაკს შორის შემდეგ იმართებოდა შეჯიბრი; საითაც გადაინგრეოდა კოშკი იმ წელს ხვავი და ბარაქა იმათ დარჩებოდათ. არ არის გამორიცხული თავად

სიტყვა – კვირტი, როგორც პირველი ნიშანი გაზაფხულის მოსვლისა და სიცოცხლის განახლებისა, დაგუგავშიროთ ასევე კვირიას სახელს. რაც შეეხება კერაში ამოსული ხის (იფანი) მითოლოგების, რომელიც სალოცავის დაარსებას უკავშირდება, კიდევ ერთხელ გვახსენებს იმას, რომ საკრალური ხე ღვთიშვილთა სადგომიცაა, რაზედაც მოწმობს თუნდაც “ნუგზარ ერისთავის მიერ მოჭრილი ლაშარის ბერმუხა, რომლის წვერზე ოქროს შიბი ეკიდა და ზედ ანგელოზები ჩამოდიოდნენ” (46,111). ამის გამოძახილია ხალხური ლექსიც: “ზერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა; გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა” (98,118). გამოდის წმინდა ხე ისეთივე “სადგომია უფლისა”, როგორც “კარავი” და შემდგომ, ეკლესია. შესაბამისად, კვირიას “კარავი” გააზრებული ქრისტიანული ეკლესიის კონტექსტში მაინც “გვაბრუნებს” კერასთან და მისგან მომდინარე საკრალური ხის სიმბოლიკასთან. საკითხთან დაკავშირდებით, ყურადღებას იქცევს “სვანეთში სააღდგომო სუფრის აუცილებელი ელემენტი, საკრალური ხე, “კამარაი-ს” სახელწოდებით” (2,121), რომელიც გარკვეულ იდეურ სიახლოებს ამჟღავნებს ცის კარის, თაღის, კარვის რელიგიურ არსთან. “ღვთის კარზე” ამოსული ხის სიმბოლიკა თავისი არსით ასევე უპავშირდება კერასთან მდგარი დედაბოძის სიმბოლოს, რომლის თავხეზე ანგელოზები სხდებიან ხოლმე. აღვნიშნავთ, რომ წმინდა ხის მითო-რელიგიური სურათ-ხატი აისახა სვეტიცხოვლის “მისტერიაშიც”, ისევე როგორც არაერთი ეკლესია აშენდა საქართველოში წმინდა ხის მოჭრის შედეგად (მაგ. მარტვილის მონასტერი, რომლის ადგილას მანამდე წმინდა მუხის ხე იდგა). ანგარიშგასაწევია ისიც, რომ კვარი, როგორც სინათლის წყარო, რომელსაც ვ-ბარდაველიძე “კვირიასთან” ერთ სემანტიკურ ველში განიხილავს, სწორედ ფიჭვის ან ნაძვის ხის ანათალისგან მზადდებოდა. ამრიგად, თუკი მხედველობაში მივიღებთ “კარავის” როგორც რელიგიური სიმბოლოს კავშირს კერასთან, როგორც “ღვთის კართან”, ცეცხლთან, სინათლის წყაროსთან და ამასთანავე დაგუშვებთ დღემდე ცნობილი პირველი “სალოცავი კარვის” ხის ქულტიდან მომდინარეობას, საფიქრებელია, ღვთაება კვირიას “კარვიანობა” წინარე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებში ვეძებოთ. მართლაც, ზემოთ მოტანილი მსჯელობის გათვალისწინებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ღვთაება კვირიასთან დაკავშირებული საკრალური ტრიადა – კერა/ხე/კარავი, სადაც ტრიადის მესამე წევრი, ქრისტიანობის პერიოდში, უკვე მკლესით იქნა ჩანაცვლებული, ისევე როგორც სოლარული ღვთაების - კვირიას სახე იქსო ქრისტეს კანონიკურმა ღვთისმსახურებამ ჩაანაცვლა.

სხვათაშორის, საფიქრებელია ხის საკრალურ მოტივს დავუკავშიროთ დღეს უკვე სამხედრო, საფორტიფიკაციო ნაგებობის მნიშვნელობით ნახმარი – ციხე, რომელსაც ადრე შესაძლოა რელიგიური დატვირთვაც პქონოდა, მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის რწმენა-წარმოდგენებით, ციხე „სულეთში“ გარდაცვლილ სულთა განსასვენებელ ადგილსამყოფელს წარმოადგენს(65,59). ქართულ ხალხურ სამონადირეო ეპოსში ვხვდებით ერთ ლექსს, რომელშიც ციხე თავისი სიმბოლური დატვირთვით პირდაპირ „სიცოცხლის ხის“ სურათს გვიხატავს:

„ზენ ბაცალიგოს თოვლსა სთოვს,  
ქვენ ბაცალიგოს შრებოდა,  
აბულეთაურთ ციხესა  
კუთხე მარჯვენა სქობოდა.  
თავს აზის შავი ყორანი  
გველი ლიბუში ძვრებოდა –  
ავად არს კვირიკაის ძე  
გვლს უწადინოდ კვდებოდა...“(39,141).

ციხე რომლის ბოლოში შავი ყორანი ზის, ხოლო ლიბოში კი ძვრება გველი, ბუნებრივია მოგვაგონებს „სიცოცხლის ხეს“, რომლის ფესვებში სწორედ გველი ბუდობს, ხოლო კენწეროში კი მზიური ნიშნით გამორჩეული ფრინველი. შესაბამისად, ციხე, როგორც თავად სიტყვა გვეუბნება, თავდაპირველად შეიძლება გააზრებული ყოფილიყო როგორც ცის ხე, იგივე საკრალური ხე, რომელიც ლვთაებათა სადგომადაც იყო მიჩნეული. ამრიგად, ერთ დროს სალოცავთან, „სულეთთან“ გაიგივებული „ციხე“ თანდათანობით მხოლოდ გამაგრებული, თავდაცვითი ნაგებობის პროფანულ გაგებამდე უნდა „ჩამოქვეითებულიყო“.

თუკი მხედველობაში მივიღებთ კარვის, როგორც “მოძრავი სალოცავის” ფუნქციას, რაც ვლინდება იმაშიც, რომ მას კვირია გადმოდგამს შაბათს და კვირა ნაშუადლევს უკან აიღებს, აღსანიშნავია, რომ კარის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა **porta**, ასევე საფუძვლად დაედო ზმნებს: გადატანის, მოტანის, გადაადგილების მნიშვნელობით. ლათინური “კარის” ეს “დინამიური” ხასიათი შეგვიძლია იმავე რელიგიური პრინციპის საფუძველზე ავხსნათ, რომლის მიხედვით, კარი უპირველეს ყოვლისა ორ სამყაროს შორის

მაკაგშირებელი “გასასვლელია”. ქართული გამოთქმა “სამარის კარი” ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ გადარჩენის მნიშვნელობით ნახმარი ქართული სიტყვა: ხსნა, ზმნა - გახსნას უკავშირდება, ვინაიდან თუკი საკითხს რელიგიური კუთხით მივუდგებით “სულის ხსნა” სწორედ “ღვთის კარის” გახსნაშია. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა “ბედის შეკვრა” და “ბედის გახსნა”(2,128).

საკითხთან დაკაგშირებით, ასევე საინტერესო უნდა იყოს სიტყვა – **კარიბჭეს** რელიგიური კუთხით დანახვა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით, მიღმიერი სამყარო, იგივე „სულეთი“ წარმოადგენს ერთ ტრიალ მინდორს, სადაც ცენტრში დგას ციხე, რომლის წვერი ცას ებჯინება. სანამ მიცვალებულის სული ამ ციხეში მოხვდება, შესასვლელში მას ასამართლებენ ბჭენი, რომლებიც ჩადენილი ცოდვა-მადლის გათვალისწინებით, იღებენ გადაწყვეტილებას ციხის რომელ სართულზე განაწესონ სული (65,59). ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ „„ჭიშკარი „ბჭიშკარისგან“ არის წარმოშობილი და რომ ბიბლიის ტექსტების უძველეს ქართულ თარგმანებში „ბჭე“ მოსამართლეს კი არ ნიშნავდა, არამედ კარს (რუსული „ვოროტა“). ამ მხრივ ნიშანდობლივია გამოთქმა „ვრცელი არს ბჭე“. ამავე დროს ბჭე ნიშნავდა მოსამართლესაც. “ჩვეული იყო ბჭე იგი მიტევებად ერთისა პყრობელისა ერსა მას“(მათვ, 17,15)“(72,61). ამრიგად იმის გათვალისწინებით, რომ კვირია „ღვთის კარზე მოარული იყო“ და მას „სამართლის წარმოება“ ებარა, „სამართლის“ კონტექსტში გააზრებული „კარიბჭე“ და „ჭიშკარიც“, ვფიქრობ, თამამად შეგვიძლია დავუკავშიროთ, კვირიას „კარავს“, რომელსაც ღვთაებრივი სამართლის მწარმოებელი „კარის“ დატვირთვაც უნდა ჰქონდა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ კვირიას “დასჯის ერთ-ერთი მეთოდი სწორედ სახლ-კარის გადაწვა იყო“. აღსანიშნავია, რომ „კარის“ ღვთაებრივი ასპექტი ნარჩუნდება მისი როგორც ყოფითი, ასევე რელიგიური გაგებით ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა - „ყუდრო კარი“, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ჯვარ-ხატის კარი, ასევე ჯალაფობის, ოჯახის სახლ-კარი. ამასთანავე, სახლის განათვლის დროს ისესენიებოდნენ ყუდრო კარის დამჭერი ანგელოზნი: „შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ ას, ყუდრო-კარის დამჭერო ანგელოზნი, მოსესენებული სამსახური“(121,47,198). აქვე მოვიგონოთ, რომ ძვ. რომში იანუსთან ერთად არსებობდა „პორტუნუსი – ჭიშკრის დმერთი და კარნა – კარის ანჯამის ქალლმერთი“(20,95), რომლის სახელწოდება ნებსით

თუ უნებლიერ, ქართულ „კარს“ მოგვაგონებს. ისიც ცნობილია, „თუ როგორ დიდად ფასობდა ძველ აღმოსავლეთში სახლის ხის კარი, როდესაც იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ სახლი, კარი თან მიჰქონდათ. როგორც ირკვევა კარს, ჭიშკარს რელიგიურ-საკულტო დანიშნულება ჰქონდა“(72,62).

დავუბრუნდები მგელ/ძაღლის კულტს. საქართველოში, კერძოდ ქართლში დაფიქსირებული მასალის მიხედვით, “არსებობს რწმენა საიქიოს კარებთან მდგომი ძაღლების შესახებ, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გაატარებდნენ მიცვალებულის სულს, თუკი მის სახელზე ძაღლისთვის საძაოს პური ქონდათ გადაგდებული”(79,19). თუკი ეს ძაღლები კვირიას ნების აღმსრულებლები არიან, სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ასე იოლად “დვთის კარში” არავის გაატარებენ<sup>10</sup>. შესაბამისად, საწესო პურის – კვერის რელიგიური კავშირი კვირიასთან უფრო დამაჯერებელი ხდება. ამავე სულისკვეთების გამომსატველია იმერეთში დაფიქსირებული ტერმინი “მეკრე-მებაჟე, რომელიც “ძაღლისთვის განკუთვნილ” განსაკუთრებული ზომისა და ფორმის პურს გულისხმობს, რათა მან დაინდოს მიცვალებული”(2,76). ყურშა/ყურშავის სახეში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავინახოთ “შავეთის, ქვესკნელური მზის” ზომორფული სიმბოლო, რომლის ავტორითო მზერა, “ყურება,” როგორც ითქვა, სასიკეთოს არავის უქადის.

თუკი კვირიასთან მიმართებაში ცეცხლის სტიქიას ამოსავლად მივიჩნევთ, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს ცეცხლით დასჯის მისეულ ასპექტს და გავითვალისწინებთ ვ. ბარდაველიძის მოსაზრებას ერთიან რელიგიურ სემანატიკაში იქნას განხილული დვთაება კვირიას სახელი, კერაში გამომცხვარი საწესო პური – კვერი და სინათლის წყარო – კვარი, მხედველობიდან არც სამჭედლო საქმესთან დაკავშირებული კვერი და კვერგა უნდა გამოგვრჩეს, მით უმეტეს, რომ “მჭედელს, ისევე როგორც სამჭედლოს ერთ დროს რელიგიური ფუნქციები ჰქონდა და სამართალსაც განაგებდა, რაზედაც მოწმობს დღემდე შემორჩენილი რელიგიური საწყისის მქონე ქართული გამოთქმა: “კვერის დაკვრა””(5,112). სამჭედლო “კვერს”, მისი “სამართლის წარმოების” კონტექსტში გააზრების გარდა, მაღლიანობის, დვთაებრივობის მნიშვნელობაც ჰქონდა; ამის ნათელი მაგალითია გამოთქმა “შხარკვერიანი, რომელიც ხშირად მეომარ არწივთან, ნაწილიან ვაჟაცთან მიმართებაში იხმარებოდა”(5,113). საკითხთან

<sup>10</sup> საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფ. ლუჯის ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე (არქიტრაგზე) გამოსახული ზოთონორფული სიმბოლო, რომელიც აშკარად მგელ-ძაღლების მოგაგონებებს; აღნიშნული უნდა იყოს ქართველთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენის გამოძახილი, რომლის თანახმადც დვთის კარში შესასვლელს სწორედ მგელ-ძაღლები იცავს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ლუჯის ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა, ხოლო სვანური ტრადიციის თანახმად, ჯგრაგი, იგივე წმ. გიორგი სწორედ მგლების წინამდეღლად მოიაზრება.

დაკავშირებით, არც კვერთხი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, როგორც მეფე-ქურუმთა ინსიგნია, რომლის ტარებაც ალბათ იმთავითვე სწორედ მხარკვერიანი ვაჟპაცების უფლება იყო.

ამრიგად, სამჭედლო ცეცხლიც, ვითარცა “სამართლის გამრიგე”, რაღაცა სახით დაკავშირებული აღმოჩნდა კვირიასთან. აღნიშნული, ისევე როგორც კვირიას წინააზიური ანალოგიები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, არ უნდა იყოს სინამდვილეს მოკლებული თუკი იმასაც მოვიგონებთ, რომ “ხეთების სამეფოს ავტორიტეტი მახლობელ აღმოსავლეთში, როგორც ლითონის მწარმოებელი ქვეყნისა, დამყარებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის, ტაბალების, ხალიბ-კაინთა საუკუნოვან მეტალურგიულ ტრადიციებზე. ამ ტრადიციების სათავეები კი იძირება იმ უძველესი ქართველური და დასავლეთ ამიერკავკასიური მოსახლეობის კულტურის მიღწევებში, როგორც მცირე აზიაში ხეთების უწინარეს ივარაუდებიან”(69,46). ერთი დეტალიც. “მგლის მუხლი” ძალასთან, ვაჟპაცობასთან არის გაიგივებული ქართულ მითსა და ეპოსში. გავიხსენოთ ამირანის “მგლის მუხლი” და ხალხური ლექსი: “გაგიძედ ბერო მინდიავ მუხლი მაიბი მგლისაო”. ნიშანდობლივია ის, რომ მუხლის თავის მნიშვნელობით ასევე იხმარება მუხლის კერიც (94,1171), რაც ბუნებრივად გვაბრუნებს თეოფორულ სახელთა მწკრივში ხმელთმოურავი კვირიასი, რომლის დაქვემდებარებაშიც ალბათ სწორედ “მუხლკვერიანი” მგელ/ძაღლები იყვნენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფიზიკური ძალის, სიმაგრის, გამძლეობის გარდა “მუხლის კვერის” თეოფორული ხასიათი შეიძლება ვლინდებოდეს იმაშიც, რომ ადრეულ ეპოქაში, ლითონის ცივად ჭედვის პროცესში მუხლი ასრულებდა ფუნქციას გრდემლისა, რომელმაც შემდგომ საკრალურ-რელიგიური დატვირთვა მიიღო: “აფხაზური ვერსიით, ძველად ცხოვრობდა პირველი მჭედელი, რომელიც კვერის მაგივრად მუშტით სარგებლობდა, გრდემლად კი მუხლს ხმარობდა და ამასთანავე მხოლოდ სპილენძის ნივთებს ამზადებდა”(8,55). ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ “ხევში ყენის, ბერიკას სახელზე გადასახადს “მუხლისკვერა” ერქვა; მასში შედიოდა ერბო, ყველი, ხაბიზგინები, ქადა, ხაჭაპურები და სხვ.”(81,53). აღნიშნული მეტ დამაჯერებლობას პმატებს მოსაზრებას, “მუხლისკვერში” კვირიას სახელი ამოვიკითხოთ, ვინაიდან მისი დვთაებრივი სახე ბერიკასთან, ყენთან ერთად ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ადრე საგაზაფხულო დღეობათა ციკლშიც მოიაზრებოდა.

დაბოლოს, გამორიცხული არაა რომ სიტყვა - **საკვირველში** ერთ დროს უფლის მნიშვნელობით ნახმარი **კვირიას** იმანენტური სახე იდოს, ისევე როგორც დასავლეთევროპულ ენებში მეტწილად სიყვარულის, აღტაცების მნიშვნელობით ნახმარი ლათინური ძირის მქონე – **adoratio** იმთავითვე უფლის თაყვანისცემას გამოხატავდა.

## 2) მგელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ სამონადირეო ეპოსში

მგელ-ძაღლის სიმბოლო საგულისხმოდ ვლინდება ნადირთლვთა ებათა რჩეული მონადირეების მითიურ სახეში. ქართულ სამონადირეო ეპოსში ესეთები არიან: თეთრი მანგური, ჩორლა, ბეთქილი, ივანე ქვაციხისელი და სხვ. საკითხთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძის მასალაზე დაყრდნობით, ე. ვირსალაძე შენიშნავს, რომ „ყოველ ასტრალურ ლვთაებას ქართულ პანთეონში თავისი დამხმარე ჰყავდა ზოომორფული და ანთროპომორფული სულების სახით. მორიგე ლმერთისა და მზექალის ამგვარ დამხმარეთა შორის არის - მგელი. ზოგიერთ სათემო ლვთაებას დამხმარედ ჰყავდა გველები და ძაღლები - მწევარნი (ბეთქილს ხომ სწორედ ორი მწევარი ახლავს თან)“(39,67). ამ შემთხვევაში, ჩვენი კვლევის საგანთან მიმართებით, უურადღებას სწორედ რომ მწევარ-ძაღლებზე გავამახვილებთ - თავიდანვე საჭიროა დადგენა იმისა, თუ რით იმსახურებს მონადირე „ლვთაებრივი ნიშნით“ გამორჩეული წყვილი მწევრების ყოლას. აქვე აღვნიშნოთ, რომ თუკი ბეთქილის შემთხვევაში მონადირეს წყვილი მწევარი დაჲყვება, სხვა შემთხვევებში, რჩეულ მონადირეს თან ახლავს ასევე ლვთაებრივი ნიშნით გამორჩეული, მითიური ძაღლი - ყურშა.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ასტრალური მოტივი, კერძოდ კი სოლარული ასპექტი, მონადირეთა სახეშიც ხაზგასმულია: „საგზლად მონადირეს ცოლის ან დალის გამომცხვარი ხმელგანატეხი უნდა წაედო - რიტუალური პური, რომლის ზედაპირი მზის დაფანტული სხივების მსგავსად იყო დაჭრელებული. მონადირე შეჭამდა და იტყოდა: მარჯვენა დამილოცე დალი“(39,26).

მსოფლიო მითოლოგია იცნობს დიდი მონადირის სახეს, რომელიც ასტრალურ სიმბოლოებთანაა დაკავშირებული. ასეთია ბერძნულ მითოლოგიაში გოლიათი და შესანიშნავი მონადირე - ორიონი. ნადირობის ლვთაება - არტემიდეს ორიონი თავდავიწყებით შეუყვარდა. საკუთარი დის ლვთაებრივი სიწმინდე რომ გადაერჩინა, აპოლონმა ცბიერებით მოაკვლევინა ორიონი. მწუხარე არტემიდემ სატრფო მოათავსა ვარსკვლავებს შორის, სადაც იგი გამოჩნდება ხოლმე როგორც ლომის ტყავით შემოსილი მახვილიანი გოლიათი, რომელსაც გვერდით მისდევს ძაღლი - სირიოსი და რომლის წინაც პლეიადები დაფრინავენ“(19,72). აქვე დროულია გავისენოთ მეორე დიდი მონადირე - ნებროთი: „ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხუსის (ქუშის) მითიური შვილი, სწორუპოვარი მონადირე: ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ლვთისა.

ამისთვის თქვეს, რამეთუ ნებროთ გმირი მონადირე“ (შექმნ., 10, 9). მას მიეწერებოდა ბაბილონის სამეფოს დაარსება. მისი სახელი დაკავშირებულია ძველ საქართველოსთანაც: „აქ იყო ნიმროდი, ბაბილონის სამეფოს მითიური დამაარსებელი, რომელმაც მთელი ქვეყნიერება დაიპყრო და აქ პირველად დამარცხდა, სიკვდილი პპოვა“ (27, 342).

როგორც დამოწმებული მასალა გვიჩვენებს, მისი სოციალური ასპექტების გარდა, მონადირის სახეში „ღვთაებრივისკენ სწრაფვაა“ ჩადგებული; შესაძლოა „მზისკენ სწარფვაც“, თუკი გავითვალისწინებო იმას, რომ თავისი ოქროსფერი თმებით, სოლარულ საწყისს უახლოვდება ნადირთლვთაება – დალი, რომლის ერთ-ერთი კორელატი შეიძლება მგელ-ძაღლი ყოფილიყო, თუკი, როგორც უპვე ითქვა, ძაღლი დაკავშირებული იყო ნადირთ პატრონის, გვიან კი მონადირეობის დვთაების სახესთან და ხშირად მის დუბლიკატს, მის სახეცვლილებას წარმოადგენდა. ე. ვირსალაძე საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „ყურშა უძველესი პერსონაჟია ქართული მითოლოგიისა, გადმოსული ამირანის თქმულებაში, როგორც იმ დროისა და წარმოდგენების რედიმენტი, როდესაც მონადირე სხვადასხვა ტაბუთა დარღვევისათვის, ძირითადად კი ნადირთ პატრონის სიყვარულის უგულებელყოფისათვის, დასჯილი იყო კლდეზე უმწეოდ დატოვებით. იქვეა მისი ერთადერთი მხლებული ძაღლი ყურშა, რომელიც თვით დამსჯელი დვთაების სახეცვლილება ან მისი ატრიბუტია“ (39, 90).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რჩეული მონადირის მუდმივი თანამგზავრი, მითიური ძაღლი – ყურშა, ერთგვარად მისი „მენტალური ორეულია“; ამას გვაფიქრებინებს დვთაებრივი მესეფეების „ჭავიანი ძაღლების“ არსებობა: „სამეგრელოში გავრცელებული წარმოდგენით, ტყის და ნადირთ პატრონი მესეფეები ძაღლების თანხლებით დადიან. ეს ძაღლები არაჩვეულებრივი გონებითა და ნადირობაში უნარიანობით გამოირჩევიან. მათ ძალის მოკლე ხნის სიცოცხლე აქვთ. ეს ძაღლი შეიძლება მონადირეს ჩაუვარდეს ხელში და შველის მას ნადირობაში“ (39, 68). თუკი გავითვალისწინებო იმასაც, რომ მითიური ყურშას ოქროს ყურ-ტუჩი და ჭექა-ჭეხილის ხმა შეიძლება „დვთის ნების გამოვლინებად“ აღვიქვათ, ზემომოყვანილ მსჯელობას დამაჯერებლობა ემატება. როგორც სამონადირეო ეპოსიდანაა ცნობილი, ერთხელაც „მონადირე გაჰყვება ყურშას კვალს და მის ძებნაში მაღალ კლდეს აყვება. მონადირე უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ იპოვის და ბოლოს იღუპება“ (39, 65). მაგრამ „ყველა სიკეთესთან ერთად“ რატომ თამაშობს ყურშა საბედისწერო როლს მონადირის ცხოვრებაში და საბოლოოდ რატომ არის გარდაუგალი ყველა გაჰყაცური ნიშნით შემკული

მონადირის დაღუპვა? თუკი საკითხს წმინდა რელიგიური კუთხით შევხედავთ, ვფიქრობ, ამით ხაზგასმულია მონადირის „მიწიერი ასპექტი“ და შესაბამისად ისიც, რომ საბოლოო ჯამში, „დვოაებრივისკენ წინსწრაფვა“ მიწიერი ადამიანისთვის ზღვარდებულია. აღნიშნულ ფაქტები მინიშნება, ვფიქრობ, არსებობს ქართულ სამონადირეო ეპოსში. გავიხსენოთ ბეთქილის ნადირობა: „ბეთქილს დალი გამოეცხადა თეთრი ირემის ან შუნის სახით და იგი ტყეში გაიტყეა. სასოწარკვეთილი სიკვდილის წინ თანასოფლელებს სთხოვს „სამთა ჭვარი“ შეასრულონ მის წინ. ეს ფერხული სრულდება ყოველ გაზაფხულზე ჟაბეშში იმ კლდესთან, სადაც ოქმულების თანახმად დაიღუპა ბეთქილი. ასეთივე წეს-ჩვეულებანი გვხვდება ქვემო სვანეთში... ბეთქილი ქართული წარმართული პანთეონის გმირია“ (39,91). თანასოფლელები, ბეთქილი დაღუპვისგან რომ იხსნან, კლდეს კიბეს მიაყედებენ, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შველის; პირიქით, კლდე კიდევ უფრო იზრდება! (39,54).

შესაძლოა „კლდის ზრდაში“ მოცემული იყოს ერთი მხრივ, საბედისწერო გარდუვალობა, ხოლო მეორე მხრივ, სწორედ სულიერი სამყაროს „უკიდეგანობა“, რასაც მსხვერპლად უნდა შეეწიროს სახელოვანი მონადირის მიწიერი ცხოვრება: „მითურ გმირს ზეციურ წვდომაში ხელს უშლის მიწიერი ცხოვრების ტკბობის ძლიერი ცდუნება. გმირიც ტრაგიულია, რადგან არ შეუძლია მთლიანად მოწყდეს ადამიანურ ყოფას“ (5,89). ისიც ადვნიშნოთ, რომ ზოგადად კლდე, მთა ზენა სამყაროს მიესადაგება და დვთაებათა „სადგომადაცაა“ მიჩნეული. ეს კარგად დასტურდება სვანური მასალითაც: „ქ. ჩიქოვანის მასალებით, სვანეთში ნადირი ოთხ ჯგუფად არის გაყოფილი: 1. შიშველი მთის ნადირი (ირემი, შველი, არჩვი, ჯიხვი), რომელსაც ქალ-დმერთი დალი მფარველობს. 2. ტყის მხეცები (დათვი, მელა, კვერნა, მაჩვი), რომელსაც ტყის ანგელოზი (ცხევიშ ანგელვეზ) მფარველობს. 3. მგელი, რომლის საქმეს წმ. გიორგი (ჯგრაგი) განაგებს. 4. ფრინველები და თევზები, რომელთაც აფსატი მფარველობს. ყველა მათი უფროსი ბერ შიშვლიში – შიშველი მთის უფალია“ (39,32).

სულიერი შემეცნების გზაზე მყოფი მონადირე სადაც იღუპება, ის ადგილი საკრალურ სახეს იძენს: „კლდეზე დაღუპული მონადირე რაჭაში აგრეთვე აქტიური კულტის საგანი იყო. ივანე ქვაციხისელის სახელს სხვადასხვა ადგილს უკავშირებენ, ყველაზე მეტად კი კლდეს – ქვაციხეს, სოფელ დებთან, სადაც დგას მისი სახელობის ნიში და ქვას, რომელიც, თქმულების თანახმად, გადმოყენა იგანეს კლდიდან და იგი გააცამტვერა“ (39,93).

სახელოვანი მონადირის სულიერი კუთხით „დანახვას“ მართლაც უნდა გააჩნდეს ისტორიულ-ეთნოლოგიური საფუძველი: „მონადირის ურთიერთობა დალთან გვაგონებს იმ მლოცველის ურთიერთობას სულიერ ძალებთან, რომელსაც სურს ამ უკანასკნელებთან პირდაპირი კავშირის გაბმა. სვანი მონადირე მიმართავს ცისკარს, რომელიც დალის (ადგილის დედის) ასტრალური სახეა. აქ მონადირე ბერს გვაგონებს, რომელიც ლოცვით იწრთობს სულს... წმინდა ბერი როგორც მონადირე ქართველებისთვის უცხო არ იყო. სოლომონ ყაზბეგის გადმოცემით, ძველად სამების ბერები განთქმული მონადირეები ყოფილან, რომელთა სახელმა ჩვენ დრომდისაც მოაღწია“(5,84). უფრო მეტი. ზემოთ მოყვანილი ციტატის ავტორი, წმ. გიორგის არქეტიპულ სახეს ასევე სამონადირეო ეპოქში ეძებს: „მონადირის კლდიდან ჩამოვარდნა და მიწაზე ნაჭერ-ნაჭერ დაცვივნა საინტერესო მინიშნებების მიზეზიც ხდება. ჩვენ ვიცით წმინდა გიორგის ცხოვრებიდან, რომ წმინდანს ბორბალზე აკრავენ და ნაწილებად ჭრიან. საიდან მოიტანეს ქართველებმა წმინდა გიორგის 363 ნაწილად და არა სხვა უფრო ადვილ სათქმელ ციფრად დანაწევრება. მიზეზი ერთია, ქართულ ხალხურ აზროვნებას ტრადიციულად შემორჩენილი პქნიდა მითიური მონადირის სიკვდილი სწორედ ნაწილ-ნაწილ დაჭრით. ეს ეპიზოდები ისე მტკიცედ იყო ხალხში შესისხლხორცებული, რომ შემდეგ, როცა წმინდა გიორგის სახე შემოიტანა მწიგნობრულმა ქრისტიანობამ, ხალხმა წმინდანი დაანაწევრა 363 ნაწილად და თითო ნაწილს თითო ეკლესია მიაწერა... მონადირის ტრაგიკული სიკვდილის გაანალიზება გვაფიქრებინებს, რომ წმინდა გიორგის 363 ნაწილად დაჭრის ქართული გადმოცემის საფუძველი უხსოვარ დროიდან შექმნა ქართველმა ხალხმა თავის მითებში...“(5,82,89). საინტერესოა ავტორის დასკვნა: „1. სანამ ადამიანი არსებობს სხეულში, ის ვერ დააკმაყოფილებს კეთილი სულიერი ძალების მოთხოვნებს (ამიტომაც ეომებიან მითური გმირები ღმერთებს). 2. განსხვავებას მიწიერსა და ზეციურ ძალებს შორის სხეული პქნის. ფიზიკური ადამიანის სულს ესმის, შეუძლია შეიცნოს, შესრულება კი უმნელდება; ამიტომ იღუპება ბეთქილი და მოთქვამს ხალხიც: „საბრალო ბეთქილ, საცოდავო ბეთქილ!“ 3. მზის წელიწადის დამკვიდრების შემდეგ ადამიანის ბუნება სრულყოფილად რომ შეეფარდებინათ მზის ციკლთან, იგი 363 ნაწილად დაყოფილი წარმოისახეს“(5,89).

კ. ვირსალაძის მინიშნებითაც: „მთიულეთში ჩაწერილი ოქმულების თანახმად, წმ. გიორგი ბორბალზე დააკრეს და ისე დააგორეს კლდიდან. ამ წამების შედეგით მისი სხეული ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებული მოედო მოედო

კლდეს. ეს ნაწილები ანგელოზებმა აკრიფეს. ზოგიერთი თქმულებით, გიორგის სხეული 363 ნაწილად დაიშალა და თითოეულის აღილას აშენდა გალესია. თითქოს ამიტომ ახსენებენ ლოცვაში 363 გიორგის... შემთხვევითი არ არის წმ. გიორგის ეკლესიების კლდის თავზე, მთის მწვერვალებსა და ბორცვებზე მოთავსება:

გორის ჯვრის წმინდა გიორგი  
მაღლა მთასა ასვენია,  
ნადირი ბევრი მიუდის,  
მგელი, არჩვი და მელიო,  
დათვს რაღა მიარბენინებს?  
- ვაი, შიში რა ძნელია!

ტყის ნადირთა „შიში“ მაღლა მთაზე დასვენებული წმ. გიორგის მიმართ კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ჩვენი ხალხის შემეცნებაში შემორჩენილს მის კავშირს ნადირთ პატრონის, კლდის ანგელოზის კულტებთან. ქართული ფოლკლორის მასალები ამტკიცებენ, რომ ქრისტიანული წმ. გიორგის კულტს საქართველოსა და კავკასიაში წინ უსწრებდა ნადირთ პატრონის მამაკაცური კორელატის კულტი, ჯერ ნადირთ პატრონი ქალის დაღუპულივაჟის ან სატრფოს, ხოლო შემდეგ თვით ნადირთ პატრონის ფუნქციებს დაუფლებული მისი ძმის ან მეუღლის სახით. დროთა მსვლელობაში უკანასკნელმა დაჩრდილა, ზოგჯერ კი სულ განდევნა ქალის ნადირთ პატრონის კულტი, მონადირეობის მთავარი ღვთაების ნიშნები მიეღო...“(39,125-126).

დავუბრუნდეთ ზემომოტანილ, ბ. აბაშიძის დასკვას, რომელიც საგულისხმოა იმითაც, რომ 363 ნაწილად დანაწევრებული მონადირე პრაქტიკულად „მზეს ეწირება“! აი, რატომ ახლავს მას დასახული მისის აღსრულებაში თანამგზავრად „მზიური“ ნიშნით გამორჩეული ღვთაებრივ-მითიური ძალი, რომელიც ერთგვარად ნადირთღთაების მიწიერ პიპოსტასად ვცანით, ისევე როგორც მგლები ითვლებიან ასევე 363 ნაწილად დანაწევრებული წმინდა გიორგის წმინდა ძალებად, რომელთა მოკვლაც სვანებს დღემდე ეკრძალებათ განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც წმ. გიორგის ეკლესია დგას: „სადაც ჯგრაგის ეკლესიაა და მოლჯგრაგები არიან, იქ აკრძალულია მგლის მოკვლა. მგლები წმ. გიორგის ძალებია. ქაშვეთში (სოფელი ზემო სვანეთში) მაგალითად წმ. გიორგის ეკლესია აქვთ და იქ აკრძალული იყო“(ციტატა

ეკუთვნის სოფ. ლენჯერის მკვიდრს, მუშა უდესიანს (დაბ. 1924წ.), რომელიც ჩავიწერ 2008 წლის ივლისში, ზემოსვანეთში საველე ექსპედიციის დროს).

სამონადირეო ეპოსიდან კიდევ ერთი დეტალი მსურს გამოვყო: კერძოდ, მონადირის კლდის წვერზე თავდაყირა დაკიდების მოტივი. ასე მაგალითად, კლდეზე თავდაყირა დაკიდებული მონადირე ჯარჯი – „მთასა ვკიდივარ ფეხითა ფურ-ბეჭვის ქალამნითაო“ - ავი ამბის მაცნედ ყურშას აგზავნის დედასთან და დასთან (39,44). თუკი მონადირის სახეში „სულიერი შემეცნების“ იდეა დევს, გმირის თავდაყირა დაკიდების მოტივი ერთგვარად უახლოვდება გერმანელთა მითოლოგიის მთავარი ღვთაების ოდინის სახეს, რომელიც ასევე თავდაყირა დაეკიდა სამყაროს ხეზე, იგდრასილზე, რათა სიბრძნეს ზიარებოდა და მიეღო საკრალური ანბანი – რუნები. ხეზე თავდაყირა დაკიდებული მონადირის მსგავსებას ოდინ-ვოტანის მითიურ სახესთან ხაზს უსვამს ნ. აბაკელია(2,78). საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს სხვა მსგავსებაც, კერძოდ ის, რომ „ოდინს მუდამ წყვილი მგელი ახლავს თან, რომლებიც ძაღლებად მოიხსენიებიან; მგლების ძაღლებთან გაიგივება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საერთო კავკასიურ (და არა მარტო კავკასიურ) ტრადიციაში“(2,56).

მონადირის სახეში მზიური ასპექტის წარმოჩენა და მისი კავშირი წმ. გიორგისთან გვაფიქრებინებს, რომ სამონადირეო ეპოსი ნაყოფიერებასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. პირველი, რაზედაც მსურს ყურადღება გავამახვილო, არის „ნადირობის ეპოსის სახეებისა და მოტივების მტკიცე კავშირი როგორც ქართულ საქორწილო, ისე საძეობო პოეზიასთან“(39,153). როგორც კ. ვირსალაძე შენიშნავს, „ნადირობის ქალღმერთი მცირე აზიასა და საბერძნეთში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, ქორწინების მფარველ დვთაებადაც ითვლებოდა. ქართულ საქორწილო რიტუალს ამის ზოგიერთი ნიშანი შერჩა. პირველი, რაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას ქართულ საქორწილო პოეზიაში არის ნეფისა – მონადირის სახით, ხოლო დედოფლისა – მონადირებულის, ნანადირევის სახით წარმოდგენა:

ჩვენს ნეფეს უნადირნია  
არსიანისა მთაზედაო,  
მოუკლავს ხარი, ირემი,  
გადუკიდია მხარზედაო...

...გზაში ნეფე-დედოფალთან მიპყავთ მეზობლებს ქათმები და მტრედები. უფრენენ და მეფეც ხანჯალ, ან ხმალამოღებული სწყვეტავს სახლში მოსვლამდის. სახლში რომ შედიან, მაყრები მდერიან:

ხელმწიფეს უნადირნია,  
მშვილდ-ისრით ხმალი უკრია,  
მოუკლავს ხოხობი და ირემ-შველი, ნუკრია...

ამავე მაყრული სიმდერის ვარიანტია ჩაწერილი საგარეჯოში –

საფარავანოს ზღვაზედა  
ჩვენ მეფეს გაუმარჯვნია,  
ამოუწყვეტავს მას მტრები,  
სამშობლო გაუხარნია...  
უნადირნია, მოუკლამ:  
ჯიხვი, ირმები, ქედნები;  
მოგეყავ და მოგგიხარიძ  
დედალ-მამალი მტრედები.

ამ ლექსის მრავალრიცხოვანი ვარიანტები მოწმობს მის ღრმა ტრადიციას. საინტერესოა, რომ ფრინველების გაწყვეტა, რომელშიაც, ვ-კოტეტიშვილი სამართლიანად ქალის ძალით წამოყვანის განსახიერებას ხედავდა, წარმოადგენდა ქალის არა უბრალოდ მოტაცებას, არამედ ქალის „მონადირებას“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს წესიწარმოგვიდგენდა ნეფეს არა საერთოდ ვაჟების, გმირის სახით, არამედ სახელოვანი მონადირის სახით, როგორც მამაკაცობისა, ვაჟების უმაღლეს შეფასებას. ამ ლექსში გაშლილი რთული მეტაფორაც სწორედ ამასვე გულისხმობს. აქ მთელი ქორწილი ნადირობასთან, ნეფე ნადირობაში გამარჯვებულ მონადირებასთან, ხოლო დედოფალი ნანადირევთან არის შედარებული“ (39,148).

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ქართული საქორწილო რიტუალის კავშირს უძველეს წარმოდგენებთან, მოწმობს საქორწილო ქართულ სიმდერაში წმინდა გიორგის, როგორც მეუღლეთა მთავარი შემაერთებელი ძალის ხსენებაც მართალია, მას ზოგჯერ (ძალიან იშვიათად) ქრისტე-დმერთი ენაცვლება, მაგრამ

მაგ. მთიულეთში ჩაწერილი ცხრა ვარიანტიდან ექვსი იხსენიებს მხოლოდ წმ.  
გიორგის და მხარში მდგომ მის ანგელოზებს –

ჯვარი ჯვარსაო  
ჯვარი წინასა,  
ანგელოზები  
მარჯვნივ მხარესა,  
სამოცდასამი  
წმინდა გიორგი  
თუ დასწერს ჯვარსა  
ჩვენ ნეფიანთა!

ახდა:

ვინ დასწერს ჯვარსა  
ჩვენს ნეფიანსა,  
წმ. გიორგი ის დასწერს ჯვარსა!

ამ სიმღერით კერის გარშემო ნეფიონის შემოვლა, როგორც ჩანს, ძველი  
ქართული საქორწილო რიტუალის ძირითად მომენტს წარმოადგენდა და  
ქრისტიანული ქორწილის რიტუალზე ბევრად ძველი იყო“ (39,149).

რაც შეეხება ნადირობის ეპოსის კავშირს საძეობო პოეზიასთან, რომელიც  
ასევე მზიურ-გამანაყოფიერებელ ნიშნებს ატარებს, ე. ვირსალაძეს მოჰყავს  
საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ქართული საძეობო სიმღერის:  
„მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“, ერთი მეტად საინტერესო  
ვარიანტი, რომელშიც მზის კულტთან ერთად ნადირობის მოტივიც იჩენს თავს:

„მზე შინაო, მზე შინაო, მზევ შინაო;  
ვაჟის მამა შინა არ იყო, მზეე შინაო;  
სკვინჩა იყო, ნაცვლად მისსა, მზე შინაო;  
ყმას ესმა ხმა ჭიკჭიკისა, მზეე შინაო;  
ჩასულიყო სანადიროდ, მზეე „შინაო;  
აქ რას ისმენს, ეს არ იცის, მზეეშინა;  
აქ რას ისმენ, ეს არისო მზეეშინაო;  
ირემს მოჰყლავს, თაგს მოიტანს მზეეშინაო;

მეხი ეცეს, თავს დაატანს, მზეეშინაო!  
მეხი გგონებ გერ დაატანს, მზეეშინაო

ამ სიმღერას არქაულ მოტივთა მთელი რიგი აქვს შენარჩუნებული. ჯერ ერთი, აქ დიდი ადგილი უჭირავს ნადირობის მოტივს. ბავშვის მამა შინ არ არის, იგი სანადიროდ არის წასული. ახალდაბადებულს მის მაგიერ დარჩენილი ჩიტის, სკვინჩას ჭიკჭიკი ესმის. ვაჟის მამამ ირემი უნდა მოპკლას და მისი თავი მოიტანოს. ეს თავი მას დაიფარავს მეხის დაცემის შემთხვევაში. მამის სანადიროდ წასვლა უეჭველად უფრო ძველი მოტივია. გვიან აქ სხვა მოტივაცია გაჩნდა. ვაჟის მამა „ქალაქს არის აკვნისათვის, აკვნის იარაღისათვის“ (39,150).

საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო ო. სურგულაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თავად ნადირობის პროცესი წარმოადგენს მამრული და მდედრული საწყისების ურთიერთშეპირისპირებას: „მზიური გმირები და ლომები ურთიერთის ადეკვატურ სიმბოლოებად გვევლინებიან. **ლომი სოლარული ბალების სიმბოლო და მამრულ საწყისს განასახიერებს.** ნადირობის სცენები, სადაც ლომები ან მონადირენი დასდევენ ირმებს, უნდა განვიხილოთ როგორც ბუნების კვდომა-აღორძინების სიმბოლური ასახვა. მათი დაპირისპირებით გამოსახულია დედური და მამური პირველსაწყისების კოსმოგონიური პრინციპები“ (85,35). მართალია, ამ კონკრეტული მაგალითით ავტორი მგელ-მაღლის სიმბოლოს არ ახსენებს, თუმცა, ვფიქრობ, ვკეთა უფლება გვაქვს, რომ მგელიცა და ძაღლიც ასევე სოლარული ბალების მამრულ სიმბოლოდ აღვიქვათ, მით უმეტეს, რომ „კოლხურ-ყობანურ ბალთებზე გამოსახული ძაღლები ძირითადად გამოსახულნი არიან “ნადირის დევნის” პროცესში, წინსწრაფვის ხაზგასმით, ფართო დაკიდული ყურებით, რომლებიც უკანაა გადაყრილი რბენისას, უკან აპრეხილი კუდებით და დაღებული ხახით“ (68,297). ძაღლების „მამრული ხასიათი“ ვლინდება ერთ სვანურ საახალწლო რიტუალშიც, რომელსაც ქალები ასრულებენ: „ახალი წლის დამეს ქალები წმინდა ვედრებას (წყილიან ლიმზირ) ასრულებდნენ. ქალები ამ დროს ბავშვებს, კაცებს, ძაღლებს სახლში არ აყენებდნენ. კარ-ფანჯარას გადაკეტავდნენ, რათა არ სმენოდათ კაცის ხმაც კი, მაშინ დიდება მოიშლებოდა. ასეთ პირობებში აცხობდნენ ლამარიაშ ლემზირს“ (103,185). საკითხთან დაკავშირებით, ისიც მოვიგონოთ, რომ ხევსურული ტრადიციით, თუკი ოჯახში ნანატრი ვაჟი დაიბადებოდა, მას „მგელიკას“ არქმევდნენ, რაც ამ ცხოველის „მამრულ“ ხასიათს კიდევ ერთხელ მოგვაგონებს: „ხევსურეთში სახელს საეკლესიო კალენდრის მიხედვით მდგრელი

არქმევდა. მაგრამ, ამასთანავე, მშობლები ბავშვს ხევსურულსა და ხატის სახელსაც არქმევდნენ. მაგალითად, ვისაც ვაჟი არ ებადება და შემდეგ გაუჩნდება, ხშირად მას დათვიას ან მგელიკას არქმევენ, რაღანაც, ხალხის რწმენით, ამ ნადირების სახელის მატარებლებს ავი და მავნე არ მიუდგებაო“(56,186).

როგორც ო. სურგულაძე შენიშნავს „ბუნების აყვავება წარმოიდგინებოდა როგორც დედა ლვთაებისა და მზიური მამრობითი ძალების შეერთება“(85,34). შესაბამისად, ნადირობის რიტუალის არქეტიკული ფორმები შეიძლება ვეძებოთ მითიური მონადირისა და ქალღვთაების სასიყვარულო ისტორიის უძველეს ფორმებში: „დალი და ბეთქილი არის ლვთიური წყვილი, დაკავშირებული ბუნების განახლების გაზაფხულის დღესასწაულთან, მსგავსად შუმერულ-ბაბილონური იშტარის და თამუზისა, ფრიგიის კიბელასი და ატისისა, ბერძნული აფროდიტე და ადონისისა. ამას მოწმობს ქართველთ ნადირთ პატრონის, ხოლო შემდეგ მონადირეობის ქალღვთაების სიყვარული მოკვდავი მონადირისადმი, მის მიერ რჩეულის დაჯილდოება და ბოლოს, მონადირის ტრაგიკული სიკვდილი, დამოწმებული არა მარტო ბეთქილის დატირებაში, არამედ მრავალი სხვა სიმღერებითა და თქმულებებით“(39,91). უძველესი მისტერიის ენით, ნადირობის რიტუალში სასიძო, „როგორც არქაული “მეფე” ამ მომენტში ჭაბუკ ლვთაებას განასახიერებს და დედა ლვთაების წიაღში მიიღტვის თავისი მითოსური მოწოდების ხორცის შესასხმელად. კოსმოსური აღდგენის ეროტიული ძალებით შეპყრობილი “მეფე” ის მითოსური მონადირეა, რომლის გამოსახულებებსაც ვხედავთ ცნობილ ბრინჯაოს სარტყლებზე. აქ არის ფალიური გმირი, მონადირე, რომლის მოქმედება არაეგზოგამიურ გარემოშია გაშლილი (რადგან იგი ფალიურია). თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს სცენა, ეს გარკვევითად ნათქვამი ქართულ და მსოფლიო მითოსში. აქ ჭაბუკი “მონადირე მეფე” დაეძებს თავის მიჯნურს, მშვენიერ ქალ-ლვთაებას, რათა სიკვდილის ფასად მოპოვებული სიყვარულით კვლავ ააღორმინოს მიძინებული ქავყანა და კიდევ ერთი ციკლი, ერთი წრე მიუმატოს დროის კრიალოსანს. ქართული ხალხური ქორწილი, ახალი წელი, წვიმის გამოწვევა, თუ ბერიკაობა-ყენობა, უძველესი საგაზაფხულო მისტერიის სახეშეცვლილი ნაირსახეობები თუ დამოუკიდებელ დღესასწაულებად ქცეული ფრაგმენტები უნდა იყოს.. ასეთივე გადმონაშთი უნდა იყოს ჩვენთვის “მეფის განადირების” რიტუალი, რომელიც უძველესი ადრეკლასობრივი ეპოქებიდან დღემდე შემოუნახავს ქართველ ხალხს. კულტურის ელემენტის ასეთი მდგრადობა არა მარტო მითოსურ-რელიგიური

თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ იგი მნიშვნელოვანი არგუმენტია ქულტურულ-გენეტიკური და ეთნოგენეტიკური საკითხების კვლევისას“ (85,129).

ამრიგად, მდედრულ და მამრულ საწყისთა საკრალური კავშირი, ვითარცა განაყოფიერების უმაღლესი აქტი, რომლის გვირგვინიცაა ქორწილი, ალეგორიული სახით, ნადირობის სცენით გადმოიცა. ვფიქრობ, აღნიშნული წითელ ზოლად გასდევს ქართულ მითსა და ზღაპარს. საყვარელ მიჯნურამდე სავალი გზა ხშირად ფათერაკებითა და წინააღმდეგობებით არის აღსავსე. ტყეში, ვითარცა პირველად ქაოსში დაბრუნებით, საკრალური ნადირობით, მამაკაცმა ერთგვარი ინიციაცია უნდა გაიაროს, უნდა განიწმინდოს და ამადლდეს, რათა თავისი გულისწორის დირსი შეიქმნას, რათა „მოინადიროს“ მისი გული. აქ ნათლად ჩანს ქალის ქულტის პრიმატი ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ კი, მამაკაცის მუდმივი „მზაობა“ და ქალის მუდმივი „ლოდინი“. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ამის ნათელი მაგალითია, როცა ნესტან-დარეჯანი ტარიელს საყვედურობს: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“ (80,377).

მშვენიერ ანდრომედეს რომ შეეუძლოს პერსევსმა ჯერ მის დასახსნელად გველეშაპი უნდა მოაკედინოს (18,43). ეს მითოლოგმა უნივერსალურია მრავალი ხალხის ეპონისოვის. თუკი მოვიგონებოთ გველეშაპისმმუსვრელ ლვთაებათა სოლარულ საწყისს, აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმაზედ, რომ გველეშაპის მოკვდინებით, რომელიც ხთონურ, ქვესკნელურ წყლებს განასახიერებს, სასიძო როგორც „მზიური გმირი“ ხელმეორედ „იშვება“, განწმენდილია და მზადაა საკრალური ქორწინებისოვის, შესაბამისად, თამამად იმსახურებს „ნეფის“ ტიტულსაც. ქართულ ხალხურ ზღაპრებში, ხშირად მეფის ქალიშვილის გლეხის ბიჭე მითხოვებით ხაზგასმულია ისიც, რომ „ნეფის“ ტიტულატურა არ ითვალისწინებს ხოციალურ ასპექტს, იგი მთლიანად საკრალურ-რელიგიური წიაღიდან იდებს სათავეს.

საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთი ნიუანსია უურადსაღები. ქართულ ზღაპრებში, მზეთუნახავის დასახსნელად წასულ გმირს ზოგჯერ სატრფო ისე უყვარდება, რომ მას არც კი იცნობს. ხშირად მას სიზმრად უუწყება ხოლმე თავისი საკრალური მისია – განსაცდელისგან დაიხსნას მზეთუნახავი. გმირში აღიძვრება სიყვარული და ეს სიყვარული ძლიერდება სასურველი ქალის ძიების პროცესში, წინააღმდეგობათა დაძლევის გზაზე... ვფიქრობ, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალში, თავად საკითხის არსია მოთავსებული. აქ

მნიშვნელოვანია თავად სიყვარულის პრინციპი: აქტიური, მამრული და პასიური, მდედრული ენერგიების შერწყმით სრულ იქმნას ადამიანი.

ვფიქრობ, ამირანის ხალხური ეპოსი საინტერესოა საკითხის შესწავლა-კვლევასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ამირანზე თქმულება სამონადირეო ეპოსს ეკუთვნის. ღრუბელთბატონის ქალიშვილის – ყამარის მოტაცებით, სამონადირეო ეპოსს ბუნებრივად ექსოვება „საქორწილო მოტივიც“. თუკი ამირანი ყველა ნიშნის მიხედვით „მზიური გმირია“, საინტერესოა, რომ ყამარის სახეში შეიძლება „მთვარის“ სახელს მივაკვლიოთ: „საბას განმარტებით, „ყამარი“ არაბული სიტყვაა და ქართულად მას „მთვარე“ - მთვარე ეწოდება. შვიდ ცოორმილთა შორის მთვარე – ყამარ – ლუნას პირველი ადგილი უჭირავს“ (105,217). ამრიგად, შესაძლოა ამირანისა და ყამარის შეწყვილებით, გადმოცემული იყოს მზისა და მთავრის, იგივე დღისა და ღამის, მამრული და მდედრული ენერგიების ურთიერთშეპირისპირება.

როგორც აღინიშნა, ქართველ მეცნიერთა მოსაზრებით, მითიური მონადირისა და ნადირთდვთაების სასიყვარულო თავგადასავალი დაკავშირებულია ბუნების განახლების გაზაფხულის დღესასწაულთან, შესაბამისად მონადირე ვითარცა „დვთაებრივი“ მექორწილე თავისი არსით უკავშირდება კვდომად და გაცოცხლებად ადრესაგაზაფხულო დღეობათა დვთაებებს: „ქორწილი იყო საკრალური აქცია, რომელსაც ყველა მექორწილე წყვილი „მეფისა და დედოფლის“ რანგში აჟყავდა. წარმოდგენათა ეს სისტემა აისახა ხალხური საქორწილო რიტუალების რთულ სტრუქტურაში, ასევე ადრესაგაზაფხულო მისტერიაში, რომელიც „ბერიკაობა-ყევნობის“ სახელით სრულდება ყველიერში და განფენილი იყო მითოსურ დროში „მეფის“ სიმბოლური სიკვდილიდან ადდგენამდე და „დაკარგული“ დედოფლის დაბრუნებამდე. დღესასწაული ყოფაში გროტესკული ფორმით ტარდება, რაც მის სერიოზულ სოციალურ დატვირთვაზე მიგვანიშნებს. მეორე მხრივ, ამ სისტემის ნახევარი თამაშდებოდა დაკრძალვის ხალხურ რიტუალებში, რომელიც მოკვდავი დვთაების დატირების გეგმით იმართებოდა კერძო საგვარეულო ორგანიზაციაში, კერძო პირის გარდაცვალებისას, ან მთელ სახელმწიფოში მეფის გარდაცვალებისას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ მომენტში ვლინდება ქართველთა წინაქრისტიანული მითოსისა და რელიგიის ყველა ძირითადი წარმმართველი პრინციპი, რომელთა რეალიზაცია ყოველთვის ხდებოდა ნიუანსური სახეცვლილებით, შესაბამისად ეთნო-სოციალური გარემოსი“ (85,207).

ნათქვამთან დაკავშირებით, მაგონდება ბერიკაობის ციკლის რიტუალი, რომელიც აფხაზეთში დადასტურებულ ერთ სამონადირეო რიტუალს საოცრად ჩამოჰყავს (ეს უკანასკნელი იმითაა საინტერესოა, რომ მასში ვლინდება მგელ-ძაღლის გამანაყოფიერებელი ფუნქცია). ბერიკაობის „დღესასწაულის დროს, ზოგჯერ მთავარ ბერიკას ბეწვს გამოაგლევჯენ და დიასახლისს მისცემენ. ამ ბეწვს დიასახლისი საქონლის ბაგაში, წიწილების საბუდარში ჩადებს და ამით მთელი წლის მანძილზე ქათმებისა და საქონლის გამრავლებასა და ოჯახის დოკლათსა და ხვავს დაიბეჭდებს“ (81,33). ახლა მოვიგონოთ აფხაზ მონადირეთა რიტუალი: „აფხაზების რწმენით, ტყის მხეცები და ნადირობა ექვემდებარება განსაკუთრებულ დგომების – ათეიშპას, რომელსაც ლოცვით მიმართავენ ნადირობის წინ, რის შემდეგაც მონადირე ძაღლის ბეწვს ცეცხლში წვავენ, ამით თითქოსდა სურთ ძაღლებსაც მიაღებინონ მონაწილეობა ამ სამონადირეო რიტუალში“ (68,295). საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მონადირე ძაღლის ბეწვის დაწვა იღბლიანი ნადირობის და შესაბამისად ნაყოფიერების „გარანტი“ უნდა ყოფილიყო; გარდა ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავად ძაღლი, დგომება – ათეიშპას ზოომორფული სახე შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან სწორედ დგომებისადმი ლოცვის აღვლენას მოსდევდა ძაღლის ბეწვის დაწვა, რომელიც ალბათ ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ბერიკას ბეწვის თანაბარდირებული ხატ-სიმბოლო იყო.

ამრიგად, როგორც დამოწმებული მასალიდან ირკვევა, ნადირობა, რომლის საკრალური ასპექტი საქორწილო რიტუალშიც ვლინდება, ბუნების ძაღლების აღორძინებასთან და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული; აღნიშნული დამაჯერებლობას მატებს ჩვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მითიური მონადირეებისა და მათი თანმხლები ძაღლების არქეტიპული სახეები, ქართველთა უძველესი სოლარული რწმენა-წარმოდგენებიდან უნდა იღებდეს სათავეს. ამასგე ისიც გვაფიქრებინებს, რომ ნადირთდგომა მდედრული კორელატი თანდათან წმინდა გიორგის მზიურ-გამანაყოფიერებელმა კულტმა ჩანაცვლა, რომლის მითო-რელიგიურ სახეში მგელ-ძაღლის სიმბოლო ასევე აქტიურად ვლინდება.

მგელ-ძაღლის სიმბოლოს გამოვლენაა რაჭაში შემორჩენილი ქართული ხალხური ლექსი, რომელიც „ქართული ფოლკლორის კიდევ ერთი უძველესი, ორიგინალური ძეგლია, დაკავშირებული მონადირეობის ხანასა და კულტთან. ეს არის ლექსი „ქალსა ვისმე ერქვა შროშანი“. „კურშას“ ლექსის მსგავსად, ეს

ლექსიც საფერხულო შესრულებისაა და მას რაჭაში დღემდე საწეო ხასიათი აქვს შერჩენილი. ამ ფერხულს ისევე, როგორც ბეთქილის ფერხულს, ხვანეთში აღების დამის წინა დღეს ასრულებდნენ ქალები. ამ დღეს ქალები დილიდან არც საჭმელს და არც წყალს არ ეკარებოდნენ. ამ ლექსის და კიდევ რამდენიმე საწეო საგაზაფხულო სიმღერის მდერით ქალთა ფერხული სოფლის ყოველ სახლს მოივლიდა, ხოლო საღამოს ყველიერი იწყებოდა. მთა რაჭის მთქმელთა მოწმობით, ეს ფერხული ძირითადად ქალთა მიერ სრულდებოდა, რაც აგრეთვე მის არქაულობას მოწმობს“(39,68).

როგორც ე. ვირსლაძე შენიშნავს, „ყურშას თქმულებისა და მისი მითიური სახის გაშიფვრის შემდეგ იხსნება ამ ლექსის სიუჟეტი“(იქვე), ვინაიდან „ეს სადიდებელი პიმი, რომელსაც გაზაფხულზე მონადირეთა ფერხული ასრულებდა, წარმოადგენს ვედრებას ქალდვთაებისადმი, რათა მან მოუვლინოს მონადირეს ლვთაებრივი ფრთოსანი ლეკვი, ყორნის ან ქორის ჯადოსნური ბარტყი, რომელიც მონადირეს იღბალს მოუტანს და მის ბედნიერ ნადირობას უზრუნველყოფს“(39,178).

მოვიგონოთ ამ ლექსის შინაარსი:

„ქალსა ვისმე ერქვა შროშანი.  
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი.  
ბეჭდის თვალსა მოლი მოსულა,  
მოლის თავსა ნაძვი ასულა,  
ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ედგა.  
ბუდე იყო, აბრეშუმისა,  
კვერცხი პქონდა იაგუნდისა,  
გამოსჩეკა მარგალიტისა.  
ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდე,  
გაზარდე და გააკეთე,  
ჩემთვის ამყოფე.  
სხვა ათასი სხვას გაუზარდეთ,  
სანადიროდ – გზა გაუწაფე,  
სანადიროდ წასულიყოს,  
მოკლას ირემიო“ (39,69).

ლექსის სხვა გარიანტში, მითოსური ყურშას დაბადების მოტივი უკეთ იკვეთება:

„ბუდე იყო, ბუდე იყო  
აბრეშუმისაო:  
კვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა  
იაგუნდისაო;  
ლეპვი ჩეკა, ლეპვი ჩეკა  
მარგალიტისაო.  
ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი  
ჩემთვის გაზარდეო,  
გაზარდე და დამიმთავრე,  
კარგა მიმყოფეო“(39,70).

საინტერესოა ე. ვირსალაძის მოსაზრება იმის თაობაზე თუ „ვინ არის ის „ქალი ვინმე შროშანი“, რომელსაც ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი, ბეჭდის თავს კი მოლი და მოლზე ნაძვი მოსულიყო? ეს იგივე ნადირთ პატრონია, რომელსაც უკვე ნაყოფიერების ღვთაების, ბუნების ბატონი ქალის ნიშნები აქვს. მონადირე ხან მას, ხან მის ზოომორფულ სახეს – ქორს მიმართავს თხოვნით, ნაქები სანადირო ძაღლის ყურშას მოვლენის შესახებ. მას შესთხოვს, ბუდეში მარგალიტის კვერცხიდან გამოუჩეკოს ლეპვი, რომელსაც იგი ნადირობაში გამოიყენებს. ჩვენ უკვე ვიცით, მრავალი თქმულების თანახმად, რომ ასეთი ლეპვი მონადირისთვის სანატრელი იყო“(39,70).

აღნიშნულ სარიტუალო ლექსს, გარდა სამონადირეო დანიშნულებისა, უნდა ჰქონოდა ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელი ფუნქციაც, რაც ხაზგასმულია იმით, რომ მისი შესრულება ემთხვეოდა გაზაფხულის დადგომას. ღვთაებრივი ყურშას „დაბადება“ აღეგორიული სახით ასევე უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ბერიკაობის ციკლის ადრესაგაზაფხულო დღესასწაულებთანაც. მოკვდავ და გაცოცხლებად ღვთაებებთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ე. ვირსალაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ამ კულტების საფუძველი იყო წარმოდგენა ბუნების ყოველწლიური სიკვდილისა და განახლების შესახებ. მონადირეობის ხანაში იგი უკავშირდებოდა ნადირის, როგორც ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო წყაროს კლებას ზამთარში და მის გამრავლებას-გამოჩენას გაზაფხულზე. ამით აისხება ზოომორფული სახეების სიუხვე ამ მითებში. აქტეონის, ადონისის, ატისის სიკვდილი ნადირთან ან მონადირეობასთან არის დაკავშირებული. მესაქონლეობის განვითარებასთან

ერთად ბუნების სიკვდილისა და განახლების შესახებ წარმოდგენა მცენარეულობის დვთაებას დაუკავშირდა. ამ წარმოდგენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა მიწათმოქმედების ხანაში“(39,93).

ამრიგად, სამონადირეო ეპონი არსობრივად უკავშირდება ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლს და ამ ციკლის მთავარ პერსონაჟებს. ლექსში „ქალსა ვისმე ერქვა შროშანი“ ეს კავშირი ცხადლივ არის მოცემული, რაზედაც მსურს საგანგებოდ გავამახვილო ყურადღება.

პირველი, რაც ლექსში იპყრობს ყურადღებას არის ის, რომ დვთაებრივი ლეპის დაბადებას წინ უსწრებს საკრალური ხის ამოსვლა, რომელსაც დედა დვთაების ხელი „შობს“. დვთაების „ხელი“ შემცულია იმ „ბეჭდით“, რომელშიც აკუმულირებულია მითოსური სურათ-ხატების მთელი წევბა, რომელიც, ჩემი ვარაუდით, სოლარული რწმენა-წარმოდგენებიდან უნდა იდებდეს სათავეს. აქ ბეჭედი დედა დვთაების ინსიგნია, რომელსაც კონკრეტული ფუნქცია აგისრია. სანამ უშუალოდ ხის სიმბოლიკაზე გადავალო, შევეხოთ ბეჭედს, კერძოდ კი „ბეჭდის თვალს, რაზედაც იშლება არაჩვეულებრივი სურათების წყება: ბეჭდის თვალსა... მოლი მოსულაო; მოლის თავსა, ნაძვი ასულაო, ნაძვის წვერსა... ქორს ბულე ედგაო, ხოლო ბულეში ქორს მარგალიტის კვერცხები ეწყო“(5,97). საკითხთან დაკავშირებით, საგულისხმოა პ. აბაშიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ოვალი“ და „მარგალიტი“, რომელიც ლექსში შეგვხვდა, ძვირფასი ქვების ნაირსახეობას მიეკუთვნება და მათში ადამიანები კეთილ სულიერ არსებებს გულისხმობდნენ... კახეთში არის თეთრი გიორგის ტაძარი. გადმოცემით ეს სახელი მიტომ შერქმევია, რომ იქ, სადაც დღეს ტაძარია, ადრე ტყე ყოფილა და შიგ თეთრი ქვა დებულა წმინდა გიორგის გამოსახულებით... ამირანის ეპონის სვანურ ვარიანტში ხშირად გვხვდება „თეთრი კლდე“, როგორც წმინდა ადგილი. მიგვაჩნია, რომ სვანი სწორედ სულიერ ქვას (ბროლს) გულისხმობს, როცა „თეთრ კლდეს“ წარმოთქვამს „დალი კლდეში მშობიარობს“(5,97).

ნიშანდობლივია, რომ „ბროლის სხვადასხვა სახეობას ხშირად ვხვდებით საქართველოს მთიანეთის ნიშნებსა და საკულტო ადგილებზე: ბევრი ხატის ნიშნე აწყვია მთის ბროლის ქვები, ბევრგან კი წვერი თეთრი ქვისა აქვს. ხეგსურეთში დღესაც შემორჩენილია მიცვალებულის სახელზე ნიშის ან სასმელი წყლის გამოყვანის წესი; ასეთ ნიშებზე თეთრ ქვებს ვხვდებით. სახლის აშენების დროს ცდილობენ, კედელში თეთრი ქვა ჩააყოლონ... ყაზბეგში ბროლის განთქმული მაძიებლები არიან... აქაურების აზრით, „ბროლი კლდეზე იზრდება“(5,98). ბროლი, ქრისტიანობის შემდგებაც ინარჩუნებს საკულტო

ხასიათს, ვინაიდან „ბროლზე, როგორც სულიერ ძალთა შემცველზე, შეასუკუნების ქრისტიანული ეპლესია ადარ მიუთითებს, მაგრამ საეცლესიო ინვენტარში კი აუცილებელ ნივთად ითვლება“ (5,99).

საკითხთან დაკავშირებით, ზემოთმოყვანილი ციტატის ავტორი შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას ბროლის საკულტო მნიშვნელობაზე, ვინაიდან ერთი მხრივ, მასთანაა ასოცირებული ქალღვთაება დალის „მშობიარობის ამბავი“, ხოლო მეორე მხრივ კი, რაც ძალზედ საინტერესოა, ბროლი ასოცირებულია ცეცხლთან, რასაც ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელი მნიშვნელობა ენიჭება, თუნდაც ჩვენს მიერ განხილულ საწესო ლექსში, თუკი ღვთაების ბეჭდის თვალს ბროლად აღვიქვამთ: „კლდე სიმაგრისა და ძლიერების სიმბოლოა, მისი უმაღლესი სახეობა ბროლია – ნათელი, გამჭვირვალე, სკეტაკი; კაუ კი (ბროლის სახეობა) ნაპერწკლის ბუდე და ენერგიაა... ბროლის როგორც ქვისა და კლდის უმაღლესი სახის მნიშვნელობა ცეცხლურ ენერგიაში მჟღავნდება. სულიერი ძალებიც ცეცხლოვანი ენერგიითა და ნათების უნარით გამოირჩევიან“ (5,16). აქვე, ჩემი მხრივ, იმასაც დავსძენ, რომ ბროლის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ძვირფასი ქვის სინონიმად ნახმარი „თვალი“ სწორედ ამ უგანასკნელის მზიურ-ცეცხლოვან და თუ გნებავთ „ღვთაებრივ-სულიერ“ ხასიათს (თუნდაც ზემოთმოტანილი ლექსის საწესო ხასიათიდან გამომდინარე) უსვამს ხაზს, რადგანაც თვალი, როგორც ხედვის ორგანო, მუდამ მზის მანათობელ სემანტიკაში განიხილება. ამასთანავე, „ძვირფას ქვაზე როგორც სულიერ არსებაზე, ამბობენ: თუ შუქი დაკარგა, „ქვა მოკვდაო“, რაც უფრო ძვირფასია ქვა, მით უფრო ძლიერი სულიერი ძალების სამყოფელად იგულისხმება“ (5,106). სწორედ თვალის მზიური სემანტიკის ხაზგასმით არის გადმოცემული დიდი დედის ასტრალური ბუნებაც, როგორც ამას შენიშნავს ი. კიბიძე: „სამელე კლდის კვირისტავების განხილვის დროს აღვნიშნე, რომ კვირისტავი, ბორბალი, თვალი – მზის სიმბოლოებია. ამ მხრივ, საინტერესოა თვალი, რომელიც ძველი ცივილიზებული ხალხების წარმოდგენებში მზის სინონიმი ჩანს, ასევე ქართულში სადაც მზეს, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, საერთო ფუძე აქვს „მზერასთან“ და მნათობის გარდა თვალსაც აღნიშნავს. ხრამის „დიდი გორის“ ანთროპომორფულ ფიგურებს სახეზე უკელას რელიეფურად თვალები აქვთ გამოყვანილი, რომლებიც ამავე დროს, ინკრუსტირებულნიც არიან. ვფიქრობ, თვალების აქცენტირებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ხაზგასმულია მზე-ღვთაების და „დიდი დედის“ ერთობა, „დიდი დედის“ ასტრალური ბუნება“ (44,161).

თუკი დაგუშვებო ვარაუდს, რომ დედა ლვთაების ბეჭდის თვალი ბროლის ქვისაა, აღმოჩნდება, რომ ამ საკულტო ქვის სახელი და შესაბამისად მისი „სულიერი თვისებებიც“, ლექსის მითოსური ქარგის თანმიმდევრობის გათვალისწინებით, „ბეჭდად აზის“ ქორის ბუდეში გამოჩეკილ ლეპებსაც. მართლაც: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ტრაგიკულად დაღუპულ მონადირის ციკლიდან ერთ-ერთ თუშურ ვარიანტში მონადირის ძაღლს ალმასა ჰქვია... ძაღლის სახელი ალმასა (ალმასი ძვირფასი ქვის ბროლის ნაირსახეობაა) ისევე, როგორც ძაღლის მეორე სახელი ბროლია (ბროლი მთის ძვირფასი ქვა სავარაუდებელია ფრინველ ბორასაგან ნაწარმოებად) ორბის ლეკვ ყურშას იდენტურ მითურ არსებებზე მიგვანიშნებს“ (5,103).

ახლა შევეხოთ ლექსში მოლიდან ამოზრდილი ხის საკითხს. ბ. აბაშიძის აზრით, „მოყვანილ ლექსში ნაძვი „სიცოცხლის ხედ“ არის ნაგულისხმები. „სიცოცხლის ხის“ წვერზე მითური ფრინველი ბუდეს იკვთებს და მარგალიტის კვერცხებს ხდებს“ (5,101). საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ე. ვირსალაძის მოსაზრება, რომ „ალ. რობაქიძის მოწმობით, მონადირე დალის მიმართ ლოცვას ნაძვის ხის ქვეშ ასრულებდა ხოლმე. ნაძვის ხე მცირე აზიასა და საბერძნეთში წმინდა ხედ იყო მიჩნეული. მისი კულტი საბერძნეთში სწორედ ნადირობის ქალღმერთის არტემიდეს სახელს უკავშირდებოდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო ნაძვის კულტი ფრიგიაში, სადაც იგი უძველესი, ნაყოფიერების ქალღვთაების კიბელას ხედ იყო მიჩნეული“ (39,71). ავტორისვე მოსაზრებით „ნადირთ პატრონის სახეს უკავშირდება ჩვენთან ნაძვის კულტიც, რომელიც არტემიდეს სახელთანაც იყო დაკავშირებული. ნაძვის ქვეშ ლოცულობს მონადირე. ნაძვის ხე იხსენიება ჩვენს მიერ უკვე გარჩეულ საფერხულოში „ქალსა ვისმეს“, როგორც ლვთაების სადგომი და ლვთაებრივი ყურშას გაჩენის და მონადირის მიერ მისი პოვნის ადგილი. აკად. ა. შანიძის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი სვანური თქმულებით, დალი და მონადირე, ტყეში დარჩენილი მონადირე ხედავს როგორ გაიპო შუაზე წიფელა და ხიდან დალი გამოვიდა. დალიმ მონადირე ქორწილში წაიყვანა, დილით კი ისევ წიფლის ხეში შევიდა. მეორე დღეს მონადირემ 9 ჯიხვი მოკლა“ (39,97).

აქვე დროულია გავიხსენოთ სვანეთში კვირიას ადრე საგაზაფხულო დღეობათა ციკლში გავრცელებული მურყვამობა-კვირიეობის რიტუალი (85,109), როცა სპეციალურად ზემისთვის აგებულ თოვლის კოშკს სწორედ ნაძვის ტოტი ან ჯგარი ამშვენებდა, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო; ორ ბანაკს შორის

შემდეგ იმართებოდა შეჯიბრი; საითაც გადაინგრეოდა კოშკი იმ წელს ხვავი და ბარაქა იმათ დარჩებოდათ. საკრალური ხის მოტივი თან ერთვის ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლის, მოკვდავი და გაცოცხლებადი დვთაებების კულტმსახურებას. საკითხთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, რომ „იეროგლიფურ-ლუგიურ დამწერლობაში, სადაც ძველანატოლიური მითების თავისებური ასახვაც მოწმდება, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ საპუთარი სახელწოდება „ტელეფინუ“ იეროგლიფურ-ლუგიურ დამწერლობაში ხის გამოსახულებითაა წარმოდგენილი, ხოლო მოკვდავი და აღორძინებადი დვთაება ტელეფინუს მითის დასკვნითი ნაწილის ერთ-ერთ ცენტრალურ თემას სწორედ ხეზე (ეიაზე) ამ დვთაებისადმი მსხვერპლად შეწირული ცხვრის ტყავის (საწმისის) ჩამოკიდების რიტუალი შეადგენს (113,161).

საკრალური ხე დიდ როლს თამაშობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ხატში ყრმის პირველად მიყვანის დროს, როცა ხდებოდა „ნათლობა“ და შესაბამისად, სრულდებოდა ყრმის თემის სრულუფლებიან წევრად გახდომის რიტუალი, რომელიც „მისამბარეოს“ რიტუალითაა ცნობილი: „„მისამბარეოს“ რიტუალში მთავარი მომენტი იყო სრულიად შიშველი ბავშვის „დროშათ საბრძან კოშკთან“ დადგმული დროშის ქვეშ „შეგორება“. შიშველი ყრმის შეგორება ჯვრის ხის ქვეშ არსებითად მისი ხისგან შობის სიმულაციას წარმოადგენს, ხოლო ასტრალური რელიგიის განვითარების მაღალ საფეხურზე იგი დაკავშირებულია სოლარულ კულტთან და სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს წარმოადგენს“ (81,176).

ვ. ბარდაველიძის აზრით, „ბავშვის დროშის ქვეშ შეგორების მომენტი, მიბარების წესში მისი შობის სიმულაციას გამოხატავდა ერთ დროს საკულტო ხის, შემდეგ კი ჯვარ-ხატებისა და მათი განმასახიერებელი დროშის მიერ. მთლიანად წესი კი ბავშვის დვთაებისადმი (ტოტემური ხის, საკულტო ხის, ჯვარ-ხატის და მისი განმასახიერებელი დროშისადმი) მიშვილებაში მდგომარეობდა“ (36,95).

აღვნიშნოთ, რომ საკრალური ხე რიტუალში ხშირად დროშითაა ჩანაცელებული, რომელიც პრაქტიკულად მის ანალოგს წარმოადგენს: „დროშას „ალვის ტანი“ ეწოდებოდა, რაც მიუთითებს ამ საგნის კავშირზე დვთაებათა კარზე ამოსულ, დვთაებათა საბრძანისის მითიურ ხესთან“ (81,177). ბერიკაობა-ყენობის რიტუალში დროშას, როგორც „სიცოცხლის ხის“ დუბლიკატს, გამანაყოფიერებელი მისია ეკისრება: „როდესაც ყენს წყალს ასხამენ, გაიძახიან:

„ნამ, ნამ, მოსავალი, წვიმა, მოსავალი.“ წყლით ხალხის „განათვლა-დასველება“ იციან აგრეთვე დროშის მეშვეობითაც. დროშის დამტარებელი, „მებაირახტრე“ დროშას წყალში დაასველებს და ხალხს გაწუწავს“(81,59).

იმის გათვალისწინებით, რომ დროშა საკრალური ხის იდენტურია, ერთ ხევსურულ მითოლოგიურ წარმოდგენას საინტერესო პარალელი ეძებნება ჩვენს მიერ წარმოდგენილ საწესო ლექსთან: „ქალსა ვისმე ერქვა შროშანიო“. კერძოდ, ამ წარმოდგენის მიხედვით: „დროშა ქალური წარმომავლობის საგნით არის „აგებული“; მის შექმნაში მონაწილეობს ქალის ხელი, რომელიც დროშის განათვლის შემდეგ მას გერასოდეს შეეხება“(81,177). ალბათ, ამ ქალური საწყისის მოსაგონებლად „დროშას ებმის ქალთაგან შენაწირი. რაც მთავარია, დროშას „აშენებს“ საკადრისები (ან სამკადროები), რომლებიც ქალის შესამოსელის ნაწილს შეადგენს“(იქვე).

ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ რაც დროშას ქალი „შობს“, ის უკვე მამრულ ხასიათს იმკვიდრებს. ბერიკა-ყევნის ხელში დროშას, ისევე როგორც ხის ხმალს, უკვე ფალიქურ-გამანაყოფიერებელი ფუნქცია ენიჭება. როგორც ჯ. რუხაძე შენიშნავს, „ასტრალური ნიშნებით გამოხატული დროშა და საკულტო ხე (ხატი) სიმბოლურად გამოხატავს კეთილდღეობას, სიუხვეს, სიცოცხლეს, განახლება-აღორძინებას. იგი უკავშირდება ქართველთა უძველეს წარმოდგენებს სიცოცხლის ხის შესახებ, რომლის თანახმადაც, ხე ქვეყნიერებისა და მისი მუდმივი კვდომა-განახლების სიმბოლო იყო“(81,173).

ხე, როგორც კვდომისა და განახლების სიმბოლო, ქართულ ლექსიკაში აისახა ისეთ გამოთქმაში როგორიცაა: დაბელვა, გადაბელვა, ხის გასხვლის, გამხმარი ტოტების მოშორების მნიშვნელობით, რაც თავისთავად გულისხმობს აღორძინების იდეას. დაბელვაში უნდა ბელ ფუძე გამოვყოთ, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მითოთებით, იგივე ბერ ფუძეა, დავანებული მოკვდავი და აღდგენადი ღვთაების – ბერიგას სახელში. ამ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ჟ. ერიაშვილი: „ქართულ ენაში მიბარება ნიშნავს ვინმეს, ან რაიმეს მოსავლელად, საპატიონოდ, აღსაზრდელად მიცემა, რაც სრულ შესატყვისობაშია წესის შესრულების ახლანდელ დანიშნულებასთან. მაგრამ ვფიქრობ, შესაძლებელია უფრო ადრეული საფეხურის გამოყოფაც. მიბარებაში ბარ – სიტყვის ძირია, რომელიც ივ. ჯავახიშვილის განმარტებით ბარა მცირებულოვანების, შვილობის აღმნიშვნელია. ნიშანდობლივია, ამ მხრივ, რომ ბერე ჭანურში შვილს ეწოდება, ხოლო მეგრულსა და ქართულში შემორჩენილია გგარებსა და სახელებში, რაც “საქართველოში ძველად ბერის,

ვითარცა შვილის, ანუ ძის აღმნიშვნელ სიტყვის, არსებობას ამტკიცებს". ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბარასა და ბერებს ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს დათვის შვილის სახელად ქცეული სიტყვა ბელიც. როდესაც ახალი ნორჩი ტოტების გამოსატანად და ერთნაირი განახლების მიზნით ხეს ძველ ტოტებს შეაჭრიან, ამას დაბელვა ეწოდება. ეს სახელზმნა, რა თქმა უნდა იმავე ბელისგან არის ნაწარმოები და ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ხის ახალ, ნორჩ ტოტებს გულისხმობს. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბელსაც წინათ ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია და ოდესლაც იგი მარტო დათვისა კი არა, არამედ საერთოდ ნაშობის გამონაყოფის გამომხატველი ყოფილა"(36,97).

როდესაც ხის „განახლების“ მიზნით ნახმარ ზმნას – დაბელვა, ვუდარებთ დათვის შვილის სახელს ბელი და ამ უკანასკნელში ზოგადად შვილიერების სახელს ვხედავთ, რაც სრული ჭეშმარიტებაცაა ამ სიტყვის ჭანური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ დათვი კვდომადი და აღდგენადი ღვთავება – ბერიკას ერთ-ერთი ზოომორფული სიმბოლოცაა, რომლის ნიდაბიც ბერიკას რიტუალში არცოუ იშვიათად ფიგურირებს. თუკი მოვახდენთ საკითხის კიდევ უფრო დაკონკრეტებას, დათვის შვილი – ბელი არა მხოლოდ შვილიერების სიმბოლოა, არამედ სიკვდილისა და კვლავ დაბადების სიმბოლოც, რაც ნიუანსური სიზუსტით გადმოიცა უკვე ხის გასხვლის მნიშვნელობით ნახმარ ზმნაში – დაბელვა/გადაბელვა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ, რომ „კახეთში იმართება ტახის გასამართლება, რომლის დროსაც ტახი და ბერიკა ჭიდაობენ, თბილისის სატიოს უბნის ბერიკაობაში, იმართებოდა ქორწილი, სადაც ტახი ქორწინდება, სხვაგან მგელი და დათვი კლავენ ტახს, ან ტახი კლავს რომელიმე ბერიკას, რომელიც შემდეგ ცოცხლდება... დ. ჯანელიძემ საგანგებოდ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბერიკულ თამაშობებში ზოომორფულ ნიღაბთაგან ყველაზე ჭარბად დათვისა და ტახის ამსახველი მასალაა შემონახული. მან ეს მისტერიები ღვთაებათა კვდომა-აღდგენის სპეციფიკურ ციკლში მოაქცია და ტახისაგან მოკლული ადონისის მითოსს დაუკავშირა“(85,100). ადნიშნული, ი. სურგულაძისვე მოსაზრებით, „თვალსაჩინოდ ადასტურებს ქართული რიტუალის ელემენტთა უაღრეს არქაულობას და ფართოდ განფენილობას ძველი მსოფლიოს კულტურებში. საფიქრებელია, რომ ქართველთა წინაპრები ძველთაგანვე მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ თავიანთ მეზობლებთან. მათი მითოლოგია, რელიგია და ხელოვნება იმ ეპოქისათვის ტიპიური და საერთო თვალსაზრისის საფუძველზეა აღმოცენებული და

ჩამოყალიბებული, რაც ბუნებრივია დიდი კულტურული სიახლოებისა და მჭიდრო ეთნოკულტურული პროცესების ფონზე უნდა მომხდარიყო“ (85,264).

მარადმწვანე, სიცოცხლის ხის სიმბოლიკაზე მსჯელობა ბუნებრივად გვაახლოვებს მგელ-ძაღლის კულტთან, ვინაიდან ქართულ ხალხურ ლექსში: „ქალსა ვისმეს ერქვა შროშანაო“ მითიური ყურშას დაბადება სწორედ მარადმწვანე ხის კენწეროში ხდება. როგორც საკულტო ხეში დავინახეთ სიკვდილ-სიცოცხლისა და ბუნების აღორძინების მითიური ხატებები, ვფიქრობ, ანალოგიური სურათი უნდა გვქონდეს მგელ-ძაღლთან დაკავშირებითაც, რადგან კვდომისა და გაცოცხლების - ბერიკაობის რიტუალში დროშასთან ერთად, რომელიც „სიცოცხლის ხის დუბლიკატია“, ასევე მონაწილეობს მგელ-ძაღლის ნიღბებიც, რაზედაც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებოთ.

### 3) მგელ-ძაღლის სიმბოლოს მიმართება კვდომად და აღდგენად ღვთავებებთან

ერთი ქართლ-კახური საწესო სიმღერა შინაარსობრივი თვალსაზრისით ძალზედ ჩამოჰვავს ჩვენს მიერ უკვე განხილულ ლექსს: „ქალსა ვისმეს ერქვა შროშანაო“. ამ ლექსში მოტანილი მითოსური სიუჟეტი იშლება მარანში, სადაც სიცოცხლის ხის დარად „ალვის ხე“ ამოდის და ზედ ბულბულია შემომჯდარი. 6. აბაკელია ამ ლექსის სიუჟეტს სამოთხის ხატებას უკავშირებს:

„იაგუნდის მარანშია  
შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო,  
შიგ ალვის ხე ამოსულა,  
ნორჩია და შტოსა შლისო,  
ზედ ბულბული შემომჯდარა,  
გასაფრენად ფრთასა შლისო“(2,118).

ლექსის საწესო, ნაყოფიერებასთან დაკავშირებული შინაარსის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც, „ალვის ხეში“ უნდა ვიგულისხმოთ მარადმწვანე კვიპაროსის ხე, რომელიც თავისი ფუნქციონალური დატვირთვით ლექსის მითოსურ შინაარს უფრო ესადაგება. ალვის ხის კავშირს კვიპაროსთან ხაზს უსვამს 6. აბაკელია: “საინტერესოა საკრალური ხის ხატება ალვის ხის სახით, რომელიც უფლის (სხვა შემთხვევაში რომელიმე ღვთისშვილის) კარზე ამოსულა. უკანასკნელი კვლევების მიხედვით, ალვის ხე, რომელიც სურნელოვნებითაა განთქმული და ღვთის მსახურებაში ფართოდაა გამოყენებული საკმეველში, ასევე მარადმწვანე ხის მნიშვნელობის მატარებელიცაა და იგივე კვიპაროზია“(2,116). მარანში აღმოცენება იმაზეც მიგვანიშნებს, რომ „ალვის ხის“ სახით შესაძლოა ნაგულისხმები იყოს ვაზიც, რომელიც აშკარად მზიურ სემანტიკაშია მოქცეული; გავითვალისწინოთ ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ ერთ საწესო სიმღერაში, ღვთის კარზე ამოსული „ალვის ხე“ იგივე “ყურძენია“, „გაზია“:

„ჩვენი ხთისშვილის კარზედა  
ხე ალვა ამოსულაო,  
წვერად მაუსხამ ყურძენი,  
საჭმელად ჩამოსულაო,

მისი უქმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო“(2,117).

დავუბრუნდეთ მარანში ამოსული ხის მოტივს და გავიხსენოთ ვ-ბარდაველიძის ხედვა ზემომოტანილ ლექსთან დაკავშირებით. ავტორის მოსაზრებით, ლექსში ნახსენები მარანი უნდა უკავშირდებოდეს დიდი დედის - ნანას და მისი თანმხლები ღვთაებების - ბატონების, სამყოფელს - „მზის ბაღს“, სადაც ია-ვარდი და თუთის ხეები ხარობს(12,79). ნათქვამის საილუსტრაციოდ, ავტორს მოჰყავს საწესო სიმღერის ერთი ფრაგმენტი: „იისა და ვარდის ბაღში ბატონები ბრძანდებიან, ბატონებსა სუფრა ნებავთ გარშემო ძლიერ მორწყული“. აქ ნახსენებ „ბაღში“ ვ. ბარდაველიძე დია, საზაფხულო მარანს ხედავს, რომელიც ქართველთათვის სტუმრის მიღების საპატიო ადგილად ითვლებოდა(12,80).

საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა თუ როგორია დიდი დედის ბაღი და რა მითო-რელიგიური სახეებითაა ის დატვირთული: „В легендах это царство называется «страной господ» (ბატონების ქვეყანა), вариантах песни в честь Наны – «садом господ» (ბატონების ბაღი), а в сказках «садом солнца» (მზის ბაღი). Под последним термином разумеется сад божественной семьи, которая по одной кахетинской сказке состоит из представителей трех поколений: матери больших светил дня и ночи (მზისა და მთვარის დედა), солнца, луны и трех дочерей солнца (სამი მზის ქალი); кроме того, **при них находятся бог грома и молнии Элия, волк и «золотой баран»** (ოქროს ვერდი/ოქროს ერკემალი). В «саду солнца» в одно и то же время одни растения находятся в цвету, другие опадают, а на иных висят спелые плоды(ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰდიოდა)“ (12,78).

ზემოთ მოყვანილი ციტატა მრავალმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი აღვნიშნოთ, რომ თუკი მარანში მგელ-ძაღლი არ ფიგურირებდა, მას უკვე ვხვდებით დიდი დედის - ნანას ბაღში; ამრიგად, ღვთაებათა სადგომში, იქნება ეს მარნის თუ ბაღის სახით წარმოდგენილი, მგელ-ძაღლის სიმბოლო საპატიო ადგილს იკავებს. თანაც უურადღება მივაქციოთ იმას, რომ „მგლისგან“ შორიახლოს ჭექა-ჭეხილის ღვთაება ელიაცაა, რომლის ნიშნებსაც ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ აღნიშნული მითოსური ყურშა ატარებს. დიდი დედას - ნანას ბაღის „მზიური“ ხასიათი იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ მასში წარმოდგენილი ზოომორფული თუ ანთროპომორფული სიმბოლიკა ასევე მზიური ნიშნითაა დაღდასმული.

კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი გააჩნია დიდი დედის „მზის ბაღს“, – პერძოდ, ის, რომ იქ მოწეული ნაყოფი, „ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰდიოდა“. ამ საგულისხმო ნიუანსით ხაზგასმულია ბაღის სამოთხისული, მარადიული ასპექტი, დროის „უძრაობა“, რაც გადმოიცა წელიწადის ოთხივე დროისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა ერთობლიობით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბაღში ჩართული სიმბოლოებიც უნდა ატარებდნენ მარადიულ, „დგომიურ“ ნიშნებს. საკითხავია, თუ რას უნდა განეპირობებინა მგლის ამ „რანგში“ აყვანა? უპირველეს ყოვლისა, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ქართველთა წარმართული რელიგიური პანტეონის როგორც მდედრული, ასევე მამრული დვოაებების ნების აღმსრულებლებლად მგელ-ძაღლები ითვლებიან (3,29), რამაც დაუმკვიდრა კიდეც ამ ზოომორფულ სიმბოლოს დვოაებრივი „სტატუსი“. შესაბამისად, ამ სიმბოლოს ასეთი მდგრადობა მისსავე სიძველეზე მიუთითებს!

მეორეც, რაც ასევე საინტერესოა საკითხთან დაკავშირებით, გახდავთ ის, რომ ქართული მითოსური ხედვით, **მგელ-ძაღლი ერთდროულად ციურიცაა, მიწიერიც და ქვესკნელთან დაკავშირებულიც.** მართლაც, როგორც ორბის შვილი, მითოსური ყურშა ციური ძაღლია, თანაც ღვთაებრივი ნიშნების მქონე, რადგანაც ოქროს ყურ-ტუხი და ჭექა-ჭუხილის ხმა აქვს; ცაში ნაშობი ყურშა მიწაზე ბრუნდება და მონადირის ერთგულ ძაღლად იქცევა, თუმცა საბედისწერო როლსაც თამაშობს მის ცხოვრებაში. მგელ-ძაღლის ქვესკნელურ ასპექტთან დაკავშირებით, გავიხსენოთ კოლხური სამყაროს მგელ-დრაკონი – გვერი, რომელსაც ფეხები გველებისა აქვს და რომლის გამოსახულებასაც კოლხურ საწესო ცულებზე ხშირად ვხვდებით. გველის ხოონურ ბუნებაზე კი ისიც მიუთითებს, რომ მას სწორედ სიცოცხლის ხის ფეხვებში უდევს ბინა. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ მითოსურ ყურშას წარბები გველებისა აქვს, რითაც ალბათ მისი ხოონური ასპექტია ხაზგასმული. მგლის სიმბოლოს სამსახოვნება უკეთ კავშირს პოულობს სამყაროს ხესთან, ეწ. Axis mundis-თან, რომელიც ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის საკრალურ კავშირს წარმოადგენს. სამივე სკნელთან წილნაყარობას შეიძლება კიდეც განეპირობებინა მგელ-ძაღლის სიმბოლოს დაბინავება დიდი დედა – ნანას სამოთხისეულ, „მზიურ ბაღში“. ახლა გავიხსენოთ ისიც, რომ სამყაროს ხის სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს შესრულება წრიული ფერსულებისა, რომლებიც ქ. ალავერდაშვილის მინიშნებით, „გამოხატავენ მთელი სამყაროს, ვერტიკალზე განლაგებული მისი სამივე დონის წრებრუნვის იდეას Axis mundis-ის გარშემო,

ცისა და მიწის კავშირს საკრალურ ცენტრში, დროის ციკლურ მდინარებას, რაც ბუნებრივია, უკავშირდება წესრიგს, ნაყოფიერებას, კეთილდღეობას და ა.შ.“(6,77). ნათქვამის გათვალისწინებით, ადრე საგაზაფხულო დღეობათა ციკლში, უკრშას საპატივცემულოდ გამართული წრიული ფერხული, ისევე როგორც მისი თანმხელები სასიმღერო მოტივები, კიდევ ერთი აშკარა დადასტურებაა მგელ-ძაღლის სიმბოლოს და **Axis mundis**-ის საკრალური კავშირისა. საკითხთან დაკავშირებით ასევე მეტად საინტერესოა მესხეთ-ჯავახეთის სოფ. უდეში დადასტურებული ბერიკაობის რიტუალში შესრულებული ფერხული, რაზედაც უკრადღებას ამახვილებს დ. ჯანელიძე: „სოფ. უდის ბერობანაში კოსმოგონიური მითოსის ფენაც მკვეთრად არის წარმოდგენილი. სოფ. უდის ბერობანაში ფერხულს „სამყრელოს“ ასრულებენ. ბერობანას მეთაურის სტ. ბალახაშვილის თქმით ჩავიწერებ: „ადგბა დამეს იწყება პარჩაბმით ფერხული „სამყრელო“:

- სამყრელო, სამყრელო,  
მირს ჩამოდი სამყრელო.
- ნუ გეშ, ნუ გეშინია,  
ქვეშ ბუმბული გიგია.
- როგორ არ მეშინია,  
ცასა ბეწვით ვკიდივარ.

ამ საფერხულო სასიმღერო-ქმედითს დიალოგში აშკარად შეინიშნება ანალოგია მსოფლიოში გავრცელებულ გადმოცემებთან ზეციდან დედამიწაზე ჩამომავალ დვთისშვილების შესახებ, რაც აქაც დაფიქსირებულია. შესაძლებელია ამ ფერხულში შემონახული იყოს ცისა და მიწის დაშორიშორების, განცალკევების და კავშირგაწყვეტის მითოსის ნატამალიც“(118,30).

ამრიგად, საწესო ფერხულის შესრულებით, თითქოს ცოცხლდება სამყაროს კოსმოგონიური წარმოდგენები და სკნელთა წარმოსახვის მეშვეობით ხდება „დვთაებრივი ძალების“, „დვთისშვილების“ სკნელიდან სკნელში „გადაადგილებაც“, რასაც უნდა გამოეწვია მოსავლიანობა, შვილიერება, განაყოფიერება და ა.შ., რისთვისაც იყო კიდეც განკუთვნილი დღეობათა ეს ციკლი. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სარიტუალო ფერხულების ყველა წესის დაცვით ჩატარებას, რისი უგულვებელყოფაც უპავ მოუსავლიანობის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო. ნათქვამთან დაკავშირებით,

მომქავს ვ. ბარდაველიძის სიტყვები: „Тушины по тому, как исполнялся их двуярусный хоровод **корбегела** и сопровождающая его песня, гадали о будущем: если пели нестройно, путались ноги, кто-либо падал с верхнего яруса, словом, если нарушалась стройность хороводной песни и пляски – это, по глубокому убеждению тушин, предвещало неурожай, падеж скота, болезни среди людей и, напротив, исправное исполнение **корбегела** служило залогом изобилия урожая, размножения скота, благополучия и счастья людей“ (12,56).

ერთი დეტალიც. არ არის გამორიცხული, რომ „მზის ბაღში“ ნახევები „სამი მზის ქალი“, ასევე სკნელთა კავშირის გამომხატველი იყოს; მაშინ ჩვენი წარმოდგენა „მზის ბაღის“ მარადიული სტატუსის შესახებ, კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება.

თუკი მგელ-ძაღლი ერთგვარად სკნელთა მაკავშირებელია, რაზედაც მიუთითებს მისი სამსახოვნება, რაც სხვათაშორის დაცულია მითოსური პეკატეს სახეში, რომლის ატრიბუტიკაში სწორედ ძაღლები ფიგურირებენ (2,78), აქედანვე უნდა იღებდეს მგელ-ძაღლის, როგორც ფსიქოპომას ასპექტიც, ისევე როგორც ამ საკულტო ცხოველის ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელი უნარიც, ვინაიდან ბუნების აღორძინება, როგორც დავინახეთ, დაკავშირებულია სიკვდილთან და კვლავ დაბადების იდეასთან, რაც ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლის მთავარი წარმმართველი ხაზია.

სწორედ ამ რწმენა-წარმოდგენებს უნდა განეპირობებინა ისიც, რომ მგლის ტყავი გამოყენებულია ღვთაებათა თუ ქურუმთა შესამოსელში, რომელსაც ვხვდებით საკულტო მნიშვნელობის მქონე თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სარიტუალო კომპოზიციაში, რომელიც ნაყოფიერებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ თასზე წარმოდგენილ სარიტუალო სცენას თავისი საინტერესო პარალელი ეძებნება ხეთურ-ხურიტულ სამყაროში; სანამ ამ საკითხს შევეხებით, მანამდე აღვნიშნოთ, რომ ფრიზზე გამოსახულ სიუჟეტში ნათლად იკვეთება „სიცოცხლის ხისა“ და მგელ-ძაღლის სიმბოლოს ურთიერთკავშირი, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ვ. ბარდაველიძე: „Поскольку божества племени взращены на волчьей тотемической основе, между древом изобилия и этими божествами могла существовать генетическая близость: **в верованиях охотничьеого периода породившего тотемных волков, естественно, последние должны были связываться с лесом и деревьями**“ (12,105). ავტორს მიაჩნია, რომ თასზე გამოსახული ცერემონიის სიუჟეტური ქარგა ქართველთა რელიგიური პანთეონის

უძველესი რწმენა-წარმოდგენების ფონზე იშლება, სადაც მგლის ტყავით შემოსილი 22 ანთროპომორფული ფიგურა იგივე ღვთისშვილები შეიძლება იყვნენ, ხოლო „სიცოცხლის ხის“ შორიახლოს დაბრძანებული მთავარი ღვთაება ასოცირდება „მორიგე ღმერთთან“, რომლის ფერხთით მწოლიარე ცხოველები არიან იგივე „მწევრები“, – როგორც ვიცით, უზენაესი ღვთაების ნების აღმსრულებლები. ამავე აზრს იზიარებს ი. კიკვიძეც: „ქართულ საგალობლებში არაერთგზის არის მოხსენიებული ღვთის კარზე ამოსული ვენახი. თრიალეთის თასზე გამოსახული ხე ღვთის კარზე ამოსული სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეა. პროცესია გამოხატავს “სადიდებელთაის”, რომელსაც საოქმო ღვთაებები ასრულებენ სატომო ღმერთის კარზე. პირგანიერი ჭურჭელი ლუდის ჩხუტი უნდა იყოს და ღვთაებებიც წმინდა ლუდს სვამენ; სამსევერპლოებთან მწოლიარე ცხოველები ძალები – “მწევრებია”. ფიგურები აშკარად ტოტემისტური წარმოშობისანი არიან, მათ ნიდაბი კი არა მგლის თავები აქვთ“(44,183).

თუ რაოდენ ძველია მგლის სიმბოლო ამაზედ მიუთითებს ვ. ბარადევლიძის თქმით ისიც, რომ მეორე ათასწლეულის შუა პერიოდის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში, ანთროპომორფული ღვთაებები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ტოტემურ ცხოველთან ერთგვაროვნებას (12,115).

„სიცოცხლის ხის“ მოტივი და მგლის სიმბოლოს წარმოჩენა უპირობოდ უნდა მიანიშნებდეს იმას, რომ თასზე გამოსახული კომპოზიცია ბუნების კვდომა-აღორძინების საკრალური, მითო-რელიგიური სურათ-ხატია. შესაბამისად, სამონადირეო მოტივი ამ კომპოზიციაში უკვე მეორახარისხოვან ელფერს იძენს: „ბ. კუფტინი თასზე გამოსახულ სცენას ნადირობის კულტს უკავშირებდა და ამ მოსაზრების გასამართლებლად იმოწმებდა კუდებს, რომლებიც თასზე ადამიანის ფიგურებს აქვთ, თუმცა იქვე დასძენდა რომ „სამიწათმოქმედო-მესაქონლური ხასიათი თრიალეთური კულტურისა“, პირველსაწყის სამონადირეო ღვთაებას ტრანსფორმირებულს წარმოგვიდგენსო. ბ. კუფტინი მჯდომარე ფიგურის უკან მდგარ ხის გამოსახულებას იქიდან გამომდინარე წყლის ორი ნაკადით „წმინდა“ ანუ „სიცოცხლის ხეს“ უწოდებდა და თვლიდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო ატისის ფიჭვი, ან თსირის ბატას წყალთან გაზრდილი პედარი, ან კიდევ ტყის მბრძანებელი ხუმბაბას კედარი“(16,133).

საკითხთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა მ. ბერიაშვილისა და ზ. სხიორტლაძის მტკიცებულება იმის თაობაზედ, რომ რიტუალის ნაწილი, რომელიც თრიალეთის თასზეა გამოსახული, „ხეთურ-ხურიტული სამყაროსათვის

ესოდენ დამახასიათებელი, სიკვდილ-სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული ერთ-ერთი რიტუალთაგანია“(16,141). ავტორები იმთავითვე უსვამენ ხაზს იმას, რომ „ხეთურ-ხურიტულ სამყაროში სხვადასხვა რიტუალებში მონაწილეობენ ადამიანები, რომელთაც ცხოველური ასპექტი გააჩნიათ, ცხოველური ადამიანები არიან. ესენია: „ძაღლის, „მგლის“, „ლომის“ ხალხი“(16,137). ვრცლად მოვიყვანოთ ავტორთა მიერ წარმოდგენილი რამდენიმე რიტუალი:

„ისეთი ხეთური სეზონური დღესასწაულების დროს, როგორიც იყო ვურულია, კილამი და სხვა, რიტუალებში მონაწილე ხალხთან ერთად ხშირად დასახელებულია „მგლისა“ და „ძაღლის“ ადამიანები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიცოცხლის განახლების რიტუალებია. შეწყვეტილი სიცოცხლე კვლავ იღვიძებდა, იგი ახლიდან იბადებოდა ამ რიტუალთა შესრულების დროს, მეფის წინ ძღვენით გაივლიდნენ სხვადასხვა (კატეგორიის) ადამიანები, მათ შორის „მგლის“ ადამიანები.

ერთ-ერთ ტექსტში დასახელებულია ნივთები, რომლებიც „მგლის ხალხის“ და რიტუალის სხვა მონაწილეთა მიერაა შეწირული, ან მათთვისაა განცუთვნილი. ანთახშუმ რიტუალის დროს, როგორც ჩანს, „ძაღლის ხალხს“ საჩუქრებს ურიგებდნენ.

ერთ ხეთურ ტექსტში, რომელიც „ცითხარია დღესასწაულს“ ეხება დასახელებულია „ძაღლის ხალხის“ მიერ ძღვნად მოვანილი მსხვილფეხა საქონელი. საყურადღებოა, რომ ცხოველური „ხალხი“ რიტუალებში სხვადასხვა „ხალხთან“ ერთად იღებდა მონაწილეობას. რა თქმა უნდა, მათ განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრებოდათ, მაგრამ არავითარი უპირატესობით არ სარგებლობდნენ. მათი დასწრება აუცილებელი იყო რიტუალის შესრულებისას. ხშირ შემთხვევაში ეს „ხალხი“ ყევდა („ძაღლის ხალხი“), ყმუოდა („მგლის ხალხი“) ან ცეკვებს ასრულებდა.

ხეთურ რიტუალებში დადასტურებულია ცხოველურ „ხალხთან“ ერთად იმავე სახელწოდების ცხოველების მონაწილეობაც, ამასთანავე სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული ცხოველთა ფიგურების გამოყენებაც. „ხალხი“ იმოსებოდა იმ ცხოველების ტყავითა და ნიღბებით, რომლებსაც განასახიერებდა. განმასხვავებელი ატრიბუტი რიტუალის დროს სხვა კატეგორიის ადამიანებისგან აუცილებელი იყო.

ეს რიტუალები როგორც აღინიშნა არის სიცოცხლის განახლების რიტუალები სიკვდილ-სიცოცხლის ბრუნვის ციკლისა. საინტერესოა კიდევ ერთი

— ლუგიური რიტუალი, რომელიც თავისი დანიშნულებით სრულიად განსხვავებულია, მაგრამ მისი არსიც, ჩვენი აზრით, იგივეა. ამ რიტუალს ეწოდება ცარფიას რიტუალი, ვინმე მკურნალ (LÜ A.ZU) ცარფიას მიხედვით, რომელიც ამ რიტუალის მთხრობელია. ეს რიტუალი დაკავშირებულია ნავს წელიწადთან, როდესაც ქალაქებში სიკვდილიანობა მატულობს. მაშინ „სახლის ბატონი“ (**BEL BITTIM**) ასრულებს მსხვერპლშეწირვას თხითა და ღვინით. რიტუალი განკურნებასთან, ქალაქში სიცოცხლის აღდგენასთან არის დაკავშირებული. ამაზე ის ფაქტი მიუთითებს, რომ ამ რიტუალში ერთ-ერთ დვოაქბად დასახელებულია ინარუანთა, რაც წარმოდგება ხეთური ზმნის **inarawahh**-ისაგან და „მხნედ, კარგად ყოფნას“ ნიშნავს. ცარფიას რიტუალში ჩვენს ყურადღებას იყყრობს მონაკვეთი, სადაც შემდეგი ეპიზოდია აღწერილი: „...ისინი მას სამსხვერპლო მაგიდაზე დაყრიან და წინ ღვინოს დაღვრიან და რვა ახალგაზრდა ბიჭი მოვა. ქალი უკვე ადრევეა წასული. მათგან ერთი ახალგაზრდა ბიჭი თხის ტყავს მოისხამს და შემდეგნაირად გააკეთებს: წინ და უკან ივლის და მგლისებურად იყმუკვლებს. შემდეგ მაგიდას ატრიალებენ და ბეჭა და მკერდს (ხორცს) შეჭამენ“.

ეს რიტუალიც სიკვდილ-სიცოცხლის ბრუნვის ციკლში თავსდება იმიტომ, რომ აქაც სიცოცხლის აღდგენასთან გვაქვს საქმე. აქ, სადაც არ მონაწილეობს თვით „მგლის ხალხი“ ახალგაზრდა ბიჭი მგლისებრ (**UR.BAR.RA-ili**) ყმუის და დადის. აქაც საჭიროა ამ ცხოველის ერთგვარი „არსებობა“. აქაც, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, ეს არის მთავარი მოქმედება რიტუალისა, მასთან ერთად სრულდება სხვა მრავალიც.

არა მარტო სიკვდილ-სიცოცხლის ციკლის ერთი ნაწილის, კერძოდ, სიცოცხლის განახლების რიტუალებში იღებდა ეს „ხალხი“ და თვით ეს ცხოველები მონაწილეობას. ამ ცხოველთა (კერძოდ ძაღლების) მონაწილეობა დადასტურებულია აგრეთვე დაკრძალვის (ე.ო. სიკვდილის) რიტუალებში. ეს კი კრავს ამ ციკლს. აქ ყურადღებას ვამახვილებთ „მგლის ხალხზე“ იმიტომ, რომ ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი ადამიანებია გამოსახული თრიალეთის ვერცხლის თასზე, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, არა მარტო ეს „ხალხი“ არამედ საერთოდ ხეთურ-ხურიტულ სამყაროში ამ რიტუალში მონაწილე სხვა კატეგორიის „ხალხიც“ ამ ციკლის ორივე ნაწილის რიტუალებში მონაწილეობს; ეს გასაგებიცა, ეს ხომ ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი ციკლია“(16,139).

საინტერესოა მ. ბერიაშვილისა და ზ. სხირტლაძის მოსაზრებაც თასზე გამოსახულ „სიცოცხლის ხის“ მოტივთან დაკავშირებით. საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, სრულად მომყავს ციტატა დამოწმებული ნაშრომიდან:

„მჯდომარე ფიგურის უკან გამოსახულ მცენარეს ყველა მკვლევარი უწოდებს „სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს“. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი მეცნიერი მას მიიჩნევს ვაზად, ხოლო ზოგიერთი – ჩვეულებრივ ხედ. წინააზიურ, კერძოდ ხეთურ-ხურიტულ სამყაროში პრინციპული სხვაობა არ არის იმაში, ვაზი იქნება ეს, თუ უბრალო ხე, და აი რატომ.

ხეთურ ტექსტებში, რომლებიც დაკრძალვის რიტუალებს ეხება, ჩვენ ვხვდებით ადგილს, სადაც ლაპარაკია ვაზის მოჭრაზე. ვაზს ჭრიან მაშინ როდესაც სიცოცხლე კვდება, ადამიანი გარდაიცვლება. ამ კერძო შემთხვევაში, მეფის ან დედოფლის გარდაცვალების დროს, ვაზს ახვევენ ქსოვილის ნაჭერში და წვავენ, თუ შეიძლება ასე ითქვას „კრემაციას“ უკეთებენ, რათა მანაც იგივე გზა გაიაროს, რომელსაც გაივლის გარდაცვლილი. იგი ხომ თავიდან იშვება, ოღონდ ეხლა უკვე სხვა რანგში, დღოაების რანგში. ვაზიც რაღა სიმბოლო იქნებოდა სიცოცხლისა, თუ იგი სამუდამოდ მოისპობოდა; მისი გზაც მსგავსია მეფე-დედოფლისა, იგი მხოლოდ დროებით უბრუნდება თავის პირველსაწყის მდგომარეობას, რათა ახლიდან იშვას. და მართლაც ახალი სიცოცხლის გაჩენასთან ერთად ვაზიც ირგვება. სასახლის სამშენებლო რიტუალის ტექსტში ნათქვამია, რომ ახალი სასახლის აშენებისას ვაზი უნდა დაირგას... ამავე დროს, როგორც სამშენებლო რიტუალში, ასევე დაკრძალვის რიტუალებში ნახსენებია მარად მწვანე ხე ეთა. ვაზის მსგავსად იხიც უნდა დაირგას.

ხის გამოსახულებას არა მარტო თრიალეთის თასზე, არამედ საერთოდ ამ პერიოდის სხვა ნივთებზეც, ჩვენში უკლებლივ ყველა სპეციალისტი სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს უწოდებს, თუმცა წინააზიური მითოლოგია, საერთოდ ლურსმული წყაროები, ამის ასე გაგების არა თუ საშუალებას, უფლებასაც კი არ იძლევიან. უმეტეს შემთხვევაში, ხე განასახიერებს კოსმიურ ღერძს. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, უკეთეს ვარიანტში იგი არის სიუხვისა და სიძლიერის სიმბოლო (მეფის ოჯახს ისევე მძლავრად უნდა პქონდეს გადგმული ფესვები, როგორც ამ მცენარეებს აქვს); სიმბოლო და არა სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე. ეს უკანასკნელი რომ ბიბლიამდე სხვა წყაროებში არ გვხვდება, გერმანელმა მეცნიერმა ჰ. გენგემ შუამდინარეული

ლურსმული წეაროების ანალიზის საფუძველზე აჩვენა. თრიალეთის თასზე რომ მართლაც სიუხვისა და სიძლიერის სიმბოლო და არა სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე უნდა იყოს გამოსახული, ამას ადასტურებს ზემოთ ნახსენები ხეთური რიტუალების მონაცემები, რომელთა მიხედვით არა ვაზი და ხე წარმოქმნიან სიცოცხლეს, არამედ ისინი სიცოცხლესთან ერთად იშვებიან და მისი სიძლიერის განმასახიერებელი სიმბოლოები არიან“(16,141).

ამრიგად, ხეთურ რიტუალებში, რომლებიც სიკედილ-სიცოცხლის მარადიულ ციკლს ეხება, მგელ-ძაღლის სიმბოლოს წამყვანი ფუნქცია ენიჭება. საინტერესოა ზემოთ დამოწმებულ ავტორთა მოსაზრებაც, ამავე ციკლს დაუკავშირონ თრიალეთის თასის საკულტო სემანტიკაც.

ხეთური რიტუალების ელემენტებიც ბევრ საერთოს ნახულობს ქართულ მასალასთან. ასე მაგალითად, ანთახშუმ რიტუალის დროს, „ძაღლის ხალხისთვის“ საჩუქრების დარიგება, ერთგვარად მოგვაგონებს ბერიკაობის რიტუალში, ბერიკასა და მისი ამაღლის დასაჩუქრება-გამასპინძლების ტრადიციას; ბერიკა/ყევნი ერთგვარად „ხარჯის ამკრეფადაც“ გვევლინება. საკითხთან დაკავშირებით, ჸ. რუხაძე შენიშნავს: „წესი იყო კარზე მოსული ბერიკების გულუხვად გამასპინძლება. მიუხედავად ამისა, ისინი სახლებში მაინც შერბოდნენ და სურსათს იტაცებდნენ. მასპინძელი ბერიკებს არავს და დვინოს დააძალებდა, ოჯახს დაალოცვინებდა, სანოვაგით და სახლელით დაასაჩუქრებდა. თუ ბერიკები ნადავლით და ძღვნით უქმაყოფილონი იყვნენ, ბერიკა ან დღესასწაულის რომელიმე წევრი ეზოში გაგორდებოდა, რაც ცუდი ამბის მომასწავებელი იყო: ეგონათ, მათ ოჯახს იმ წელს ბარაქა არ ექნებოდა. სანოვაგით დატვირთული ბერიკები ახლა სხვა ოჯახს მიაკითხავდნენ“(81,68).

ხეთურ მასალასთან მიმართებით, საინტერესოა ისიც, რომ ქართულ რიტუალში „ძაღლისთავიანი“ ბერიკების არსებობაც დასტურდება; ასეთ ბერიკებს ხელში სკივრი-კიდობანი უჭირავთ, როგორც კვდომა-გაცოცხლების ერთგავრი სიმბოლო: „განაყოფიერების, შვილიერების ძალის სადიდებელ წეს-სახიობის სიმბოლიკაში კალათას, კასრსა, საცერსა და გუდასთან ერთად სკივრიც (კიდობანიც) უნდა მოვიხსენიოთ. სტუდიულ მ. თოფურიძის ჩანაწერით (1935), ბერიკათაგან „რამდენიმე მათგანი გამოწყობილი იყო ძველმან ტანსაცმელში ძაღლის ნიღბებით, რომელთაც სკივრი ეჭირათ ხელში. ამ სკივრში საციქველს (სამახარობლოს) ფულსა და სხვადასხვა შესაწირავს

ათავსედნენ“. სკივრი-კიდობანი წარმოიდგინება როგორც აკვანი ან კუბო და მას სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოს მნიშვნელობა ეძღვევა“(118,48).

ხეთურ რიტუალებში, რიტუალის შესრულებას (ციოთხარიას რიტუალი) თან ახლდა ცეკვები, რომელთა საკულტო ფუნქციებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელნი შეიძლება დავუკავშიროთ ჩვენს ფერხულებს, რომლებიც ყურშას საპატივცემულოდ ეწყობა: აქ რიტუალში დაფიქსირებული „ძაღლის ხალხის“ მითოსურ სახეში შესაძლოა სწორედ „ყურშას მრევლი“ ვიგულისმხოთ; თუკი ყურშას სამონადირეო მოტივებსაც გავიხსენებთ, ციოთხარიას რიტუალში „ძაღლის ხალხის მიერ ძღვნად მოყვანილი მსხვილფეხა საქონელი“ შეიძლება ასევე ნადირობის რიტუალის ერთგვარ ანალოგიად მივიჩნიოთ, რომელშიც განაყოფიერების ელემენტები უხვად მოიპოვება. ქართულ-ხეთური მასალის სიახლოვეს ასევე ადასტურებს ხეთურ მითოლოგიაში ფრთიანი ყვავ-ძაღლების – „kursas“ არსებობაც, რომლებიც პირდაპირ მოგვაგონებენ ორბის მიერ ნაშობ ქართულ - ყურშას(107,229). სხვათაშორის, იგივე ნადირობის რიტუალის მოტივი შეიძლება დავინახოთ ცარფიას ლუვიურ რიტუალში: როცა ახლაგაზრდა ბიჭი თხის ტყავს მოისხამს და შემდეგ მგლისებრ ყმუილს იწყებს, ამით შეიძლება სწორედ განაყოფიერების აქტს გადმოსცემდეს. საკითხთან დაკავშირებით, ძალზედ საყურადღებოა მესხე-ჯავახეთის ფოლკლორული მასალა, კერძოდ ბერიკაობის ანალოგიური, ბერობანას ადგილობრივი რიტუალი, რომელშიც სამონადირეო ელემენტების გათვალისწინებით, ვლინდება მგელ-ძაღლის ადგილობრივი სიმბოლო: „სახილველი ბერობანას საწყისი, ალბათ, უკავშირდებოდა სამეურნეო მნიშვნელობის მონადირეობას, როდესაც მონადირეები ნადირთდვთაების დასამწყალობებლად წარმოსახავდნენ ნადირობას. სოფ. უდის მოხუცები გვიამბობენ, რომ იქ ძველად „დათვობიას“ თამაშობდნენ, ხოლო უდის არქეოლოგიური მასალა და მესხეთში ჩაწერილი ხალხური ლექსები მიუთითებენ ირმისა და ძაღლ-მგლის ტოტემურ წარმოსახვაზე“(118,23).

ირმის, როგორც საკულტო ცხოველის, გამოსახულებები გვხვდება თრიალეთის ცნობილი თასის ქვედა ფრიზზეც, რასაც მ. ბერიაშვილი და ზ. სხირტლაძე ასევე ხეთურ კულტურას უდარებენ:

„ერთ-ერთ ხეთურ ტექსტში, რომელშიც აღწერილია ნუნტარიასხა რიტუალი, ჩვენ ვხვდებით ადგილს, სადაც საუბარია აღნიშნულ რიტუალში ირმების მონაწილეობაზე. რიტუალის ეს ნაწილი ტარდება ქ. არინას მზის

დვთაების ტაძართან: „მეფე ჩამოდის ეტლიდან, დგება ასვლის ადგილას, მის გარშემო მოცეკვავე ტრიალებს, შემდეგ იგი ირმების წინ გაივლის. მერიქიფეს უჭირავს ჭურჭელი და ასრულებს მსხვერპლშესხურებას ირმების წინ“.

როგორც ვხედავთ, ამ რიტუალში მონაწილეობენ ირმები, რაც მანიშნებელია განახლებული სიცოცხლის გაზაფხულის რიტუალისა. ირმების კავშირი მზის დვთაებასთან კი უფრო ძველია და მიდის პროტოხეთურ საწყისებამდე. ირმების მონაწილეობა მზის დვთაებასთან დაკავშირებულ რიტუალებში დასტურდება სხვა ხეთურ ტექსტებშიც. ჩვნ აქ აღარ შევუდგებით იმის აკლევას, თუ რატომ უკავშირდებიან ირმები მზის დვთაებას, საერთოდ მზეს, ამჯერად ეს ჩვენი კვლევის საგანს სცილდება. მაგრამ მთავარია ის, რომ ირმებიც მონაწილენი არიან მზის დვთაებისათვის ესოდენ დამახასიათებელი სიკვდილ-სიცოცხლის ციკლისა (ირემი მზის სიმბოლოს განსახიერება). ამდენად, თრიალეთის თასის ორ ფრიზზე გამოსახული პროცესები ერთმანეთთან ერთი და იმავე მითიური ციკლითაა დაკავშირებული“ (16,141).

ჩემი მხრივ, დავსძენ, რომ ხეთურ რიტუალებში სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული საბულტო ცხოველთა ფიგურების გამოყენება, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ნებსით თუ უნებლიერ, გვაპრუნებს მესხეთ-ჯავახეთის სოფელ უდეში, რომელიც ესოდენ საინტერესო ინფორმაციის დამტევი აღმოჩნდა ხეთურ-ქართული პარალელების თვალსაჩინოებისათვის: „სოფ. უდის ბერობანას ამ ფუძე-ფენის გამოვლენისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა უდეში არქეოლოგიური განძის მოპოვება. ძვ. წ. XII-X სს. უდის განძის ერთი ნაწილი შეიცავს მხატვრულად დამუშავებულ ნივთებს, მათზე გამოხატულია ფანტასტიკური ძაღლის (თუ მგლის) და ირმის გამოსახულებანი. ხელოვნებათმცოდნე ალ. ჯავახიშვილმა და არქეოლოგმა ტ. ჩუბინიშვილმა უდის განძის ნივთებზე შესრულებულ გამოსახულებათა ახსნისას შემდეგი აზრი გამოოქვეს: „ფანტასტიკური ატრიბუტებით აღჭურვილი ძაღლისა და ირმის გამოსახულება უთუოდ უნდა უკავშირდებოდეს ოდესდაც რეალურად სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მონადირეობას, რამაც შემდეგში თავისებური არეავლა განიცადა ტოტემურ წარმოდგენებში; მაგრამ, ცხადია, რომ დროთა განმავლობაში ამ წარმოდგენებმა დაკარგეს თავდაპირველი აზრი და მისმა ნივთიერმა გამოხატულებამაც თანდათანობით წმინდა დეკორაციული სახე მიიღო“ (118,23).

საგულისხმოა, რომ ქართულმა ხალხურმა პოეზიამ ერთად ასახა მგლისა და ირმის საგულტო მნიშვნელობა, რომლის არქაულ ხასიათს ხაზს უსვამს დ. ჯანელიძე: „ირმის და ძაღლ-მგლის ტოტემური თუ მითოლოგიური წარმოსახვის გადმონაშთოან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მესხეთში ჩაწერილი ხალხური ლექსი:

აწყვერში დავიარები,  
როგორც ირემი რქიანი,  
ნადირსა ვწყვეტამ, მუსრს ვადენ  
ვეფხვი, ფოცხვერი, მგელკაცა  
პირგაბლეშვილი დიანი.

ზოომორფული სახიერების ანთროპომორფულთან სინთეზის თვალსაზრისით, ასევე ყურადღებას იქცევს „მგელკაცას“ დაკონკრეტება ივ. გვარამაძის მიერ მესხეთში ჩაწერილი ლექსით:

ჭალას ვიყავ მიმაგალი,  
ჭორატს ჭანმგლებს გადგეყარე,  
დამიბნელდა ორივ თვალი.

ამგვარად „ირემი“, „მგელკაცა“, „ჭანმგლები“... „მგელმუხლა ბერი“ რომ ტოტემური გადმონაშთის იერს ატარებს, კარგად ეხმიანება უდის განძის ნივთებზე ფანტასტიკური ცხოველების მხატვრულ გამოსახულებას და, როგორც ჩანს, დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას“(118,24).

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები თრიალეთის თასზე გამოსახულ „სიცოცხლის ხის“ მოტივს. მასში მ. ბერიაშვილი და ზ. სხირტლაძე მეტწილად ხედავენ „კოსმიურ ხეს“ და ასკვიან, რომ ეს უკანასკნელი უნდა იყოს „სიუხვისა და სიძლიერის სიმბოლო და არა სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე“. თუმცა, თავად „სიცოცხლის ხის“ მოტივი არც თუ შორს უნდა იდგეს „სამყაროს ხის“ შემეცნებისგან. დავიწყოთ იქიდან, რომ „სამყაროს ხე“, როგორც სკნელთა მაკავშირებელი, მარადიულობის სიმბოლოა, ისევე როგორც ამ უკანასკნელს უკავშირდება „სიცოცხლის ხის“ გამოსახულებაც, რომელიც ღვთის ბაღში, ედემშია რგული. „სიცოცხლის ხე“ შეიძლება იყოს როგორც ვაზი, ასევე მარადმწვანე კედარი ან ნაძვი, იგივე „ალგის ხე“, რაზედაც უკვე გვქონდა

საუბარი.

თრიალეთის თასზე „სიცოცხლის ხის“ ახლოს მდინარის მოტივი კიდევ უფრო აძლიერებს ამ ხის სამოთხისეულ გაგებას, ვინაიდან ქართული რწმენა-წარმოდგენებით, სულეთში მდგარ ხეს აუცილებლად წყარო ჩამოუდის:

„თეთრი ციხე დგა სულეთში,  
წვერი ცას მიმდინარია,  
მაგანეთ ალვის ხეი დგას  
ცაში მიუდის წვერია;  
ბოლოზედ ვეშა წყარო დის,  
სასმელად გემნიერია;  
მადლიანნ მავლენ, წყალსა სმენ,  
ცოდვიანნ მწყურვიელნია.“ (24,91)

შესაბამისად, თასზე გამოსახულ კომპოზიციაში, ლოგიკურია, რომ ეს „მარადიული ხე“ მთავარ ღვთაებასთან იყოს დარგული, რომელიც სიუხვისა და ნაყოფიერების მომცემია. ქართულ ხალხურ ლექსში, რომელიც ჩვენ ცოტა ზემოთ დავიმოწმეთ, „ალვად ამოსული ხის“ ნაყოფის – ყურძნის მიღება ახალგაზრდა წყვილისთვის აუცილებელია, რათა ისინი უდროოდ „არ დაშავდნენ“. აქ „ყურძნის მიღება“ იგივე მარადისობასთან ზიარებაა. გავიხსენოთ, რომ მეორე ხალხურ ლექსში, მარანში ამოსული ხის მოტივი ვ. ბარდაველიძემ დაუკავშირა დიდი დედა ნანას სამოთხისეულ „მზის ბაღს“, სადაც მგლისთვისაცაა საპატიო ადგილი განკუთვნილი. შესაბამისად, თრიალეთის თასზე „სიცოცხლის ხის“ შორიახლოს „მწევარ-ძაღლების“ არსებობაც ქართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებითა და მითო-პოეტური სახეებითაა განპირობებული. საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო უნდა იყოს ზემოთ დამოწმებული ლექსის კიდევ ერთხელ გახსენება:

„იაგუნდის მარანშია  
შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო,  
შიგ ალვის ხე ამოსულა,  
ნორჩია და შტოსა შლისო,  
ზედ ბულბული შემომჯდარა,  
გასაფრენად ფრთასა შლისო“

ვერთა სიმბოლიკის გათვალისწინებით, დექსში „დაღის“, წითელი ფერის შემოტანით, რომელიც ქართული მითოსური წარმოდგენით, შუასკნელის სიმბოლოა(24,87), შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „სამოთხის ხის“ იგივე დიდი დედა ნანას „მზის ბაღის“ ალეგორიული სურათ-ხატის „მიწიერ“ კონტექსტში გადმოტანას. საგულისხმოა, რომ ლექსში საოცარი უბრალოებითა და ამავე დროს სიღრმისეული წვდომით მოცემულია „მარადისობის“ ასპექტი. აქ სიუკეტი ხომ არც წარსულში და არც მომავალში, არამედ „მუდმივ“, აწმყო დროშია ფოკუსირებული: წითლად ელვარებს დვინო, ამოსული ნორჩი ალვის ხე „შტოსა შლისო“, ზედ შემომჯდარი ბულბულიც „გასაფრენად ფრთასა შლისო“; აქ მარადიული „აწმყო“ მარადიული ქმნადობისა და განაყოფიერების იდეითაა თითქოს შენივთებული.

„კოსმიური ხის“ მოტივზე საუბრისას, ასევე ყურადსაღებია ისიც, რომ შუმერული მითოლოგიის თანახმად, მეფე-ქურუმი „კოსმიური ხის“ ფუნქციას ასრულებს და მისი ძლევამოსილება გათანაბრებულია კედარის ხესთან. მოვიგონოთ შუმერთა მეფის, ურ-ნინურთას ხელდასხმისას მის მიმართ გამოთქმული ქათინაური: „რჩეულო კედარო, მშგნებავ ექურის ეზოისაგ, ურ-ნინურთა, შენს ჩრდილს შუმერის ქვეყანა მოწიწებით შეუგრდეს!“(45,125). საკითხთან დაკავშირებით, ასევე ძალზედ საინტერესოა ლაგაშის VI დინასტიის მმართველის გუდეას (ძვ.წ. 2143-2124წწ.) ქანდაკების ტექსტი, სადაც შუმერთა სახელოვანი მეფის ერთ-ერთი ინსიგნია არის კვერთხი, რომელზედაც „სამთავიანი ძაღლია“ გამოსახული: „...ქიმაშის მთაში სპილენძი ამოთხარა, მისგან კვერთხი „ნუბენუილი“ გააკეთა, მელუხადან ნეკერჩხალი წამოიდო და დაამუშავა, ზანიმის ლოდი წამოიდო, მისგან კვერთხი სახელწოდებით „სამთავიანი ძაღლი“ გააკეთა, ოქროს მადანი წამოიდო, კაპარჭი დაამზადა. ...წამოიდო, გუბინიდან, ტირიფებით დაფარული მთებიდან, ტირიფები წამოიდო, „სახურავის შესანიშნავი ფრინველი“ დაამზადა“(108,54). ამრიგად, შუმერთა მეფის „სამთავიანი ძაღლის“ კვერთხი, რომელიც შესაძლოა სამი სკნელის კავშირზე მიუთითებდეს, ისევე როგორც ურ-ნინურთას კედარის ხესთან გაიგივება, თანაბარღირებული მითო-რელიგიური ხატ-სიმბოლოებია, რაც ქართულ ეპოსთან პოულობს ერთგვარ ანალოგს, თუნდაც ჩვენს მიერ განხილულ ხალხურ ლექსში: „ქაღსა ვისმეს ერქვა შროშანი“, სადაც მგელ-ძაღლისა და მარადმწვანე ხის სიმბოლოები ერთამენთს ეჯაჭვება.

დაბოლოს, თრიალეთის თასზე გამოსახული დგთავებების მგლის ტყავის

სამოსელი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მგლის სიმბოლოს სამსახოვნებიდან გამომდინარე, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ, დვთავბებიც, თუ დვთისშვილებიც შესაბამისად, სამივე სკნელის გამგებლები არიან; სკნელებს შორის მათი გადაადგილება კი ალეგორიულად უნდა ასახულიყო აღრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლში გამართულ სართულებიან ფერხულებში. „სიცოცხლის ხის“ მოტივი, ედემში, იგივე სულეთში დარგული მარადიული ხის ანალოგიაა, რომელიც სკნელთა მაკავშირებელ „სამყაროსეული ხის“ გაგებას ბუნებრივად უკავშირდება.

## 2. მბლის საპულტო-რიტუალური ბამოვლინება შართულ ეთნობრაზიულ სინამდვილები

### 1) „მგელჯიხვაობა“ და „მგელთუქმეობა“

ქართულმა მითო-რელიგიურმა სისტემამ შემოგვინახა „მბლის უქმედ“, იგივე „მგელჯიხვაობად“ ცნობილი ერთი საინტერესო რიტუალი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ვხვდებით:

„აღნიშნული რიტუალები მავნებელი ცხოველებისა და ადამიანების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ასე მაგალითად, დიდმარხვის პირველ კვირაში თუშეთში მბლის უქმების იცავდნენ, გააკეთებდნენ მოგრძო ცომს, ერთ ბოლოში ხელს წაუჭერდნენ ვითომ თავიაო. ამ ცომს პირში ქვას ჩაუდებდნენ, ვითომ ეს ქვა ჭამე საქონლის ნაცვლადო... ამ დღესვე იყო მგელ-ჯიხვაობა. უფუარი ცომისგან ყველა გამოაცხობდა „მგელ-ჯიხვაობის ბაცუკაებს“, მბლის და ჯიხვის იმდენ გამოსახულებას, რამდენი ვაჟიც ყავდათ ოჯახში. შუადღეს, მათ სოფლის საანჯმოში გაიტანდნენ და გარკვეული მანძილიდან ბავშვები ისრებს ესროდნენ. ვინც რას მოარტყამდა, მას ერგებოდა. თუ ვინმეს იმ წელს ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, ადამიანის ფორმის გამომცხვარ სულის ბაცუკას გაუტანდა. ვინც მას ისარს მოარტყამდა, მისი მშობელი არაყს გამოიტანდა და იქ მყოფ უფროსებს მიცვალებულის სულის შესანდობარს ათქმევინებდა.

ფშავშიც ამ დღეს მგელთუქმებს იცავდნენ. კეცზე ცერცვს მოხალავდნენ, გამოაცხობდნენ მბლის სახის მგელთკვერს, რომელსაც თვალებს შავი ცერცვისგან ან ნახშირისგან უკეთებდნენ. ზოგი კვერს წნელის მაგვარ რაიმეს შეაბამდა, თითქოს მგელი დაბმულიაო. ამ კვერს ბავშვები სანიშნედ დააყენებდნენ და ისრებს ესროდნენ, შემდეგ შეჭამდნენ. ვინც პირველი მოარტყამდა, იტყოდა მგელი მოვკალიო. „დაუკოდავი“ კვერის ჭამა, მბლის გამარჯვებას ნიშნავდა“(4,82).

ფშავში „მგელთუქმეობის“ რიტუალის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ს. მაკალათია: „„მგელთუქმე“-ს დიდმარხვის პირველ შაბათს უქმობენ. ფშავლების თქმით, დმერთს მგლისათვის ერთი დღე ურგუნებიაო და ეს დღე კაცმა უქმად უნდა შეინახოსო. ვინც გატეხავს, იმისი ცხვარ-ძროხეაც დვთისაგან მგლისათვის დალოცვილიაო. ამიტომ მგელთუქმე ძლიერი უქმება, მეტადრე მწყემსისათვის, რომელსაც ხშირად „ეხედვება“ მგელი და აზარალებს. მგელთუქმეში დიასახლისი აიღებს „გურჩს“ - სანაუ ქვას და სავარცხელს და მიაკრავს

დედაბოძს, რომ ამით მგელი დაიხუთებაო, ზედ ანთებულ მუგუზალსაც დაახლის, რომ მგელს პირი დაეთუთქოსო. ზოგი ცხელ კაცზე ცერცვსაც მოხალავს, „მგელს პირი დაეწვესო“. აცხობენ აგრეთვე მგელთკვერებს. მგელთკვერა მგლის სახისაა და მას თვალები შავი ცერცვის ან ნახშირისა აქვს ჩასმული. ზოგი მგელკვერას ყელზე წნელის მაგვარ რამეს შეაბამს, ვითომც მგელი დაბმულიაო. ამ მგელთკვერებს ბავშვები ნიშანში ჩადგამენ და ისრით რამდენჯერმე უნდა დაკოდონ და მერე კი შეუძლიათ შეჭმა. ვინც პირველად ისარს მოახველოებს, დაიძახებს: „მგელი მოვკალიო“. **დაუკოდავი მგლისკვერის შეჭმა არ ვარგა, ეს მგლის გამარჯვებას ნიშნავსო“**(58,179).

საკითხთან დაკავშირებით, მ. ბალიაური და ნ. მაკალათია ასევე მოგვითხრობენ: „მგლის საწინააღმდეგოდ იყო ერთი უქმე, რომელსაც „მგელთუქმებს“ ეძახოდნენ. გზაფხულზე, დიდ მარხვამდე ერთი კვირით ადრე იყო „მგელთუქმი“. პარასკევ დღეს, საღამოთი, მზის ჩასვლის შემდეგ დადგებოდა „მგელთუქმი“ და გრძელდებოდა ერთი დღე. შაბათს, იმავე დროს, რა დროსაც დაიჭერდნენ პარასკევს, გავიდოდა უქმი. როცა უქმი დადგებოდა ყველა ოჯახში „ბიჭონს“ მოხალავდნენ (ქერს, სიმინდს ან ხორბლის მარცვალს მოხალავდნენ რეინის ქვაბში). დიასახლისი, როცა ბიჭონს ხალავდა, კოგზით ურევდა და თან ამბობდა: „დმერთო ეესერ მაუტუსი მგელს პირი, როგორც აქ, ამ ქვაბში იწვების იტუსებს ეს ბიჭონიო“. მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ბიჭონი იხალებოდა, დიასახლისი კოგზით ურევდა და გაიძახოდა: „დმერთო ეესრ მაუტუსი მგელს პირი, გამასდაგი, გამახბუგი მგელს ლაშ-პირიო“. როდესაც გაათავებდა დახალვას და გადმოდგამდა ქვაბს, იტყოდა: „დმერთო, ეესრ გამაუფშრუკი მგელს პირი, გამაუდაგენ ლაშ-კბილნი. ნუ გაახარებ ჩვენის საქონის შაჭმითო“.

ამის შემდეგ ბიჭონს ბავშვებს აჭმევდა, მერე საპარსველს (მაკრატელს) ბაწრით მაგრად შეკრავდა და თან იძახოდა: „დმერთო ეესრ შაუკარ მგელს პირიო“. მაკრატელს ქვის ყორეში შეინახავდა და იტყოდა: „დმერთო ეესრ გაუჭედი მგელს პირ-კბილი, რომ ვედარ აღებდას ლაშ-ყბასო“. მეორე დღეს, როცა მგელთუქმი გათავდებოდა, მაკრატელს გამოიტანდა, გახსნიდა და იტყოდა: „გავიდ მგელთუქმი. ეესრამც გაერთხმის მგლის პირიო“. მგელთუქმის დროს, შაბათ დღეს გამოაცხობდნენ „ბაჩაყურაებს“ (სამ ან ოთხ ქიმიან-ფეხებიან პურებს) და ბავშვებს მისცემდნენ. ბავშვები „ბაჩაყურებს“ დადებდნენ სადმე მოშორებით და ისარს ესროდნენ. ამით მთავრდებოდა მგელთუქმი“(11,132).

ვფიქრობ, პურისგან, ხორბლეულისგან მგლის გამოსახულების გამოცხობა, უპირველესად უნდა მიუთითებდეს, რომ მგელ-ძაღლის სიმბოლოს საქართველოში გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდა მარცვლეულ კულტურებთან და შესაძლოა ამ მარცვლეული კულტურების „მფარველ სულადაც“ მოიაზრებოდა. მგელ-ძაღლის სიმბოლური გამოვლინებები და მისი სოლარული ასპექტები, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ამ ვარაუდის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივია გავიხსენოთ თ. ოჩიაურის მიერ ქართლში დაფიქსირებული მასალა: „ძაღლი ხალხისათვის პურის მომპოვებლად და სხვა სიკეთის მომტანად გვევლინება... უფრო წინათ, - გვიამბობს მთხოვობელი, - ჩამოყრიან თურმე ციდან ქადას, ნაზუქს და ხალხი იმას ჭამს. ერთ ქალს პურით ბავშვი გაუწმენდია (გასვრილა ბავშვი). გამწყრალა ღმერთი და პური ადარ ჩამოუყრია ზევიდან - თვითონ მოხნანო. ღმერთს ჩამეუვლო და ეთქვა - ერთი კვალი მოხანი გეყოფაო. მერე ის რო წავიდა გუთნისდედამ თქვა - ერთსაც მოვხნავ და მეორესაცაო. ბევრი მოხნა, გამოევლო იქსო ქრისტეს უგან და ეთქვა: ხანით, თესეთ და ვერ გაძეხითო. პირველი სამი კვალი რომ მოეხნა და დაეფარცხა, ძირიდან ესხა თავთავი, მეორე დღეს რო ბევრი მოხნა, იმაზე გაწყრა ღმერთი, დაუსვა ამ თავთავს ხელი და სხეკამს. რო აიტანა თავამდე, ძაღლმა შეყეფა, რომ ჩემი ლუკმა მაინც დატოვეო. იმისათვის გაუშვა. ეხლა რო თავთავი მარტო წვერშია, იმიტო არის“. „ცა რომ მაღლა წასულა და ლავაში აღარ ჩამოდიოდა, ხალხი დამშეულა. აღარ იციან პურის სახელი. უნდა უთხრან მეუფესა და აღარ იციან როგორა სთხოვონ, აღარ იციან როგორ დასთესონ, მერე წასულან და ლეპს უთქვია - ამათ პური უნდათო“ (79,19-20).

მართალია, „მგელთუქმეობა“ გარეული ნადირისგან საქონლის დაცვას ისახავდა მიზნად, აღნიშნული რიტუალი იმაგდროულად, მგლისაღმი, როგორც საქულტო დატვირთვის მქონე ცხოველისაღმი, თაყვანისცემასაც უნდა ავლენდეს. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ სვანური მონაცემებით, ვ. ბარდაველიძის მიხედვით, „მგელთუქმეობის“ რიტუალის დროს, გარდა იმისა, რომ ცხვებოდა მგლისაღმი შეწირული კვერები, ასევე წარმოითქმებოდა სავედრებელი მაგიური ტექსტები და შელოცვები, რაც ერთი მხრივ, ემსახურებოდა ამ ცხოველის გაუვნებლებას, ხოლო მეორე მხრივ, მის მომადლიერებას, ალბათ სწორედ იმიტომ, რომ მგლები, სვანთა რწმენა-წარმოდგენით, „დიდი ღმერთის ძაღლები იყვნენ“: „...во имя данного класса животных существовали календарные дни запрета работы и праздники, называемые у грузин **მგელ უკმი** или **მგელ კვერაობა**, у сванов

**тхероб, литхар или тхереми лампроб**, в которые совершались магические действия, произносились заклинания и молитвы, преподносились волкам обрядовые хлебцы, а у сванов так называемая «волчья порция» **гело лагяп**, возжигались факелы и т.д. Одни из этих обрядовых действий и словесных формул преследовали цель обезвредить, а другие задобрить зверей и таким путем уберечь от них скотину... По верованиям сванов, волки имелись, например, у «Великого бога» и они назывались «собаками Великого бога», у Джгырага и тоже именовались «собаками Джгырага», у Мацхвар и назывались «собаками Мацхвар». Сваны обращались к божествам с молитвой не насылать на них своих «собак», разумея под последними именно волков божества. Волки – «собаки» часто упоминались и в сванских формулах проклятий («да нашлет на того то такое то божество своих «собак»)“(12,47-48).

ნათქვამის გათვალისწინებით, წარმოდგენილ რიტუალში მგლის გამოსახულებისთვის ისრების დაშენას, მის „დათოვგას“, ჟესაძლოა ასევე მგლის, როგორც „ღვთაებრივი ცხოველის“ მიმართ თაყვანისცემის კონტექსტი მოექცენოს და არ იქნას გაგებული მხოლოდ როგორც მტაცებელი ცხოველის მიმართ გამოხატული სიძულვილი. გავითვალისწინოთ ისიც, რომ მგლის გამოსახულება გამომცხარია პურისგან, რომელსაც ქართული რელიგიური აზროვნების განვითარების ყველა ეტაპზე თეოფაგიური დატვირთვა პქონდა. ჟესაძლოა მგელ-ძაღლის სიმბოლო ერთ დროს საქონლის მფარველ ღვთაებადაც მოიაზრებოდა, რასაც ერთი მხრივ უნდა მოწმობდეს ბალსქვემო სვანებში მგელთა მბრძანებლის – **მამბერის** ფიგურა, რომელიც „связывал пасть волкам, когда был доволен сванами и, напротив, напускал их на скотину сванов, если сваны заслуживали его гнева“ (12,47), ხოლო მეორე მხრივ, ხევსურეთში, კერძოდ „ხახმატის ჯვარში, „მწევრის საფლავით“ ცნობილი სალოცავი, სადაც სწირავდნენ მსხვერპლს ცხვარ-საქონლის გამრავლებისათვის. ეს სალოცავი შავი ძაღლის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. აქ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ქართლის ცხოვრების XIII საუკუნის ერთ ქრონიკაზე, რომელიც გვამცნობს, რომ დიდოელები უნიშნო, შავ ძაღლს სცემენო თაყვანს“ (109,18). ნიშანდობლივია ასევე, ხევსურეთში საქონლის გადენისას მწყემსთა შეძახილი: **გერი, აგერი** (97,22), რაც ძალაუნებურად გვახსენებს მგლის მეგრულ სახელს – **გერი.** საკითხთან დაკავშირებით, გავიხსენოთ რომაელთა მწყემსთა და ჯოგთა მფარველი ღვთაების, ფავნუსის მეტსახელი – **ლუპერდუსი,** რომელიც „მგლების განმდევნელს“ ნიშნავს; მის საპატივცემულოდ თებერვლის თვეში იმართებოდა –

**ლუპერკალიები,** რომელსაც განწმენდის, შვილიერების მნიშვნელობა ჰქონდა (20,11).

ნიშანდობლივია, რომ ტოტემური რწმენა-წარმოღვენების მიხედვით, საკრალური ცხოველის თაყვანისცემა შეიძლება უკავშირდებოდეს წინაპართა კულტს(32,236); შესაბამისად, მგლისთვის ისრების დაშენა, მისი „დათოფვაც“ შეიძლება მგელთან, როგორც საკულტო-ტოტემურ წინაპართან „კავშირის დამყარებას“, მასთან „სულიერი“ ძაფით დაკავშირებას, ღვთაებრივ, ტოტემურ ენერგიასთან ზიარებას ნიშნავდეს. მგლის „დათოფვის“ ამ კონტექსტში დანახვას ხელს უწყობს ამავე რიტუალში გარდაცვლილი ბავშვის სახელზე გამომცხვარი ბაცუქას „მონაწილეობაც“. ამგვარი ბაცუქას ისრით „დათოფვით“ საიქო სამყაროსთან, „სულეთთან“ კონტაქტი უნდა მომხდარიყო, რის შემდეგაც გარდაცვლილის ოჯახის წევრები რიტუალში მონაწილე „ისრის მსროლებებს“ არყით შესანდობარს ათქმევინებდნენ. **მგლთუქმეს** რიტუალი მოიცავს ნაყოფიერების ელემენტსაც, ვინაიდან ცხვება იმდენივე პური, რამდენი ვაჟიცაა ოჯახში, ამიტომაც მარცვლეულს, რომელიც რიტუალში მონაწილეობს სწორედ ბიჭონი ჰქვია. მოხალული ბიჭონის, ისევე როგორც **მგლთკვერის**, ბაგშებისთვის საკებად მიცემა კი შეიძლება აღქმული იყოს როგორც „საკულტო-ტოტემურ ცხოველთან ზიარების აქტი“, ამ უკანასკნელისთვის ძალის დროებით „წარმევა“ და მათი ბავშვებისთვის „გადაცემა“. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ „დაუკოდავი“ კვერის ჭამა მგლის გამარჯვებას ნიშნავდა, შესაბამისად მგლისთვის „ნაყოფიერების წარმევა“ მისი გამოსახულების მქონე „პურის დაკოდვით“ უნდა მომხდარიყო. სხავათაშორის, მგლთუქმეობის რიტუალი რომ ნაყოფიერებასთანაცაა დაკავშირებული ამაზედ უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ ამ უქმე დღეს ხევსურებს გომურის დახვეტა ეპრძალებოდათ – სავარაუდოა დოვლათის დაკარგვის შიშით; ასევე ამ დღეს იკრძალებოდა რეინის ნებისმიერი სახის იარაღის ხმარებაც. თუკი ვინმე შემთხვევით მაინც იხმარდა, იარაღისთვის **პირზე უნდა ეკბინა** და შენდობა ეთხოვა (აღნიშნული მოსაზრებები ეკუთვნის შატილის მკვიდრს, კობა ჭინჭარაულს, რომელიც ჩავწერე საველე მუშაობის დროს ხევსურეთში 2008 წლის ივლისში). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მგლის სიმბოლოს კავშირი უნდა ჰქონოდა რეინასთან და შესაბამისად საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო იარაღთანაც. ამის დასტურია თუნდაც კოლხურ სარიტუალო ცულებზე მგელ-ძაღლების გამოსახულებები.

ამრიგად, გარდა იმ უარყოფითი დამოკიდებულებისა, რაც მგლის მიმართ გლინდება, ზემოთ მოტანილ რიტუალებში ასევე ადგილი უნდა ჰქონდეს მგლის,

როგორც საკულტო-ტოტემური ცხოველის მიმართ თაყვანისცემის გამოვლინებასაც. ასეთი ამბივალენტური დამოკიდებულება საკრალური ცხოველის მიმართ სრულიად მისაღებია ტოტემური რწმენა-წარმოდგენების თვალსაზრისით (91,38).

ვფიქრობ, სარიტუალო მგელთკვერში უნდა მომხდარიყო მზისა და ცეცხლის ფიტოლატრიული და ზოომორფული სიმბოლოების შერწყმა, რადგან „ხორბალი“ და „მგელი“ მზის საკულტო სემანტიკაშია გასააზრებელი. სვანური საწესო პური ლემზირ ფონეტიკურ სიახლოვეს იჩენს როგორც მზესთან, ასევე ცეცხლთან – ლემესგ. ასევე მხედველობაშია მისაღები მსგავსება საწესო პურ პერსა და ცეცხლის, სინათლის მნიშვნელობით ნახმარ კვარს შორის, რაზედაც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ვ. ბარდაველიძე(12,14). საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, „პურის“ საკრალური კავშირი „მარჯვენა ხელის“ სიმბოლიკასთან. როგორც თეომურაზ ბატონიშვილი განმარტავს: „შოთი პური სწორედ ღვთის სამსახურად შემართული კაცის მარჯვენის, მკლავის სახედ გამომცხარი პურია“(117,169). აღნიშნული მოსაზრება ეხმიანება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ გამოთქმას: მხარკვერიანი, რომელიც მეომარი არწივის, მებრძოლი გაუკაცის ეპითეტია(115,166). იმის გათვალისწინებით, რომ საწესო „კვერი“ სინათლესთან, მზესთან ასოცირდება, ვფიქრობ, „მხარკვერიანში“ გადმოცემული უნდა იყოს სწორედ მარჯვენა ხელის მზიური, „გამანაყოფიერებელი“ ასპექტი, რაც ვლინდება თუნდაც იმ ფაქტით, რომ სვანეთში გავრცელებული ტრადიციით, მოკლული ნანადირევის მარჯვენა ბეჭი ეწირებოდა ჯგრაგს, წმ. გიორგის (წმ. გიორგის სოლარულ ასპექტებს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ), რომელიც მონადირეთა მფარველად მოიაზრებოდა და იმავდროულად „მგელთა მბრძანებელიც“ იყო(12,48). აქვე დროულია გავიხსენოთ ბრინჯაოს საკიდი ყობანური არქეოლოგიური მასალიდან, რომელიც წარმოადგენს გაშლილ ხელს, რომელზედაც მგელ-ძალლებია გამოსახული (33,69) (სურ.№5,6). აქ, უჭვგარეშეა საქმე უნდა გვქონდეს „მარჯვენა ხელთან“, რომელიც ისეთივე „მზიურია“, როგორც მასზე გამოსახული მგელ-ძალლები.

პური როგორც ზიარების მთავარი ატრიბუტი პირდაპირ კავშირშია სულთან და „სულეთთან“. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ რიტუალში გამოყენებული „ბიჭონი მოხალული სულადია“, რაც სულთან ავლენს კავშირს. ყურადღებას იქცევს აგრეთვე პურის დანაწევრების კონტექსტში გამოყენებული გამოთქმა: „პურის დაფშვნა“, ვინაიდან როგორც ცნობილია, ფშა,

**ფშე** მარცვლები სულთანაა დაკავშირებული ისეთ სიტყვებში როგორიცაა ფშვინა, საფშვინველი და სხვ. როგორც ი. ჯავახიშვილი შენიშნავს „ფშვა ძველ ქართულად სურნელის გამოღებასაც ნიშნავს. ყაბარდოულად სულს, სიცოცხლეს, ცხოველურ ძალას ფსე ეწოდება, ხოლო სვანურად ლიფშირე, შობას გამრავლებას ნიშნავს“(117,35,38).

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართულ ყოველდღიურ მეტყველებაში ასე ხშირად ნათქვამი „პურის დაფშვნა“ იმთავითვე უნდა შეიცავდეს ქრისტიანული ეკარისტიის, ზიარების იდეას. რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ რიტუალში მგლის „პურის სხეულს“, ეს უკანასკნელი ნათლად მიუთითებს მგლის სიმბოლურ კავშირზე მარცვლეულ კულტურებთან და „სულეთთან“, მითუმეტეს რომ პურთანაა დაკავშირებული მგლის, როგორც ფსიქოპომპის ასპექტი (2,76).

პურით ზიარებას რომ შორსგადგმული ფესვები აქვს ქართულ ტრადიციაში, ამის დასტურია საქართველოში გავრცელებული ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლის – ბერიკაობა/ყენობის ერთ-ერთი რიტუალი: „ყენს თავზე დაადებენ მრგვლად მოხვეულ “ჭილს” – “ჩალა-ბურდას” და მისივე ზომის ხმიად პურს. ლხინის დამთავრების შემდეგ ყენს ხმიადს ააცლიან, ნაწილებად დაამტკრევენ და მას მრევლზე გაანაწილებენ, რათა კარგად ყოფნა და მოსავლის სიუხვე დაიბედონ. ხმიადის შესახებ ამბობენ: „პურ-წყალია ეგა გლეხის სასმელ-საჭმელი; თუ ვინმეს უღონობას, სისუსტეს შეამჩნევენ, ჰეითხავენ: ყენის პური არ გიჭამია, ეგრე რომ ხარო? ამბობენ, ვისაც ეგ უჭამია, ღონიერიც ის არისო“. საგულისხმოა მოყვანილი ციტატის ავტორის კომენტარი: „ნაყოფიერების ღვთაებისათვის აღნიშნული პურის თავსაბურავად ხმარებას, ალბათ, თეოფაგიური მნიშვნელობა პქონდა “მზის” კვერით ზიარების გამო. ყენი/ბერიკა/მეფე “მეფის” ტიტულის მატარებელი, ღვთაებრივი წარმოშობის საკრალური პირი ნაყოფიერების ღვთაებასთან წილნაყარია და ამდენად თავსაბურავი მრგვალი ხმიადის სახით მითოსური მზის ამქვეყნიურ ჰიპოსტასად ჩაითვლება“ (81, 45, 137).

საკითხთან დაკავშირებით, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ადრებრინჯაოს ხანაში, „განსაკუთრებული ადგილი არქეოლოგიურ გათხრებში უკავია ორმაგი კედლით შემოფარგლულ, მრგვალი ფორმის ნაგებობას, რომელიც დასახლების ყველაზე მაღალ ადგილზეა აშენებული და წარმოადგენს სავარაუდოდ ხორბლის საერთო საცავს. ამ დროისთვის, ასეთი შენობა უნიკალურად მიიჩნევა, თუმცა ხორბლის შესანახი ორმოების რაოდენობა, რომლებსაც იგივე

დანიშნულება პქონდათ, დაფიქსირებულია არქეოლოგების მიერ სხვა ძეგლებზეც“ (51,101). ამ „პირველყოფილ ბეღლებს“ შესაძლოა რიტუალური დატვირთვაც პქონდათ და წარმოადგენდნენ საკულტო მზის ანალოგიას, რაზედაც უნდა მიუთითებდეს ერთი მხრივ, მათი სიმაღლეზე გაშენება, ხოლო მეორე მხრივ, მათი წრიული ფორმა. მართლაც, „ქართველთა სარწმუნოებრივ წარმოდგენებში წრისებური და მრგვალი ობიექტები მზისა და სავსე მთვარის გამოსახულებებთან იყვნენ დამსგავსებული და ასოცირებული“ (6,63). მთაზე, გორაზე გაშენებულ „ხორბლის საცავებს“ რომ საკულტო დატვირთვაც უნდა პქონდათ, ამაზედ თითქოს უნდა მიუთითებდეს სარიტუალო ფერხულის სახელწოდება „ქორბელელა“. ჯერ ერთი ფერხულის შესრულების ტრადიციული, წრიული ხასიათი უკვე გვაბრუნებს მზის სემანტიკასთან, მეორეც უურადღებას იქცევს თავად მარცვალი ქორ-ი, რომელიც „ქორი (გორი, გვარი) შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს... რომელიც მაღლობზე ბინადრობდა და მტკიცე (სოციალურ) ორგანიზაციას წარმოადგენდა“ (6,71). ამასთანავე, „ფერხული „ქორბელელა“ შეიძლება განვიხილოთ როგორც სართულებიანი, მაღალი შენობა (შეად. სულხან-საბა: „ქორი – სახლი სახლზე აგებული; ქორედ-ქორედი – ოთხი, ხუთი სახლი სახლზე შენებული“). ვ. ბარდაველიძის მოსაზრებით, „ქორბელელად დაწყობა“, „დაბეჭდელა“ საკულტო ბეღლის გადახურვის სტრუქტურასთან დაკავშირებული ტექნიკური ხერხის აღმნიშვნელია და გარდიგარდმოდ დაწყობას ნიშნავს“ (6,73).

„მგელთუქმეობის“ რიტუალში ასევე უურადღებას იქცევს მგლის პირის აკვრის ეპიზოდი; აქ „მგლის პირი“ დაკავშირებულია ხორბალთან – ბიჭონთან. რიტუალის შესრულების დროს დიასახლისი ითხოვს, რომ როგორც ბიჭონი იწვის და იტრუსება იგივე მგლის ხახასაც დაემართოს. სიმპათეტურ მაგიაში არსებული ანალოგიის პრინციპის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, ხორბალი – ბიჭონი, მგლის პირის ანალოგიაა. გამოდის „პირი“ და „პური“ ფონეტიკური სიახლოვის გარდა შინაარსობრივი თვალსაზრისითაც უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. ამ კავშირს უნდა განაპირობებდეს „პირისა“ და „პურის“ მზიურ-ცეცხლოვანი ხასიათი. გავიხსენოთ, ქართული მითოსური ძალით ყურშა, რომლის ყურ-ტუჩი ოქროსია, ხოლო ხმა ჭექა-ჭუხილის, რომელიც ღვთის ნების გამოვლინებად მოიაზრება და კავშირშია სიტყვასთან. ამაზედ უნდა მოწმობდეს ქართული გამოთქმაც: „აზრის გაელვება“, რაც სიტყვას, როგორც უკვე აზრის შედეგს, აკავშირებს მზიურ-ცეცხლოვან ენერგიასთან.

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ პირი „ღვთის საღვომია“ და

დაკავშირებულია სიტყვასთან და სიტყვა კიდევ ცეცხლთან და ნაყოფიერებასთან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პურიც, როგორც მზიურ-ცეცხლოვანი სემანტიკის შემცველი, შესაძლოა დაკავშირებული იყოს სიტყვასთან, მეტყველებასთან და შესაბამისად დამწერლობასთანაც. პურისა და ცეცხლის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, რომ მთიულეთში, ე.წ. „დიდ კომლზე“ დაწესებული „სახატო ბეგარა“ გულისხმობდა 1 ლიტრ ქერს თუ ქერსველს, რასაც „ცეცხლის ბეგარას“ ეძახდნენ(110,161).

ნიშანდობლივია, რომ შუამდინარულ მითოლოგიაში „ღმერთის სიტყვა“ დაკავშირებულია „პურთან“, ხოლო ორივე მათგანი კი გამანაყოფიერებელ, სასიცოცხლო ძალებთან: „ერთ შუმერულ ტექსტში ენჯი ამბობს:

სიტყვა ჩემი ცას მისწვდება –  
და სიუხვის წვიმა იწვიმებს ციდან;  
მიწას მისწვდება –  
და მცენარეული გაჩნდება მიწად;  
ამწვანებულ ყანას მისწვდება –  
და ჩემი სიტყვით მოსაგალი უხვად დახვავდება

ღმერთის არსებიდან მის ბაგეთა წიად სიტყვასთან ერთად სიცოცხლეც იბადება; ღმერთი იტყვის სიცოცხლეს „თავისი ტკბილი ბაგეებით“, ისე რომ სიტყვა სიცოცხლეა თავად: „პურია ნათქვამი მისი, სიცოცხლეა სიტყვა მისი“, შდ. „მე ვარ პური და ცხოვრება“, – ამბობს თავად სიტყვა-ქრისტე“(45,94).

არ არის გამორიცხული, თავად ენჯის სიტყვა, რომელიც გამანაყოფიერებელი ძალის მქონე „სიუხვის წვიმას აწვიმებს“ ციდან, დაკავშირებული იყოს ჭექა-ქუხილთან, იმავე პრინციპით, რითაც მითოსური ყურშას „ჭექა-ქუხილის ხმა“ ღვთის სიტყვის გამოვლინებად ვცანით. ეს მსგავსება მით უფრო თვალსაჩინო გახდება თუკი აღვნიშნავთ იმასაც, რომ მითოსურ ყურშას გამანაყოფიერებელი ფუნქციებიც ენიჭება, ვინაიდან მისი მითოსური სახე ვლინდება ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლშიც.

ბერიკაბის რიტუალში ყურადღებას იქცევს ბერიკას უცილობელი ატრიბუტი, ხის ხმალი, რომელსაც რიტუალში ფალიკურ-გამანაყოფიერებელი ფუნქცია აქვს. როგორც ჩანს „ფალიკური ხმალი“, როგორც მარჯვენის „გაგრძელება“ დაკავშირებულია მზესთან, ცეცხლთან და გამორიცხული არაა სიტყვასთანაც, როგორც „ღვთაებრივი ნების“ გამოვლინებასთან. თუკი

მოვიგონებთ, რომ ამირანის ეპოსში, დვთაებრივი გმირის ხმლის ჰედვის პროცესი დაკავშირებულია ჭექა-ქუხილთან (საკითხს დაწვრილებით უფრო ქვემოთ შევეხებით), რომელიც დვთის „ნების გამოვლინებადა“ მიჩნეული, რითაც დაჯილდოვებულია ქართული მითოსური ძაღლის - „ყურშას ხმაც“, რაც მის სახეს აშკარად „დვთაებრივს“ ხდის, ხმლისა და სიტყვის კავშირი ნათელი ხდება. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ სიტყვა ხმალში ფუძედ „ხმა“ დევს.

ხმალი კავშირს პოულობს პურთანაც, სადაც მაკავშირებელი რგოლი, სწორედ „სიტყვაა“. მართლაც, თუკი მოვიგონებთ, რომ შოთი პური დვთაება არმაზს ეწირებოდა „მკლავისა ძლიერებისა და ხრმლისა მკვეთელობისათვის“ (117,169) და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მახვილი დვთის სიტყვის გამოვლინებაა, როგორც ეს იოანეს გამოცხადებაშია ნათქვამი: „მისი პირიდან გამოდის ბასრი მახვილი, რომ იგი დასცხოს ერებს და იგი დამწყევსავს მათ რკინის კვერთხით“ (გამოცხადება იოანესი, თავი 19), კავშირი პურსა და სიტყვას შორის მკაფიო ხდება. მახვილი და ზეციური პური („მე ვარ პური ზეციდან ჩამოსული“ - იოანეს სახარება, თავი 6) იქსო ქრისტეს რელიგიური სიმბოლოებია და უფლის სიტყვას უნდა უკავშირდეობოდეს. როგორც ცნობილია „აანონიკური ტექსტით ერთმანეთთან არის დაწყვილებული დვთის სიტყვა და არსობის პური: არა ხოლო პურითა ერთითა დარჩების კაცი, არამედ დვთის ყოველი სიტყვით“ (43,214).

ხმლის და პურის ურთიერთმიმართება მოცემულია რაჭული საახალწლო პურის სახელში: „„ხმლის ტრიალი“, რომელსაც ხმლის ფორმა ჰქონდა და მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი“ (96,1471). აქედან, იმასაც დავსძენ, რომ ბერიკა და საახალწლო რიტუალური პური „ბასილა“ მამრობითობის აღმნიშველი ასოთი იყო გამოსახული და ორივეს მიზანს მცენარეთა და ცხოველთა განაყოფიერებაზე ზემოქმედების მოხდენა წარმოადგენდა (81,82).

თავდაპირველი დამწერლობა სწორედ პურთან, მიწათმოქმედებასთან, განაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. აქედან უნდა იღებდეს სათავეს პურის „ფალიკური“ ხასიათი. ძველი ბუსტროფედონური დამწერლობა სათავეს სწორედ მიწათმოქმედებით იღებს და კავშირს ავლენს განაყოფიერებასთან: „გ. ჩიტაიას აზრით, ხენა ხალხური გაგებით მაგიური აქტია, სადაც მიწა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო ერქვანი – ფალოსი“ (81,160). პურეულის თესლის აღმნიშვნელი სიტყვა მარცვალი ასევე ნიშნავს, „რაიმე აზრის ჩანასახს, აგრეთვე ბგერას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმება“ (95,74). ნიშანდობლივია ისიც, რომ სამეტყველო ბგერის

აღმნიშვნელი – ასო, ასევე უკავშირდება სხეულის ნაწილებს, განსაკუთრებით კი მამაკაცის სასქესო ორგანოს მნიშვნელობით, რაც ხაზს უსვამს თავდაპირველი დამწერლობის კავშირს განაყოფიერების აქტთან. თუკი მგელ-ძაღლის კულტი პურთან და შესაბამისად, სიტყვასთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, როგორც ეს დავინახეთ „ყურშას სახეში“ (რომლის ჭექა-ქუხილის ხმა ღვთის სიტყვის გამოვლინებად ვცანიო), მაშინ გამართლებულად გვეჩვენება ისიც, რომ „სამგრელოში ძაღლის ლეგვის აღმნიშვნელი – კუტჟ, კუტავი“ (117,206) ასევე იხმარება გვარ-სახელებში და მამაკაცის სასქესო ორგანოს მნიშვნელობითაც, ხოლო „კუტი იმავდროულად ნაკვერჩხლებზე გამომცხვარი პურია“ (94,1446), რაც განკუთვნილი იყო ძაღლისთვის და რიტუალური დატვირთვა ჰქონდა (79,21).

კუტა/კუტავის პარალელური ფორმაა კოტი-კოტია, რომელიც ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლის მთავარი პერსონაჟის, ბერიქას ორეულის, ლაზარეს ეპითეტია: „ლაზარეს სახელის ვარიანტი “კოტი-კოტია” მისი ტაბუირებული, მეტაფორული სახელია, რომელიც დვთაების ფალიურობას აღწერს და აქცენტს სვამს ნაყოფიერების ფუნქციაზე (85,242).

ამრიგად, კუტა/კუტავი/კოტი/კოტია საკულტო-სარიტუალო დატეირთვის მქონე სიტყვებია, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ქმნიან ნაყოფიერებასთან და გამრავლებასთან დაკავშირებულ სიმბოლოთა ერთობლიობას: ძაღლი, პური, ხმალი, ფალოსი.

კუტა/კოტიას სიმბოლოები: პურიც, ხმალიცა და ფალოსიც უკავშირდება სიტყვას, თუ გნებავთ „ღვთის სიტყვას“, რომელსაც უმაღლესი გამანაყოფიერებელი ძაღლა ენიჭება და რომელიც სწორედ მგელ-ძაღლის სიმბოლოშია დავანებული. მართლაც, თუკი მივუბრუნდებით, თ. ოჩიაურის მიერ ქართლში მოპოვებულ საველე მასალას, უპუროდ დარჩენილ ხალხს, დმერთან შუამავლობას სწორედ ძაღლი უწევს, რომლის წყალობით ხალხი ხვნა-თესვის ცოდნას ხელმეორედ იძენს.

კუტ ფუძის საკულტო-რელიგიური ხასიათი უნდა ასახულიყო ქართულ ეთნო-ტოპონიმიკაში და არა მარტო; ამ ფუძეს ურარტუს დასახელებებშიც ვხვდებით: „ძუტ-ფუძით ნაწარმოები სახელები ერთნაირად არის გავრცელებული როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისე სამეგრელოსა და იმერეთში. მაგალითად, ჭოროხისა და აჭარისწყლის აუზებში ვხვდებით შემდეგ სახელებს ქუთაური, ქუთურეთი, კვიტაურა, კვიტაური, კვიტამერა, კვიტიეთი და სხვ. სამეგრელოში დამოწმებულია ძაღლიან საინტერესო ფორმა ამ სახელისა:

ცხაკაიას რაიონში სასამნე ადგილს ეწოდება ლეპტორა, რომელშიც აშკარად გამოიყოფა სამეგრელოს ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი „ლე“ პრეფიქსი. კუტ-ფუძიან სახელთა ასეთმა გავრცელებამ უნდა მოხსნას არგონავტიკის კუტაის მხოლოდ ქუთაისთან დაკავშირების საკითხი. ტიგლათპალასარ III ძვ. წ. 735 წელს დაპყრობილ ურარტუს ქალაქებსა და სოფლებს შორის ასახელებს სოფელ კუტას. ურარტუს ტერიტორიაზე პუნქტი კუტუ დასახელებული აქვს აგრეთვე ტიგლათპალასარ III შვილს სარგონ II. ფრიად საგულისხმოა, რომ პილოსის წარწერებში ვხვდებით დასახლებული პუნქტების სახელებს, რომელნიც თითქმის არ განსხვავდებიან როგორც ანტიკური კუტაია, ისე ქართული ქუთაისის სახელებისაგან“ (69,87).

მგელ-ძაღლის კავშირი მარცვლეულ კულტურებთან გვხვდება ასევე სხვადასხვა კულტურებში. საფრანგეთში და ზოგადად ევროპაში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, „მარცვლეულის, პურის სული მგელშია; საფრანგეთში, კერძოდ სოფელ **champberry**-ში, არსებობს ჩვეულება, რომლის თანახმად, “როცა მოკელები ბოლო ძნას შეკრავენ, მას მგლის სახელს არქევენ და ყვირიან: “აქ მგელი ზის”. გერმანიაში, კიოლნთან ახლოს, არსებობდა წესი, რომლის მიხედვით, ბოლო ძნას მგლის ფორმას აძლევდნენ“ (92,420-421).

საკითხთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა ცნობილი ფრანგი მწერლის, ჟორჟ სანდის სიტყვები, რომ „მის მშობლიურ სოფელ **berry**-ში მან მოისმინა თქმულება მგლებზე, როგორც მბრძანებლებზე, თანაც ეს თქმულება იმდენად სერიოზული ხალხის მიერ იყო მოყოლილი, რომ მან არც კი იცოდა რა ეფიქრა“ (52,45). აღნიშნული შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იმითაც, რომ საფრანგეთში და გერმანიაში ყანის დარაჯი მგელია: “როცა თავთავებს ქარი არხევს, ამბობენ მგელმა გადაურბინაო, აგრეთვე გავრცელებული წესის თანახმად, თუკი მკის დროს მინდორში მგელი გაირბენს და მას კუდი დაშვებული აქვს ნაყოფიერების და კარგი მოსავლიანობის ნიშანია“ (92,419). საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ასევე ეტრუსკული ხორნური ღვთაება – ველთა, რომელიც მგლის სახითაა წარმოდგენილი: „მ. პალოტინო ველთას მინდვრების გენიად წარმოგიდგენს, ხოლო ფრ. მესერშმიდტი ამ ეტრუსკული დემონის გამოსახულებას რამდენიმე ურნაზეც კი ხედავს, სადაც ჩანს ერთგან მგელთავიანი, ხოლო მეორეგან მგლის ნიღბიანი და გველებიანი, მიწიდან ამომავალი ღვთაება“ (49,71). აქვე შეიძლება ისიც მოვიგონოთ, რომ ცნობილ თრიალეთის თასზე, რომელზეც ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალია

ასახული, პროცესის მონაწილე ქურუმების სამოსში ფიგურირებს ძირს დაშვებული მგლის, ზოგიერთი მოსაზრებით მელის კუდი (8,35).

საკითხთან დაკავშირებით, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩეჩნურში მგლის აღმნიშვნელი სიტყვა **Борз** პრაქტიკულად იდენტურია ფეტვის აღმნიშვნელი სიტყვისა **Борц**. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც სიუხვისა და დოვლათის გადმომცემი ჩეჩნური სიტყვა – **Беркат** (88,32,33), რომელიც ქართული ბარაქისა და ლაზური ბერექეთის სინონიმად გვევლინება.

მგლის კულტოან დაკავშირებული ფრანგულ-ქართული პარალელი კიდევ ერთ საინტერესო დეტალს ავლენს. დასავლეთ ევროპაში გაგრცელებული რწმენა-წარმოდგენებით, „მგლი მეტყველების უნარს ართმევს მას, ვისაც „ავი თვალით“ შეხედავს“ (52,44). ანალოგიური რწმენა-წარმოდგენა დაფიქსირებულ იქნა ჩემს მიერ ხევსურეთში საველე მუშაობის დროს; ჩემი რესპონდენტის, თქმით, „მგლი ისე შეერევა ცხვარს ვერც გაიგებ. ხშირად უთქვამო მწემსებს: მგლი კი დავინახე, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შევძელი, მგლმა ჩემი ხმა წაიღოო... და ასე წაიღებდნენ საქონელს“ (აღნიშნული მოსაზრება ეკუთვნის შატილს მკვიდრს, შოთა (აპარეკა) ჭინჭარაულს, რომელიც ჩავწერე 2008 წლის ივლისში პირიქითა ხევსურეთში საველე მუსაობის დროს). გამოდის მაგიური დაცვის მიზნით „მგლის ენის ჯიბით ტარებაც“ (11,131-133) კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა და შესაძლოა გულისხმობდა „ავი თვალისგან“ თუ „ავად მოსაუბრისგან“ თავდაცვას. აქვე იმასაც დავსძენ, რომ მგლის აღმნიშვნელი აფხაზური „ბაგ“ (102,79) ფუძე კავშირს პოულობს ბაგესთან, ანუ პირთან, მეტყველებასთან, რაც ზემოთნათქვამის გათვალისწინებით, შემთხვევითობით არ აიხსნება. სხვათაშორის, საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს იტალიელთა ყოველდღიურ მეტყველებაში დამკვიდრებული გამოთქმა: **“In bocca al lupo”**, რაც ნიშნავს „მგლის ხახას,“ „მგლის ხახაში ყოფნას“ და თავად იტალიელთა განმარტებით უნდა ნიშნავდეს სახუმარო ფორმით წარმატების გამოთქმის სურვილს იმ პირის მიმართ, რომელიც რაიმე სერიოზული გამოცდის წინაშე დგას. აქვე დავსძენ, რომ ეს გამოთქმა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სტუდენტთა შორის, რადა თქმა უნდა, გამოცდების წინა პერიოდში. შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „სახუმარო განწყობის“ მიღმა დგას მგლის უძველესი რელიგიური ასპექტი, რომელიც სიტყვასთან და მეტყველებასთან არის დაკავშირებული და რომელიც ერის კოლექტიურმა მეხსიერებამ ოდნავ პროფანული ფორმით დღემდე „მოიტანა“. იტალიური გამონათქვამიდან კარგად ჩანს, რომ „მგლის ხახას“, ამ კონკრეტულ

შემთხვევაში, სიკეთის მოტანა შეუძლია, განსაკუთრებით მეტყველების კონტექსტში, ალბათ სწორედ იმიტომ, რომ ის „პირცეცხლია“, „მზიურია“ და შესაბამისად განაყოფიერების უნარით დაჯილდოვებული. აქვე იმასაც დავსძენ, რომ თუკი ქართულ მითოსში მზე გველეშაპის პირიდან იბადება ყოველდღე, გერმანულ მითში მზესა და მთვარეს ყლაპავს მგელი (29,25), რომელიც შესაძლოა იდეურად უკავშირდებოდეს კოლხურ ცულებზე გამოსახულ გვერს, ანუ მგელ-დრაკონს.

როგორც აღინიშნა, სწორედ ძაღლია ადამიანსა და ლმერთს შორის შუამავალი, ვისი წყალობითაც ხალხი ხვნა-თესვის უნარს იბრუნებს. ნათქვამთან დაკავშირებით, მოყვავს კიდევ ერთი პასაჟი, თ. ოჩიაურის მიერ ქართლში დაფიქსირებული საველე მასალიდან: “უწინდელი ხალხი რეგვენი, უცოდინრები ყოფილან; თურმე რო ცეცხლს დაანთებდნენ, ახლო თაბები უდგიათ ტალახიანი. სცხელათ, – ისხამენ ზედა და ისომენ იმ ტალახს. თურმე ერთი ფინიაა, დასცხება უკან წავა, შასცივა – წინ მოდის. პატარძალს უთქვია – ესე რათა შვრებიო, მერე თვითონაც ეგრე უქნიათ. ძაღლსა და პატარძალს ჩაუგდიათ ხალხი გონებაში“ (79,20). ქართლში დაფიქსირებული ეს თქმულება, თავისი არსით მრავლისმომცველი უნდა იყოს, ვინაიდან თუკი „ძაღლს ჩაუგდია ხალხი გონებაში“ მისი სიმბოლური მნიშვნელობა არცთუ მცირედით ყოფილა შემოფარგლული: ქართული ეთნოგრაფიული მასალა ნათლად ავლენს მგელ-ძაღლის სიმბოლოს ფუნქციონალურ კავშირს მეტყველებასთან.

ამრიგად თუკი გავითვალისწინებთ მგელ-ძაღლის მეტად საპატიო მისიას „ლმერთთან შუამავლობის“ თვალსაზრისით, ისევე როგორც მგლის სოლარულ კავშირს მარცვლეულ კულტურებთან და მეტყველებასთან, გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „მწევრის სალოცავზე“ ნადირთ გამრავლებას ითხოვდნენ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „მგელთუქმეობის“ რიტუალი, რომელიც მავნებელი ცხოველებისგან საქონლის დაცვის მიზნით სრულდებოდა, ასევე ავლენს მგელ-ძაღლის სხვადასხვა ფუნქციონალურ ასპექტს, რომელიც გულისხმობდა საქონლისა და მარცვლეული კულტურების მფარველობას, ნაყოფიერებას, გამრავლებას, და რაც ყველაზე მთავარია, „ლვოს სიტყვას“, რომელიც თავისი არსით, მზიურ-ფალიკურია და მაგიურ-გამანაყოფიერებელი ძალა აქვს.

## 2) სეთის წმ. გიორგის სადღესასწაულო ციკლი და მგლისგამოსახულებიანი საწესო დროშა - ლემი

საწესო დროშა – ლემი იმთავითვე მოგვაგონებს საკულტო ხის სიმბოლიკას, რომელიც გადმოსცემს კვდომა-გაცოცხლებისა და შვილიერების მარადიულ ცნებებს. ამასთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძე შენიშვნავს: „Таким образом, знамя лем, подобно восточно-грузинскому горскому знамени, уводит нас в мир тотемических верований и практики. И тогда, как восточногорское знамя своей исходной формой разумеет тотемное дерево, сванское знамя генетически или преемственно (путем перенесения на него народных представлений о своем древнейшем штандарте) связывается с тотемным животным – волком“ (12,46).

სვანეთში ერთურთს ერწყმის საკრალური ხისა და დროშის ცნებები: „ბექოს თემში რეალურად არსებული საღვთო ხის გარშემო გამართული წეს-ჩვეულება და ლიჩენიშის დროს დროშის შეწირვის ჩვეულება ერთნაირია და ხის ჯულტის შესახებ რწმენიდან მომდინარეობს. ბექოში აღნიშნული ჩვეულება სრულდება ხესთან, რომელსაც დროშა განასახიერებს. ასეთივე მნიშვნელობისაა ზემოსვანური ალბა-ლალრალისა და ქვემო სვანური მურყებამობის დროს ხეზე დროშის, ლეგთაება ლამარიას გამოსახულებისა და ჯვრის ერთიდამავე მნიშვნელობით გამოსახვა. ამიტომაა, რომ დროშას არა მარტო ყრმის შვილად აყვანა და მფარველობა შეეძლო, არამედ მის გაჩენაც, გამრავლებაც და განგურნებაც. დროშა იყო ავი თვალისა და ყოველგვარი ავის განმდევნელი და უბედური შემთხვევით დაღუპული მიცვალებულის მხსნელი. დროშას აგრარულ კულტიც საპატიო ადგილი ეჭირა, ხალხური მასალების შემკრების, სები გულედანის ცნობით, დროშა ლემი მოსავლიანობასთანაც იყო დაკავშირებული. ამ დროშის გამოტანა ხდებოდა ელიშობის – ელიასა და წმ. გიორგის დღეს დარ-ავდართან დაკავშირებით“ (81,173).

დროშის სახელწოდება – ლემი გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს ლომთან და არა მგელთან, თუმცა, როგორც ამას ვ. ბარდაველიძე შენიშვნავს: „По распространенному верованию сванов и по их преданиям изображенное знаменем животное не лев, а волк; он называется львом (**лем**) в знак того, что волк силен и победоносен, как лев. Наше знамя - уверяли меня старики сваны – означало, что мы сильные и непобедимые, подобно волкам и львам“ (12,44).

აღსანიშნავია, რომ „Знамя лем хранилось в церкви св. Георгия Сетийского Местийского общества Верхней Сванетии. Само знамя в том виде, в каком оно дошло

до нас, сшито из желтой шелковой материи и имеет зооморфную форму“ ( 12,37).  
ავტორისვე შენიშვნით, ეს დროშა, თავისი ხასიათით: „относится к драконовидным штандартам, засвидетельствованным во II веке у парфян, скифов, сарматов, даяков, начиная с III века у римлян, заимствовавших его от названных народов, и в IV веке у сасанидских царей, перенявших его от парфян“ (12,38).

ისტორიული მონაცემების მიხედვით, როგორც ამას ადასტურებს ვ. ბარდაველიძე, სეთის წმ. გიორგის თემი ცნობილი იყო **ლელჯგრაგის** სახელით. მასში გაერთიანებული იყო ოთხი გვარი, რომლებსაც მოლჯგრაგს ეძახდნენ. ესენია: ფალიანი, მჭედლიანი, რატიანი და ნიგურიანი. ამათგან უძველესია ფალიანთა გვარი; სეთის **ჯგრაგი** მათი უძველესი საგვარეულო სალოცავი ყოფილა. ფალიანთა გვარიდან ირჩეოდა თემის მეთაური, ე.წ. **ლელჯგრაგი თხვიმზე**; თუმცა არ არის დადგენილი იყო თუ არა იგი იმავდროულად „დროშის დამჭერი“ - **ლემი მუგვენე** (12,40,41).

დავაზუსტოთ თუ რა შედიოდა **ლელჯგრაგის** მოვალეობაში: „В обязанности лелджырага входило спровить праздники в честь Сетийского св. Георгия - один праздник осенью, в конце сентября, другой – летний, так называемый Хылиш или Хылшоб. В осенний праздник молджыраги закалывали жертвенного быка, а для Хылиш собирали с каждого двора общины по одной мерке ячменя для выгонки водки, праздничные хлебы же каждый из них выпекал из собственной муки у себя на дому“ (12,43).

აღსანიშნავია, რომ ვ. ბარდაველიძის მიხედვით, **ხილიშობა** თუ ილიშობა საერთო სვანური ტრადიციული დღესასწაული იყო, რომელიც გადმოცემის მიხედვით, უკავშირდებოდა უხსოვარ დროში სვანთა მიერ დამპურობლების განდევნას. ის პეტრე-პავლობის მარხვამდე ერთი კვირით ადრე იწყებოდა და რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ამ ზეიმისთვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ხასიათის სპორტული ვარჯიშები და საწესო-სამხედრო თამაშობები, მათ შორის – **დოდიც**. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ზეიმის დამაგვირგვინებელი ღონისძიება. არანაკლებ 15 მხედარი შეიკრიბებოდა სეთის წმ. გიორგის ეპლესის წინ. მათ წინამდღოლობდა ჯაფარიძეთა გვარის წარმომადგენელი, რომელსაც „ლემის მტარებლის“ - **ლემი მუგვენეს** სტატუსი პქონდა (ჯაფარიძეთა გვარი **მოლჯგრაგთა** გვარებს გვიან პერიოდში შეუერთდა). დოდის პრინციპი შემდეგი იყო: მხედრები, აუზქარებლად, მედროშეს წინამდღოლობით, მიემართებოდნენ წინასწარ მონიშნული დასავლეთ საზღვრისკენ, შემდეგ ტრიალდებოდნენ და უკან, აღმოსავლეთის საზღვრისკენ ბრუნდებოდნენ. ეს

მეორდებოდა ორჯერ ზედიზედ. მესამე ჯერზე, როცა მხედრები, ასევე ნელი სვლით, მივიღოდნენ დანიშნულ ადგილამდე – დასავლეთის საზღვრამდე, ისინი ცხენებს ატრიალებდნენ, ერთ ხაზზე ეწყობოდნენ და გამაფრთხილებელი შეძახილის შემდეგ, შეჯიბრს იწყებდნენ. გამარჯვებულად ითვლებოდა ის მხედარი, ვინც აღმოსავლეთის საზღვარს პირველი მიაღწევდა. გამარჯვების წყურვილით ყველა იყო შეპყრობილი; ამასთანავე დაუშვებდად ითვლებოდა მედროშე მხედრისთვის რაიმე შეღავათის გაწევა, ვინაიდან ეს დაარღვევდა თავად საწევო დოდის კანონდებლობას: „Праздничные игры проводились на площади Сетийского храма, где собирались все местийское население со своими гостями. Бега или скачки с знаменем происходили по окончании остальных игр. В скачках принимали участие не менее 15 всадников. Сидя на наилучших скаковых лошадях, они приближались к храму и выстраивались у его дверей во-главе с представителем фамилии Джапаридзе. **Мокил** выносил знамя и передавал его «держателю льва» (Джапаридзе). Последний, при помощи своего «помощника», конец древка знамени прикреплял к стремени, затем садился на коня и, держа в правой руке древко, а левой управляя конем, медленно трогался в сопровождении остальных всадников. С правой стороны от **леми мугвене** держался его «помощник» тоже верхом на коне; он в опасные моменты скачек поддерживал знамя, чтобы оно не упало.

Всадники под предводительством знамени медленно ехали к заранее намеченной западной границе скакового поля, оттуда поворачивали обратно и в том же порядке и также шагом проезжали до восточной границы и затем вновь обратно до западной границы; - это был второй тур. Когда в том же порядке и также медленно в третий раз подъежали к западной границе, здесь они выстраивались в линию, в один ряд и, после сигнала «heā» пускались вскачь. Победителем был всадник, доскакавший до восточной границы первым. Все старались стяжать себе славу победителя. Нельзя было в этом уступать даже знамени; напротив, малейшее старание со стороны участвующих в скачках всадников способствовать победе знамени, нарушило основной смысл обрядовых скачек. Если при свободном состязании, победителем оставалось знамя (т.е. знаменосец), то это, **по народным верованиям, предвещало победу сванов во всяком деле и урожайный год**“ ( 12,43-44).

საინტერესო თავად დროშა – ლემის წარმომავლობასთან დაკავშირებული სვანური გადმოცემები: „По одной версии – вызвавшей протест и сильное возмущение всех моих сказителей стариков против свана якобы исказившего предание – знамя лем было отнято у «татар» во время поражения их и бегства из Сванетии; по другой – оно было сшито само царицей Тамарой и посвящено Сети

Джырагу; наконец, по третьей версии знамя вручила сванам богиня Ламария, покровительница материнства, плодородия земли и, в особенности, хлебных злаков“ (12,44).

ამრიგად, დროშა ლემის საკულტო ფუნქციები გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელი განაყოფიერებასთან და ბუნების ძალთა აღორძინებასთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მით უმეტეს, რომ დოდში დროშა - ლემის გამარჯვება მოსავლიანი წელიწადის გარანტი უნდა ყოფილიყო. ამასთან, ის ფაქტი, რომ დროშის წარმომავლობის საკითხში სამიდან ორი ვერსია ქალურ საწყის დაუკავშირდა, ნებსით თუ უნებლიერ, მოგვაგონებს საწესო ლექსს - „ქალსა ვისმეს ერქვა შროშანაო“, სადაც საკრალური ხის, ხოლო შემდეგ, მითოსური ძალლის - კურშას დაბადება დედა-ღვთაების თაყვანისცემის მოტივებზეა აგებული. გავითვალისწინოთ, რომ კურშასთან დაკავშირებული ფერხული და საწესო სიმღერები ადრე საგაზაფხულო დღეობებს ემთხვეოდა და სამონადირეო ხასიათთან ერთად, განაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. სვანური ლემის შემთხვევაშიც, მითოლოგიური თვალთახედვა აბსოლუტურად შენარჩუნებულია: აქაც, საწესო დროშა - ლემი გადმომცემია სიცოცხლის ხის და მგელ-ძალლის საკრალური კავშირისა, რომლის სათავეებთან შესაძლოა იდგეს დედაღვთაება - ლამარია, შვილიერებისა და ნაყოფიერების გარანტი. სხვათაშორის, ამ „მესამე ვერსიის“ დამაჯერებლობას ისიც განსაზღვრავს, რომ ლამარია მეტწილად ხორბლეული კულტურების მფარველია, რაც სავსებით ბუნებრივად გვახსენებს ქართლის საველე მასალას, რომელშიც „პურის მოყვანა“ სწორედ ძალლის სიმბოლოს უკავშირდება. აქვე გავიხსენოთ ახლახან დამოწმებული მასალაც, როცა ადგილი აქვს ქვემო სვანური მურყვამობის დროს ხეზე დროშის, ღვთაება ლამარიას გამოსახულებისა და ჯვრის ერთიდაიმავე მნიშვნელობით გამოსახვას.

საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, წინა პლანზე წამოვჭიოთ წმ. გიორგის სოლარული ბუნება, საიდანაც უნდა იღებდეს დასაბამს მისი გამანაყოფიერებელი ასპექტიც. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ „ქართული ფოლკლორის მასალები ამტკიცებენ, რომ ქრისტიანული წმ. გიორგის კულტს საქართველოსა და კავკასიაში წინ უსწრებდა ნადირთ პატრონის მამაკაცური კორელატის კულტი“(39,125). ეს კულტი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემყარებოდა წარმოდგენას ბუნების ყოველწლიური სიკვდილისა და განახლების შესახებ, რაც მონადირეობის ხანაში უკავშირდებოდა ნადირის, როგორც ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო წყაროს კლებას ზამთარში და მის

გამრავლებას-გამოჩენას გაზაფხულზე. ნაყოფიერი ნადირობის შემდეგ, ჯგრაგს, იგივე წმ. გიორგის ნანდირევი ნადირის მარჯვენა ბეჭი ეწირებოდა, რითაც ამ ღვთაების მზიური ხასიათია ნაჩვენები, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მარჯვენა ხელის სიმბოლიკა მზის გამანაყოფიერებელ ძალებს უკავშირდება.

წმ. გიორგის კულტის არქეტიპულ სახედ გველეშაპის დამთრგუნველი სოლარული ღვთაებებია მიჩნეული. ვ. ნოზაძის თქმით: „თეთრი ანუ წმ. გიორგი არ არის მთვარის კულტის წარმომადგენელი, წმ. გიორგი სწორედ მზის კულტის გამომსასხველია“ (76,209,210). ამავე აზრს იზიარებს ნ. აბაკელიაც: „ზეპირი გადმოცემის თანახმად, საქართველოში იმდენივე წმ. გიორგის სალოცავია რამდენი დღეცაა წელიწადში... მის კულტში აშკარად იკვეთება სოლარული ელემენტები“ (3,21,22). მზესთან კავშირზე მიუთითებს წმინდანის 365 ნაწილად დანაწევრებაც, რაც მზის წლიური კალენდრის ალეგორიული გამოვლინებაა. მას უკავშირებენ წარმართობისდროინდელ თეთრი გიორგის კულტს. რელიგიური სინკრეტიზმი გვიდასტურებს, რომ წმ. გიორგიმ რაღაცა სახით შეინარჩუნა კავშირი ღვთაება კვირიასთან, ვინაიდან იგი გვევლინება მგლების მბრძანებლადაც, როგორც ეს სვანური მასალითაა დამოწმებული: „ჯგრაგი, ანუ წმ. გიორგი – მგლების მბრძანებელი“ (84,483). საკითხთან დაკავშირებით, მ. ჩიქოვანი ასევე შენიშნავს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მგელზე ნადირობა სვანეთში (აგრეთვე ხევში) უწინ აკრძალული უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: მგელს „ჯგრაგიშ ეელ“ ეწოდება, ჯგრაგი – წმ. გიორგი კი პეთილ მფარველ ღვთაებას წარმოადგენს. ამიტომ მისი ძაღლის მოკვლა, ყოველ შემთხვევაში გიორგისდა დაუკითხავად, უბედურების მომასწავებელი იქნებოდა. მგელი მავნებლობას მაშინ ჩაიდენს, აქაურთა რწმენით, როცა ამას მისი პატრონი უკარნახებს დამნაშავე სოფლის ან ოჯახის დასჯის მიზნით“ (105,64). ახლა უკვე ნათელი ეფინება იმას, თუ რატომ არის მგლისგამოსახულებიანი დროშა – **ლემი** სწორედ სეთის წმ. გიორგის ეპლესიაში დაგანებული.

საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ქართული არქეოლოგიური მასალით დამოწმებული წმ. გიორგის არქეტიპული სახეები, რაზედაც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას კ. გამსახურდია: „ქართველთა უძველეს სარწმუნოებას განსაზღვრავდა ნათლოსანი მხედარი შებით ხელში, რომელიც ქრისტიანობის ხანაში შეერწყა წმ. გიორგის სახეს. მისი იკონოგრაფია გვხვდება ჯერ კიდევ ჩე.წ.ა. მეოთხე საუკუნით დათარიღებულ საბეჭდავებზე საძეგურიდან, ყანჩაეთიდან, წინწყაროდან. ეს მხედარი გვევლინება მარტო, ხანაც იქვე გამოსახულია გველისებრი არსება, ოდონდ ღვთაება კი არ გმირავს მას, იგი

თითქოს გმირისგან განსხვავებულ სიბრტყეში მოძრაობს. ერთ-ერთ ფირფიტაზე, გამოსახულია დვთაება, რომელიც შებით ხელში გმირავს გველეშაპს. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს დვთაება კერეთრაგნას გამოსახულებასთან. ამავე ფირფიტაზე, მებრძოლ დვთაებას მარცხენა ხელში უჭირავს კომბალი. ეს საყურადღებო ელემენტია, რომელიც მას ანათესავებს მითრასთან. კომბალი მითრას მოტივებში გაიაზრება საკულტო ინსტრუმენტად, რომლითაც დვთაება კლავს ხარს“ (26,41-43).

წმ. გიორგის კულტის ასტრალურ გააზრებასთან დაკავშირებით, ე. ვირსალაძე თავად სახელში – გიორგი, ქართული და ჩრდილო-კავკასიური ენობრივი შეხვედრების გათვალისწინებით (მ-რ-გ-ვ-ა-ლ-ი რგოლი, ჭანური მურგვალი, მეგრული რგვალი, მართ.მეგრ. მორგვი, ანდიური გურგუმა, ხუნძური გორ-რგოლი, ქართული გორგალი; ჩაჩნური გიორგლი-გუორგლიეშ), ხედავს „სიმრგვალის იდეას“ და უშვებს ვარაუდს, რომ ეს შეიძლება მთვარის კულტთან იყოს კავშირში: „ხომ არ შეიძლება ამ კომპლექსში მოგვეძებნა ჩვენ კავკასიური საფუძველი წმ. გიორგის სახელის მთვარესთან დაკავშირებისა, რომელიც ეგებ მრგვალს – მთვარეს უკავშირდება? ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებაა, მაგრამ მას კიდევ რამოდენიმე დაკვირვება ამაგრებს. გიორგის სახელი, რომელიც სვანურად ჯგრაგად გამოითქმის, ჩვენ გვხვდება ქართულ ენაში, როგორც მისი ქრისტიანული ტრანსკრიპციით – გიორგი, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გორგის ფორმით. სახელი გორგი **gorgus** – ჩვენ წინა აზიაში გვხვდება. გორდუს და მიდასი ფრიგიელ მეფეთა ტრადიციული სახელები იყო. ეს სახელები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მათ დვთაებათა სახელებს წარმოადგენდა. ჯემს ფრეზერი, რომელსაც მოჰყავს ეს ცნობა, არ აღნიშნავს, თუ საკუთრივ რომელ დვთაებას ერქვა ფრიგიაში გორგი, მაგრამ ცნობილია, რომ მთვარის კულტი იქ ერთი ძირითადთაგანი იყო“ (39,122).

საკითხთან დაკავშირებით, ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ „ნადირთ პატრონის შერისძიებით დაღუპული მონადირის სახელი საქართველოში გარკვეული კულტის საგანი იყო. სვანეთში იგი გაზაფხულის დღესასწაულს უკავშირდებოდა. სწორედ ეს დღეა აღწერილი ბეთქილის ფერხულში და თვით ეს ფერხულიც ამ დღეს სრულდებოდა. საგულისხმოა, რომ ასევე დაღუპული მონადირის, ივანე ქვაციხელის სახელთან დაკავშირებული დღეობა აღდგომის მესამე ორშაბათს სრულდებოდა. ამ დღეს ასრულებდნენ აქ ფერხულს, სადაც იმდერებოდა ჭურშას ლექსი-დატირება. ამ დღეობის გაზაფხულზე და ორშაბათ

დღეს უქმობა აკავშირებს მას მთვარის და, მაშასადამე, წმ. გიორგის „კულტთან“(39,123).

დაბოლოს, „იქ, სადაც ადრე კლდის წვერზე ფერხულს აბამდნენ დაღუპული მონადირის, ნადირთ პატრონის მსხვერპლის მოსაგონარად, ახლა მღვდელს წმ. გიორგის ხატი ამოჰქონდა. ძველი და ახალი რწმენა ერთმანეთს ეჯაჭვებოდა და ახლა ფერხულში „გორგორმავალი“ გმირის, მშვილდისრიანი მონადირის მაგიერ წმ. გიორგი იხსენიებოდა. ამას ხელს უწყობდა მისი სახელიც და წარმოდგენა მასზე, როგორც წმინდა მხედარზე, მებრძოლ წმინდანზე“(39,126).

ე. ვირსალაძის მოსაზრება მეტად საგულისხმოა, თუმცა გარდა მთვარისა, წმ. გიორგის სახეში, როგორც აღვნიშნეთ, მზის კულტი უნდა დავინახოთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გველეშაპისმმუსვრელ ღვთაებათა სოლარული სახე ალეგორიულად უკავშირდება კოსმიურ წყლებში მზის დაბადების შესახებ წარმოდგენას, რომელიც ღრმადაა გამჯდარი ქართულ მითოსში. ნათქვამთან დაკავშირებით, მომყავს გ. ხიდაშელის მოსაზრება: „ქართველთა რწმენით, მზე, გველზე შემჯდარი, ზესკნელისა და ქვესკნელის წყალთა შორის თავისი მოძრაობის აუცილებელ ციკლს ასრულებდა. ღამე ქვესკნელში მზის ჩაძირვის შედეგი იყო, სადაც მას ამ წყლების გამგებელი ღრაკონი შთანთქავდა, მაგრამ მზე თავს დააღწევდა და ყოველ დილით ზეცაზე ამობრწყინდებოდა. მოძრაობის ამგვარსავე ციკლს გადიოდა არწივიც, რომელიც ზესკნელისა და ქვესკნელის დამაკავშირებელი იყო“(114,131). აღნიშნული რწმენა-წარმოდგენა დასტურდება თრიალეთური კულტურითაც; კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ი. სურგულაძის მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით: „მნიშვნელოვანი თემა, რომელიც აშკარად ჩანს თრიალეთელთა მხატვრობაში, არის წარმოდგენა კოსმოსური წყლებით გარემოცულ სამყაროზე, რომელსაც გარს უვლის მზე. მზე დამით მოგზაურობს კოსმოსის პირველქმნილ წყლებზე. ასეთი მტკიცების საფუძველს გვაძლევს XVII ყორდანში მოპოვებული ჭურჭელი, რომლის მხარზე, შუა წელამდე, გამოსახულია წყლის კლაკნილი ზოლი. ხეველებში ზის დისკოები, მზის გამოსახულებები. ასეთი კლაკნილი, გაღმა-გამოღმა დასმული ასტრალური ნიშნები თრიალეთში ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაშია დამოწმებული. შესაძლოა ოკეანე-მდინარე სხვადასხვა მითოსურ ვერსიებში გაიაზრებოდეს როგორც ღრაკონი – გველი, რომელიც დიდ როლს თამაშობს ინდოევროპელთა მითოსში. მსგავსი ფაქტები საკმაოდ არის მოპოვებული კავკასიაშიც, როგორც თრიალეთის მასალაში, ისე მომდევნო ხანებშიაც. ამ მხრივ, ძალიან

თვალსაჩინოა ბომბორას ველზე სამარხში მოპოვებულ რიტონზე გამოსახული დრაკონი-გველი, რომელიც აშკარად ჩაენაცვლება მდინარეს. ძველ აღმოსავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული მითოსური სიუჟეტი წყლით გარემოცული მიწის შესახებ, რომელსაც გარს უვლის მზე“(85,197).

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წმ. გიორგის არქეტიპი, ნადირთპატრონის მამაკაცური კორელატის კულტი, რომელიც ემყარებოდა წარმოდგენას ბუნების ყოველწლიური სიკვდილისა და განახლების შესახებ, ასევე შესაძლოა უკავშირდებოდა მზის ყოველდღიურ ციკლს – ქვესკნელში ჩასვლასა და დილას ხელმეორედ დაბადებას, რითაც მ. ხიდაშელის მინიშნებით, „ყოველდღე მეორდებოდა ქაოსიდან სამყაროს შექმნის აქტი“(114,72). თავად სამონადირეო მითოსის არსი ამ მოსახრების სასარგებლოდ ლაპარაკობს: „ქაოსს უფრო ხშირად დრაკონი განასახიერებდა. მას ქვეყანაზე წესრიგის დამამკიდრებელი ღვთაება უნდა დაპირისპირებოდა: იგი უნდა ყოფილიყო დრაკონის მკვლელი და ახალი წესრიგის დამფუძნებელი. იგივე იდგას გულისხმობდა მითებში მონადირის შეხვედრა ცხოველთან. ღვთაებრივი ნადირობა არაერთი მითის საფუძველი იყო. როდესაც მწყემსი თამუზი ღვთაებად გადაიქცა, მის სიბერიან ხშირად ცხოველს მიაწერდნენ ხოლმე. თამუზი ნაყოფიერების ძალებთან იქნა გაიგივებული და მოკვდავი და აღდგომადი ღვთაებად გაიაზრებოდა. მის სიკვდილს ყოველთვის სიცივე და ქარიშხალი სდევდა, რაც მითში დანახული იყო როგორც მტერი, როგორც ის ცხოველი, რომელსაც თამუზის სიცოცხლე შეეწირა“(114,93).

წმ. გიორგის არქეტიპებზე მსჯელობისას, ძალზედ საინტერესოა ღვთაება ვერეთრაგნას დაბადების კავკასიური ეპოსი, რომელიც კოსმიური წყლებიდან „მზის დაბადების“ ჩვენთვის ცნობილი მითოლოგების ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია: „ძველი სომები ისტორიკოსი მოსე ხორენელი გადმოგვცემს უაღრესად საინტერესო ცნობას ვარაორაგნის ეპოსზე, რომელიც წარმართულ ხანაში გავრცელებული ყოფილა ამიერკავკასიაში. ხორენელი წერს: „მშობიარობის ტკივილებს განიცდიდა ზეცა და დედამიწა. მშობიარობის ტკივილებით შეპყრობილი იწვა ძოწით მოსილი ზღვა:

ზღვამ შვა წითელი ლერწამი,  
ლერწმის ყელიდან ამოდიოდა კვამლი,  
ლერწმის ყელიდან ამოდიოდა ალი,  
ალიდან ამოდიოდა გაჟი,

მას პქონდა თმები ცეცხლისა,  
მას პქონდა წვერი ალისებრი,  
ხოლო თვალები – მზე, –

ჩვენ თვით გაგვიგონია, – განაგრძოს მოსე ხორენელი, – თუ როგორ მდეროდნენ ამას ქნარის აყოლებით. შემდეგ სიმღერაში უმდეროდნენ ვაჲაგნის (ვარათრაგნის) ბრძოლას ვეშაპებთან და ვაჲაგნის მათზე გამარჯვებას“(5,19). ამრიგად, ლვთაების ცეცხლოვანება, მისი მზიური თვალები, უდაოდ მის სოლარულ საწყისზე მიგვითითებს. ლვთაების ცეცხლოვან ბუნებასთან დაკავშირებით, ბ. აბაშიძე ასევე შენიშნავს, რომ „ქართველებს ზებუნებრივი ძალების სახედ – ცეცხლური მოვლენა პქონდათ წარმოსახული, რომელიც, სინათლის გარდა, სიძლიერესაც ავლენს, რითაც ბოროტ ძალებს სპობს. მზის ლვთაება მითრაც არ იყო მარტო მზის შვილი; იგი ცეცხლის, კოსმიური ნათების შვილია“(5,19).

ზემოთ მოტანილი მასალის გათვალისწინებით, წმ. გიორგის ხატება სულ უფრო უახლოვდება სამონადირეო კულტიდან მომდინარე კვდომადი და აღდგენადი ლვთაებების სახეებს: „აქტეონის, ადონისის, ატისის სიკვდილი ნადირთან ან მონადირეობასთან არის დაკავშირებული. მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად ბუნების სიკვდილისა და განახლების შესახებ წარმოდგენა მცენარეულობის ლვთაებას დაუკავშირდა. ამ წარმოდგენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა მიწათმოქმედების ხანაში“(39,93). წმ. გიორგის „მუხის ანგელოზად“ მოხსენიება ხომ პირდაპირ გვახსენებს „ხიდან შობილი“ ადონისის ლვთაებრივ სახეს. აქვე აღვნიშნოთ, რომ „ნ. მარი უკავშირებდა ერთმანეთს სვანურ ჯგრაგს და მეგრულ ჯგეგეს და ჯგერაგუნას. ამ სიტყვაში იგი უძველესი „იაფეტური“ რწმენის, მუხათა პატივისცემის ნაშთს ხედავდა და მას ადიდეურსა და აფხაზურ ენასაც უკავშირებდა“(39,121).

წმ. გიორგის დაკავშირება მზის ყოველდღიური „დაბადების ციკლთან“, ვფიქრობ, ასევე პარალელს პოულობს კვდომადი და აღდგენადი ლვთაება ბერი/ბერიკას სახეშიც, რომელიც გამანაყოფიერებელი ძალების მქონე მითოსური მზის ამქეუწიური პიპოსტასია: „ბერიკაობა-ყევნობის მთავარი ითიფალური პერსონაჟი „ბერ/ბერიკა“ ეპითეტია საქონლის, ადამიანთა გამრავლების, მოსავლიანობისათვის განკუთვნილი ვეგეტაციური, ქორნური და სოლარული ლვთაებისა, მათ ფუქციებს ითავსებს და განხილული უდა იყოს ამ ძალებთან გარკვეულ მიმართებაში“(81,86). ნიშანდობლივია, რომ ბერი – წმ.

გიორგის ერთ-ერთი „დვთაებრივი“ ეპითეტია; ქართულმა ხალხურმა პოეზიაშ  
შემოგვნიხა ბერი გიორგის საკულტო კავშირი ბერმუხსასთანაც:

„ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა,  
ხმელგორზე მედგა ბერმუხსა, ზედ ავდიოდი კიბითა,  
ჩემს საყმოთ შემონაძღვენი ღმერთთან მიმქონდა იქითა...“(46,113).

თუკი ბერიკას სახეში მზის დვთაებრივ-გამანაყოფიერებელ სახეს  
ვიგულვებთ, არ არის გამორიცხული, რომ ბერი/ბერიკაობის რიტუალის ერთ-  
ერთი დამაგვირგვინებელი „აკორდი“ – ბერიკას წყალში ჩაგდება და მისი  
გაწუწვა უკავშირდებოდეს ქვესქნელური წყლებიდან მზის დაბადების  
ზემოთმოყვანილ ციკლს: „გვალვის თავიდან ასაცილებლად და უხვი მოსავლის  
მისაღებად ყენებს არა მარტო წყალში ჩასვამენ, არამედ შიგ აბანავებენ  
კიდეც“(81,60). ყენის წყალში ჩასვლით, წყალი გამანაყოფიერებელი ძალით  
„იმუხტება“, შესაბამისად, ყენის ბანაობა მარტო გვალვის თავიდან აცილების  
მიზნით არ უნდა ტარდებოდეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ წყალში ჩასვლას  
თან ახლავს გარავაული ეროტიკული სცენები, რაც პირველ რიგში,  
განაყოფიერებაზე გვაფიქრებინებს: „სოფელ მერეთში ჩაწერილი მასალიდან  
ვგებულობთ, რომ წყალში ყენთან ერთად ბერიკებიც ჩადიან და დედოფლის  
მიმართ ისინიც ეროტიკულ სურვილებს ავლენენ – ეხვევიან და კოცნიან“(81,60).  
რიტუალში ერთი საინტერესო დეტალიც იქცევს უურადღებას: „წყალში  
წაქცეული ყენის თავის მიმართულებასაც კი ჰქონია სათანადო მნიშვნელობა ამ  
წლის მოსავლის რაოდენობისა და ხარისხისათვის. თუ წყალში ყენის თავი  
დასავლეთისაკენ ექნა, მათი ღრმა რწმენით, მოსავალი არ მოვა, ხოლო, თუ  
აღმოსავლეთისაკენ, მაშინ უხვი მოსავლის მიღების იმედი აქვთ. ჩანს,  
დღესასწაულის მონაწილეთა მოვალეობაა არა მარტო ყენის გაწუწვა და  
ბანაობა, არამედ მისი თავის მიმართულების განსაზღვრაც“(81,60). ამრიგად,  
ყენის „მზიური“, კვდომადი და აღდგენადი ბუნებიდან გამომდინარე, საფუძველი  
გვაქვს ვიფიქროთ, რომ წყალში მყოფი ყენის აღმოსავლეთით შეტრიალებული  
თავი კოსმიურ წყლებში „მზის დაბადების“ იდეის ერთგავრი გამოხატულება  
უნდა იყოს.

წმ. გიორგის კულტზე მსჯელობისას ასევე ძალზედ საყურადღებო უნდა  
იყოს ისიც, რომ მგელთან ერთად მისი კულტი ცხენსაც უკავშირდება.  
საკითხთან დაკავშირებით, ძალზედ საინტერესოა მოსაზრება თავად სახელში –

გიორგი დავინახოთ მცირებლოვანი ცხენის სახელი – გერგე „ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს, რომ საკუთარი სახელი „გიორგი“ დაგუპავშიროთ „ასაკ მიცრესა ცხენსა გერგეს“. ასე გვაფიქრებინებს ისიც, რომ სვანურის ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, გიორგი გვხვდება „გერგე“-ს ფორმით“(70,112). ლეგენდას წმინდა გიორგის შესახებ ორი პერსონაჟი ჰყავს: გველეშაპი და გიორგი. საფიქრებელია, რომ „თქმულება თავდაპირველად ემყარებოდა ცხენისა და გველეშაპის ბრძოლის ეპიზოდს. ცხენი, როგორც ვთქვით, ტაბალ-ტიბარენ-მესხების საყვარელი ტოტემი იყო, ადამიანის ფანტაზიით „გაგველეშაპებული“ გველი კი კელტურ-გერმანულ-სკანდინავიური მოდგმის ტომებს ჰყავდათ ტოტემად მიჩნეული. ტოტემთა ორთაბრძოლის ეპიზოდში აისახა რთული ისტორიული პროცესი, როდესაც ჩრდილო ტომების მიგრაციულმა ტალღამ ჯერ ევროპა წალეკა და მერე აზიაშიც შემოაღწია. კელტებს ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ გერმანულ-სკანდინავიური ტომები. მცირე აზიამ კიდევ ერთი სახელმწიფოს „დაბადება იზეიმა“. მის გულში სოკოსავით აღმოცენდა „გალატია“, რომელმაც თითქმის სამი საუკუნე იარსება და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დალია სული. დამხვდურ-მომხდურთა ურთიერთობა არა ყოფილა მშვიდობიანი და უაონფლიქტო. მოდგმა აწყდებოდა მოდგმას... ტოტემი ტოტემს. „ფრთოსანი რაში“ ებრძოდა „გველეშაპს“(70,112).

ცხენისა და გველეშაპის ბრძოლის ისტორიულ კონტექსტში მოქცევა თავისთავად საინტერესო უნდა იყოს, თუმცა ვფიქრობ, ამ „ბრძოლაში“ იმთავითვე ქართველთა მითოსური ხედვით, „მზის დაბადების“ ციკლი უნდა დავინახოთ. შესაბამისად, „გველეშაპის“ მითო-რელიგიური სახე ისეთივე „კანონიკურია“ როგორც „ცხენისა“. გავითვალისწინოთ ისიც, რომ გველიცა და გველეშაპიც, ქართველური მოდგმის ტომების უძველესი საკულტო ხატ-სიმბოლოებია. ამის დასტურია თუნდაც გველის სახით წარმოდგენილი ფუძის ანგელოზი და ასევე გველის კულტი გაცხადებული სვანეთში არსებული მეზირის კულტი; აქვე მოვიგონოთ ისიც, რომ მუხაზე დაკიდებულ ოქროს საწმისს სწორედ გველვეშაპი იცავს, რაც მის საკულტო-საკრალურ ხასიათს უსვამს ხაზს.

თუკი ცხენისა და გველის ბრძოლას მზის დაბადების ციკლს დაგუპავშირებთ, მაშინ, ბუნებრივია ცხენის სიმბოლოშიც სოლარული საწყისები დავინახოთ. მართლაც, ჯერ ერთი შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მცირეწლოვანი ცხენის სახელი – გერგე, პირველ რიგში, გვახსენებს მგლის მეგრულ-ლაზურ სახელს – გერი, ხოლო ორივე მათგანი კი წმ. გიორგის

„მზიურ“ ხატებას. საკითხთან დაკავშირებით, გავიხსენოთ თუნდაც გერის წმინდა გიორგის სახელი(121,136). ამასთანავე, ასაკმცირე ცხენის სახელი „გერგე“, როგორც აღინიშნა, პირდაპირ ემთხვევა წმ. გიორგის ერთ-ერთ სვანურ სახელს - „გერგემ“: „გერგემიშ სოფელია აზანთის სას. საბჭოში. ეს ისეთივე წარმოშობის ტოპონიმია, როგორიც არის „ბარმიშ“. „გერგემიშ“ ტოპონიმში –იშ სვანური სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება ფუძე-სიტყვა „გერგემ“, რომელიც სვანურად წმ. გიორგის კულტს აღნიშნავს, ხოლო „ლიგერგი“ – სვანურად გიორგობაა“(67,259).

ცხენის სიმბოლოს მზიურ სემანტიკაში განსახილველად, ყურადღებას იქცევს ცხენის ისეთი საკულტო სახელი, როგორიცაა – ბერკვიცი., რომელიც განმარტებულია მხოლოდ როგორც „ბერერი კვიცი“. მისი პირველმნიშვნელობა შესაძლოა ყოფილიყო, დათავსა-მზის სახელზე „დაყენებული“, შეწირული ცხენის სახელი, ისევე როგორც, ერთ დროს ბერმუხა უნდა ყოფილიყო მზის საკულტო ხე. შესაბამისად, გამოთქმაში „ცხენს მოაგელვებსო“ უნდა წავიკითხოთ არა მხოლოდ მგლის ლაზური სახელი – გერი, არამედ ამ საკულტო ცხოველის მზიურ-ცეცხლოვანი ბუნებაც, ვინაიდან ფშაურ კილოში „გელება, გელაობა, ელგასაგით დატანებას, დაქროლებას, ჭენებას ნიშნავს“(115,62).

სხვათაშორის, ასეთივე საკულტო მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა ჯიხვის მთიულურ-გუდამაყრულ სახელს – ბერხენი, რომელიც ასევე განმარტებულია, როგორც „დაბერებული ჯიხვი“(97,70). გავიხსენოთ ისიც, რომ ჯიხვი მგელ-ჯიხვაობის რიტუალშიც მონაწილეობს, თანაც დაწყვილებულია მზიური სემანტიკის მქონე მგლის სახელთან. არ არის გამორიცხული, ხალხურ ლექსში, „ვეფხვისა და მოყმის“ შესახებ, ახალგაზრდა მონადირის ტრაგიკული დაღუპვა უკავშირდებოდეს საკრალური ჯიხვის - ბერხენის მკვლელობასაც, რომელიც შესაძლოა ამ შემთხვევაში, ნადირთდვთაების ერთ-ერთი მიწიერი ხატება იყო:

„ჯიხვსა თოფ დაგპარ ბერხენსა,  
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი“ (99,242).

სავარაუდებელია, „ბერ-ხენშიც,“ რელიგიური სემანტიკის შემცველ „ბერ“ მარცვლის წარმოჩენით, ხაზგასმული ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, ამ ცხოველის საკულტო-რელიგიური ხასიათი.

დავუბრუნდეთ ბერკვიცს. 6. მარი, ეძებს რა იაფეტურ ძირებს უდმურტულ ქნაში, ხაზგასმით მიუთითებს ცხენისა და მგელ-ძაღლის კულტების ურთიერთკავშირზე და მათ „მზიურ“ წარმომავლობაზე. ავტორი წმ. გომრგის კულტთან მათ კავშირზეც საუბრობს: „собственно, «собака» kon↔kun, с падением к (←k) →h→- :on↔un, как должно было звучать, на своем месте мы уже видели, «бог», «небо»(ср. в комийском названии «волк» ky-in), на юге мы имеем сибирянскую разновидность шип «собака» и спирантную hon-e ↔hun-e у древних грузин «лошадь», тоже слово, что русск. «конь» kon-e.

Оба домашних животных были тотемами, потому, когда сваны сами себя именуют не только shwan, mu-shwan, мн. ч. shuan-ar, но и mu-shwni, mu-shn-er, mu-shni-er, а язык свой – lu-shni, то независимо от возможного, но не обязательного возведения shwan к шоп по разложению губного гласного (o↔wa), они именуют себя, следовательно, разновидностями названия шоп↔шип, тотема «собаки», а когда рядом в Раче город On-i, в Имерии недалеко от города Кутаиса город Qon-i, то это города также во имяtotema «собаки» или, точнее, «лошади» не потому только, что здесь спирантная разновидность, как в древнелитературном грузинском слове hun-i [↔hon-i] «лошадь», но и потому, что в Имерии же откопано в Борийском кладе блюдо с изображением культовой лошади перед алтарем.

**...связь космического Амирана-Солнца, resp. христианского св. Саргиса «Победоносца» с собачкой, это связь христианского же Георгия Победоносца с лошадью**, это раздвоение первичной цельности, выделение новой культовой единицы, эпического героя, полубога в образе уже человека, вместо исчезнувшего «солнца», смененного отходившими в тень одомашненными животными, верными спутниками («собакой», за «собакой» «лошадью»)“ (64,518).

ამრიგად, 6. მარის მიერ მოყვანილი მასალა კიდევ უფრო აახლოვებს მგელ-ძაღლისა და ცხენის საკულტო სახელებს და მათ გველებაპისმმესვრელ დვთაებათა ერთიან სოლარულ სისტემაში აქცევს.

მე-2 საუკუნით დათარიღებული, ბორის თასი არმაზიდან, რომელზედაც ბომონის წინაშე მდგარი ცხენია გამოსახული, რასაც ხაზს უსვამს 6. მარი, მიგვითითებს ამ ცხოველის საკულტო მნიშვნელობაზე, მის კავშირზე ცეცხლის ხტიქიასთან. სხვათაშორის, საკითხთან დაკავშირებით, მოვიგონოთ ისიც, რომ ხევსურეთში მიღებული იყო იახსარის ხატისთვის კვიცების შეწირვა: „იახსარის ხატში ათენგენობას წინათ ქისტებიც მოდიოდნენ თურმე. ქისტები ამ ხატს კვიცებს უკლავდნენ და იახსარს ცხენების გამრავლებას შეხთხოვდნენ. დღეს კი იახსარის ხატს ამღელები სარემაოს უხდიან. ამ მიზნით, როდესაც ცხენი კვიცს

მოიგებს, ცხენის პატრონმა კვიცის მაგიერ იახსარს ციკანი ან ბატკანი უნდა დაუძლას, თორემ, ხალხის რწმენით, კვიცი არ გაიზრდება“(56,260).

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, თუკი წმ. გიორგის ცხენიც „მზიური“ ნიშნითაა დადაღული, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეტიმოლოგიურად ცხენი ახლოს დგას ცხელთან, ანუ სითბოსთან, ე.ო. ცეცხლთანაც და შესაბამისად სიცოცხლესთანაც, რაც ქართველთა რწმენა-წარმოდგენით სწორედ ცეცხლთანაა ასოცირებული: „კერაში დანთებული ცეცხლი ოჯახის არსებობისა და მისი სიცოცხლის უნარიანობის გამომხატველ სიმბოლოდ იქცა. ამის საფუძველზე ცეცხლის გამოქრობა ოჯახის არსებობის შეწყვეტას მოასწავებდა. ცეცხლს კერაში ახვევდნენ და ინახავდნენ, რათა მისი გაქრობით ოჯახის კეთილდღეობისათვის ზიანი არ მიეკუნებინათ“(103,92). ნიშანდობლივია ისიც, რომ სიცოცხლე ქართველთათვის გულისხმობს არა მარტო სააქაო, არამედ საიქიო ცხოვრებასაც; ამიტომაც, ცეცხლისა და სიცოცხლის გადმომცემი „ცხ“ ნაწილაკი ქართველებმა ჩასდეს სულის საუკუნო ნეტარების გადმომცემ ისეთ სიტყვაში, როგორიცაა – ცხონება. ქართული ცხონება, ისევე როგორც მისი მეგრული შესატყვისი – ჩხონაფასი ატარებს ცეცხლის იდეას, რომელიც ქართველთა რწმენა-წარმოდგენით, მარადიული სიცოცხლის ხატ-სიმბოლოა: „საინტერესოა ეტიმოლოგია სიტყვისა ცხოვნება ანუ მეგრული ჩხონაფა-სი. მისი ძირი ქართულად ცხ, ხოლო მეგრულად ჩხ. აქედან წარმოებული სიტყვები: ჩხე – ცხელი, დაჩხირი – ცეცხლი, ანუ რაც იწვის, რაც სიცოცხლისათვის საჭიროა, ჩხურუ-უცხელო-სიცივე, ჩხანა-რაც ათბობს-მზე, ჩხონაფა-თბილად ყოფნა ანუ არსებობა, ცხოვრება, ცხოვნება. აი, ამ ჩხონაფა-ს ან საიქიოში სულის მიერ ცხოვრების განგრძობას უსურვებენ მეგრელები თავიანთ მიცვალებულს“(65,184).

სხვათაშორის, „ცხ“ ნაწილაკი ჩაიდო მაგიურ-რელიგიური დატვირთვის მქონე „ცხრა“-შიც, რომელიც მზესთან ასოცირდება, გამოთქმაში: „ცხრათვალა მზე“.

საკითხთან დაკავშირებით, ასევე არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად „ქართული სიტყვა “ცხოვრება” წარმოდგება “ცხვარ” (“ცხოვარ”) ფუძისაგან. საქართველოს ტერიტორიაზე მეცხვარეობა უნდა დაწინაურებულიყო შეა ბრინჯაოს ხანაში. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ოდესლაც “ცხოვრება” მეცხვარეობას, შესაძლოა საერთოდ მესაქონლეობასაც აღნიშნავდა“ (71,341).

ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენია, რომ განვითარებული მიწათმოქმედებისა და მევენახეობის ქმედებაში მაინცდამაინც მეცხვარეობა ყოფილიყო „ცხოვრების“

აღმნიშვნელი და განმსაზღვრელი. „ცხვარშიც“ და ცხოვარშიც“, უნდა ცეცხლისა და მზის აღმნიშვნელი კონტექსტები ვეძებოთ; გავიხსენოთ თუნდაც დიდი დედის – ნანას „მზის ბაღი“, სადაც მგელთან ერთად, „ოქროს ვერძი“ თუ „ოქროს ერკემალი“ იმყოფება, რომელიც მარადიული სიცოცხლის ხატ-სიმბოლოა. ნათქვამთან დაკავშირებით, ისიც მოვიგონოთ, რომ მზის დვთაება ბარბოლის, ანუ დეკემბრის თვეში, ქართველთა რწმენით, დაახლოებით 21-დან 24-მდე პერიოდში, ანუ მანამ სანამ 25 დეკემბერს მოხდება დღის მატება, რაც მზის ყოველწლიურ „დაბადებასთანაა“ ასოცირებული, მზე ვერძის სამ ნახტომს აკეთებს (14,85), რაც კიდევ ერთხელ, ამ საქულტო ცხოველის მზიურ სემანტიკას გვახსენებს. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ქართველთა რწმენით, “აღდგომას მზე ცხვარს ეთამაშება – ხან მაღლა ისვრის და შემდეგ იჯერს, ხან კოცნის და სხვ.“(14,86).

რა თქმა უნდა, „ცხვარი“ შეიძლება უკავშირდებოდეს „ცხოვრებას“, მაგრამ მათი მაკავშირებელი „ცხე“ ნაწილაკი მარადიულ სიცოცხლესთან ასოცირებული ცეცხლის ხტიქიაა, რომელსაც ყოფითი დანიშნულებისა გარდა, სულიერი დატვირთვაც აქვს, ვინაიდან „საღვთო წერილში ზეციური სამყარო ყველაზე ხშირად ცეცხლთან დაკავშირებულ სახეებშია სიმბოლიზირებული“(40,55). სწორედ, ცეცხლის სტიქიაში გაცხადებული ეს „სულიერი“ იმპულსია ქართული მითოსური აზროვნებით, ცხოვრებისა და სიცოცხლის მომცემი და პირველშემქმნელი.

დაბოლოს, თუკი საქულტო „ცხენში“, სააქაო და საიქიო ცხოვრების, მარადიული „ცეცხლის“ ხატება იმალება, შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ხევსურები მიცვალებულის მოსაგონრად მართავენ დოღს, რომელშიც მიცვალებულის ეწ. სულის ცხენს პირველი ადგილი უკავია. ამ ცხენს სადოდედ საგანგებოდ კაზმავენ(56,203). ნიშანდობლივია ისიც, რომ „სულის ცხენი სახელდადებულია და საიქიოში ის მიცვალებულს უნდა ემსახუროს, ამიტომ მისი კარგი მოვლა და შენახვა საჭიროა. ამ დაკურთხეულ ცხენზე ტვირთის აკიდება არ შეიძლება“(56,206).

ამრიგად, ცხენის სოლარული ასპექტის გათვალისწინებით, მეტი სითამამით შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგის საკრალური ხატება დასაბამს პოულობს კოსმიური წყლებიდან მზის დაბადების ქართულ მითოლოგემაში, რაც თავის მხრივ, დაკავშირებული უნდა იყოს კვდომად და აღდგენად დვთაებებთან, რომლებიც ასევე სოლარულ ციკლში არიან გააზრებულნი. წმ. გიორგის გამანაუროვიერებელი ფუქციები სწორედ მის მზიურ ბუნებას უნდა

უკავშირდებოდეს. სხვათაშორის, აქედან გამომდინარეა, რომ წმ. გიორგის, იგივე ჯგრაგის დღესასწაულზე სვანეთში ამ დღეს არაფრის გაცემა არ შეიძლება, მით უმეტეს ფულის სესხება (აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდა ზემოსვანეთის, სოფ. ლენჯერის მცხოვრებმა, ხ. გულედანმა, ზემოსვანეთში საველე მუშაობის დროს 2008 წლის ივლისში). მოვიგონოთ ისიც, რომ როგორც აღინიშნა უბეჭ, წმ. გიორგი მეფე-პატარძლის ჯვარის დამწერიცაა:

„ვინ დასწერს ჯვარსა ჩვენს ნეფიანსა,  
წმ. გიორგი ის დასწერს ჯვარსა!“ (39,149)

წმ. გიორგის მზიურ-გამანაყოფიერებელი ხასიათი მოცემულია ასევე ხახმატის ჯვარისადმი დაკარგული საქონლის შეხვეწების ტექსტში, რომელშიც წმ. გიორგი მოხსენებულია როგორც „ცხრაჯერ ცხრავ წმინდავ გიორგიო“ (121,87). აქვე მოვიგონოთ ისიც, რომ „ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, „არდი“ იყო „ცხრათვალა მზე“. ეტყობა „ცხრა“ მაგიური ძალის რიცხვად მიაჩნდათ ქართველთა წინაპრებს, რაზედაც მეტყველებს გამოთქმები: ცხრა სული, ცხრაკლიტული, ცხრა წყარო და სხვ. გამორიცხული არაა, რომ ამგვარი რწმენისათვის საფუძველს იძლეოდა, ბუნების ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოების, ჩასახვა-მშობიარობის პროცესის ხანგრძლივობა (ცხრა თვე)“ (70,46).

დაბოლოს, გავიხსენოთ, ჯვარ-ხატთა ერთ-ერთი სადიდებელი: „შენამც იდიდები, კოტიას წმინდაო გიორგიო, წითელაურთა სალოცავო“ (121,114). წმინდა გიორგის სახელთან „კოტიას“ ხსენება ხომ პირდაპირ გვახსენებს კვდომადი და ადდგენადი დვთაება – ლაზარეს ტაბუირებულ სახელს - „კოტია“, რითაც სწორედ ამ დვთაების ფალიურ-გამანაყოფიერებელი ფუნქციაა წინა პლანზე წამოწეული. აი, კიდევ ერთი დასტური იმისა, თუ როგორ სიახლოეს იჩენს კვდომად და ადდგენად დვთაებებთან წმ. გიორგის კულტი.

სწორედ წმ. გიორგის, იგივე ჯგრაგის მზიურ-გამანაყოფიერებელი ხასიათიდან გამომდინარეა ისიც, რომ მასთან დაკავშირებული აღმოჩნდა მგლის საქულტო სახელი, რომელიც კვდომადი და ადდგენადი დვთაებების ერთ-ერთი ზოომორფული სიმბოლოც უნდა ყოფილიყო, რაზედაც უნდა მოწმობდეს ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლის ზემოთ მოყვანილი ხეთურ-ქართული პარალელები.

საინტერესო იქნებოდა, ამ თვალთახედვით დანახული სეთის წმ. გიორგის

ეპლესიაში დაბრძანებული დროშა – ლემთან დაკავშირებული რიტუალი. მართალია, ეს უკანასკნელი მაინცდამაინც გაზაფხულის დაღგომას არ ემთხვევა, მაგრამ მრავალი ნიშნის მიხედვით, ვფიქრობ, ის საერთოს ამჟღავნებს დღეობათა საგაზაფხულო ციკლთან. აღნიშნული შემთხვევითობით არ აიხსნება თუკი მოვიგონებო, რომ ამ რიტუალის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მარცვლეული კულტურების მოყვანასა და ზოგადად, მოსავლიანობა-ნაყოფიერებას უკავშირდებოდა. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ლემთან დაკავშირებული რიტუალი ტარდებოდა სექტემბერში და ივნისში, არ არის გამორიცხული, რომ ის უკავშირდებოდა შემოდგომისა და ზაფხულის დღედამსწორობას, თუმცა გადაჭრით აქ ვერაფერს ვიტყვით.

ამასთანავე, დროშის წარმომავლობასთან დაკავშირებული „საბრძოლო“ ქვეტექსტები „მეორადი“ უნდა იყოს, ხოლო მისი საფუძველთა საფუძველია ნადირობასთან და გამრავლება-ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც უძველესი ქართული მითოსითაა ნასაზრდოები. აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ დროშის „მგრისგან წართმევა“, „ბრძოლის ველზე მისი მოპოვება“, ასეთ ფართომაშტაბიან კულტის საგნად მას ვერ აქცევდა; შესაბამისად, ამ ვერსიის წარმოშობა უფრო „პროფანული“ უნდა იყოს.

ახლა შევეცადოთ დავინახოთ თავად რიტუალის არსი. ადსანიშნავია, რომ ცხენზე ამხედრებული „ლემი მუგვენე“-ს, იგივე „მელომე“-ს ხელით ზეალმართული საწესო დროშა – ლემი დოლის დროს ქარით იბერება: „При спокойном положении изображение висит на древке бесформенной массой, а при движении знамени оно наполняется воздухом, вздувается и принимает форму животного“ (12,38). ხომ არ შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ქარით „სულშთაბერილი“ დროშით ხდება წმ. გიორგის, იგივე ჯგრაგისა და ლეონტე ლამარიას ზოომორფული, საკულტო-ტოტემური ცხოველის – მგლის საკრალური „დაბადება“, რომელიც მოსავლიანობისა და ნაყოფიერების გარანტი უნდა იყოს. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ სწორედ ქარის მეშვეობით „იბრუნებს“ საკულტო ცხოველი მის პირვანდელ, ფიზიკურ იერს, ვინაიდან, ქარს ზოგადად, დვთაებრივი კონტაცია აქვს; ამის დასტურია თუნდაც ისეთი გამოთქმის არსებობა ქართულში, როგორიცაა „სულის შთაბერვა“; საინტერესოა ისიც, რომ აქაც, დვთაებრივ-გამანაყოფიერებელი სემანტიკის მომცველი „ბერ“ მარცვალი იჩენს თავს, რაც სრულიად ბუნებრივად გვესახება, რადგან საქმე გვაქვს შობასთან, დაბადებასთან, განაყოფიერებასთან. „ქარის“ ამგავრი გააზრება

მოცემულია დავით-მეფე წინასწამეტყველის სიტყვებშიც: „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეთა ქარით – მთელი მისი შემადგენლობა“ (ფსალმუნი, 32(33),6). აქვე გავიხსენოთ ხევსურეთში დადასტურებული რელიგიური ხასიათის ტერმინიც: „პირის ქარი“, რომელიც ხუცესის მიერ წარმოოქმულ, კ.წ. „შესავალ ლოცვას“ გულისხმობს (65,43). საკითხთან დაკავშირებით, ყურადსაღებია ისიც, რომ წმინდა რელიგიური თვალსაზრისით, „ციურ არსებებს “ქარებსაც” უწოდებენ, რადგან ისინი უსწრაფესი ფრენით თითქმის უდროოდ ეფინებიან ყოველივეს. ჰაეროვანი სულის „ქარად“ წოდება ციურ გონებათა დვთისსახოვნებასაც ცხადყოფს, რადგანაც ქარიც შეიცავს დმერომთავრული მოქმედების ხატსა და სახეს. ეს გულისხმობს ქარის მამოძრავებელსა და ცხოველყოფელ ბუნებას, უსწრაფესსა და დაუბრკოლებელ სვლას, აგრეთვე, მისი მოძრაობის დასაბამთა და დასასრულთა იდუმალებას, რაც შეუცნობელიცაა ჩვენთვის და უხილავიც. წერილი ამბობს: “არ იცი საიდან მოდის იგი, ანდა საითკენ მიდის” (იოანე 3,8)“(40,61).

დროშა „ლემის“ ქარით გაბერვასთან დაკავშირებით, ისიც მოვიგონოთ, რომ „ბერიკაობის რიტუალში ქალები ჩამოაბამენ დიდ საქანელას და დღე და დამე ქანაობენ. საქანელაზე ქანაობა მიზნად ისახავდა განწმენდას და, მეორე მხრივ, ჰაერის გამანაყოფიერებელ ძალასთან შეერთებას. საქანელა, საქანელაზე ქანაობა საგაზაფხულო დღესასწაულის, სანახაობის ბერიკაობის შემადგენელი ნაწილია და მოსავლიანობის სიუხვის და შვილიერების გამრავლების მომასწავებლად არის მიჩნეული“(118,62,64,67). თუკი მხედველობაში მივიღებთ ჰაერის გამანაყოფიერებელ ძალებს, დოღში გაბერილი „ლემიც“ ბერიკაობის ამ რიტუალთან გარკვეულ იდეურ კავშირს პოულობს.

ლემის რიტუალში საკულტო მგლის „დაბადების“ შესახებ თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ, რაც ლამარიასა და ჯგრაგის გამანაყოფიერებელ ფუნქციებს უნდა უკავშირდებოდეს, დავინახავთ თუ რაოდენ ახლოს დგას ეს რიტუალი თავისი შინაარსით და მითო-პოეტური სურათ-ხატებით ლვთაებრივი „ლემის“ დაბადების ხალხურ მოტივთან, რომელიც სამონადირეო ეპოსთან ერთად დაკავშირებულია საგაზაფხულო დღეობათა ციკლთან და ნაყოფიერებასთანაც. თუკი მგლის დროშა – ლემის პირველშემქმნელი ლვთაება ლამარიაა, მოვიგონოთ ისიც, რომ ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ქვემოსვანურ მურყვამობის რიტუალში ხეზე დროშას, ლვთაება ლამარიას გამოსახულებას და ჯვარს ერთიდაიგივე დატვირთვა ეძლევა. სწორედ ქალური პირველსაწყისია საკრალური ხის, რომლის დებლიკატიცაა საკულტო დროშა, ხოლო შემდეგ კი

მითოსური მგელ-ძაღლის დამბადებელი ჩვენს მიერ ზემოთგანხილულ ლექსში – „ქალსა ვისმეს ერქვა შროშანაო“. საფიქრებელია, რომ დროშა-ლემი სიცოცხლის ხის ალეგორიაა, რომელთანაც მჭიდრო კავშირშია მგელ-ძაღლის სიმბოლოც; აღნიშნული თრიალეთის თასის სიუჟეტითაც დასტურდება. როდესაც ნადირობისა და განაყოფიერების მდედრულ ღვთაებას თანდათანობით მამრული კორელატი ენაცვლება, ლამარიას „დროშაც“ ჯგრაგის „ხელში ინაცვლებს“.

„ლემის რიტუალი“ სხვა მხრივაც საინტერესოა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დოლი იწყება „დასავლეთის“ საზღვრიდან და სრულდება სწორედ „აღმოსავლეთის“ ნიშნულთან, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ამ დეტალშიც თითქოს „მზის დაბადების“ მითოსური ხატებაა ჩამალული. გავითვალისწინოთ ისიც, რომ „მელომე“ მხედრის გამარჯვება ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის აუცილებელი გარანტია; ამიტომაც, რიტუალში „მელომე“-ს სახით მთელი სიმბლავრითაა „მოქმედებაში მოყვანილი“ ყველა ის მითორელიგიური კომპონენტი, რამაც უნდა უზრუნველყოს მხარის კეთილდღეობა და მოსავლიანობა: ეს გახლავთ თავად ჯგრაგის ორგული „ნათლოსანი“ მხედარი, რომელსაც ხელში უჭირავს დროშა, იგივე ნაყოფიერების, საკრალური ხის დუბლიკატი, რომლის წვერზეც „ცოცხლდება“ მითოსური მგელი, ლამარიასა და ჯგრაგის ზოომორფული სიმბოლო. მან პირველმა უნდა „მიირბინოს“ „აღმოსავლეთის მხარეს“, რათა იშვას როგორც გამანაყოფიერებელი „მზე“ და მით უზრუნველყოს წლის განმავლობაში უხვი მოსავალი და ბარაქა. ვფიქრობ, ჩვენს მიერ განხილული მგელ-ძაღლის სიმბოლოს ყველა ასპექტი, რომელიც მის სოლარულ საწყისებზე მიუთითებს, საწესო დროშა - ლემთან დაკავშირებული რიტუალის ამგვარ კონტექსტში დანახვის ყველანაირ წინაპირობას იძლევა.

მინდა კიდევ ერთხელ დაგუბრუნდე ხალხური ლექსის: „ქალსა ვისმეს ერქვა შროშანაო“ ლემის რიტუალთან მიმართების საკითხს. მსურს გავიხსენო, რომ ლექსში მითოსურ ლეკვს მზიური ნიშნით გამორჩეული ქორი შობს, რომელიც ნაძვის ხის კენჭეროში იკეთებს ბუდეს. უპირველეს ყოვლისა, ხაზი გავჟევათ იმ გარემოებას, რომ „სიცოცხლის ხის“ კენჭეროში დავანებული ფრინველი „მზიური“ ხასიათისაა. საკითხთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, რომ „ბატონების ბაღში“ ამოსული ალვის ხე გამოირჩევა: „нежными, как нарцис, ветвями и сидящими на них различными птицами – соколом, в истории религии представлявшего солнечную птицу, и соловьями“ (12,81). სხვათაშორის, ბ. აბაშიძე ასევე შენიშნავს, რომ „ძაღლ-ფრინველი ჯერ კიდევ სასანიდურ ლიტერატურაში გვხვდება. მკვლევარ ნ. ტრევერს ძაღლ-ფრინველის სამშობლოდ

კავკასია და ირანი მიაჩნია, მის სამყოფელად იაღიერების მთა ითვლება, როგორც სინათლესთან, მზესთან ახლოს მყოფი არსება“ (5,104). ძაღლ-ფრინველის სამშობლო რომ კავკასია უნდა ყოფილიყო ამაზედ თითქოს ისიც უნდა მოწმობდეს, რომ ზმნა – ყეფა იხმარება არა მხოლოდ ძაღლთან დაკავშირებით, არამედ ფრინველთა ხმის გადმოსაცემადაც, თანაც ისეთი განსხვავებული ფრინველებისა, როგორებიც არიან არწივი და ბუღბული.

ნიშანდობლივია, ისიც, რომ „ლექსიდან ჩანს, რომ ქორი ბუღბული მარგალიტის კვერცხებს სდებს. ქალიშვილები კი, საგაზაფხულო საწესო ფერხულის შესრულების დროს კეთილ ძალებს სთხოვენ, რომ მარგალიტის კვერცხებიდან გამოჩეკილი ერთ-ერთი ბარტყი მათვის გაზარდონ; ფერხულის შესრულებისას ქალიშვილები საქმროს სთხოვდნენ კეთილ ბუნებას. იმ პერიოდში, იგულისხმება, რომ საქართველოში თაყვანს სცემდნენ ფრინველებს; ნახსენებ ფრინველებში ძლიერი და კეთილი არსებები ისხდნენ. ქალიშვილებს სჯეროდათ, რომ ასეთი კვერცხებიდან შობილი ჭაბუკი კარგი მონადირე უნდა გამოსულიყო“ (5,102).

ლექსში საკულტო ფრინველის წარმოჩენასთან დაკავშირებით, ბ. აბაშიძე ასებნის შემდეგს: „ზემოთ მოყვანილი ლექსი „ქალსა ვისმესა“... ფრინველთა ტოტემის პერიოდშია შექმნილი, იმ ხანებში, როცა ადამიანსა და კეთილ ღვთაებას შორის შუამავლად ფრინველი (ჩიტი, ორბი, ქორი და სხვ.) ითვლებოდა, რომელიც ადამიანს კარგ ბედს უვლენდა: ქალიშვილებს საუცხო საქმროებს, ხოლო მამაკაცებს ნადირობაში კარგ ბედს ანიჭებდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოყვანილი ლექსის მიხედვით, კარგი ოჯახის შემქმნელი მამაკაცისა და კარგი სამონადირეო ბედიც ტოტემის, ფრინველის კვერცხიდან იჩეკება; კვერცხი კი ძვირფასი ქვისა (მარგალიტი, იაგუნდი და სხვ.); ძვირფასი ქვები – მითოლოგიასა და რელიგიაში კეთილი სულიერი ძალების სამყოფელად არის აღიარებული. წმინდა ქვის მოლზე იზრდება „ხე ცხოვრებისა“, რომელზედაც ღვთაებრივი ფრინველის აბრეშუმის ბუღე კეთდება და კეთილი ადამიანის ბედი იჩეკება.

ზემოთ მოყვანილი ლექსი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ქართულ მითოლოგიაზე, კერძოდ, მითურ ქორზე, ძვირფას ქვაზე და მონადირე ძაღლ ფურშაზე, რომელიც ორბის (ქორის) ლეკვია“ (5,106).

ამრიგად, ბ. აბაშიძის დასკვნა საყურადღებოა იმითაც, რომ საგაზაფხულო საწესო ფერხულის შესრულების დროს, ამ ლექსში თავს იჩენს „საქორწილო მოტივებიც“, რაც საკულტო-ტოტემური ფრინველისთვის „კარგი ბედის“

თხოვნაში ვლინდება. როგორც ჩანს, განაყოფიერების ეს „მხარეც“ „მზიური“ ფრინველების – ქორის, ორბის და ა.შ. პრეროგატივა იყო. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ თავად სიტყვაში - ქორწილი, იმთავითვე საკულტო მნიშვნელობის მქონე – ქორი ჩაიდო, რომელსაც ასევე ვხვდებით ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ, საწესო ფერხულის სახელწოდებაში – ქორბელელა.

მართალია, სეთის წმ. გიორგის დროშა-ლემის რიტუალში საკულტო „ქორი“ არსად არ სჩანს, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც „იგრძნობა“ მისი არსებობა. უპირველეს ყოვლისა, ხაზი გავუსვათ იმას, რომ წმ. გიორგი „ჯვარის დამწერიცაა“, შესაბამისად „მზიურ ქორთან“ მითოსური კუთხით დაახლოვებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ქართული ხალხური პოეზიისათვის, რომელსაც მითოსურ წიაღში უდევს ფესვები, დამახასიათებელია „მგლისა“ და „ქორ-შევარდენის“ შეწყვილება. ასე მაგალითად გავიხსენოთ ხალხური ლექსი წოწრეს პაპა:

„გინა სოქვა (ენამც გაჲხმება!) : „წოწრეს პაპაი ბერია“.

ბერია, არც -რა ბერია, სიახლე ხელთა სჭერია,

ცხენზე შეჯდება – ქორსა პგავს, დაუქვეითებს – მგელია“

(99,237).

ნიშანდობლივია, რომ ლექსში „პაპის“ ჭაბუკური შემართება მოცემულია „მგელთან“ და „ქორთან“ მისი შედარებით. თანაც დაცულია მითოსური ხედვის „თანმიმდევრობაც“. ცხენზე ამხედრებული პაპა ციური „კონტექსტის“ შემცველი „ქორის“ სახეს იდებს, ხოლო ქვეითად მყოფი უკვე „მგელია“. ერთგვარად, ლექსი მეხსიერებაში აცოცხლებს მითოსური ყურშას დაბადების მოტივს, რომელიც მართალია ხის კენწეროზე დაბადებული ქორის შვილია, მაგრამ „მიწაზე“ უკვე იღბლიანი მონადირის ერთგული ძაღლია.

მართალია დროშა-ლემის – მგელი მთლად ძაღლ-ფრინველი არ არის, მაგრამ რიტუალში მისი „დაბადების ადგილი“, მითოსური კონტექსტით, იმ საკრალური ხის კენწეროს უკავშირდება, სადაც ქორმა ღვთაებრივი „ლეპვა“ უნდა შვას – მონადირეთა შემწე და ქალიშვილთა „ბედის მომტანი“. დროშა-ლემის კავშირი წმ. გიორგის კულტთან ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ „მზიური“ და საკულტო თვისებებით ის მითიურ „ქორთანაც“ უნდა ავლენდეს ერთგვარ კავშირს.

მხედველობაში მივიღოთ ისიც, რომ საკულტო სახელი – „ქორი, გვარი“ შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს. სოციალური ერთეული (გვარი, გორი, ქორი, სახლი) მაღლობზე ბინადრობდა და მტკიცე (სოციალურ) ორგანიზაციას „წარმოადგენდა“(6,71). ნიშანდობლივია ისიც, რომ „ქორი, როგორც შენობა, მაღალ სახლს ნიშნავს სახლზე აშენებულს, სახლი კი ასეთ შინაარს არ შეიცავს“(იქვე). ამრიგად საყურადღებოა, რომ ქორი, როგორც სახლის „ზედა სიგრცე“ თითქოს უკავშირდება იმ „ხის კენჭეროს“ სადაც ქორს უდევს ბინა. მისი საკრალური ბუნება კი იმაში გამოიხატება, რომ სახლის ზედა, ბოლო სართული, ცასთან მეტი სიახლოვის გამო, სალოცავადაც გამოიყენებოდა. მხედველობაში მივიღოთ ასევე „ქორის“ ენობრივი პარალელი – „გორი“, რომელიც სადღაც მოგვაგონებს კიდეც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ წმ. გიორგის ერთ-ერთ სახელს – გორგი, ისევე როგორც წმ. გიორგის არქეტიპს – გორგორმავალი მონადირის გმირულ სახეს, რაც ალბათ არ უნდა იყოს შემთხვევითი თუკი ზოგადად, ამ საკულტო სახელს წმ. გიორგის ქულტს დავუკავშირებთ.

წმ. გიორგის სახეს თუკი ასევე ქვესკნელური წყლებიდან „მზის დაბადების“ ციკლს დაგუკავშირებთ, ისიც მოვიგონოთ, რომ „მოძრაობის ამგვარსავე ციკლს გადიოდა არწივიც, რომელიც ზესკნელისა და ქვესკნელის დამაკავშირებელი იყო“(114,131), შესაბამისად უფრო მკაფიოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ წმ. გიორგის კავშირი ზოგადად „მზიური“ ნიშნით გამორჩეულ ფრინველებთან – არწივთან, ქორთან, ორბთან და ა.შ. ქართული ხალხური პოეზიის სამონადირეო ეპოსის ნიმუშებში ეს მითოსური ფრინველები ხშირად მგელთან ერთად მხატვრულ სახეებს ქმნიან ვაჟკაცი მონადირისა, რომლის მფარველადაც სწორედ ჯგრაგი, წმ. გიორგი მოიაზრებოდა. როგორც ე. ვირსალაძე შენიშნავს, „ამგვარ მეტაფორულ შედარებათა რაოდენობა დაუსრულებელია. ზოგჯერ ლექსი ამგვარ შედარებათა მთელ სისტემაზეა აგებული:

თვალ უზის თვალაჯაიძეს ჯურხასა შავარდნისაო.

ხმასა გაგიტებს ხევსურეთს, მუხლსა შაიბამს მგლისაო.

წინავ გუდანით მოვალის ძალი გუდანის ჯვრისაო;

იმას ღერენამ მოსდივა არწივმა სინსილითაო.

ბლოელ ბერდია მავიდა, ქორ მხარ-ბოლოსა შლისაო;

სირჩლამ საფერხე შახკაზმა, ზე ორბი შაჯდა მხრითაო.

ბლო-დელე გადაავლია, საძელე კინკილითაო“(39,162).

აქვე დროულია იმის გახსნებაც, რომ ქართულ ხალხურ ლექსში, კაი ყმა, არწივი და მგელი ვაჟგაცობისა და სილადის ერთიან სიმბოლურ სახეებს ქმნიან:

„კაი ყმა, მგელი, არწივი,  
არც ერთი არ გაიწურთნება;  
მგელი არ მოშლის მგლობასა,  
კაი ყმა მამაცობასა  
არწივი არწივობასა –  
მთის ყურეთ ნადირობასა“(105,4).

ნიშანდობლივია ისიც, რომ არწივი, ვითარცა ღვთაებრივი ფრინველი, ითვლებოდა მშობლად ფრიგიელი მეფის – გორგიოსისა, რომლის სახელსაც ე- ვირსალაძე სწორედ წმ. გიორგის არქეტიად მიიჩნევს: „ბერძნული უზენაესი ღმერთის – ზევსი – წმინდა ფრინველი არის არწივი. წინად კი არწივი, როგორც გოქვი, თვითონ იყო ღმერთი და ამ ღმერთისგან წარმოშობილად ითვლებიან მეფენი: ბაბილონში (გილგამეში), სპარსეთში (აეხემენები), ლიდიაში და ფრიგიაში (ტანგალეს და გორგიოს)“(77,454). ავტორისვე შენიშვნით „მთელს აღმოსავლეთში არწივი მზე-ღმერთთანაა დაკავშირებული... ყველგან და საბერძნეთში არწივი მზის შვილად ითვლებოდა. მხოლოდ არწივს შეუძლია მზეს თვალები გაუჩეროს და მას პირდაპირ შეხედოს; იგია ერთად ერთი ფრინველი, რომელს ძალუბს მზეს მიუახლოვდეს“ (იქვე). მითოლოგიაში არწივს ადარებენ ფენიქსებაც, რომელიც კვდომადი და აღდგენადია და ამ შედარებაში გამოსჭვივის ქართულ მითოსში დადასტურებული „მზის ციკლთან“ არწივის კავშირი. მომყავს ვ- ნოზაძის სიტყვები: „საინტერესოა, ფიზიოლოგოს-ში (თავი 9), რომელიც ქართულად ნათარგმნია მეათე საუკუნეზე ადრე, არწივის შესახებ შემდეგია ნათქვამი: როცა იგი ბერდება, ფრთები უმძიმდება და თვალთ სინათლე აკლდება; მაშინ იგი ეძებს წყაროს და მიფრინავს ეთერში მზისაკენ, ამ წყაროს პირდაპირ; მზე სწვავს მის ფრთებს და თვალთ, მაგრამ იგი ჩაეშვება წყაროში, იბანავებს სამჯერ და ჭაბუკდება-ო. მაშასადამე, „ფიზიოლოგოს“-ში არწივი არის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ფენიქსი“ (77,458).

აქვე აღვნიშნოთ, რომ ქართულ მითში არწივი „ნაწილიანი“ ფრინველია, „მხარკეერიანია“, რაც მის ღვთაებრივობაზე მიუთითებს, მით უმეტეს, რომ სოფ.

დაფნარში (სამტრედიის რაიონი) აღმოჩენილ ჭურჭელზე გამოხატულია – არწივებაცი (119,111). აღნიშნული ფაქტი, არწივის უძველესს, საკულტო-ტოტემურ ფუნქციებზე გვაფიქრებინებს, როცა ადამიანი წინაპარი-ტოტემი ცხოველისა თუ ფრინველის პირდაპირ შთამომავლად მიიჩნევდა საკუთარ თავს.

დაბოლოს, საკითხთან დაკავშირებით, მასსენდება ეგვიპტელთა შევარდნისთვიანი სოლარული დვთაება – ხორი (ჰოროსი), რომლის სიმბოლოც ფრთოსანი მზის დისკო იყო(35,52). ხორი (ჰოროსი) რაღაცით წმ. გიორგის კულტსაც გვახსენებს, ვინაიდან ერთ-ერთ კოპტურ სტელაზე იგი გამოსახულია როგორც გველეშაპისმმუსვრელი დვთაება, რომელიც შებით გმირავს არა გველეშაპს, არამედ ხორნური წყლების ბინადარ ნიანგს (34,195), რომლის სახეშიც ჰოროსის მამის, ოსირისის მკვლელი ბიძა, ბოროტი დვთაება – სეთი მოიაზრება (27,627). ამ სტელაზე ხორი შევარდებნისთავიანია, რითაც სწორედ მისი „მზიური“ ხასიათი უნდა იყოს მოცემული.

ამრიგად, ჯგრაგის, წმ. გიორგის კულტი დაკავშირებულია ქართული მითოლოგიის „მზის დაბადების“ ციკლთან და შესაბამისად, მასში ვლინდებიან „მზიური“ კონტაციის ცხოველები: ცხენი და მგელი და ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, გამორიცხული არაა ასევე „მზიური“ ხასიათის ფრინველებიც: არწივი, ქორი, ორბი და სხვ, რომლებიც მართალია „ლემის“ რიტუალში არ სჩანან, მაგრამ თავს იჩენენ მითოსური ძაღლ-ფრინველის „ყურშას“ დაბადების მოტივებში, რომელიც მონადირეობასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლს უკავშირდება. ეს ციკლი, თავისი რიტუალებით და სასიმღერო მოტივებით, მითოსურ „სიახლოვეს“ იჩენს ჩვენს მიერ ზემოთგანხილულ „ლემის“ რიტუალთანაც, რომლის გამართვაც უკავშირდება როგორც ჯგრაგის, წმ. გიორგის კულტს, ასევე საფიქრებელია, ნაყოფიერების, მარცვლეული კულტურების და შვილიერების უძველესს დვთაება – ლამარიას სახეს. მითოსური კომპონენტების იდენტობამ და მათმა შინაარსობრივმა სიახლოვემ გვაფიქრებინა, რომ როდესაც „ლემი“ ქარით იბერებოდა შესაძლოა „ყურშას“ დარად, ადგილი ჰქონოდა ჯგრაგისა და ლამარიას საკულტო დატვირთვის მქონე ცხოველის – მგლის „დაბადება-განსხვლებას“, რასაც ნაყოფიერება და გამარჯვება უნდა მოეტანა მთელი ზემო სვანეთისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ სეთის წმ. გიორგის სადღესასწაულო რიტუალი, რომელშიც მგლის გამოსახულებიანი საწესო დროშა – ლემი მონაწილეობს, საერთოქართული მითოსური ძირებითაა ნასაზრდოები და მისი განხილვა

ქართული, ადრექტისტიანული რელიგიური პანთეონის წიაღში უნდა მოხდეს, გამრავლება-ნაყოფიერებასთან დაკავშირებული იმ უძველესი სოლარული რწმენა-წარმოდგენების ფონზე, სადაც მგელ-ძაღლის სიმბოლოს არცოუ მცირედი როლი და ფუნქცია აკისრია.

### 3) მგელ-ძაღლის სიმბოლოს ხთონური ასპექტები

როგორც ცნობილია, „მგელი/ძაღლი, როგორც დარაჯი ან მცველი, დრაკონთან, გველთან და შესაბამისად ვეშაპთან ერთად (მარი, ტოლსტოვი) კლასიფიცირდება ქვეწარმავალთა კლასის წარმომადგენლებთან, ე.ი. ქვესკნელის ბინადრებთან (2,58). ქართველთა მითოსურ ძაღლს – ყურშას, როგორც უკვე აღინიშნა, ასევე მკაფიოდ გამოკვეთილი ხთონური ასპექტი გააჩნია, რასაც ხაზს უსვამს 6. აბაკელია: „ყურშა თავისი აღწერილობის მიხედვით, გ. შარაშიძის მიხედვით, თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ურჩხულისებრ ცხოველთა კლასს, რომელიც ქართულ მითოლოგიურ ტრადიციაში განისაზღვრებიან როგორც მგელ-ძაღლი. აღნიშნული მგელ-ძაღლის სიმბოლო რამოდენიმე რაკურსიდან შეიძლება დავინახოთ: (სამონადირეო ეპოსში მისი ზოგადი სახე კონკრეტული სახელითაა წარმოდგენილი). ერთი მხრივ, შავი ფერის გამო და ასევე, იმის გამო, რომ ძაღლი (ზოგადად) ქალღვთაების (ნადირთპატრონის) ატრიბუტს ან მის ერთ-ერთ ცხოველურ სახეცვლილებას წარმოადგენს, იგი ხთონურ სამყაროსთანაა დაკავშირებული (ყურშა ანუ ყურშავი შავეთის წარმომადგენელი). ამის დამადასტურებელია ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი რწმენა-წარმოდგენები ძაღლზე და ასევე მატერიალური ქულტურის ძეგლებზე“ (2,76).

ხთონურ სამყაროსთან მგლის კავშირზე უნდა მიუთითებდეს სოფელ დაფნარში ნაპოვნი ქვევრსამარხის ქვედა ფრიზზე მგელ-ძაღლის გამოსახულებაც (48,57), რომელსაც გარკვეული პარალელი ეტრუსკულ კულტურაში მოეპოვება, სადაც მგლის გამოსახულებას დამკრძალავ ურნაზე ვხვდებით (სურ.№7).

ნათქვამის საილუსტრაციოდ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ეტრუსკული მითოლოგიის გახსენებაც: “მიწისქვეშეთის მბრძანებელი ღვთაებების ეტრუსკული წყვილია აიტა-პერსეპნეი, რომლებიც ბერძნულ ჰადეს-პერსეფონეს წყვილს შეესატყვისება. პერსეპნეი გამოსახულია ორ სამგლოვიარო ფრესკაზე ტარკვინიაში. ღმერთ-ქალი დაბრძანებულია ჰადესის გვერდით, მიწისქვეშეთის მდიდარ სასახლეში. პერსეპნეის თმებში ორი გველი ყავს ჩახვეული. აიტა-ჰადესს მოხურული აქვს მგლის ტყავის მოსასხამი და ხელში გველები უჭირავს. იგი ღვთაება მგელია, ხოლო მისი თანამეცხდოე პერსიანეი – ღვთაება ძუ მგელია და ამ შესამოსით იგი ახლოს დგას რომის დაარსების ლეგენდასთან, მითიურ ძუ მგელთან” (89,90).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დადასტურებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, „სულეთში“ შესასვლელს სწორედ წყვილი ძაღლი იცავს, რითაც ხაზგასმულია მგელ/ძაღლის როგორც მიღმიერი სამყაროს დარაჯის ფუნქცია. აღნიშნული რწმენა-წარმოდგენა ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს, რისთვისაც მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი მეტ-ნაკლებად სრული სახით მოყვანა:

„როდესაც ახლად მიცვალებულს „სულეთს“ შეიყვანდნენ, მას პირველად „ბეწვის ხიდზედ“ გაატარებდნენ. „ბეწვის ხიდი“ კუპრის ალზეა გადებული. ვინც „სამზეოს“ დიდი ცოდვის მქმნელია, ხიდიდან გადავარდება და კუპრის ალში ჩავარდება.

ვინც ნახევრად ცოდვიანია და „საკუპრისალე“ არ არის, ის ხიდზე გავა. „ბეწვის ხიდის“ იქით ძალიან დიდი, ტრიალი მინდორია; მინდორის შუაში დიდი ციხეა. ციხე ოთხი თვალია. ამ ციხეს გარედან აქვს მოდგმული კიბე წვერამდე. ციხეს დიდი, განიერი და მაღალი კარები აქვს შებმული და კარებთან ორი დიდი ძაღლი აბია: ერთი ერთ გვერდზე და მეორე მეორე გვერდზე. ამ ორი ძაღლის შუაში კარებთან ზის მეტად დიდი, ბებერი კაცი „სულეთის კარის ყარაული“. ვინც „ბეწვის ხიდს“ გავიდა, მას ამ კაცთან მიიყვანენ და ეს კაცი იტყვის, თუ სად უნდა შეიყვანონ. როდესაც ეს ბებერი გაუშვებს მკვდარს, ძაღლები გამოეკიდებიან. მკვდარი უბიდან „საგძალო“ ამოიღებს, რომელიც დასფლავების წინ „სამზეოდან“ გაატანეს, ძაღლებს გადაუყრის და ისინი მოეშვებიან.

ამის შემდეგ სულს ერთ ოთახში შეიყვანენ, სადაც „ბჭენი“ სხედან, დაუდგამენ „საუნჯო“ სკამს და დაჯდება. „ბჭეთ“ ყველაფერი იციან მისი ჩანადენი ცოდვა და მაღლი. თუ საჯოჯოხეთოა ჯოჯოხეთში გაგზავნიან; თუ მაღლიანია, მაშინ იქ დასტოვებენ, სხვა მკვდრებთან“(65,59).

ზემომოტანილ მასალას მხოლოდ იმას დავუმატებდი, რომ ძაღლისთვის გადაგდებულ „საგძალში“ ე.წ. „მკვდრის პური“ უნდა ვიგულისხმოთ. ნათქვამის საიდუსტრაციოდ, მომყავს თ. ოჩიაურის მიერ ქართლში დაფიქსირებული საველე მასალა: „გამოსვენება იცოდნენ შუაღლის შემდეგ, მზე რომ გადაიხრებოდა. მიცვალებულს თმასა და ფრჩხილს მოაჭრიდნენ. ორი ქვრივი დედაკაცი კუბოს აქეთ-იქიდან ამოუდგებოდა და საგანგებოდ გამომცხვარ ე.წ. მკვდრის პურს მიცვალებულის გულზე ოთხად გადატეხავდნენ. პურის ნატეხებს ან ბოდლიწოთვის გამოიყენებდნენ (დვინოში ჩააღბობდნენ) ან ძაღლებს გადაუგდებდნენ, რაც იშვიათად ხდებოდა. ჩვეულებრივ, მიცვალებულის პირზე

ნაფარებ საცერზე რომ იდო, ძაღლს იმ პურს უგდებდნენ. ძაღლისთვის პურის გადაგდების წესს ადგილობრივი შემდეგნაირად ხსნიან: 1. საიქიოს შესასვლელ კარებში მიცვალებულს ორი ძაღლი დახვდება და თუ ზემოხსენებული წესი არ შეუსრულებიათ, საიქიოში არ უშვებენ. 2. ძაღლისთვის პურის გადაგდება საიქიოს მაღლად ეთვლებათ (“საიქიოს თურმე ერთი დედაკაცი ისეთია, რომ ქვეყანაზე არაფერი გაცემულობა არა აქვს. აქ სააქაოს ერთი ძუკნია ძაღლისთვის პუტი გადაუგდია, საიქიოს ის ძაღლი მისულა, პუტი მიუტანია და იმით დაუხსნია ის ქალი”). 3. ძაღლისთვის პურის გადაგდება დაიხსნის ამ პირს არასასურველი მიცვალებულის სიზმარში ნახვისაგან (“თუ სიზმარში სხვისასა ხედავს და ფინთადა აქვს დაცდილი, ზარალი იცის, – კუტს შენდობას ეტყვის და ძაღლს გადაუგდებს. მერე თავის დღეში ვეღარა ნახამს იმასა”. ძაღლს “კუტსაც გადაუგდებდნენ. თუ ნახე სიზმარში მკვდარიო და ადარ გეშვებაო, ძაღლს კუტი გადაუგდეო და უთხარიო – აი ეს კუტიო და სიზმარში ნუღარ მეჩვენებიო, მომეშვიო” (ს. ქსოვრისი, 1948წ. სოფიო მახარაშვილი, 50წ.).

წარმოდგენები სულეთის შესახებ ქართლში ძირითადად ისეთივეა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, განსხვავება იგრძნობა ცალკეულ შეხედულებებში. ქართლში შეკრებილი ყველა მონაცემი რომ გავაერთიანოთ ძირითადად ასეთს სურათს მივიღებთ: საიქიო ქვესკნელშია (ზოგი მასალით ცაში). გარდაცვლილს საიქიოს კარებთან ორი ძაღლი ხვდება, რომლებიც იმ შემთხვევაში გაატარებენ მას, თუ ძაღლისთვის სააქაოს პური აქვთ გადაგდებული (მკვდრის გულზე გადატეხილი, კუტად ჩავარდნილი). საიქიო სუსტად განათებული სამყაროა, ზოგი მასალით სინათლეს აქ გაჩახჩახებული სანთლები აყენებს, რომლებიც სააქაოს მიცვალებულთათვის ენთება. არის მასალა იმის შესახებ რომ საიქიოს თავისი მანათობელი მზე აქვს“(79,19,21).

ზემოაღნიშნული ქართული რწმენა-წარმოდგენა საიქიო ცხოვრებაზე, პარალელს პოულობს სხვა კულტურებთან. გავიხსენოთ ძველი ეგვიპტური რწმენა-წარმოდგენები, რომლის თანახმადაც, „სამოთხის ექვივალენტს წარმოადგენდა „იალუს მინდვრები“. საბოლოო ნეტარების მიღწევა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც უცოდველად და კეთილად გაატარა დედამიწაზე ცხოვრების წლები. მიცვალებული წარსდგებოდა თავად ოსირისის წინაშე. იგი გარშემორტყმული იყო მიცვალებულთა სამყაროს 42 დემონით. იქვე იყო ანუბისი – ძაღლთავიანი დგთაება, რომელსაც მიცვალებული იალუს მინდვრებში გადაჰყავდა. აქ მიცვალებული წარმოთქმამდა თაგისი უცოდველობის

დამამტკიცებელ სიტყვას, „ცოდვების უარყოფის“ სიტყვას, რის შემდეგაც მისი სიმართლის შესამოწმებლად, სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთი მაატი წონიდა მის გულს, რომელსაც ფრინველის ბუმბული არ უნდა გადაეწონა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთ-ერთი დემონი შთანთქავდა“(108,128).

ვფიქრობ, ქართულ-ეგვიპტური მითოლოგიური ხედვები ბევრგან ემთხვევა: უპირველეს ყოვლისა, მიცვალებულთა სულის გადამყვანი ანუბისი სწორედ „ძაღლის თავიანია“, რაც მოგვაგონებს „სულეთის ციხის“ მცველ ძაღლებს. აქაც „სულეთი“ მწვანე მინდორთანაა ასოცირებული; ოსირისი 42 დემონით გვახსენებს „ციხის დარაჯს“ და იმ „ბჭეებს“, რომლებიც სულს სჯიან. „ფრინველის ბუმბულით“ გარდაცვლილის „გულის აწონვა“ ერთგვარად უახლოვდება „ბეწვის ხიდის“ გავლის მოტივს, სადაც იმავე პრინციპით, ცოდვა-მაღლის განკითხვა ხდება.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მიწისქვეშა ჰადესის მცველი ასევე უზარმაზარი მგელ/ძაღლი – კერბელოსია: „სამთავიანი ძაღლია ჰადესის მცველი კერბელოსი, სხეული გველებით აქვს დაფარული და კუდიც გველისა აქვს, ვეებერთელა ენაგადმოგდებული ხახებიდან კი შეამიანი ნერწყვი ჩამოსდის“(19, 57). საინტერესოა, რომ ძაღლისთვის პურის გადაგდების მოტივი, კერბელოსთანაც გვხვდება, რასაც აღნიშნავს ნ. აბაკელია: „იმერეთში, ჩვენს მიერ (1989 წელს) დაფიქსირებულ იქნა საინტერესო ტერმინი „მეგრე-მებაჟე“. ეს არის განსაკუთრებული ფორმისა და ზომის რიტუალური პური, რომელსაც მიცვალებულისთვის განკუთვნილ სხვა პურებთან ერთად აცხობდნენ. ეს სახელი ერთდროულად გულისხმობს მეკრეს – მეკარეს (კარში მდგომს, საიქიოს კარში მდგომს) და მებაჟესაც (ბაჟის მიმდებს). ეს პური ძაღლის პურს უნდა გულისხმობდეს, რათა მან დაინდოს მიცვალებული. გავისხენოთ ჰერაკლეს მოგზაურობა საიქიოში, სადაც მან თაფლის ნამცხვრით დააშოშმინა კერბელი“(2,77).

საკითხთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა კერბელოსთან ახლოს მდგომი ეტრუსკული ხორნური დვთაება – ველთა, რომელიც მგლის სახითაა წარმოდგენილი: „მ. პალოტინო ველთას მინდვრების გენიად წარმოგვიდგენს, ხოლო ფრ. მესერშმიდტი ამ ეტრუსკული დემონის გამოსახულებას რამდენიმე ურნაზეც კი ხედავს, სადაც ჩანს ერთგან მგელთავიანი, ხოლო მეორეგან მგლის ნიღბიანი და გველებიანი, მიწიდან ამომავალი ღვთაება“(49,71).

მგლის ხორნური პულტი თავს იჩენს სამეგრელოს ფოლკლორში დადასტურებული აგსულების – მზაკვრების სახეში, რომლებიც მგელზე

ამხედრებულები დათარეშობენ, ხოლო მათ დასათრგუნად მოსახლეობა ცეცხლს მიმართავს: „მზაპვრებს ყველაზე მეტი საქმე ჭეჭეთობა დამეს აქვთ. ჭეჭეთობა აგვისტოს თვეშია. იმ საღამოს ყველა ცეცხლს დაანთებს და ზედ გადაახტება. ე.ი. მზაპვრებს წვავენ. იმ საღამოს მზაპვრები მგლებზე ზიან. ჯაშგვიდუში ლაგამი აქვთ ამოდებული. ამოსაკრავიც ჯაშგვიდუსა აქვთ, დაშლიგინობენ. იკრიბებიან ტაბაკონაზე. აქ ინაწილებენ საქმეს – ვინ სად და რა გააკეთოს. ჭეჭეთობა დამეს დილამდე დარბიან და დათარეშობენ“(101,99). ამასთანავე, „ტაბაკონა – მთაა მარტვილის რაიონში, რომლის ღრმულში მარად ბებერი ბოროტი არსება, მზაკვართა მეთაური როკაპია დავანებული. როკაპი ჰეკატეს ტიპოლოგიური სახესხვაობაა, ჭეჭეთობა დამეს ტაბაკოზე იმართებოდა მზაკვართა შეკრება, სერობა“(იქვე).

გერმანულ მითოლოგიაში საინტერესო კუთხით გვხვდება მგელზე ამხედრებული ჯადოქრის, ჰიროკინის მითოსური სახე, რომელიც მზე-ღმერთის ბალდერის დამკრძალავ რიტუალს ასრულებს: ღმერთების რჩეული ბალდერი უწყვლადი იყო. დედამიწაზე ყოველმა არსმა შეპფიცა მას, რომ არაფერს ავნებდა. ფიცის დროს, მხოლოდ ფითრის სუსტი ბუჩქი არ იქნა მხედველობაში მიღებული, რითაც ისარგებლა ბოროტმა ღმერთმა ლოკიმ; მან ფითრის ტოტი მოტეხა, ისარივით წაუმახა თავი და ბრმა ღმერთს, ჰოდერს ასროლინა ბალდერის მისამართით. სინათლის ღმერთი გულგანგმირული დაეცა(29,80,82). ბალდერის ნეშტი ზღვაში უნდა გაეშვათ და დაეწვათ, თუმცა ამის გაკეთება ღმერთებმა ვერ შეძლეს: „თორის ლონეც საკმარისი არ აღმოჩნდა რომ ბალდერის ნეშტი ტალღებისათვის მიენდოთ. მაშინ თორმა ურო აღმოსავლეთისაკენ შემართა და შესძახა: „ჰიროკინ, თურსთა ჯადოქარო, გამოჩნდი!“ გამოჩნდა საშინელი ჯადოქარი, მგელზე ამხედრებულს სადავების ნაცელად გველი გჭირა. დიაცი მგლიდან გადმოხტა. ოთხმა ვაჟკაცმა მგელი შებოჭა. ჰიროკინმა კი გემს უბიძგა და ზღვაში შეაცურა, საგორებლიდან ცეცხლის ალი გამოვარდა. თორმა მოკვლა დაუპირა უხეშობისთვის, მაგრამ ჯადოქარი მგელს მოახტა და გაუჩინარდა“(29,83).

მგელ-ძალლის ხორნური კულტი მედავნდება მზე-ჰელიოსის გრძნეული ქალიშვილის კირკეს მითოსურ სახეში, რომლის ეზოშიც ჰომეროსის გადმოცემით „ნებივრად წამოწოლილიყვნენ ქალღმერთის ჯადო-წამლით გაჩიბული მგლები და ლომები“(122,164).

მოვიგონოთ კოლხურ სამყაროსთან დაკავშირებული, მცირეაზიური წარმოშობის, კიდევ ერთი ღვთაება – ჰეკატე, რომელიც სამსახოვანია, ხოლო

მის ზოომორფულ სიმბოლოთაგან მეტწილად მგელ-ძაღლი და გველი ფიგურირებს: „ომებში გველებითა და ორი ანთებული ჩირაღდნით ხელში საფლავებს შორის დაძრწის დამეული მოჩვენებების, ზმანებებისა და ჯადოქრობის ქალღმერთი ჰეკატე, ტიტან პერსესისა და ასტერიეს ასული. ძაღლების ხროვა დაჟყვება ჰეკატეს უკან. ურანოსისგან და ზევსისგან მინიჭებულ უდიდეს ძალაუფლებას ფლობს ჰეკატე. იგი მონაწილეობს დედამიწის, ზღვის, მიწისქვეშეთის თუ ცის საქმეთა გადაწყვეტაში და ყველანი, მოკვდავნი და ღმერთები, პირველ რიგში კი ზევსი, მიაგებენ პატივს ამ ძლევამოსილ ქალღმერთს. სამი გზის გასაყარის ქალღმერთია ჰეკატე. აქვე, გზაჯვარედინებზე დგამენ ხოლმე მის სამსხეულიანსა და სამსახოვან ქანდაკებებს, სამ გზას რომ გაჟყურებენ. მოკვდავები მას მსხვერპლად სწირავენ ძაღლებს, რათა ქალღმერთმა ისინი ჯადოქრებისა და გრძნეულებისგან დაიცვას“(19,56).

ამრიგად, ჰეკატეს „სამსახოვნება“ სათავეს უნდა იღებდეს „სამივე სქელთან“ მისი კავშირიდან, რის გამოც იგი ფლობს განსაკუთრებულ მაგიურ თვისებებს. ნიშანდობლივია, რომ ამ ღვთაების ფუნქციები მარტო ჯადოსნობითა და ავისმოსურნე სიზმრებით არ შემოიფარგლებოდა; მისი „სამსახოვნებით“ ხაზგასმული უნდა იყოს ამ ღვთაების შესაძლებლობების გაცილებით ფართო არეალი. მართლაც, „არ არის არცერთი მნიშვნელოვანი მხარე მოკვდავთა და უკვდავთა მოღვაწეობისა, რომ ჰეკატეს მასში წილი არ ჰქონდეს. იგი მფარველობს ნადირობას, მწყემსვას, ცხენთა მოშენებას, ადამიანთა მოღვაწეობას, სასამართლოს, სახალხო კრებებს, კამათში შერკინებას თუ ომებში მონაწილეობას, ბავშვებსა და ყრმებს“(21,22).

ღვთაება ჰეკატეს მცირეაზიური წარმომავლობის გათვალისწინებით, ძალზედ საყურადღებო უნდა იყოს ამ ღვთაების კავშირი კოლხურ სამყაროსთანაც: „იასონზე ესოდენ შეუვარებულმა მედეამ აღუთქვა ქალკიოპეს, რომ დილით ადრე ჰეკატეს ტაძრისაკენ გაემართებოდა და ხართა მომაჯადოებელ წამალს მიაწვდიდა უცხოელს. მართლაც, მედეამ დათქმულ დროს ყუთიდან ამოიღო წამალი, რომელსაც პრომეთეს წამალს უწოდებდნენ. მას საოცარი თვისება ჰქონდა. თუკი ჰეკატეს, დედისერთა ქალწულ ღვთაებას მოილმობიურებდა ვინმე და ამ წამლით დაიზელდა სხეულს, იგი იარაღისთვისაც და ცეცხლისთვისაც უგნებელი გახდებოდა“(17,32).

ამრიგად, მგელ-ძაღლისა და გველის ზოომორფული სიმბოლიკა ვლინდება სამსახოვანი ჰეკატეს სახეში, რომლის „სამსახოვნებაც“ გვაფიქრებინებს, რომ

მისი ფუნქციებიც ასევე მრავალპლასტოგანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ნათქვამთან დაკავშირებით, მოვიგონოთ, რომ კვერთხი „სამთავიანი ძაღლის“ გამოსახულებით, როგორც სამეფო ძალაუფლების ინსიგნია, გვხვდება შუმერთა მეფის – გუდეას ატრიბუტიკაში. შუმერთა მეფის კვერთხში, სიმბოლიზირებული შეიძლება იყოს სკნელთა კავშირი, რასაც ასევე განასახიერებდა „სამყაროს ღერძთან“ (axis mundis) ასოცირებული მარადმწვანე კედარის ხე, რასთანაც საკუთარ თავს აიგივებდნენ შუმერთა მეფე-ქურუმები; კვერთხზე გამოსახული „სამთავა ძაღლი“ კი მიმანიშნებელია იმისა, რომ მგელ-ძაღლის კულტი სამივე სკნელთანაა დაკავშირებული და შესაბამისად, ხორნური ასპექტის გარდა, გააჩნია გამანაყოფიერებელი ძაღლი, რისი გარანტიც უმაღლესი ხელისუფალი იყო. დაბოლოს, სკნელთა სიმბოლური კავშირი მოცემულია ქართველთა მითოსური ძაღლის – ყურშას სახეში, რომელიც ერთდროულად ციურიც არის და ხორნურიც, შესაბამისად, ერთდროულად სიკეთისა და უბედურების მომტანიც. ის „ბედისმწერალი“ ძაღლია. ნიშანდობლივია, რომ ყურშა, როგორც სკნელთა მაკავშირებელი, ნაყოფიერების მომტანიცაა საგაზაფხულო დღეობათა ციკლში, რაც ასევე განპირობებულია იმითაც, რომ მისი დაბადება მარადმწვანე „სიცოცხლის ხის“ მოტივებს ეჯაჭვება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყურშასთან დაკავშირებულ სამონადირეო მოტივებში, კლდე, სადაც მითიური მონადირის დაღუპვის სცენა თამაშდება, ისევე როგორც „ორმო, უფსკრული, გამოქვაბული და სხვ. (რომელსაც ქალური კონტაცია აქვს) ერთ სემანტიკურ ველში თავსდება და სიკვდილისა და კვლავდაბადების ადგილს და მოტივს „ჟავშირდება“(2,78), ხოლო ყურშაოს სასიმღერო, საწესო-საფერხულო შესრულება, დაკავშირებული ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლთან, სწორედ სიკვდილისა და კვლავ დაბადების მარადიულ წრებრუნვას გულისხმობს.

როგორც უპვე აღინიშნა, ყურშა ციური წარმომავლობისაა, მას ორბი ან შევარდენი შობს და შემდეგ მიწაზე გადმოაგდებს. მისი „ოქროს ყურ-ტუჩი“ ასევე ციურ-ღვთაებრივ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს, ხოლო „გველის წარბები“ და შავი შეფერილობა უპვე ხორნურ ასპექტზე მიგვანიშნებს. ყურშასადმი მიძღვნილი საწესო ლექსი კი ადრე გაზაფხულზე წარმოითქმებოდა და დაკავშირებული იყო ქალურ საწყისთან და მარადმწვანე „სიცოცხლის ხის“ მოტივებთან. შევნიშნავ, რომ ზოგადად, ქართული მითო-ფოლკლორული მასალა ავლენს მდედრობითი ღვთაებების კავშირს (მაგ. ნადირთღვთაება დალის სახე) მგელ-ძაღლის კულტთან, რაც თავის მხრივ, ასახულია პეკატეს მითოსურ სახეშიც. საკითხთან დაკავშირებით, ნ. აბაკელია შენიშნავს: „ქართულ

ტრადიციაში ძაღლთან მჭიდროდაა დაკავშირებული დამის მოჩვენებებისა და ფანტომების დგთაება, მონადირეობის ქალდგთაება დალი და კორინთოს პატარძალი, ყოველნაირი ჯადოსნობისა და ჯადოქრობის დედა – მედეა, თავისი მფარველი ქალდგთაება ჰეკატეთი. ამ უკანასკნელის სიმბოლოებია გასაღები (ფაუსტის II-ე ნაწილი - „დედები“, გასაღები ეკუთვნის ჰეკატეს, როგორც პადესის მცველსა და დგთაებრივ ფსიქოპომპს), მათრახი (შიშის მომგვრელი დედის ატრიბუტი), სატევარი და ლამპარი (გავისენოთ, რომ მას ეწირებოდა ძაღლები; იგი გამოდიოდა დამით გზაჯვარედინებზე ძაღლებით და სხვ. გავისენოთ იასონის მიერ ჩატარებული მსხვერპლშეწირვა მდინარის პირას, დამით ჰეკატესათვის)“(2,78). ავტორი ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დალი, წყლის დედა, მედეა და სხვ. დიდი დედა დგთაების ან მისი ძალებისა და ასპექტების მიხედვით, ურიცხვ ნუმინად დაყოფილი ქალდგთაების სახეებს წარმოადგენენ, ხოლო კლდეზე დაღუპული მონადირის სახე ამასთანავე გვიჩვენებს ქალდგთაება დალის კიდევ ერთ ასპექტს. იგი გვევლინება მოჩვენებებისა და ფანტომების, დამის სახტიკ დგთაებად, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქვესკნელის, სიკვდილის ქალდგთაების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს (იქვე).

მგელ-ძაღლის სიმბოლო დაკავშირებული აღმოჩნდა ასევე სამჭედლო საქმესთან, რაც ალბათ ამ კულტის მზიურ-ცეცხლოვანი ხასიათითა განპირობებული. სამჭედლო საქმე საკრალურად ითვლებოდა ქართველურ ტომებში: “აფხაზეთში სამჭედლოსა და მჭედლებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც მორწმუნე ქრისტიანთათვის საყდარსა და მდგდელს. ქრისტიანული საქართველო მჭედელსა და მდგდელს აიგივებდა: “დიდი ცოდნის ამდებელი ჯერ მჭედელი, მემრე მღვდელი””(5,111). აქედან გამომდინარეა, რომ ქრისტიანობის დაღვომის შემდეგ, სამჭედლო საქმე წმ. გიორგიმ შეითავსა. წმინდანის როგორც “მჭედელთა მფარველის” სახეში შერწყმულია მგლის სიმბოლური სახეც, რისი დასტურიცაა ქართული ხალხური ლექსი „ქაჯავეთ რად იარები“:

„–ქაჯავეთ რად იარები,  
გიორგივ, მგელთა ფერაო.  
–ვალი მიკიდავ, ვალსა ვთხოვ,  
რას მკითხავ ქრისტის დედაო.  
სინას შქედს ქაჯთა მჭედელი,

მივასწრებ წურვაზედაო:  
 ქურთემულ მაუგლეჭიე,  
 ცხენი შავაგდი ზედაო;  
 ქაჯთა მჭედელმა ხელ-კვერი  
 ცხენს მიცა ბეჭებზედაო“(98,116).

სამჭედლო საქმეს განაგებს ქართველთა წარმართული ღვთაება – პირქუში. იგი მგელაიშვილია, რაც ღვთაების მგლის სიმბოლოსთან კავშირზე მიუთითებს. ღვთაებად “გარდასახვამდე” პირქუში ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილა, ოდონდ ნაწილიანი, როცა დაიძინებდა მხრებშეა შუქი ამოუვიდოდა. ძალიან ლამაზი ყოფილა პირქუში, მზესავით მანათობელი. ქალები მოსვენებას არ აძლევდნენ, ამიტომაც შეევედრა მორიგე ღმერთს, თავი რომ წმიდად დაუცვა მისთვის ფიზიკური სილამაზე წაერთმია. ბოლოს პირქუშს **გრდემლზე** დაეწერება თავისი სიკვდილის დღე ვინაიდან წმინდა კაცი იყო ამიტომ სიკვდილის შემდეგ ღვთიშვილად იქცა. მისი ზედწოდებებია: „ლეკურთას მობურთალი“, „ცეცხლისალიანი“(46,152). საინტერესოა, რომ პირქუში კოჭლია, ისევე როგორც ბერძენთა მჭედლობის ღვთაება ჰეთესტო: „მ. ჩიქოვანს მოჰყავს მის მიერვე ჩაწერილი მასალა პირქუშის მჭედლობაზე და წერს: გადმოცემით პირქუში მჭედელი იყო კოჭლი კაცი, პირქუშს ყველაზე ადრე გამოუჭედია სახნისი, ცული, წალდი და სხვა რკინეული“(5,109). ის, რომ „ჰეთესტო დაბადებით ხეიბარია, მითოლოგიურ და რეალისტურ გამართლებას პოულობს. აქ ასახულია ხალხის წარმოდგენა: განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული უნდა იყოს რაიმე ნიშნით გამორჩეული“(5,158). თუკი იმასაც გავითვალისწინებოთ, რომ პირქუშმა საკუთარი ფიზიკური სილამაზე პრაქტიკუალდ „შესწირა“ მჭედლობის ღვთაებრივი ცოდნის მიღებას, შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ როგორც პირქუშის, ასევე ჰეთესტოს „კოჭლობით“, ანუ ფიზიკური ასპექტის ერთგვარი „დაქვეითებით“ წინა პლანზეა წამოწეული ღვთაებათა მენტალური ასპექტი.

სამჭედლო საქმესთანაა დაკავშირებული ამირანის ხალხური ეპოსიც, რომელშიც მგელ-ძაღლის სიმბოლოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სანამ უშუალოდ სამჭედლო საკითხს შევეხებით, მოვიგონოთ, რომ ამირანი „მგლის მუხლითად“ დაჯილდოებული, რითაც ხაზგასმულია მისი ვაჟკაცობა და შეუპოვრობა და გამორიცხული არაა სამჭედლო საქმესთან მისი კავშირიც:

„...თორმეტი მთა გადიარეს, მეცამეტე – ალგეთისნი.  
 უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი;  
 სამი დღე-დამე უარეს, ვერ იპოვეს კარი მისი.  
 სადაც, რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა – მუხლი მგლისი,  
 კოშკმა პირი იქ გაიღო, იქ შეება კარი მისი“(105,161).

ამირანის კავშირი მგელ-ძაღლის სოლარულ სიმბოლოსთან სავსებით  
 ბუნებრივად წარმოგვიდგება, თუკი მოვიგონებთ იმ ფაქტს, რომ თავად  
 დვთაებრივი გმირი ამირანი მზესთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ამის  
 დასტურია თუნდაც ამირანის ეპოსის სასიმღერო, საფერხულო შესრულების  
 რაჭული ვერსია:

„ადგა ამირან წავიდა, სად ქალი კამარი არი.  
 ციხისა ძირას ჩამოხტა ამირან ორი ძმიანი,  
 ციხეს შუქი შეაყენა, ვითარ ცხოველი მზე არი.  
 კამარ ფანჯარა გააღო, მსგავსად ეგონა მზე არი.  
 კამარ ეხვევის ამირანს, თავგადაშლილი თმიანი“(105,171).

ამირანის ეპოსი მგელ-ძაღლის სიმბოლოსთან სხვა მხრივაც ავლენს  
 კავშირს: „სვანეთში დღემდე არსებობს საფერხისო ლექსი, რომელშიც  
 მოთხოვილია შემდეგი ეპიზოდი: მაღალ თეთრ კლდეში დალი მშობიარობს,  
 ძირს მგელი უცდის. ქალდმერთს ბავშვი გადმოუგარდა, მგელმა პირი დასტაცა  
 და ტყისქენ გააქანა. ამას ქედიდან თვალი მოჰკრა სახელოვანმა მონადირემ  
 მეფისამ. იგი მგელს დაეწია, მხეცი მოჰკლა და ბავშვი წაართვა, მგლის ტყავი  
 კი წელზე შემოიკრა. დალი შვილის დაკარგვას მოთქვამს. კეთილმა მეფის  
 მონადირემ ჩვილი ყრმა დედას მიუყვანა. დედის სიხარულს საზღვარი არა  
 აქვს“(105,65). სვანურ ამ გადმოცემაში, დამოწმებული ციტატის ავტორი, მ.  
 ჩიქოვანი, მონადირის მგლის ტყავით შემოსვის ეპიზოდს, თრიალეთის ცნობილი  
 საკულტო თასის მითო-სიუჟეტურ ქარგას უკავშირებს (იქვე).

დავუბრუნდეთ ამირანის კავშირს სამჭედლო საქმესთან. ერთ-ერთი  
 ვერსიით ამირანს მჭედელი ეხმარება ყამარის მოსაპოვებლად. მჭედელი  
 სათამაშო „ცეგებს“ ამზადებს ყამარისთვის, ყამარი ნაწნავებს ჩამოუშვებს და  
 ააქვს კოშკში. ამირანი მჭედელს სოხოვს ერთ-ერთ ცეგში ჩაჭედვას, თან  
 ახსენებს, რომ სპილენძისაა და ცეცხლში არ დაიწვება; ამასთანავე, ყამარის  
 ქვეყანაში მისული ამირანი პირველ რიგში მჭედელთან მიდის და საუბარს

უმართავს, ვინაიდან მას ზოგადად მჭედლებთან მეგობრობა აკავშირებს. სეანური თქმულება ამირანის ახალ თვისებას გვამცნობს: გმირი სპილენძისაა და ჭედვის ატანა შეუძლია(105,74,194).

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ამირანის ხმლის ჭედვაში კოსმიური ძალებიც იქნა ჩაბმული“(იქვე). ამირანი ნიშნის მოგებით ეუბნება საკუთარ მმას:

„მაშინ სად იყავ შავ ბადრო, როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?

ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა, სამჭედლო ექანებოდა,

მჭედლები – მემჭედურები ერთმანეთს ეფარებოდა!“ (105,194).

ბევრი ცდის შემდეგ, ამირანისთვის „მჭედელმა ცხრა ფუთიანი ხმალი გაჭედა, გამოაწრთო და გამოდგა“(105,73). ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამირანის „ცხრა ფუთიანი“ ხმალიც, მისი ღვთაებრივი პატრონის დარად, მზიური ნიშნითაა დადღასმული. ჭექა-ქუხილის „თანხლებით“ საკრალური ხმლის ჭედვას ვფიქრობ, ღრმა მითო-რელიგიური საფუძვლები უნდა გააჩნდეს. თუკი მოვიგონებთ, რომ ინდურ მითოლოგიაში „მზისა და ცეცხლის ღვთაება აგნი იშვა წყალში, როგორც ჭექა-ქუხილი, საფუძველი გაპქს ვიფიქროთ, რომ ამირანის მზიური „ცხრაფუთიანი ხმლის“ წრთობაც დაკავშირებული უნდა იყოს კოსმიურ წყლებში მზის დაბადების მითოლოგებასთან. ნიშანდობლივია, რომ ქართველთა წარმართული ღმერთის არმაზის მახვილიც ელვასავითაა: „აქვნდა ხმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა“(93,89).

თუკი ხმალი ღვთის სიტყვის სიმბოლოა: „და აიღეთ გადარჩენის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღმერთის სიტყვა“(ახალი აღთქმა, ეფესელთა მიმართ 6:17), ხომ არ შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამირანი, რომელიც ალმასის ხმლით ფატრავს შავ გველეშაპს, ხელმეორედ იბადება არა მხოლოდ როგორც „მზე“, არამედ როგორც „ღვთის სიტყვა“, იმის გათვალისწინებით, რომ „იონას გამოსვლა ვეშაპის მუცლიდან ალეგორიულად მოასწავებს ღვთის სიტყვის დაბადებას ქალწულის მუცლიდან“(45,106). შესაბამისად, ამირანის უნარი დევების „ხმით დახოცვისა“(105,307), შეიძლება კიდევ ერთხელ გვახსენებდეს, რომ „სიტყვა“ და „მახვილი“ თანაბარი ძალის მითო-რელიგიური ხატ-სიმბოლოებია.

თუკი ამირანის ხმლის ჭედვის პროცესი ჭექა-ქუხილთანაა დაკავშირებული, ეპოსში ბუნებრივად ერთვება დარ-ავდართან დაკავშირებული მითოსური სიუჟეტი. ამასთან დაკავშირებით, ი. სურგულაძე საინტერესოდ

შენიშვნავს, რომ ამირანის „საცრის ტოლა“ თვალები, ამინდის დვთაების მეტაფორული გადმოცემაა: „ოუ გავითვალისწინებთ, რომ საბას განმარტებით „ღუარი ეწოდება წყალსა წვიმისასა“, მაშინ გამოთქმაში „ცრემლის ღვარი“, ცრემლი წვიმასთან არის გაიგივებული. გამოდის, რომ „ცრემლის ღვარი“ იგივე ცრემლის წვიმაა, რომელიც ასევე მიღებული გამოთქმაა ქართულში. ამ გამოთქმათა მიხედვით, თვალს ენიჭება წვიმის წყლის სათავსის, მისი პირველგამომწვევის მნიშვნელობა, ხოლო „საცრის ტოლა“ თვალი საავდროდ გამზადებულ სახეზე, ამინდის დვთაების მრისხანების, გავდრების სურათის მეტაფორული გადმოცემაა, რომელიც მითოსისა და მისი შესაბამისი რელიგიური წარმოდგენების მიხედვით არის აგებული. ამიტომ, გასაგები ხდება, თუ რატომ არის ამირანის თვალები მაინცდამაინც საცრის ტოლი და არა სხვა რამ მრგვალი საგნისა. საქართველოში, წყალთან და სისველესთან ბევრი ადგილობრივი დვთაება იყო დაკავშირებული. „მოვიდა თავის ნიალვარსა, დაანთო დიდი ალიო“, ნათქვამია ერთ ტექსტში ხახმატის ჯვრის, გიორგის შესახებ. თავისი სადგომი ადგილით წყალთან დაკავშირებული ჩანან გიორგი წყაროსთავისაი, მიქიელ წყალშუისაი, გიორგი ნალვარმშვენიერი, ნალვარში მებურთალი. ამ ეპითეტების მიხედვით, ალნიშნული დვთაებები წყაროს თავში ან ნაპირას დგანან, ანუ წყარო მათი სადგომი ადგილია. მიგვაჩნია, რომ წყაროს სათავე, ე.ი. მისი „წყაროს თვალი“ თავიდან დვთაების ცრემლთან უნდა ყოფილიყო ასოცირებული, მით უფრო რომ ასეთი წარმოდგენები ბუნებრივი და დამახასიათებელია ადრესამიწათმოქმედო კულტებისათვის. ამასთანავე შემოთავაზებული გააზრება სრულ თანხმობაშია ქართველთა წარმოდგენებთან დვთაებათა შესახებ, სადაც ხაზგასმულია მათი კავშირი ცეცხლთან, სამჭედლო საქმესთან, იარაღებთან, საცერთან, საწყაოსთან, საქონელთან, საგანგებოდ აღინიშნება მათი პირქუშობა და პირდრუბლიანობა“ (85,251).

ამრიგად, ამირანის „საცრისოდენა თვალები“ და ის ფაქტი, რომ ის ჰგავს „შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა“ (85,314), მას ამინდის დვთაებასთან აკავშირებს, რომელსაც არა მარტო დარ-ავდრის დარეგულირება ევალებოდა, არამედ ზოგადად ქვეყნის ნაყოფიერება და დოკლათი. ამასვე უნდა მიუთითებდეს ამინდის დვთაება ლაზარეს ფალიური ხასიათი და მისი ზედწოდება – კოტი-კოტია, რითაც მისი ფალიურობაა ხაზგასმული (85,242). შესაბამისად, „საავდროდ გამზადებული სახე“ ნაყოფიერების მომასწავებელიცაა, ვინაიდან ჭექა-ჭეხილი წარმოადგენს წყლისა და ცეცხლის საკრალურ კავშირს, კოსმიურ წყლებში „მზის დაბადების“ მითოსურ ხატებას, „დვთის სიტყვის“

გამოვლინებას, რასაც გამანაყოფიერებელი ძალები ენიჭება, ზუსტად ისე, როგორც ეს მოცემულია დვთაება ენქის შუმერულ ტაქსტში, რომელსაც ერთხელ კიდევ დავიმოწმებთ:

„სიტყვა ჩემი ცას მისწვდება –  
და სიუხვის წვიმა იწვიმებს ციდან;  
მიწას მისწვდება –  
და მცენარეული გაჩნდება მიწად;  
ამწვანებულ ყანას მისწვდება –  
და ჩემი სიტყვით მოსავალი უხვად დახვავდება“(45,94)

რომ „დვთის სიტყვა“ შეიძლება გამანაყოფიერებელი ძალების მქონე ჭექა-ქუხილთან ასოცირდეს ქართველთა მითო-რელიგიური აზროვნების ბალავარშივე ჩაიდო, ვინაიდან ც. ინწკირველის მინიშნებით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „საკუთარი სახელი თავდაპირველი ენისა ქართული პომილით „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ არის ლაზარე, ამინდის ქართული დვთაების სახელიც აგრეთვე ლაზარეა“(43,214).

ამირანის „პირდრუბლიანობა“ ასევე მიუთითებს სამჭედლო საქმესთან მის სიახლოვეზე, ვინაიდან მჭედლობაც წყლისა და ცეცხლის მაგიური კავშირის გადმოცემია, რაც ალეგორიული სახით დაკავშირებულია გაავდრების მოტივთან და საკრალურ ჭექა-ქუხილთან. ამ თვალსაზრისით, ამირანის „შავდრუბლიანობა“ სრულიად ბუნებრივად ეთანხმება ქართველთა მჭედელთ დვთაების სახელს – პირქუში, რომელიც ანალოგიური მითოსური შინაარსით უნდა იყოს დამუხტული.

თუკი ჭექა-ქუხილის საკრალური ხასიათი სამჭედლო საქმესთან მიმართებაშიც ვლინდება, შესაძლოა, ქართველთა მითიური ძაღლის, ყურშას „ჭექა-ქუხილის ხმა“ კიდევ ერთი საბუთი იყოს მგელ-ძაღლის სიმბოლოს და სამჭედლო საქმის ურთიერთკავშირისა; მით უმეტეს, რომ ამირანს მუდამ თან ახლავს მისი ერთგული ყურშა. საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო უნდა იყოს, რომ „მაღალი ხარისხის ფოლადის სვანურ სახელად მიჩნეულია ტერმინი – ყურჩ“(10,209), ნებსით თუ უნებლიერ, „ყურშას“ სახელს მოგვაგონებს.

ჭექა-ქუხილის საკრალიზაციის მოტივს ძალზედ საინტერესო კუთხით ვხვდებით სვანურ საწესო დროშა-ლემთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმე ეხება მგლის სიმბოლოსთან დაკავშირებული დროშის მპყრობელი გვარის, ფალიანების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მაბლა ფალიანის დაკრძალვას.

გადმოცემის თანახმად, ფალიანის საგვარეულო კოშკი მიწისქვეშა გვირაბით დაკავშირებული იყო სეთის ჯგრაგის ეპლესიასთან; მაბლა ფალიანი შინინახვდა ტაძრის სიმდიდრეს. ის მდიდარ და წმინდა კაცად იყო ცნობილი: „святости его, по словам сказителей, было указано и знанием свыше: когда умирал Мабла небо было безоблачное, блестящее, но как только он испустил последний вздох, оно нахмурилось и разразилась страшная гроза, сплошь покрывшая землю градом. Маблу Палиани похоронили в медном гробу, на котором было высечено его имя“ (12, 41).

ახლა უურადღება მივაქციოთ იმას, რომ ჭექა-ქუხილი წმ. გიორგის კულტთანაცაა დაკავშირებული. ის დვთაების ერთ-ერთი ინსიგნია, რომლის მეშვეობითაც, და ეს მეტად საგულისხმო ფაქტია, ხდებოდა მის მსახურ ყმათა შერჩევაც: „По широко распространенным в Самегрело поверьям, во время грозы св. Георгий верхом на своем белом коне мчится по небу, гонится за злыми, нечистыми силами и поражает их... Считалось, что святой ударом молнии предупреждал виновного или же «избирал его в рабы»... Во время грозы местные жители крестились и просили св. Георгия пощадить их и не поразить их дом молнией“ (3,21).

ამრიგად, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მაბლა ფალიანი სეთის წმ. გიორგის გალესიის მსახური იყო, ნათელი ეფინება იმასაც, თუ რატომ მოჰყვა მის გარდაცვალებას საშინელი ჭექა-ქუხილი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ასევე მისი დაკრძალვა სპილენძის კუბოთი, თუკი მოვიგონებთ, რომ სპილენძი დაკავშირებულია სულეთთან, „დამის მზის“ მისტერიებთან, რასთანაც კავშირში იქნებოდა ასევე დროშაზე გამოსახული საკულტო – მგელიც. მართალია, მას ძირითადად გამანაყოფიერებული ფუნქციები ენიჭებოდა, მაგრამ მოვიგონოთ ისიც, რომ ნაყოფიერებაც, თავისი არსით, ხოონურ სამყაროს უკავშირდება, ვინაიდან ემორჩილება სიკვდილისა და კვლავ დაბადების მარადიულ ციკლს.

თუკი წმ. გიორგი სამჭედლო საქმის მფარველიცაა, აღნიშნულიც, შესაძლოა მისი ჭექა-ქუხილთან კავშირითაც უოფილიყო გამოწვეული. უურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ ამ კონკრეტულ ამპლუაში, დვთაება მგელთანაა ასოცირებული: „ქაჯავეთ რად იარები, გიორგივ, მგელთა ფერაო“, ისევე როგორც მჭედლობასთან დაკავშირებული ამირანის მუდმივ თანამგზავრად ერთგული უურშა გვევლინება, რომლის მითიური ორეული სწორედ „ჭექა-ქუხილის ხმითაა“ დაჯილდოვებული.

საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი ოსი მეცნიერის, ვ. აბაევის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რომაელთა ცეცხლისა და სამჭედლო საქმის დვთაება – ვულპანუსის სახელწოდება შეიძლება წარმოსდგებოდეს

„Могли“ аღმნიშვნელი ძველინდური სიტყვისგან: „ვრკა“, იმის გათვალისწინებით, რომ: „культ огня и кузнечного дела был в свою очередь связан преемственно с тотемическим культом волка“ (1,593). საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია ასევე მისაღები ვ. ივანოვის მოსაზრებაც, იმის შესახებ, რომ „...согласно старой германской традиции кузнецы могли ставить на мече знак волка“ (42,157). სხვათაშორის, აღნიშნულ ცნობას ეხმანება ქართული ხალხური ლექსი „დაბარება ველს წასულს“, რომელშიც „ხმალი“ მეტაფორულად „მგელთანაა“ შედარებული:

„ველს წახვალ, ბეჭიკაურო, რა გითხრა, რა დაგაბარო?  
 გეტყვი: ძილს ნუ დაენდობი, – ძილი ვაჟკაცის მპვლელია.  
 გეტყვი: თოფს ნუ დაენდობი, – ჩახმახის ცხენია.  
 გეტყვი: ხმალს ნუ დაენდობი, – ხმალი მშიერა მგელია  
 სადღეოდ გულის მკეთე, სახვალოდ ლიბუს მთხრელია“ (55,162).

საკითხზე მსჯელობის დასასრულს, მოვიგონოთ კახეთში დადასტურებული რიტუალი, რომელიც ოჯახში ვაჟის შეძენასთან იყო დაკავშირებული: „შემოპქონდათ სპილენძის დიდი ქვაბი, სპილენძი, ლითონი, რომელიც მზის სიმბოლო იყო, მზე კი – სიცოცხლისა. ქვაბში ასხამდნენ მარადიულობის ყველაზე დიდი ინფორმაციის მატარებელი სითხის, სისხლის სიმბოლოს – შავ დვინოს. ახალშობილს ამ დვინოში ჩაყოფინებდნენ ტანს ჭიპამდე, ისე რომ მზის წნული (ისევ მზის ანალოგი) დვინოში მოხვედრილიყო. ქვაბში ჩააგდებდნენ კაჟს ან, შესაძლებლობის შემთხვევაში ალმასს, რომ ვაჟკაცს მჭრელი თვალები პქონოდა და ძლიერი ყოფილიყო, გარდა ამისა, გაახურებდნენ ცხენის ნალს, ჩაყოფდნენ დვინოში, ბავშვი მხედარი რომ გამოსულიყო. ქვევრსაც ამ ვაჟის სახელზე დვინით შეავსებდნენ, სანამ არ იქორწინებდა ქვევრს მანამდე არ გახსნიდნენ. დანაყავდნენ მგლის მუხლს და ფხვნილს შიგნით ერიდნენ, რომ მგლის მუხლი პქონოდა. ამიტომ არის გამოთქმა: „მგლის მუხლი“. გოგონაზეც ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა, მაგრამ აქ იცვლებოდა მინერალები, კაჟის ან ალმასის ნაცვლად ქვის ბროლს ხმარობდნენ – რომ გოგონას სისუფთავისა და სისპეტაკის ინფორმაცია მიედო“ (60,6).

ამრიგად, რიტუალში გამოყენებული ატრიბუტები - სპილენძის ჯამი, შიგ ჩასხმული დვინოცა და „მგლის მუხლიც“, დაკავშირებული უნდა იყოს საკულტო „მზესთან“, რომელიც სიცოცხლისა და ნაყოფიერების მომცემი იყო. „მგლის

მუხლით“ დალოცვა კი, რითაც დაჯილდოვებულია ჩვენი დგომებრივი, „შებლმზიანი“ გმირი ამირანი და რაც ძალისა და ვაჟაცობის სიმბოლოდ აღიქმება, ქართველთა წინაპრებში მგელ-ძაღლის სიმბოლოს სიძველისა და მნიშვნელობის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

## დასკვნა

მგელ-ძაღლის სიმბოლოს განსაკუთრებულ სიძველეს და მნიშვნელობას საქართველოში ხაზს უსვამს მგლის აღმნიშვნელი სახელის წარმოჩქა ქართველთა ოგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ სახელწოდებებში, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, იბერიის ძველსპარსული სახელწოდებები. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ მგელ-ძაღლი უძველესი ხატ-სიმბოლოა, დაკავშირებული უძველესს რწმენა-წარმოდგენებთან. ამასვე გვაფიქრებინებს სვანეთში შემორჩენილი „აშანგელო-შაშანგელოს“ რიტუალი, რომლის დროსაც მგლის საწეო, კოლექტიური მკვლელობა სრულდებოდა.

მგელ-ძაღლის სიმბოლო დაკავშირებულია მზესთან და შესაბამისად სოლარულ დვთაებებთან, რომლებსაც საქართველოში სხვა ფუნქციებთან ერთად ნაყოფიერების ფუნქციებიც აქვთ. ასეთად გვესახება ცეცხლთან, კერასთან დაკავშირებული პერსონაჟები: კვირია, ბერიკა და სხვ., რომლებიც ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლში მონაწილეობენ და რომლებთანაც რაჭაში დაფიქსირებული “ყურშას” მითიური სახეც ასოცირდება.

ყურშას დვთაებრივი ნიშნები: ოქროს ყურ-ტუჩი, საცრის, ან მთვარის ოდენა თვალები, ჭექა-ჭუხილის ხმა დაკავშირებულია დვთის ნების გამოვლინებასთან, კოსმიური წყლებიდან “მზის დაბადების” მითოლოგებასთან და დვთის სიტყვის გამოვლინებით კოსმიურ, ქაოსურ წყლებში სამყაროს დაბადებასთან. ვფიქრობთ, კოლხურ ცულებზე გამოსახული გევლებისფეხებიანი მგელ-ძაღლი ასევე მიუთითებს ორი სტიქიის: ცეცხლისა და წყლის კავშირზე, რაც ასევე ნაყოფიერების გამოვლინებად გვესახება და კავშირშია სიკვდილისა და კვლავ დაბადების იდეასთან, რომელიც უკავშირდება ქვესკნელური წყლებიდან მზის დაბადების უოველდღიურ ციკლს, რაც ალეგორიულად დაკავშირებულია კვდომა-გაცოცხლების გამანაყოფიერებელი ძალების ქონე უძველესს დვთაებებთან.

ასევე განხილულ იქნა მგელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ სამონადირეო ეპოსში. როგორც დამოწმებული მასალიდან ირკვევა, ნადირობა, რომლის საკრალური ასპექტი საქორწილო რიტუალშიც კლინდება, ბუნების ძალების აღორძინებასთან და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული; აღნიშნული დამაჯერებლობას მატებს ჩვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მითიური მონადირეებისა და მათი თანმხლები ძაღლების არქეტიპული სახეები, ასევე ქართველთა უძველესი სოლარული რწმენა-წარმოდგენებიდან უნდა იდებდეს სათავეს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ნადირთდვთაების მდედრული

კორელატი თანდათან წმინდა გიორგის მზიურ-გამანაყოფიერებელმა კულტმა ჩაანაცვლა, რომლის მითო-რელიგიურ სახეში მგელ-ძაღლის სიმბოლო ასევე აქტიურად ვლინდება.

სამონადირეო ეპოსი არსობრივად უკავშირდება ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლს და ამ ციკლის მთავარ პერსონაჟებს. ლექსში „ქალსა ვისმე ერქვა შროშანი“ ეს კავშირი ცხადლივ არის მოცემული. ლექსში წარმოდგენილი სიმბოლოები, როგორიცაა დედა ლვთაების ბეჭდის თვალი, მარადმწვანე, „სიცოცხლის ხე“, რომლის დუბლიკატიცაა საკულტო დროშა, მგელ-ძაღლის სიმბოლო და მისი გამოვლენა ადრესაგაზაფხულო დღეობათა ფერხულებში, კვდომად და აღდგენად ლვთაებებთანაა დაკავშირებული და ერთიან სოლარულ სისტემაშია განხილული. ნაშრომის ამ თავში ასევე გამოვლენილია ხეთურ-ქართული საინტერესო ეთნო-კულტურული პარალელი (იგულისხმება მგლისა და ძაღლის ნიღბების მონაწილეობა ბერიკაობისა და ზოგადად, კვდომა-გაცოცხლების ხალხურ თეატრალიზირებულ სანახაობებში, რაც ბევრ საერთოს პოულობს ანალოგიური ტიპის ხეთურ რიტუალებთან), დაკავშირებული სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ ციკლთან და ნაყოფიერებასთან, რასაც თავის მხრივ უკავშირდება თრიალეთის თასზე გამოსახული რელიგიური შინაარსის მქონე კომპოზიცია. ამასთანავე, ყურშას ერთდროულად ციური და ხოონური ასპექტები და მასთან დაკავშირებული საწესო ფერხული „სამივე სკნელთან“ მის წილნაყარობაზე მიუთითებს და ავლენს კავშირს სკნელთა მაკავშირებელ სამყაროსეულ ხესთან – axis mundis-თან.

თრიალეთის თასზე გამოსახული ლვთაებების მგლის ტყავის სამოსელი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მგლის სიმბოლო სამსახოვნებიდან გამომდინარე, ლვთაებებიც, თუ დვთისშვილებიც შესაბამისად, სამივე სკნელის გამგებლები არიან; სკნელებს შორის მათი გადაადგილება კი ალეგორიულად უნდა ასახულიყო ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლში გამართულ სართულებიან ფერხულებში. „სიცოცხლის ხის“ მოტივი, ედემში, იგივე სულეთში დარგული მარადიული ხის ანალოგია, რომელიც ბუნებრივად უკავშირდება სკნელთა მაკავშირებელ „სამყაროსეული ხის“ გაგებას. თრიალეთის თასის ზედა ფრიზზე „სიცოცხლის ხესთან“ შორიახლოს მწვარ-ძაღლების წარმოჩენაც ამ კავშირის კიდევ ერთი გამოხატულებაა.

ნაშრომში წარმოდგენილია მგელ-ძაღლის რიტუალური გამოვლენა ქართული ეთნოლოგიური მასალის მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დაფიქსირებული „მგელ-

ჯიხვაობის“ და „მგელთუქმეობის“ ხალხური რიტუალი, რომელიც მტაცებელი ცხოველებისგან საქონლის დაცვის მიზნით ტარდებოდა. რიტუალის შემადგენელი კომპონენტების დეტალურმა შესწავლამ, ქართულმა მითო-ფოლკლორულმა და ქართლში დაფიქსირებულმა საველე მასალამ (თ. ოჩიაური) გვაჩვენა, რომ ეს რიტუალი ასევე ავლენს მგელ-ძაღლის, როგორც საკრალური ცხოველის მიმართ თაყვანისცემის ელემენტებსაც. მართლაც, თუკი გავითვალისწინებთ მგელ-ძაღლის მეტად საპატიო მისიას „ღმერთთან შუამავლობის“ თვალსაზრისით, ისევე როგორც მის სოლარულ პაგშირს მარცვლეულ კულტურებთან და მეტყველებასთან, გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „მწევრის სალოცავზე“ ნადირთ გამრავლებას ითხოვდნენ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „მგელთუქმეობის“ რიტუალში, რომელიც ერთი შეხედვით მავნებელი ცხოველებისგან საქონლის დაცვის მიზნით სრულდებოდა, ასევე დავანებულია მგელ-ძაღლის უძველესი, სიმბოლური ასპექტები, რომელიც გულისხმობდა საქონლისა და მარცვლეული კულტურების მფარველობას, ნაყოფიერებას, გამრავლებას, და რაც ყველაზე მთავარია, „ღვთის სიტყვას“, რომელიც თავისი არსით, მზიურ-ფალიკურია და რომელსაც მაგიურ-გამანაყოფიერებელი ძალა აქვს. .


ნაშრომში ასევე განხილულია მგელ-ძაღლის სიმბოლოსთან დაკავშირებული ზემოსვანეთის, სეთის წმ. გიორგის კალესიაში დავანებული საწეო დროშა – „ლემის“ სემანტიკური მხარე. უპირველეს ყოვლისა ხაზგასმულია „ლემის“ პაგშირი წმ. გიორგის კულტობან. აღინიშნა, რომ ჯგრაგის, წმ. გიორგის კულტი დაკავშირებულია ქართული მითოლოგიის „მზის დაბადების“ ციკლთან და შესაბამისად, მასში ვლინდებიან „მზიური“ კონტაციის ცხოველები: ცხენი და მგელი და გამორიცხული არაა ასევე „მზიური“ ხასიათის ფრინველებიც: არწივი, ქორი, ორბი და სხვ, რომლებიც მართალია სეთის წმ. გიორგის სადღესასწაულო ციკლში არ ჩანან, მაგრამ თავს იჩენენ მითოსური ძაღლ-ფრინველის „ყურშას“ დაბადების მოტივებში, რომელიც მონადირეობასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლს უკავშირდება. ეს ციკლი, თავისი რიტუალებით და სასიმღერო მოტივებით, მითოსურ „სიახლოვეს“ იჩენს სეთის წმ. გიორგის სადღესასწაულო რიტუალთანაც, რომლის გამართვაც უკავშირდება როგორც ჯგრაგის, წმ. გიორგის კულტს, ასევე სავარაუდოდ, ნაყოფიერების, მარცვლეული კულტურების და შვილიერების უძველესი ღვთაების – ლამარიას სახესაც. მითოსური კომპონენტების იდენტობამ და მათმა შინაარსობრივმა სიახლოვებ

გვაფიქრებინა, რომ როდესაც რიტუალში მონაწილე საწესო დროშა - „ლემი“ ქარით იბერებოდა შესაძლოა „ყურშას“ დარად, ადგილი პქონოდა ჯგრაგისა და ლამარიას საკულტო ცხოველის - მგლის „დაბადება-განსხვაულებას“, რასაც ნაყოფიერება და გამარჯვება უნდა მოეტანა მთელი ზემო სვანეთისათვის.

დაბოლოს, ნაშრომის ბოლო ნაწილში განხილულია მგელ-ძაღლის ხორცული ასპექტები, დაკავშირებული ქვესკნელურ სამყაროსთან. ამ კუთხით ქართული ეთნოგრაფიული და მითოლოგიური მასალა ბევრ სიახლოვეს იჩენს ძველუგიპტურ და ბერძნულ მითოლოგიურ წარმოდგენებთან, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საიქიოს დარაჯი მგელ-ძაღლის მითოლოგიური სახე. საზგასმულია ასევე ხორცული დვთავება პეკატეს სამსახოვნება, რაც შესაძლოა მგელ-ძაღლის კულტთან მისი კავშირით იხსნებოდეს, რასაც მხარს უმაგრებს ქართული მითო-ფოლკლორული მასალაც. განხილული გვაქვს ასევე წმ. გიორგის, ქართული მითოსური პერსონაჟის, დვთიშვილი პირქუშისა და დვთავებრივი გმირის, ამირანის კავშირები სამჭედლო საქმესთან, რომელშიც მგელ-ძაღლის კულტი ასევე აქტიურად ვლინდება. როგორც აღინიშნა, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია როგორც მზესთან, ასევე ცეცხლთან და წყალთანაც; მგელ-ძაღლის კავშირი წყალთან მოცემულია „მესეფების“ თანმხედები ძაღლების სახეში, რომლებიც ზღვიდან ამოდიან და სხვა ფუნქციათა შორის, ევალებათ დარ-ავდრის დარეგულირება. ამასთან, მეტეოროლოგიური ფუნქციები ყურშას მითოსურ სახეშიც ფიქსირდება. ცეცხლისა და წყლის სტიქიების მაგიური კავშირი კი საუკეთოსოდ ისახება სამჭედლო საქმეში, რისი დასტურიცაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ამირანის ხმლის ჭედვის პროცესი ალეგორიულად დაუკავშირდა ჭექა-ქუხილს, რითაც დაჯილდოებულია ქართველთა მითოსური ძაღლის, ყურშას ხმა. ამასთან, თუკი ცეცხლისა და წყლის სტიქიებს ზოომორფულ შესატყვისს მოვუძებნით, ადგილად შეიძლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი საკრალურ-გამანაყოფიერებელი კავშირი დავინახოთ გველებისფეხებიანი კოლხური მგელ-დრაკონის - გვერის სახეში, რომლის გამოსახულებასაც კოლხურ საწესო ცელებზე ვხვდებით. როგორც ცნობილია, გველი დაკავშირებულია ქალურ საწყისთან, ხორცულ წყლებთან (ისევე როგორც წყლის დარაჯი გველებაპის სახე), ნაყოფიერებასთან, ხოლო მგელ-ძაღლი კარგად გამოკვეთილი მამრულ-ფალიკური სიმბოლოა, შესაბამისად ცეცხლის სტიქიასთან აქტიურად დაკავშირებული (გავიხსენოთ თუნდაც დვთავება კვირია, რომელიც ცეცხლის სტიქით სჯის ხოლო ნების აღმსრულებლებად მგელ-ძაღლის ლაშქარი ჰყავს).

სხვათაშორის, საწეო ცულზე ასევე გვხვდება მგლის გამოსახულება ფარფლისებური ფეხებით, რაც საკითხის არსეს არ ცვლის, ვინაიდან თევზიცა და გველიც ურთიერთშემცვლელი სიმბოლოებია. წყლისა და ცეცხლის საკრალური კავშირი, რომელიც სიმბოლურად ჭექა-ქუხილში ცხადდება, ამასთანავე წარმოადგენს მამრული და მდედრული პირველსაწყისების კავშირსაც, რაც გაგებულ უნდა იქნას როგორც განაყოფიერების უმაღლესი გამოვლინება, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ციკლი, რომელიც ყოველდღიურად მზის კოსმიურ წყლებში ჩასვლას და ყოველ დილას იქიდან ხელმეორედ დაბადებას უკავშირდება. სწორედ ამ მარადიული წრე-ბრუნვის ციკლს უნდა გადმოსცემდნენ ადრე საგაზაფხულო დღეობათა ციკლის მთავარი დგთაებები, რომლებიც აშკარად სოლარულ ნიშნებს ატარებენ და ემორჩილებიან სიკვდილისა და კვლავ დაბადების იდეას, რასთანაც მგელ-ძაღლის სიმბოლოს პირდაპირი შეხება უნდა ჰქონდა, ვინაიდან ბერიკაობის სადღესასწაულო ციკლში, როგორც დავინახეთ, მგელ-ძაღლების ნიღბებიანი ბერიკების მონაწილეობაცაა დადასტურებული.

## ილუსტრაციები:



3. კოლხური ცული  
ყობანიდან ი. დომანსკის  
მიხედვით (ერმიტაჟის  
კოლექციიდან)



2. კოლხური ცული  
ლ. ფანცხავას  
მიხედვით



1. კოლხური ცული მესტიის  
არქეოლოგიური ბაზის  
ფონდიდან



5. ბრინჯაოს საკიდი  
ჩრდილო კავკასიიდან  
(ყობანი) ა. მილერის  
მიხედვით



6. ბრინჯაოს საკიდი  
ყობანიდან, ი. დომანსკის  
მიხედვით



4. შტანდარტის თავი  
ყაზბეგის განძიდან



7. დამკრძალავი ურნა პერუჯის  
არქეოლოგიური მუზეუმიდან

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Абаев В. И., Осетинский язык и фольклор, I, издательство АН СССР, Москва, 1949.
2. Абақеლია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1997.
3. Абакелия Н., Миф и ритуал в западной Грузии, Мецниереба, Тбилиси, 1991.
4. Абақеლია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართული ხალხური დღეობათა კალენდარი, „კრიალოსანი“, თბილისი, 1991.
5. Абаშიძე ბ., მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, „განათლება“, თბილისი, 1984.
6. ალავერდაშვილი ქ., საკრალური გეომეტრია, „უნივერსალი“, თბილისი, 2007.
7. ამბავი ნართებისა, კავკასიური სახლი, თბილისი, 2007.
8. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, „ხელოვნება“, თბილისი, 1971.
9. ამირანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.
10. ახალგაცი ნ., ლითონის ნივთების დამზადების ხალხური წესები სვანეთში, ეთნოლოგიური ძიგანი, III, „მერიდიანი“, თბილისი, 2007.
11. ბალიაური მ., მაკალათია ნ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისათვის, „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
12. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Издательство Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, 1957.

13. ბარდაველიძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, „მეცნიერება“, თბილისი, 1974.
14. ბარდაველიძე გ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, დვთავბა ბარბარ-ბაბარ, „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2006.
15. Barnard A., Spencer J., Encyclopedia of social and cultural Anthropology, Taylor and Francis Group, London, 2006.
16. ბერიაშვილი მ., სხირტლაძე ზ., თრიალეთის ვერცხლის თასის სიუჟეტურ გამოსახულებათა გაგებისათვის, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, „მეცნიერება“.
17. ბერძნული მითების სამყარო, არგონავტები, „ლოგოსი“, თბილისი, 1999.
18. ბერძნული მითების სამყარო, ასპარეზზე გამოდიან გმირები, „ლოგოსი“, თბილისი, 2003.
19. ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე დვთავბები, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 1998.
20. ბერძნული მითების სამყარო, ტროას ომის შემდეგ, „ლოგოსი“, თბილისი, 2005.
21. ბერძნული მითების სამყარო, ქაოსიდან კოსმოსამდე, „ლოგოსი“, თბილისი, 2005.
22. ბიბლია, საქ. საპატიოარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989.
23. ბურჯულაძე გ., შავხელიშვილი ბ., „ქართლის“, „საქართველოს“ აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დადგესტნურ ენებში, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, „მეცნიერება“, თბილისი, 1993.

24. გაგულაშვილი ი., ქართული მაგიური პოეზია, თბილისის „უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986.
25. Гамкрелидзе Т., Иванов Вяч., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, “Волк”, ст. 492-496, издательство Тбилисского Университета, Тбилиси, 1984.
26. გამსახურდია კ., ადრექტისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა, „პითაგორა“, თბილისი, 1995.
27. გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983.
28. Gennep A. Van., L'Etat actuel du probleme totemique, Paris, 1920.
29. გერმანული მითები, თქმულებები და ბალადები, „ნაკადული“, თბილისი, 1986.
30. გიორგაძე გ., ათასი ლენაჟების ქვეყანა, „მეცნიერება“, თბილისი, 1988.
31. გოგოჭური დ., ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, „განათლება“, თბილისი, 1977.
32. დიურკემი ე., რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები, „იოანე პეტრიწი“, თბილისი, 2004.
33. Доманский Я., Древняя художественная бронза Кавказа, «искусство», Москва, 1984.
34. Egyptes...L'Egyptien et le copte, Catalogue de l'exposition, édite par le musée archéologique Henri Prades, 34972 Lattes Cedex, 1999.
35. გგიაბგური მითოლოგიის ლექსიკონი, თბილისის „უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005.
36. ერიაშვილი ქ., უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

37. ვადბოლსკი გ., საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა, „ხელოვნება“, თბილისი, 1980.
38. **Виноградов В.**, Тайны минувших времен, «Наука», Москва, 1966.
39. გირსალაძე გ., ქართული სამონადირეო ეპოსი, „მეცნიერება“, თბილისი, 1964.
40. ზეციური იერარქია, წმ. დიონისე არეოპაგელი ციური იერარქიის შესახებ, გამომცემლობა „მერმისი“, თბილისი 2006.
41. თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში
42. **Иванов В. В.**, К Балкано-Балто-Славяно-Кавказским Параллелям, Балканский лингвистический сборник, издательство «Наука», Москва, 1977.
43. ინწკირველი ც., იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება, თბილისი, 2000.
44. ჯიქიძე ი., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, „მეცნიერება“, თბილისი, 1976.
45. კიკნაძე ზ., შეამდინარული მითოლოგია, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.
46. კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, ბაქმი, თბილისი, 2007.
47. კიკნაძე ზ., ანდრეზები, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
48. კილურაძე ნ., სოფელ დაფნარის ქავერსამარხი, უკრნალი „ძეგლის მეგობარი“, ნომერი 27-28, თბილისი, 1971.
49. კობახიძე ე., ეტრუსკული საბულტო ტერმინოლოგია, „ლოგოსი“, თბილისი, 1994.

- 50.** Куфтин Б., Материалы к археологии колхиды, т. I, издательство «техника да шрома», Тбилиси, 1949.
- 51.** Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние Культуры Южного Кавказа, «Наука», Ленинград, 1970.
- 52.** Лагаш К., Филипп Ф., Волки, Диалог, Москва, 1995.
- 53.** Levi-Strauss C., le Totemisme aujourd’hui, presse universitaire de France, Paris, 1962.
- 54.** ლეკიაშვილი ა., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ოეონიმიდან: დვთავბა კვირიას სახელები და ეპოთეტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, № 23, თბილისი, 1987.
- 55.** ლექსო არ დაიკარგები, „მერანი“, თბილისი, 1985.
- 56.** მაკალათია ს., ხევსურეთი, „ნაკადული“, თბილისი, 1984.
- 57.** მაკალათია ს., ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, საქართველოს სამხარეომცოდნეო საზოგადოება, თბილისი, 1938.
- 58.** მაკალათია ს., ფშავი, „ნაკადული“, თბილისი, 1985.
- 59.** მაკალათია ს., თუშეთი, „ნაკადული“, თბილისი 1983.
- 60.** მამისაშვილი ნ., ქართველმა ადამიანმა კარგად იცოდა და იცის ოჯახის ფასი, ქურნალი „ცოდნის კერა“, №1, მაისი, თბილისი, 2006.
- 61.** Mapp H., Грузинский язык, Госиздат Юго-Осетии, Сталинир, 1949.
- 62.** Mapp H., Смирнов Я., Вишапы, Москва, 1931.
- 63.** Mapp H., Из Пиренейской Гурии, Известия Кавказского Историко-Археологического Института, Тифлис, 1927.

**64.** Mapp H., Избранные работы, т. V., Чуваши-яфетиды на волге, Государственное социально-экономическое издательство, 1935.

**65.** Թաևալյեծո Սայարտցյալով յտնոցրագութեատցու Իշ, Եւսր Ճաշմօրու թյօնոյրյօնատա պահցմօնու Սայարտցյալով գուլուալու զամոմցյմլոնձ, տօնլուսո, 1940.

**66.** Мещанинов И. И., Халдоведение. История древнего Вана включая древнейшие сведения о Закавказье, издание Общества Обследования и изучения Азербайджана, Баку, 1927.

**67.** Թոմիչյան Թ., Գասազլյատ Սայարտցյալով յարտցյալ մուցլու յտնոցընթօնու, ցանսաելյեծուսա դա ցյլցյրու օւցորուուն, տօնլուսու Սաելմինցո շնոցյրեսուցյուն զամոմցյմլոնձ, տօնլուսո, 1989.

**68.** Миллер А., Изображения собаки в древностях Кавказа, Известия Российской Академии Истории Материальной Культуры, т. 2, Москва, 1922.

**69.** Թոյելամյ Թ., Թոյելանո յոլեյտուսա դա Սամերյո աղմուսացլյատո թացո՞նցուսնորյուտու շմցյլյեսո մուսաելյոնձու օւցորուուն, „թյօնոյրյօն“, տօնլուսո, 1974.

**70.** Թոյելամյ Թ., Ծոնցմո դա ժցյլո Սամյարո, „Եցքրո“, տօնլուսո, 2001.

**71.** Թյւելումցոլո Ռ., յարտցյալու տցուտսաելմիոնցյօնձու օւցորուուսատցու, Թաւեյ, օւցորու Սյրու, 2, 1992, յրյօն. Սայարտցյալով դա յարտցյլյեծու աղմունցնյելո շցեռյրո դա յարտցյլո Ծյրմոնուուցու, տօնլուսո, 1993.

**72.** Կագարյումցոլո Յ., յարտցյլո Սաելմինցուսա դա Սամարտլու օւցորու, „Ճոնճ յայնա“, տօնլուսո, 2005.

**73.** Կարտյեծո, „Օրուստոնո“, Յեօնցալո, 1977.

74. ნიჟარაძე ბ., ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, „უნივერსალი“, თბილისი, 2007.
75. ნოზაძე გ., ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, თბილისი, 2005.
76. ნოზაძე გ., ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, თბილისი, 2006.
77. ნოზაძე გ., ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება, ტ. II, თბილისი, 2005.
78. ორი ათასი ლაზური სიტყვა, „არტანუჯი“, თბილისი, 2005.
79. ოჩიაური თ., დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა, „მეცნიერება“, თბილისი, 1987.
80. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.
81. რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, „მეცნიერება“, თბილისი, 1999.
82. Сванидзе А., Материалы по истории Алародийских племен, издательство гос. университета, Тбилиси, 1937.
83. Charachidze G., Promethee ou le Caucase, Essai de mythologie comparative, Ftamarion, 1986.
84. Charachidze G., le Systeme religieux de la Georgie païenne, Francois Maspero, Paris, 1968.
85. სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
86. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, „სამშობლო“, თბილისი, 1993.
87. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, „ლოგოსი“, თბილისი, 2004.

88. ფარეულიძე როსტომ., ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბილისი, 2003.
89. **Feo G.**, Pittura segreta Etrusca, nuovi equilibri, Pavona, 2004.
90. **Feo G.**, Miti, Segni e Simboli Etruschi, stampa alternativa, Pavona, 2003.
91. **Фрейд З.**, Тотем и табу, «Азбука-классика», Санкт-Петербург, 2006 г.
92. **Фрэзур Д.**, Золотая ветвь, издательство политической литературы, Москва, 1986.
93. ქართლის ცხოვრება, ტომი I, სახელგამი, თბილისი 1955.
94. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
95. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958.
96. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, „მეცნიერება“, თბილისი, 1964.
97. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ალ. დლონიშვილის რედაქციით, „განათლება“, თბილისი, 1984.
98. ქართული ხალხური პოეზია, ტომი I, „მეცნიერება“, თბილისი, 1972.
99. ქართული ხალხური პოეზია, ტომი IV, „მეცნიერება“, თბილისი, 1975.
100. ქართული ხალხური შელოცვები, აჭარის უკრნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1994.
101. ქართული მითოლოგია, „მერანი“, თბილისი, 1992.

102. ქერქაძე ი., ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, „მეცნიერება“, თბილისი, 1974.
103. ჩართოლანი გ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.
104. ჩიქოვანი გ., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971.
105. ჩიქოვანი გ., მიჯაჭვული ამირანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1947.
106. ჩხეიძე თ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში, - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, საქ. მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1993.
107. ცანავა რ., მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები, „ლოგოსი“, თბილისი, 2005.
108. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.
109. წიკლაური ი., აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთის საკულტო ცენტრები, როგორც შიდა ტომების და ტომთაშორისი პილიგრიმობის ადგილები, „მითი და ტრადიცია“, თბილისი, 2008.
110. ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
111. **Хайтун Д.**, Тотемизм, его сущность и происхождение, Сталинабад, 1958.

112. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, „მეცნიერება“, თბილისი, 1984.
113. ხაზარაძე ნ., ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2001.
114. ხიდაშვილი მ., სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, „ნეკერი“, თბილისი, 2001.
115. ხორნაული გ., ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
116. ჯავახიშვილი გ., ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984.
117. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.
118. ჯანელიძე დ., სახიობა, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თბილისი, 1980.
119. ჯანელიძე დ., პირაოწივსახე სამაია, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1987.
120. ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, „არტანუჯი“, თბილისი, 2006.
121. ჯვარ-ხატთა სადიდებლები, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები 2, თბილისი, 1998.
122. პომეროსი, ოდისეა, „ნაკადული“, თბილისი, 1975.